



2

თ  
ე  
ს  
ს  
ე  
ს  
ს  
ე  
ს

1965

ბილბაი



სიმღერა თბილისზე

მხატვარი ლეონარდო შენგელია

გარეკანზე — დემოკრატიული მოტივი ქსოვილისათვის. მხატვარი ვახტანგ ქოქიაშვილი

# სილსაქი



910

## უიწააქსი

### კოეზიი

კოლაუ ნადირაქე — სათქმელი ჩემი	25
მეღეა კახიქე — სერბიული ლექსები	37
ოთარ უალმბერიქე — ლამენებისა	57
ირაკლი არაბული — თორელის ფუქე	58
იუსტინას მარტინკიავიჩუსი — კუბ-ლიცისტური პოემა. დასასრული	81

### კროზა

თენგიზ გოგოლაქე — კაცი კაციოთა. რომანი. გაგრძელება	3
გურამ დოჩანაუვილი — ჩვენს ეზო-ში წვიმა მოდის. მოთხრობა	28
გიორგი კეკელმაქე — მეთორმეტე ჯარი. რომანი. გაგრძელება	39
ემანუილ ფეიგინი — ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა. მოთხრობა. დასასრული	59

# 2

თებერვალი

## 1965

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო



## ქრიჯიკა და პუბლიცისტიკა

ბაბაძე ბაქრაძე — პროზა თუ დრამა-ტურგია?	84
ნოდარ ნათაძე — ეგზოტიკა და ქეშ-მარიტება	94
ანდრო მირიანაშვილი — ილო მოსაშვილი	110
ია გამრეკელი — თოჯინების თეატრი	117

## რუსთაველის ნაქველავზე

შალვა ნუცუბიძე — „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის	124
დავით მუსხელიშვილი — კახეთ-პერთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები	128

## ლაუნიწყარი ღლეაგი

გურამ ბაბუშაძე — სამშობლოს ერთ-გული შვილი	156
---	-----

ყოველი მხრიდან	158
----------------	-----

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ბუნებრივი გოგონა

# ხასი ჯაასია

ჩოხანი

შეა ვერაფერს მიხვდა. შიშისაგან  
ენა და გული გაჰკავებოდა. ვერც  
ვერაფერი ჰკითხა, ვერც ვერაფერს მი-  
ავნო, გაშრა, გახვედა.

— არ წახვიდე, მანამ ის საცოდავე-  
ბი არ მოვლენ. შენც ჭამე რამე და  
იმთაც აჭამე. მჭადი არ დასწვა, — ისე  
არიგებდა ბერდო ვაჟას, თითქოს მის  
დასაჭერად კი არ მოსულიყვნენ, ძმაკა-  
ცებს გამოეველოთ ქორწილში წასას-  
ვლელად.

კარი გააღო და გარეთ გავიდა. დიად  
დარჩენილი კარიდან ვაჟამ კარგად დაი-  
ნახა შეიარაღებული ხალხი.

გოსტაბაშვილმა ბერდოს მათხერი  
დაუმიზნა და შეუძახა:

— ხელები მაღლა!

— რა გაღრიალეხს? ვერა ხედავ,  
უიარაღოდა ვარ? — დინჯად მიუგო  
ბერდომ ისე, რომ ხელები არ აუწვევია.

— აქეთ გამო! — სახე მოღრიჯა გოს-  
ტაბაშვილმა.

ბერდო შეიარაღებულთ მიუახლოვდა  
და გოსტაბაშვილს ცალი თვალის  
ბრიალით გულღრჯოდ გაუსისინა:

— ბევრნი ხართ და დიდგულობ?

ორი მილიციელი ბერდოს აქეთ-იქით

ამოუდგა, ორი კი გოსტაბაშვილს წის-  
ქვილში შეჰკეცა.

— შენ, ეი! — მუჯლუგუნი წაჰკრა  
ფერდაკარგულ ვაჟას სოფლის თავკაც-  
მა და ლუმელს დახედა.

ვაჟამ შენიშნა, მჭადის დანახვაზე  
ნერწყვი როგორ გადაყლაპეს მილიცი-  
ელებმა.

გოგითა ხალამბარს ეცა, თოფი მილი-  
ციელს მიაწოდა. ეს იყო პირველი ნა-  
დავლი, უმალ რომ მოხვდა ხელში, გა-  
დამალული ხმალიც მალე იპოვნა. კიდევ  
რალაცას ეძებდა აფორიაქებული და  
გაგიჟებული. ჩხრეკაში ერთი მილიცი-  
ელიც ეხმარებოდა. თვემჯდომარე არა-  
ფერს ებუებოდა, არაფერს უფრთხილ-  
ებოდა, ჯამ-ჭურჭელს ლაწალუწი აუ-  
ყენა, თუნგულა წისქვილის კარს მიახე-  
ტა.

ვაჟა მალ-მალ განხედავდა ბერდოს.  
იგი კი მშვიდად იდგა მილიციელებთან.  
გოგითამ მთელი წისქვილი ამოაბრუნა,  
მაგრამ რასაც ეძებდა, ვერ მიაგნო;  
წისქვილის კარიდან ბერდოს გასძახა:

— შაშხანა რა უყავ?

— მოვიდე? — ავდებით გამოეხმაუ-  
რა ბერდო და ცალი თვალით მილიციე-  
ლებს გადახედ-გადმოხედა.

— უპ. შენი! — მუშტი მოულოცა-

გოსტაბაშვილმა და წისქვილისაკენ რომ შეტრიალდა, ვაჟას დაუყვირა: — შენ კიდევ აქა ხარ? დაიკარგე, შე ძაღლის ლეკვო!

ბიჭს წიხლი ამოჰყრა და წისქვილიდან გაავლო.

ვაჟა ღარების გასწვრივ ფერდობზე აბობლდა და იქიდან ცერად გამოხედა წისქვილის წინ გაშეშებულ ბერდოსა და ორ მილიციელს.

წისქვილიდან კიდევ ისმოდა ლაწანი, ბრახუნი, გოგიტას უწმაწური ვინება. ისეთი გაგუდული და ხრინწიანი ხმა ჰქონდა, თითქოს ახრჩობენო.

ვაჟამ პირი იბრუნა. მუხლი არ დაემორჩილა, ნაბიჯი გადაედგა. უცებ ჯერ გამხმარი ღერების ლაწალუწი მოესმა, მერე თოფების გრიალი. უნებურად მიიხედა წისქვილისაკენ და რუს ვაღმა, ღობესთან ჩაჩოქილი მილიციელები დაინახა. ბერდო კი არსად ჩანდა. თოფის ხმაზე გოსტაბაშვილი გარეთ გამოვარდა.

— რა ჰქენით? გაგექცათ, თქვე დოყლაბიებო?! — იყვირა, ღობეს მიაწყდა და რევოლვერის უთავბოლო სროლა დაიწყო.

თოფების ხმა მთიდან მთას ეცემოდა. მსროლელებმა ღობე გადათქერეს და ვენახს მოედგნენ. ენაჩავარდნილი ვაჟა კუნელის ბურჩთან შეშინებული კურდღელივით გაყურსულიყო და თვალმოხუტული ყურს უგდებდა თოფების გრიალს.

როცა ყველაფერი მიყუჩდა, როცა ცალმხრივი ბრძოლის ყიყინაც ჩაქრა, თვალი გაახილა და წისქვილის წინ მხარზე ნიჩბებგადებული ჭიჭია-ვანა და გოლა დაინახა. ისინი წისქვილთან იდგნენ და გადაღეწილ ღობის იქით რაღაცას ისე დამშვიდებით უყურებდნენ, თითქოს ვენახში გახურებული რთველი ყოფილიყოს. ვაჟა თავქვე დაეშვა და სოფლის ნაბოლარებთან მივიდა.

— რა იყო, ბიჭო, რა მოხდა? — ისე არჩენინად ჰკითხა ჭიჭია-ვანამ, რომ ვაჟამ იფიქრა, ხომ არ დამცინისო.

ვაჟას გაახსენდა ბერდოს წელანდელი სიტყვები, რა დროსა ხარ აქაო. ალბათ

ვაჟას გამო იყო, რომ თოფი არ გადმოიშალა და ბრძოლა არ გაუმართა მრმბ-  
ვარკვეულში  
გინგლიძისა

— ბერდო გაექცათ და ესროლეს, — უთხრა ვაჟამ.

— ჰი! — ახლა კი ნამდვილად ჩაიცი-  
ნა ჭიჭია-ვანამ და გოლას გადახედა.

— რას იკრიჭები? — შეუბღვირა გო-  
ლამ. — მოკლავდნენ. ვინ გამოუდგა? —  
მიუბრუნდა ვაჟას.

— მილიციელები. აი, იქით გაიქცნენ,  
ქვემოთ...

— მოკლავდნენ! — თავი გააქნია გო-  
ლამ და თვალი ცრემლით აევსო, მერე  
მხრები აუცახცახდა და ბავშვივით დაი-  
წყო ზღუტუნნი, ნიჩაბი მოისროლა, ად-  
გილს მოსწყდა და თავქუდმოგლეჯილი  
დაეშვა ვენახში, სადაც წელან მილიცი-  
ელებმა ვაზები გადათქერეს და გაქცე-  
ულ ბერდოს თოფის სროლით დაედევ-  
ნენ.

ჭიჭია-ვანა წისქვილის კართან დო-  
ლაბზე ჩამოჯდა, საიდანაც მჭადის  
სუნი შეიგრძნო და თვალეზი გაუფარ-  
თოვდა, მერე გველნაკებნივით წამოხტა.

— ბიჭოს! — ხმამალა შესძახა წის-  
ქვილში შესულმა და ტაფიდან ძირდამ-  
წვარი ცხელ-ცხელი მჭადი აიტაცა. ჭი-  
ჭია-ვანას ხელეზი დაეწვა. მჭადი ჩამო-  
ძენძილ კალთაში მოიქცია. — აფსუსს,  
აფსუსს! — იძახოდა და ახლა აღარც თა-  
ვისი მეგობარი გოლა ახსოვდა და  
აღარც ბერდო. ნანობდა, მჭადი რად  
დასწევსო.

ვაჟამ კარტოფილი გამოყარა.

— იფ, იფ! — ჯერ აღტაცებით დაი-  
ძახა ჭიჭია-ვანამ და როცა დანახშირე-  
ბული კარტოფილი ხელში შემოეფშვვნა,  
სახე სატირლად დაემანჯა: — იი, როგორ  
დაგიწვია!

ჭიჭია-ვანას ვაჟაზე მოუფიქრა გული.  
მუშტიც კი მოუღერა. ვაჟამ ზურგი  
შეაქცია და შინ გაქცევა გადაწყვიტა.  
გარეთ რომ გამოვიდა, დაინახა რუხე  
გადმომავალი გოლა. მეძებარი ძაღლი-  
ვით ენაგადმოგდებული მოდიოდა. დაღ-  
ლილობის გამო სახე წამოწითლებოდა.  
ქაქანებდა.

— ნახე? — ჰკითხა ვაჟამ.

გოლამ ღრმად ამოიხრა და უარის  
ნიშნად თავი გააქნია.

ვაჟა აღვილს მოწყდა და შინისაკენ  
გაიქცა. ფქვილით სავსე ტოპრაკი არც  
გახსენებია.

სოფელში ყრულ გაეგონათ თოფების  
ქუხილი. წისქვილი მოშორებით იყო და  
ხეობაში ამტყდარი გრიალი იქვე ჩაიხ-  
შო.

გიგომ აღელვებული, სირბილით  
გულამოგდებული ვაჟა რომ დაინახა,  
ეცნაურა, სიკეთეს არ გამოჰქცევოდა  
იგი.

— რა მოხდა, ბიჭო?  
— მოკლეს, მგონი მოკლეს!  
— ვინ მოკლესო, რას ამბობ? — გი-  
გომ საბერველის ღვედს ხელი შეუშვა.  
საბერველმა ერთი დაიქშუტუნა და და-  
ღუმდა.

— ბერდო.  
— რას ამბობ?!  
— ხუთი კაცი დაესხა თავს. წისქვი-  
ლიდან გაიყვანეს... მერე გაქცათ და  
ესროლეს.

— შერ საიდან იცი, რომ მოკლეს?  
ნახე?  
— იმდენ ტყვიას რა გადაურჩებო-  
და? — ვაჟას თვალები ცრემლით ავე-  
სო.

— საწყალი ბერდო! ცალი თვალით  
სად გაჰკვალავდა გზას. საცოდავი!  
აფსუს, კაცო!

მოსაწყენ საღამოებს ბოლო არ უჩან-  
და. ალბათ ზამთრისა და სილატაკის  
გამო. ზამთარი და სილატაკე ტოლ-  
სწორნი იყვნენ გარიყულაზე.

გიგო და ვაჟა სამუშაოს რომ მორჩე-  
ბოდნენ, ელენეს მიერ შემზადებულ  
მცირე ვახშამს შეექცეოდნენ. მერე  
გულჩათხრობილი კაცი ორიოდე სიტ-  
ყვას იტყოდა და დასაძინებლად გას-  
წევდა.

ელენე ღვთისმორწმუნე იყო და ძი-  
ლის წინ ხატზე ლოცულობდა. ხატი  
დარბაზის კუთხეში ესვენათ. ელენე  
სანთლებს დაანთებდა და ცხარე ლოც-  
ვაში მუხლს მოიყრიდა.

ვაჟა გოცებული შეჰყურებდა დე-  
დობილს და უნებურად გრძნობდა  
ღვთისადმი შიშსა და მოკრძალებას.

დარბაზის კუთხეში ორი ხატი ესვე-  
ნა—იესო ქრისტესი და მარიამ ღვთის-  
მშობლისა. ვაჟას თანდათან ბოჭავდა  
ხატების ძალა. ამას ემატებოდა ელენეს  
ლოცვა და... ბიჭიც იწერდა პირჯვარს.  
ბევრს ზრავდეს შესთხოვდა ღმერთს,  
სათხოვარი კი ბევრი ჰქონდა.

ღმერთი ჩუმად იყო, ჩუმად იყო  
ღვთისმშობელი მარიამიც. ისინი თით-  
ქოს ისმენდნენ, ისმენდნენ დიდის გუ-  
ლისყურით. ვაჟას გული კი ხმაურობ-  
და, ღელავდა და ბიჭი მოჯადოებული  
შეჰყურებდა ხატებს.

— დედაო ღვთისა, წმინდაო მარი-  
ამ!.. — ჩურჩულებდა ელენე.

— დედაო ღვთისა, წმინდაო მარი-  
ამ!.. — იმეორებდა ვაჟა. მოსწონდა ეს  
ლაღადისი.

განვლო დღემ და ვახშამობაც გავიდა.  
გიგო დაწვა. ელენემ ხატებს სანთლე-  
ბი დაუნთო და ილოცა. ილოცა ჩვეუ-  
ლებისამებრ მხურვალედ. ვაჟამაც პირ-  
ჯვარი გადაიწერა და მუხლი მოიყარა.

— ილოცე, შვილო! ღვთის სიყვა-  
რული დიდი რამ არის!

ვაჟა წამოდგა, თავი დახარა. გულს  
ესალბუნა ქალის აღერსიანი მოპყრობა,  
ელენეს შეხედა.

— დედაო ღვთისა, წმინდაო მარიამ!  
და ბიჭმა დაინახა ელენეს სახეზე  
წმინდა მარიამის ლამაზი თვალები.  
ქალს მართლაც ლამაზი თვალები ჰქონ-  
და—აღერსიანი, სევდიანი და უძირო.

ელენემ რაღაც წაილულლულა, ხატე-  
ბისაკენ გაიხედა, ერთხელ კიდევ გადა-  
იწერა პირჯვარი და მერე ვაჟას მიუბ-  
რუნდა:

— წადი, დაწეჭი, დაიძინე!

ბიჭი უხმოდ გავიდა მეორე ოთახში.  
იქ ღრმა ძილით ჩუმად ეძინა დაღლილ  
გიგოს.

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

დილით სამჭედლოში კვლავ გაახურეს ქურა. კვლავ ახმაურდა ჩაქური გრდემლზე და ნაპერწყლები გაჰყარა.

სამჭედლოს კარი გაიღო და ჰოი, საკვირველებავ! ბერდო, ცოცხალი და უვნებელი ბერდო გამოჩნდა. მხარზე შაშხანა ეკიდა, ხელში ფქვილით სავსე ტობრაკი ეჭირა.

გუშინ ისე არ შეშინებულა ვაჟა, როგორც ახლა, „მკვდრებით აღმდგარი“ ბერდო რომ დაინახა. საიქიოდან მოსული კაცი გუშინდელივით მშვიდი ჩანდა. ვითომც თავს არაფერი გადახდომია.

— შენი ფქვილი ვეღარ წამოიღე?! — შეუღრინა ვაჟას.

ამან მთლად გააოგნა აზრდაკარგული ბიჭი.

„იქნებ სიზმარია? ან იქნებ გუშინდელი ამბავი იყო სიზმარი?“ — ფიქრობდა იგი.

— დაიცა, კაცო! არაფერი მესმის! — შუბლი მოისრისა გიგომ, — გამაგებინე, რა მოხდა. ბიჭო, მომატყუე?

ვაჟამ მის თვალბში პირველად დაინახა წყრომა.

— არა, ძია, ბერდოს მართლა ესროლეს.

— მესროლეს და, რა დამაკლეს?! — თოფი მხარზე შეისწორა ბერდომ და ფქვილით სავსე ტობრაკი გიგოს გაუწოდა, — აჰა, გამომართვი. ბიჭს წისქვილში დარჩენია. აი, შე მშობარავ! — ბერდომ თვალი დაუბრიალა ვაჟას.

გიგომ ფქვილის ტობრაკი გრდემლზე დადო.

— მითხარი, კაცო, რა მოხდა. დაჯექი, თუ ღმერთი გწამს, — მიაჩერდა სტუპარს და სამფეხა დაუდგა.

ბერდო არ დამჯდარა.

— ის შობელქაღლი გოსტაბაშვილი ოთხი კაცი თავს დამიხსნა. თოფი და ხმალი წამართვა. შაშხანას ეძებდა.

მაგრამ ვერ მიაგნო. გავექეცე და მესროლეს. ბიჭო, — მიუბრუნდა ვაჟას, — იქ არ იყავ? ხომ მიყურებდი ჩემს მესროდნენ. ჰოდა, რა წაიღეს? აი, აქ არა ვარ ცოცხალი და სალსალამათი, მეტი მტკიცება რაღა გინდათ? ცალი თვლით ათ თვალს ვაჯობე. ასე! ახლა სანადიროდ მივდივარ, გუშინ რომ გითხარ.

— შენი სიტყვის კაცი რომ ხარ, ეს ვიცი, მაგრამ ერთი ეს მითხარ, გოსტაბაშვილი რას გერჩის? რა მინდაო?

— ვერ მოვრიგდით.

— დაიცა, ეგ ის თოფი არ არის, გუშინ რომ შევაკეთე?

— ის არის. წამართვა და ისევ წავართვი. რას შევარჩენდი!

— დიდი ამბები გადავხდენია, ბერდო. დაჯექი, კაცო, მიამბე.

— აჰა, რა უნდა გიამბო. ისეთი არაფერი მომხდარა. შუალამისას დავადექი თავსა, საცვლების ანაბარა წამოვადექე, შიშით თავვის სორო ვანატრე. იმ შაშხანით მივადექი, რომელსაც ეძებდა. აჰა, მოგიტანე-მეთქი. ბიჭო, ვაჟა, განსოვს, წისქვილში როგორ შემომივარდა? ამოიღე ხმა, კაცი არა ხარ?! დაიცა, მე შენ მოგივლი! ქალაჩუნები მეჯავრება! ჰოდა, — ისევ გიგოსაკენ მიბრუნდა, — ნამდვილი დედაკაცი ყოფილა!

— მერედა, არ გეშინია, ბერდო? ხომ იცი, ძალაუფლება მის ხელშია... ისევ რომ დაგადგენ მილიციითა?

— გუშინ წისქვილთანვე გავუსწორდებოდი, მაგრამ ეგ ბიჭი იყო იქა...

— უფრთხილდი, უბრალოდ არ გავაფუქონ, ხომ ხედავ, რა დროა.

— ბუხსაც ვერ ამიფრენენ! აბა, კარგად იყავით. თუ რამე მოვკალი, სორცს მოგაწვდი, გიგო. — კარს უკან ჩაილაპარაკა და წავიდა.

#### თავი მეთხუთხედი

ცხოვრება დიდი და ამღვრეული მდინარე იყო, გიგო — ხედ ატივტივებული პატარა ნაფოტი.

თითქოს შეურჩედა გიგო თავის ყისმათს. ძმისწული მიწას მიაბარა. სამჭედლოში ოფლს იწურავდა, რომ ქა-

ლაქად გაგზავნილ შეილებს სწავლაში ხელი არ შეშლოდათ და მათთვის ორი-ოდე კაპიკი მიეწვდინა. გიგომ იცოდა, რომ სიბნელეს ხავსი მოედო. ვაჟაც სოფლის სკოლაში მიაბარა და მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი არ ზარმაცობდა, მაინც გააფრთხილა, გულმოდგინედ ესწავლა. ვაჟა მესამე კლასში ჩარიცხეს, სადაც მასზე ბევრად პატარა ბიჭები და გოგონები იყვნენ.

პირველკლასელები, მეორეკლასელები და მესამეკლასელები ერთ ოთახში ისხდნენ, ერთი მასწავლებელი ჰყავდათ. მეოთხეკლასელებიც აქვე სწავლობდნენ.

ვაჟა არც თუ ისეთი ტანადი იყო, მაგრამ ჯგუფში გოლიათი გამოჩნდა. ორიოდე გაკვეთილის შემდეგ შინ გარბოდა, სამკედლო უფრო ახალისებდა.

— დღეს რა ისწავლე? — შეეკითხებოდა გიგო.

ვაჟა სხაპასხუბით მოუყვებოდა.

— ჰო, ეგრე, შეილო! თუ კარგად ისწავლი, წლებზე ფეხს დავიდგამ და შენც გიმნაზიაში მიგაბარებ. აგერ, ჩემი ბიჭები საცაა დაამთავრებენ, ცხოვრებაში ვერაფერ დასჯაბნით. უსწავლელს კი ყველა შესდგება ზურგზე.

მათი საუბარი სამკედლოს კარის კრიალმა შეწყვიტა.

— მობრძანდი, სარქის! — შეაგება გიგომ.

— გიგოჯან, გამარჯობა! — სთქვა მოსულმა და მასპინძელს ხელი ჩამოართვა, თან უბის ჯიბიდან რაღაც ქალაღი ამოიღო.

— აქ ქართულად წერია, წაიკითხე.

— რა არის, სარქის?

— სიმართლე. მანდ წერია ვინ მოკლა შენი შალიკო. გულის ჯიგარი მეწყვის, გიგოჯან.

სარქისა სამფეხაზე ჩამოჯდა და გიგოს მიაჩერდა, ქალაღს ხარბად რომ დასჩერებოდა. ჩუმად კითხულობდა, ტუჩებს აცმაცუნებდა და ფერ-ფერი მისდიოდა. ვაჟა თვალს არ აშორებდა და ხედავდა, საფეთქლებთან ძარღვები როგორ დაებერა გიგოს.

— ეს ქალაღი საიდან მოიტანე,

სარქის? — ჰკითხა მეგობარს, რომელიც კითხვა ჩაათვა. თან აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს შიშობს, არავინ გვეხურობდესო.

ვაჟა ვერ მიხვდა, რა ეწერა იმ პატარა ქალაღზე, ასე სათუთად რომ მოიტანა სარქისამ და ასე გატაცებით რომ კითხულობდა გაფითრებული გიგო.

— ხომ იცი, თუ გაიგეს, მაგაზე ციხეა! — გააფრთხილა სარქისამ.

ვაჟა შეშინდა. ერთი სული ჰქონდა გეგო, რა ეწერა ისეთი საშინელი იმ ფარატინა ქალაღზე, ციხითა და დავიდარაბით რომ ემუქრებოდა მის წამკითხველს. აკი სარქისამ სთქვა, სიმართლეაო. მერედა, სიმართლისათვის ციხეა?!

— გულმა არ მომიტმინა, გიგოჯან. წავიკითხე თუ არა, მაშინვე შენკენ წამოვედი,—განაგრძობდა სარქისა,— რა უნდათ იმ კაცთარამსგავსებს, ჩვენს საქმეში რას ერევიან?

— ხედავ, რეები ხდება? ჯერ გერმანიას მიჰყიდეს სული, მერე საფრანგეთს. ახლა ინგლისს... ინგლისი გვეიდულობს და ველარ გვეყიდა. — გიგომ ჩაქუჩი აიღო და გრდემლს დაჰკრა, — ვერ გაჰყიდიან! ეგ ჯერ არა ყოფილა და არც იქნება!

ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. ვაჟამ საბერველის ღვედს უნებურად ჩამოსწია და საბერველმა ისე დაიქშინა, თითქოს იმასაც დიდი დარდი აწუხებდესო.

ვაჟა შეკრთა.

— დამიტოვე ეს ქალაღი, — სთხოვა გიგომ მეგობარს.

— არ გინახონ, გიგოჯან!

— სიმართლის საბუთი მინახონ და დამიტკორონ? — გიგო ამ სიტყვებზე წამოიწო და ჩაქუჩი კიდევ დაჰკრა გრდემლს.

— იმ დღეს გოსტაბაშვილი გვემუქრებოდა ახალქალაქელ სომეხებს, — წამოიწყო სარქისამ.

— რაო, რა მინდაო?

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

— ყველას სასომხეთში გადავასახლებთო.

— მიჰქარავს, თქვენ გავასახლონ და ანგლია ჩამოასახლონ?!—იყვირა გიგომ.

— ჩვენ რა შეგვიძლია, გიგოჯან?

— ჩვენ ის შეგვიძლია, რომ...—აღელდა გიგო. უნდოდა ეთქვა ჯერ უთქმელი და ისეთი კარგი სიტყვა, რომ ძალა ჰქონოდა, სარქისას ქვეყანაში გაეტანა და ქვეყანას გიგოს ნათქვამი მოსწონებოდა. მაგრამ სიტყვა ვერ მონახა, ხელი ჩაიქნია და სარქისას ხმადაბლა უთხრა:—მართლაცდა, ჩვენ რა შეგვიძლია, ჩემო სარქის. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, ერთმანეთს ტკბილი მეზობლობა გავუწიოთ და მტრების გულის ვასახეთქად ხელიხელგადახვეულგებმა ვიაროთ. აი, ეს შეგვიძლია და მეტი არაფერი.

— შენ გაიხარე! — დალოცა სარქისამ და მხარზე ძმურად დააღო ხელი.

გიგომ თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და მერე ვაჟს მიუბრუნდა:

— წადი, ვაჟა, ელენეს უთხარ, არაყი გამოგვიტანოს.

სარქისამაც ასე იცოდა, როცა გიგო სამკედლოში ეწვეოდა. თითო არაყს გადაპკრავდნენ, ერთურთს მიიკითხმოიკითხავდნენ. კარგი ძმობა ჰქონდათ. ვაჟა შინ გაიქცა.

ელენემ არაყს ხშიადი და მწნილიც მოაყოლა. ვაჟას ტაბლა ფრთხილად მიჰქონდა, უცებ ბერდოს მოჰკრა თვალი. იგი ქვემოდან მოდიოდა ზურგზე ტომარამოკიდებული. ცხადი იყო, გიგოსთან მოდიოდა და შეპირებული ნანადირევი მოჰქონდა.

— გამარჯობა, ვაჟა!

— გაგიმარჯოს, ძია ბერდო!

— არაყი მივაქვს?

— ჰოოდე.

— მაშ კარგ დროს მოვსულვარ. შეიტა, რაღას მიყურებ! სტუმარი გყავთ?

— ძია სარქისაა.

— კარგი კაცი გყოლიათ. შედი!

ბერდომ სამკედლოს კარი გამოაღო, წინ ბიჭი გაატარა, მერე თვითონ შევიდა და ტვირთი გრდემლის მორგვთან

დაავდო. სამკედლოში დამხვდურთ ვი დაუქრა, სული მძიმედ მოითქვა.

— კარგი ტახი მოვეკალი. დიდხანსა ველი, — ტომარა გახსნა და შეაგაბობილ ტახს ბარკალში ჩასჭიდა ხელი და ამოათრია, — შეხედეთ!

— შენ ავაშენა ღმერთმა, — დალოცა გიგომ, — ვალსა მდებ.

— ეგეები არ იყოს! ვალში მე ვარ და აქეთ მეუბნები? აგერ, შენმა ნაკეთებმა თოფმა ისე დაიგრიალა, რომ... მაიტა ერთი, კარგი მწვადები შევწვით!

დიდძალი ხორცი დაჰყარა ნახევარმა ტახმა. ერთი მოზრდილი ნაჭერი ცალკე გადაახვია გიგომ და სარქისას მისცა. ელენე დაიბარა და სთხოვა, ხორცი მეზობლებისთვისაც მიეწოდებინა.

— სანამ მწვადი შეიწვება, ეს წაიკითხე! — გიგომ ქაღალდი გაუწოდა ბერდოს.

— რა არის?

— ნახე. კითხვა იცი და გაიგებ.

ბერდომ ცალი თვალი დიდი ასოებით დაბეჭდილ ქაღალდს დაუმიხზა. ვაჟამ შეხედა და იმდღევანდელი მისი სიტყვები გაახსენდა: „ბევრი უნდა იცოდე... მე რუსულიც ვიცი“. ვაჟას ეგონა, ბერდომ ისე იცოდა ქართული წერა-კითხვა, რომ თვალისდანამხამებაში ჩააბულბულებდა მთელს ნაწერს, მაგრამ ბიჭის გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბერდომ სიტყვებს თითი გააყოლა და ასო-ასო, პირველკლასელივით ჩამარცვლა. სანამ ბოლომდე არ ჩავიდა, თავი არ აულია. ვაჟას გულში ეციენებოდა მის კითხვაზე. თვითონ ბერდოზე ბევრად უკეთესად კითხულობდა, იმ დღეს კი წისქვილში დაიმორცხვა, ცოტა ვიცაო.

— უყურე ერთი, ძალიწვილებსა! — გაბრაზდა ბერდო, როცა კითხვა დაამთავრა, — რასა სჩადიან! მასხარად იგდებენ ხალხსა. ვისზე გვყვიდიან, კაცო! ჩვენ რაღანი ვყოფილვართ?!

— ასე გამოდის, რომ არაღანი ვყოფილვართ და ეგ არი, ჩემო ბერდო, — უთხრა გიგომ და ხელი წაიღო ქაღალდისაკენ, რათა ბერდოსთვის გამოერთმია, მაგრამ ბერდომ არ დაანება.

— დამჭირდება, — უთხრა და ცალი

თვალი დააბრიალა, — გოსტაბაშვილს ცხვირზე გავაკრავ ამას და ვეტყვი... — შეჩერდა, ვაჟას მიუბრუნდა: — ბიჭო, შენა, ცოტა ხანს ვადი, შვილოსან, კარგი დარია, წადი, რამე წაიკითხე. ხომ ხედავ. აქ მარტო დიდები ვართ. ხეირიანად ვეღარ შემოვიგინებია, შვილოსან.

— გინება რომ საქმეს შევლოდეს... — ამოიოხრა სარქისამ.

— ამოინებულმა მწვადმა ყველა დაბნედა.

გზიდან თედო შემოეხეტა. თვალეში სისხარულის სხივი ჩასდგომოდა, გამშრალი რუხები უცახცახებდა.

— აქა მშვიდობა და გამარჯვება! — სთქვა და თვალი ჯერ მწვადებს ჰკიდა, მერე ბერდოსა და მჭედლებს. შეიშმუშნა. სამჭედლოში მარტო გიგოს ელოდა და სხვებიც რომ დინახა, უხერხულად აწრიალდა.

— გარეული ღორისაა, ჰა? — იკითხა და უღვაშზე ხელი გადაისვა.

— გუშინ მოვკალი, — უთხრა ბერდომ, — დაჯექი, მწვადსაც ვაჭმევთ და პროკლამაციასაც წაგავითხებთ.

— პროკლამაციას რა თავში ვიხლი. მწვადს კი... ისეთი სუნი ტრიალებს გზაზედა, რომა! — თვალი აუციმციმდა თედოს.

— რას ამბობ, ე! — შეუტია ბერდომ, — სიმართლის ვაგონება არ გინდა?

— სიმართლისა? ყველაზე კარგი სიმართლე ის იქნება, კუჭი რომ მაძლარი გექნება, მაშინ თვალშიც კარგად გაიხედავ და სიმართლესაც დინახავ.

ბერდოს გული მოუვიდა, თედოს შეუღრინა, ძალად წაუკითხა პროკლამაცია. როცა კვლავ ჩამარცვლით ჩაათავა, ცალი თვალი თედოს დაუმიზნა და ჰკითხა:

— ვაიგე?

— ვაიგე, მაგრამა...

— რა მაგრამა?

— აბა, რა ვქნათ, რა ვიცი! რო ვიცოდე, ჩემთვისაც კარგია.

— ის უნდა ვქნათ, რომ... ხალხმა თავისი ბედი თვითონ უნდა გადაწყვიტოსო, ასე არა სწერია აქა? — წამო-

ენთო ბერდო და რადგან სიტყვა დაწყობილი გამოუვიდა, შესწორდა და მისმა მაზარამ ნაკერებში ტკაცატკაც დაიწყო.

— ი, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს!

— აბა, რა უნდა გელაპარაკო! — კიდეც გაგულისდა ბერდო.

— თავი დამანებე. შარზე ხარ, კაცო?! მწვადი მაჭამეთ, თუ მაჭმევთ. ნერწყვება დამახჩრო კაცი! — ვეღარ მოითმინა თედომ.

— ეე! — ხელი ჩაიქნია ბერდომ და ვაჟას შეხედა, — მომავალი შენია, ბიჭო. წისქვილში ჩამოდი ხოლმე, სროლას გასწავლი, იქნებ გამოგადგეს, — პროკლამაცია დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო. მწვადი ჩუმად ჰამეს.

იმ დიდთოვლობის შემდეგ გამურული ღრუბლების ფანჯრიდან უძლურად გამოიხედავდა მზე, უნიათოდ მიხედმოხედავდა ქვეყანას და დაიკარგებოდა. კაცს უმზეოდ ცხოვრება არ შეეძლო. მზე კი, ქვეყნის მაცოცხლებელი, ქვეყნის ბატონი, ქვეყანას თითქოს განგებ ემალებოდა.

არ შრებოდა ჰანჭყოები, ალაფულდალაფული გზები. ცა წყლიან თოვლს ჩამოჰყრიდა, ხან მშრალად ჩამოჰფერფლავდა, მაგრამ როცა თბილი ქვეინა დაუბერავდა, იმ შუა ზამთარში წვიმა კოკისპირულად დასახამდა. მერე მზე ისევ გამოიხედავდა, სადღაც, მყუდრო კუნძულებში ოდნავ წამოაოთქლებდა დამზრალ მიწას და ისევ ბნელი ღრუბლების ჯურღმულებში გასწევდა. ღამით ან წვიმდა, ან თოვდა და კაცი-შვილს გარეთ გამოსვლა ეზარებოდა.

სკოლაში ზარს არავინ რეკდა. ან რა საჭირო იყო, ვისთვის მოეხმოთ? შესვიანებაზე ბავშვები გარეთ არ გადიოდნენ. ბალებს ფეხსაცმელები შიმოაცვდათ. ზოგს იმის საშუალებაც არ ჰქონდა, შინაურის გამონაცვალი ჩუსტი

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

მანც აეფრატუნებინა. მასწავლებელი პირველ ხანებში ძალიან განიცდიდა, ვინმე თუ გააცდენდა გაკვეთილს, შინ გაუვლიდა და მიზეზს გამოიძიებდა, მაგრამ როცა სოფელი მთლად ატალახდა, გულგატეხილმა ხელი ჩაიჭინა.

ვაჟა არ აცდენდა გაკვეთილებს, გულმოდგინედ სწავლობდა და გიგოც ხელს უწყობდა. მასწავლებელი ბესო ოქრუაშვილი მაღალ-მაღალი, გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი და ნაადრევად გაჭალარავებული კაცი იყო. საუბრისას ხშირად ჩერდებოდა, ჰაერი არ ჰყოფნდა, ღრმად ჩაისუნთქავდა. მერე ერთ ხანს დუმდა. და ამ დროს სულგანებული ყმაწვილები საკუთარ გულისცემას უგდებდნენ ყურს. ალერსით იცოდა გაკვეთილის გამოკითხვა. აბა, ჩემო პატარა გვრიტო, ეტყოდა იგი მოსწავლეს და თავზე ხელს გადაუსვამდა. სკოლა ერთ მოზრდილ ოთახში იყო მოთავსებული. ვაჟა მესამეკლასელებთან იჯდა. იქვე ახლო მოკალათდებოდა ხოლმე ფეფეც. იგი მობუზული მოვიდოდა, ძველმან პალტოსა და სათბურებში გახვეული. ვინმეს შეახსენებდა წელზე განასკვული დაზლის ბოლოებს, შემოიხსნიდა ძველმანებსა და დაჯდებოდა. პატარა გოგომ გაკვეთილის მოყოლა სხაპასუბით იცოდა. წიგნიდან ამოკრეფილ ერთ სიტყვას არ გამოტოვებდა. ოქრუაშვილს ელიმებოდა და არიგებდა, შენი სიტყვებით მიამბეო. ფეფე დაიწყებდა, რა-ღაცას მიკიბავ-მოკიბავდა და თუ მასწავლებელი კიდევ შეაწყვეტინებდა. დიდრონი, წყლიანი თვალებით ქვეშქვეშ გამოიხედავდა და ვაჟას იმ წუთში ისე ეგონა, გოგონას თვალები ცრემლით აქვს სავსეო.

ზოგ მოწაფეს სულაც არ უნდოდა სწავლა. ოქრუაშვილი დაიღალა იმის მტკიცებით, რომ ქვეყნიერება მომავალში განათლებული ხალხის იქნებოდა, რომ უსწაველილობა სიბნელე და სიბეცეა. მაგრამ ამოდ აიზოზებოდნენ ის დოკლაპიები მერხთან, დაალებდნენ პირს და უსიციოხლო თვალებით მისჩერებოდნენ მასწავლებელს.

რისთვის დადიოდნენ? ალბათ, დედამისის შინით. გლეხკაცს სწავლა სწყუროდა, გლეხკაცმა თვალი მოიხშინა და შორს გაიხედა. რაც თავად დააკლდა, სურდა შვილს მიეღო, რომ ხეირიანი ცხოვრება ღირსებოდა. მისი შვილი კი...

— აბა, ლადო, ისწავლე გაკვეთილი? ლადოს ენა მტუცელში ჩავარდნოდა და თვალები გაემტერებინა.

— რა დაგემართა, ლადო?  
ლადო ქვად იქცა.  
— სთქვი რამე, შენ გეუბნებიან, ბიჭო!

ლადოს არ ეყურება.  
— დაჯექ, შეგირცხვა კაცობა! — ტკბილად კიცხავს ოქრუაშვილი.

დაჯექო, კარგად გაიგონა ლადომ. უმაღ ჯდება და თვალებს დამფრთხალი კურდღელივით აქეთ-იქით აცეცებს, თითქოს რაღაც მოუპარავს და უნდა დაიმალოსო.

— აბა, ვაჟა რას გვეტყვის?  
ვაჟამ გაკვეთილი იცის და თამამად ყვება. ოქრუაშვილი გულდასმით უსმენს ამ შავგვრემანსა და მოსულ ბიჭს, გულუბრყვილო ბავშვის სევდიანი თვალები რომ აქვს. მოსწონს მისი მონათხრობი.

— აი, ეგრე, შენ კი გაიხარე! — აქებს ოქრუაშვილი და თავზე ხელს უსვამს. ვაჟა მორცხვად ხრის თავს და გულში იმდენი სითბო ეღვრება, ლამის ბედნიერებისაგან იტიროს. მერე აიხედავს და თავის მაგიდისაკენ მიმავალ ოქრუაშვილს მზერას გააყოლებს.

იმ დღეს თოვლქყაბი იყო. ხევში მღვრიე წყალი დიოდა. ღრმა კალაპოტიდან ისე ამოქუნდა, თითქოს ქვეყანას წალექვას უქადისო. სოფლის თავზე შავი დარბულები იხვევოდა და იგრიხებოდა. მზის ყვილა გასასვლელ-გამოსასვლელი ჩაუკეტა.

ვაჟა სკოლისკენ მიდიოდა. დაღმართი ჩაათავა და წყაროსაკენ გაუხვია. მერე პატარა აღმართს შეუყვია, მის წინ ჭიჭია-ვანა მიაბიჯებდა. ზურგზე პაატა ნასყიდაშვილი შემოიხვია. პაატას ფიჩხები მისივე ტანსათბურის ჯიბეებში

ჩაეწყო, ხელები კი უბეში ჩაემალა. ვაჟა სკოლასთან წამოეწია სოფლის ნაბოლარას. ჭიჭია-ვანამ მოხედა და ისე საცოდავად გაუღიმა, რომ ბიჭს გული ჩასწყდა.

— აჩუ, აჩუ! — შეიკუნტრუნა ჭიჭია-ვანამ და ვაჟას ძმაკაცურად უთხრა, — ამის მერე მატრონას ღიღილოც უნდა ამოვიყვანო. მერე, როცა ექნებათ, პურს მაქმევენ.

სკოლას პატარა აივანი და სამსაფეხურიანი კიბე ჰქონდა. ჭიჭია-ვანამ პატარა აივანზე გადმოსვა. ბავშვს ფეხსაცმლის ნაცვლად ძველი ნაჭრის ჩუსტები ეცვა, ნაჭრისავე ფეხსახვევებზე წამოკმული.

— ახლა ღიღილოცა და... — ვანა ღიღინით დაეშვა თავქვე და ღიღილოც ამოიყვანა, აივანზე გადმოსვა და კართან მღუმარედ გაჩერებულ ბესოს შეხედა, შეხედა და შეცბუნდა: მასწავლებლის თვალებში ცრემლი დაინახა. ჭიჭია-ვანა ოია კართან გაჩერდა, შესვლა ვერ შეებდა.

— მოდი, ვანო, მოდი! აგერ, ღუმელთან მიჯექი და ყური დაგვიგდე, — უთხრა ოქრუაშვილმა.

ჭიჭია-ვანას გაეხარდა და ხელებს ფშინიერით ღუმელს მიუჯდა.

მოწაფეებიც და მასწავლებელიც ცეცხლს მიეფიცხნენ, რადგან იმ დღეს ძალზე ციოდა. ოქრუაშვილმა წიგნი გადაშალა. ჯერ ბავშვებს გადააკლო თვალი, ჭიჭია-ვანასაც შეხედა და მერე სთქვა:

— ახლა წაგიკითხავთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „ივანამ რა ჰქმნა“. ვინმეს უმღერია თქვენთვის „ივანა“?

— არა, მასწავლებლო. რა არის ივანა? — წრიპინა ხმით იკითხა ერთმა გოგონამ და ციყვივით პაწაწა თვალებში მასწავლებელს შეანათა.

— აბა, ვის მოგისმენიათ?

მხოლოდ ერთს შეეტკბო დედის ნამღერი. მხოლოდ მან იცოდა ძილის-პირიული გალობის სიტობი, და მასწავლებლის სიტყვებზე თვალები აუციმციმდა. ჭიჭია-ვანა ოქრუაშვილს მისჩერებოდა.

პირველად იყო გაკვეთილები და ყველაფერი უკვირდა. ისიც კი გაუკვირდა, როცა ბესომ ბავშვებს უთხრა: „მამე მამე ყური მიგდეთ, „ივანას“ გიმღერებთო. ოქრუაშვილმა ხმადაბლა დაიწყო სიმღერა, ცდილობდა ნაზად გამოსვლოდა, დაეტკბო ბავშვები.

„ივანა, ვარდო ნანა, იავ, ნანინაო“, — მღეროდა ოქრუაშვილი, მღეროდა თვალმინაბული და გამალებით უძგერდა გული. არასოდეს ასე თავდავიწყებითა და გატაცებით არ უმღერია, არასოდეს ამდენი გრძნობა არ ჩაუქსოვია სიმღერაში. ჭაბუკობაში მღეროდა ზოლმე. კარგი ხმაც ჰქონდა. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ჭიჭია-ვანას საცრისოდენა თვალები გახდომოდა. ოთახის კუთხეში მიბუზული ფეფე გაშტერებული უყურებდა მასწავლებელს. ვაჟას გული ლამის საგულედან ამოვარდნოდა. სიმღერამ საინტარო სამყაროში შეაცურა და ახლა კიდევ უფრო მწვავედ იგრძნო, რა დიდი რამ დაჰკლებოდა დედის ალერსთან ერთად. მასწავლებელმა თანდათან დაუღაბლა ხმას და გაჩუმდა. ერთ ხანს ყველანი დუმდნენ.

— რა კარგად მღეროდი, მასწავლებლო! — გაბედა ვაჟამ მძიმე სიჩუმის დარღვევა. ჭიჭია-ვანა მოცოცხლდა და ტაში შემოჰკრა.

— მართლა კარგი რამ იყო! მეც ვიქნები ზოლმე აქა, რა! თქვენთან თბილა. — მხრები შეათამაშა ჭიჭია-ვანამ და ხელები ერთმანეთზე გადაისრისა.

— აბა, ახლა ყური მიგდეთ, — სთქვა მასწავლებელმა და მოთხრობის კითხვა დაიწყო.

ბავშვები სულგანაბული უსმენდნენ, მხოლოდ ჭიჭია-ვანა ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, მაგრამ ჩუმად იყო. ხანდახან ყრუდ დაიგმინებდა, თითქოს ღმუისო. ალბათ ჩაღიღინებდა ეწადა, მაგრამ ახსენდებოდა, სად იყო და ჩუმდებოდა. მაგრამ როცა ლეკებმა ქეთინო მოიტაცეს, ვეღარ მოითმინა, შეშას ხელი

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

წამოავლო და იატაკზე ისე ღონივრად და მოულოდნელად დაჰკრა, ბალებს გული გაუსკდათ. შეშინებულები აქეთ-იქით გადაცვივდნენ, მერე განცვიფრებულები მიაჩერდნენ სოფლის ნაბოლარას. მან თავი ხელებში ჩარგო და ცხარედ ატირდა, ბავშვივით აზლუქუნდა.

გიგოს ბოდმა ახრჩობდა. სარქისას მოტანილმა ქაღალდმა უფრო მეტი უთხრა, ვიდრე თბილისში გაიგო. ინგლისელებისა და მენშევიკების წინააღმდეგ გამოსული ჭაბუკების ამბავს სამკედლოში მოსულთ უყვებოდა. გლეხაკებს გულით ენდობოდა. ზოგი გულჩათხრობილი უსმენდა ხოლმე, ზოგი აბედივით ენთებოდა. და აი, ერთმა მათგანმა გოსტაბაშვილს ჩაუყავლა, მკუდელი გიგო სოციალისტი გამხდარა და გლეხებს მთავრობის წინააღმდეგ რაზმავსო.

ერობის საბჭოს თავმჯდომარე თავისი ფეხით მიადგა გიგოს. გიგო სამკედლოში მარტო იყო.

— გამარჯობა, გიგო! — ისე შინაურულად უთხრა გოსტაბაშვილმა, თითქოს სამტროდ მისული არ ყოფილიყოს.

გიგომ სალამზე უბასუხა, ნაღვერდალს ნახშირი დააყარა, საბერველი ააქშინა, გოსტაბაშვილისაკენ არც მოუხედავს. არ ესიამოვნა სოფლის თავკაცის სტუმრობა. გარიყულაზე რა მოახეტებდაო, გულში გაიგლო.

— დაჯექი, რას დგახარ! — ქვეშქვემ განხედა სტუმარს, საქმე არ მიატოვა.

გოგიტა ჩამოჯდა.

— გიგო, ყური მიგდე.

— ვისმენ.

— რაო, რაღაცა ქაღალდიოა, — ხმადაბლა და არეულად განაგრძო გოსტაბაშვილმა.

— რა ქაღალდიო, დალაგებითა სთქვი, — გიგომ საბერველის ღვედს ხელი შეუშვა და გოგიტას შეხედა. სტუმრის თვალებში სამტრო ცეცხლი ენთო. ეს მაშინვე იგრძნო გიგომ.

— რაო და, ისაო, რომ... — კვლავ ხმა-

დაბლა სთქვა გოსტაბაშვილმა, მერე ფეხზე წამოდგა, გიგოს მიუახლოვდა, — მომეცი ის პროკლამაცია!

— სხვა კიდევ რა გინდა? რის პროკლამაცია, რა პროკლამაცია! — ავღებით უთხრა გიგომ და ზურგი შეაქცია, საბერველს მიუბრუნდა და ღვედი ღონივრად ჩამოსწია.

— შენ გეუბნები! — ხმას აუწია თავმჯდომარემ.

გიგო უცებ შემოტრიალდა და მიახალა:

— წადი, შენდა აკლიხარ ანგლიას!

— ძვირად დაგიჯდება ეგ სიტყვები! ისიც ძვირად დაგიჯდება, სომხებთან რომ ძმაბიჭობ. შენი ძმისწულის ამბავიც არ ჩაგივლის კარგად. მე გოგიტა ვარ, ალბათ ვერ მიცანი.

გიგომ თავი ასწია და სოფლის თავკაცს ისე შეხედა, თითქოს პირველად ხედავსო, მერე ჩაიფრუტუნა, დამცინავად ჩაიღიმა და გოგიტას ყველაზე მტკივნეულ ადგილზე დააჭირა ფეხი:

— გოგიტა ხარ. თორემ საცვლების ამარა ჯერ არავის წამოუგდინხარ!

გოსტაბაშვილს ფერმა გადაუარა. შემდეგ გაფითრდა და სიბრაზით ქვედა ყბა აუცახცახდა. ერთ ხანს უძრავად იდგა, მერე ხელი ნაგანისაკენ წაიღო და ძლივს ამოღერდა:

— გამოწყე! იქ მოგელაპარაკები!

— აქ ვილაპარაკოთ, ხელს არავინ გვიშლის.

— გამოწყე-მეთქი! მე მთავრობის კაცი ვარ და გიბრძანებ!

— წადი და ჩამოვალ! — ჯიუტად უთხრა გიგომ და უროსხელა ქანგიანი მუშტი გრდემლზე დადო.

თავმჯდომარემ მარჯვენა წარბი აათამაშა, კრიკა შეეკრა, სიტყვა ვერ დასძრა. ნაგანის ბუდეს ხელს უსვამდა. გიგოს ისე მოეჩვენა, თითქოს იგი ბუდის გასახსნელ ღილს ეძებდა და ვერ ეპოვნა. გრდემლიდან მუშტი მანამ არ აიღო, სანამ გოგიტა არ შეტრიალდა და სამკედლოს კარი არ გააღო.

— ჩამოდი, გესმის! — გულღრძოდ, დათმობით უთხრა და გზაზე გავიდა.

გიგომ თავისუფლად ამოისუნთქა.

გუნებაში შეუტურთხა გოსტაბაშვილს და გადაწყვიტა, საღამო ხანს ერობის კანცელარიისაკენ ჩაეველო. ანტერესებადა, რა მოლაპარაკებას გაუმართავდა სოფლის თავკაცი. მანამდე კი ცხავერდული ოსების გუთანი ჰქონდა გასამართი. ოსები ერბოსა და ქერს იყვინენ შეპირებული. მჭედელი ეშურებოდა, დროზე ჩაებარებინა გუთანი. მაგრამ გოგიტას წასვლის შემდეგ ხელი ვერაფერს მოჰკიდა, საბერველის ღვედიც კი არ ემორჩილებოდა, თითქოს ღონე გამოეღიაო. შეატყო, რომ ბოლმამორეული ვერაფერს ვაართმევდა თავს.

არ გასულა რამდენიმე წუთი, სამჭედლოს კარმა გაიჯახუნა და ნაგანმომარჯვებული გოსტაბაშვილი გამოჩნდა.

— მაის სულს გეფიცები, აქვე მოგკლავ, ახლავე თუ არ წამოხვედი! — თვალები მეტისმეტი სიბრაზისაგან ჩაისხლიანებოდა. წვერგაუპარსავს აწეწილ ქოჩორზე ჩიტის ბუდისოდენა ნაბდის ჭული დაედო, გასაძარცვად და კაცის საკლავად მომზადურ ყაჩაღსა ჰკავდა.

— რა მოგივიდა, კაცი არა ხარ? დაუშვი ეგ იარაღი, უცებ არ გავარდეს.

— გავარდება, გიგო! გავარდება, მაის სულს გეფიცები!

— გუთანს დავამთავრებდი და ჩამოვიდოდი. ცხავერდული ოსებისაა, — ისე დინჯად ჩააბარა ანგარიში გიგომ, თითქოს გოგიტა კალთებს ახედა, ნიშნობაში მივედივარ და შენ რომ არ წამოხვიდე, ქვეყანა დაიქცევაო.

ამან უფრო გაახელა გოსტაბაშვილი და ნაგანი ზედ ცხვირთან დაუტრიალა.

გიგო გაჰყვა. მეტი რა ძალა ჰქონდა. სამჭედლოდან რომ გამოვიდა, სახლისკენ გაიხედა. ვაჟა სკოლიდან ჯერ არ დაბრუნებულიყო. ელენე ალბათ შინ საქმიანობდა. ეზოში კაციშვილი არ ჩანდა.

— შევალ, დედაკაცს ვეტყვი, — სთხოვა გიგომ გოსტაბაშვილს.

— ციმბირში არ გასახლებ, წამო! — შეუღრინა გოგიტამ და ნაგანი ბუღეში

ჩაღო. დარწმუნდა, რომ გიგო მის ნებას დაემორჩილა.

სოფლის შარა ჩაიარეს და კანცელარიაში შევიდნენ. მდივნად ერთი ჩოფურა, დალეული, ხნიერი კაცი ჰყავდა გოსტაბაშვილს. გლენახან ვინმეს რამის დაწერა თუ დასჭირდებოდა, ამ კაცს მიადგებოდა. უწინ კარგი შემოსავალიც ჰქონდა. საჩივრის დაწერა ერთ დედლად იყო შეფასებული, მოკითხვის ბართი კი ორ-სამ კვერცხად. წინათ უფრო მეტს იღებდა. წინათ უფრო მეტი იყო უცოდინარი.

გოსტაბაშვილმა დაკითხვაზე მდივანი დაისწრო. ოქმი შეადგინეს. გიგომ ფეხებზე დაიკიდა გოსტაბაშვილიცა და მისი მდივანიც. სოფლის თავკაცი ღრინავდა. უცებ ნერწყვი სასულეში გადასცდა. ხველებით ლამის დაიხრჩო, წამოწითლდა, სიმწრის ცრემლი გადმოყარა.

გიგო ჩუმად იყო. მდივანს უყურებდა, ქოსსა და ნაწუწნი კამფეტით დალეულს. მდივანს წერა შეეწყვიტა და უცდიდა, სანამ გოსტაბაშვილი სულს მოითქვამდა. ისეთი ცივი, უაზრო გამომეტყველებით მისჩერებოდა, თითქოს მისთვის სულ ერთი ყოფილიყო, გოგიტა დაიხრჩობოდა თუ გადარჩებოდა. სოფლის თავკაცმა ხველებაში რამდენჯერმე რაღაც წამოიძახა, მაგრამ მდივანს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. როცა ყელი ჩაიწმინდა, გოსტაბაშვილმა მრისხანედ შეუძახა მას:

— წყალი ვერ მომიტანე, ბრიყვო?

— ჰა? — უცებ მოცოცხლდა გალუული ბერიკაცი და გოსტაბაშვილს შეშინებული მხერა მიაპყრო, ახალ მესსა და მედგარს ელოდა.

გოსტაბაშვილმა დოქს წამოავლო ხელი. ცარიელი რომ დახვდა, კედელს მიახეთქა, გიგოს მიუბრუნდა და გულმოსულმა შეუღრინა.

— ჩემგან რა გინდა? — ჰკითხა გიგომ.

გოსტაბაშვილმა მუშტი მაგიდას დასცხო, მდივანს დასჩხავლა:

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

— ჩაწერე, სიტყვასიტყვით ჩაწერე, რომ ამას ერობის სახელით ჩამოერთვას... — გოსტაბაშვილი განგებ შეჩერდა და გიგოს აღმაცერად გახედა.

ამის გაგონებაზე კი შეცბუნდა გიგო, თავი ასწია და გოგიტას მიაჩერდა:

— რას მართმევ?

თავმჯდომარესაც ეს უნდოდა, სურდა ამით მოეტეხა და მოეთოკა „გასოცილისტებული მჭედელი“. რაკი შეატყო, რომ ავისმაუწყებელმა სიტყვამ შეაერთო გიგო, ხმას დაუდებლა და მდივანს ჩაუმარცვლა:

— ჩაწერე, რომ ერობის საბჭომ მამაპაპური ბალ-ვენახი ჩამოართვა.

— გოგიტავ! — ფეხზე წამოხტა გიგო, ახლა კი დაუძახუნდა მუხლები. გული აუკანკალდა. ასეთი რამ თავის დღეში არ დამართნია მრავალჭირნახულ კაცს.

გოსტაბაშვილი წელში გასწორდა.

— ახლა ერთი დღე ჩემს ციხეში ეგდები და... გაზაფხულზე სხვები გასხლავენ შენს ვენახს. ბერბიჭავ, აჰა, გასაღები! — გოსტაბაშვილმა მდივანს „ციხის“ გასაღები მიუგდო და მერე ნაგანი ამოიღო, გიგოს დანახვა: — თუ გაჰქცევიხარ, მოგნახავ და...

გაფითრებული და ენაჩავარდნილი გიგო ბერბიჭავ წაიყვანა და აშშორებულ, ნესტიან გომურში ჩაჰკეტა.

მესამე დღეს, როცა შინ მივიდა, აცრემლებული ელენე დიდხანს ცდილობდა მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ.

გიგომ წალდი აიღო და ვენახისკენ გასწია. სამტროდ მიდიოდა, თითქოს დაუძინებელ მტერს უნდა მიეჭრის. ერთიანად აჰკუწოსო. ეტყობოდა, კაცში მხეცმა გაიღვიძა, არავის დაინდობდა. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ მოკეთეს უნდა მისჭროდა. ჯერ კიდევ დილეგში ჯდომისას იღუმალი ხმა ეძახდა: „დასჭერ! აჰკავე! არ დაუთმო!“ და ეს ავისმაუწყებელი ხმა ვერაფერმა შესცვალა. იგი ჩახსმოდა იმ წუთებშიც, როცა თავდახრილი და მოწამლული შინისაკენ მიდიოდა.

ახლა გამწარებულმა აიარა სოფლის შარა და ხევში ჩავიდა, დამშრალსა და მორიყულ ხევში, რომლის გაღმა პატარა ვენახი ჰქონდა.

გარშემო სხვისი დაქუცმაცებული და შემოღობილი ვენახებიც იყო, მაგრამ გიგოს ვენახს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. ვაზის მოსიყვარულე გულმა და ხელმა სულ სხვა ფერ-ლაზათი დასდო აქაურობას.

„დაჰკარ! აჰკავე! ნუ დაუთმო!“ — ერთხელ კიდევ შეახსენა ბოროტმა ხმამ. ამ ძალამ შეაგდო გიგო ვენახში. წალდ-მომარჯვებული დაერია ვაზეზს, მაგრამ ორიოდ მოქნევაზე მკლავი დაუძახუნდა. უროს შეჩვეულმა მარჯვენამ ციქნა წალდი ვერ დაიმორჩილა. მუხლიც მოეკვეთა. წალდი ხელიდან გაუვარდა, ჩაიჩოქა და მიწაზე დამხობილი ბავშვივით ატირდა.

## თავი მხუთე

მას შემდეგ, რაც „ქვეყნის ამომგდები“ ბერდო ხელიდან დაუსხლტა, გოსტაბაშვილს მისდამი მტრობა უფრო გაუღვივდა. ხოლო ეს ცალთვალა კაცი ღამით მძინარეს თავს რომ წამოადგა, ამან მთლად აანთო და აღერდა. ხელსაყრელ წუთს ელოდა, ბერდო ხელში ჩაეგდო და ხელისუფლებისათვის გათოკილი გადაეცა. გოსტაბაშვილმა ისიც იცოდა, რომ ბერდო ზაქარაშვილი მარტო არ იყო.

ბერდომ სოფელში საიმედო ბიჭები შემოიკრიბა და შეაგულიანა, ჩვენი მტერი და ორგული დავამხოთ ახალქალაქსა და გარიყულაზე, გლეხების გული გავახაროთ. ზოგიერთმა ეჭვის თვლით შეხედა, ვაითუ მტერმა გვაჯობოს, მერე რასა შერებო. ბერდომ ტყისაკენ გაიშვირა ხელი და უსიტყვოდ მიახვედრა ბიჭები, დამარცხების შემთხვევაში აგერ ჩვენი საფარი და საშველიო. სამოქმედოდ ასეთი გეგმა

დასახეს: დაიპერდნენ ერობის თავკაცებს, გათოკავდნენ მილიციელებს. მდიდრებს ზედ მიაყოლებდნენ. გოსტაბაშვილის გაბაწვრა ბერდოს ოცნება იყო და ეს ფიქრი დღედაღამ არ ასვენებდა.

ერთ დღეს ბერდოს უცნობი კაცი მიადგა. ახოვანი და სახემზიანი ვაჟკაცი იყო. არმიული მაზარა და ჩექმები ეცვა. მცირე რამ საქმე მაქვსო, უთხრა მასპინძელს და წისკვილში შეჰყვა.

— მე ნიკო მქვია, გვარად კაპარაშიძე, თემისხვეელი ვარ. შენ კარგად გიცნობ, ბერდო ზაქარაშვილი ხარ, ფრონტზე ნამყოფი და ხალხისთვის თავდადებული, — გაუღიმა მოსულმა და მაზარა შეიხსნა.

— კეთილი და პატიოსანი. კარგად შეგისწავლივარ, — უთხრა ბერდომ და სტუმარი თვალით ერთხელ კიდევ ასწონ-დასწონა.

— ვიცი შენი კეთილი განზრახვა. მოხარული ვარ, რომ ახალქალაქსა და გარიყულაზე საიმედო ხალხი გყავს.

— შორიდან უვლი.

— პირდაპირ გეტყვი. შენი გეგმები ჩემთვის ცნობილია, ბერდო.

— ვინა ხარ? — უცბა შეცბა ბერდო და თვალი რისხვით აენთო.

— გაიგებ ვინცა ვარ. ჩვენ ერთ საქმეს, მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმეს ვემსახურებით.

— კეთილი და პატიოსანი. ბრძანე დანარჩენი! — დაცხრა ბერდო.

— გვიან შევიტყვე თქვენი განზრახვა.

— მერედა, ჩვენს ბიჭებს გინდა შეუერთდე? კეთილი, მიგიღებთ. ერთი ჯარისკაცი მოგვემატება და ისიც კარგია.

— მე თქვენ ვერ შემოგიერთდებით.

— მაშ რა ლაპარაკია?! ჩვენი გეგმა შენ ვინ გაგაცნო, ერთი ეს მითხარ! — გაბრაზდა ბერდო.

— არის ერთი სანდო კაცი.

— ჩემს ბიჭებშია?

— ეგ სულ ერთია, ვინ არი და საიდან. მთავარი ის არის, რომ მე ყველაფერი ვიცი. და მინდა ერთი რამ გირჩიო.

— გამცეს? თუ გავიგე ვინ არის, ჩამოვახრჩობ! მე არ ვიცი სანდო კაცი არასანდო. აბა, რანაირი სანდოა, გულისმობთ? ვუცივარ და ეგ არის! — ბერდომ თავისი დიდრონი ხელები მუხლებზე დაიწყო და ცალი თვალი ისევ სტუმარს დაუმიზნა, — მერე?

— მერე ის, რომ ბრძოლა ისე კი არ უნდა, შენ რომ მოგიფიქრებია.

— ეგ ჩემი საქმეა!

— ჯიუტი კაცი ყოფილხარ. აბა, ეგრე როგორ იქნება. ყურთი არ გინდა დამიგდო.

— ყურს გიგდებ, მაგრამ შენსას მაინც არაფერს დავიჯერებ! — უქმენად უპასუხა ბერდომ, — რა დროს მიხდები მასწავლებლად, როცა საქმე საქმეზე ავაწყვე?! შენ ვინ მოგაგზავნა ჩემთან, ჰა?

— არავის არ მოვუგზავნივარ. შენ უნდა იცოდე, რომ არსებობს ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტი. თუ რამ გინდა გააკეთო, იქ უნდა ჰკითხო რჩევა.

— აბა, მე მაგდენს საღ გავწვდები. დამეხსენ, თუ ძმა ხარ. გოსტაბაშვილის დანახვა ჭირის დღესავით მეზარება და ამ დროს შენ რაღაცეებს მირჩევ, გინდა, რომ გამაჩუქო. შენი ლაპარაკიდან ეს გავიგე.

— ცუდად გავიგია. მე შენი სიკეთე მინდა. თავი ტყუილად არ დაიღუპო.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. მოსახდენი მაინც მოხდება და გლეხის გული გაიხარებს.

— მაინც რას აპირებ?

— აკი მითხარ, ვიციო! რაღას მეკითხები? ჩვენს საქმეში რას ერევი, ძმობილო, გიცნობ, მიცნობ თუ რა?!

— ოჰ, რა ჯიუტი კაცი ყოფილხარ! ჩვენ უფრო დიდი საქმისათვის უნდა მოვემზადოთ.

— მე დიდი საქმეები არ ვიცი. მე ყველაფერს ვერ გავწვდები!

— და თუ შენ მართლა რევოლუციის ჯარისკაცი ხარ, როგორ გგონია,

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

სამხარეო კომიტეტს არ უნდა დაემორჩილო?

ბერდოს გაცინა.

ნიკო კაპრაშიძე წამოენთო, მაგრამ თავი შეიკავა. ცდილობდა, როგორმე დაერწმუნებინა ეს ახირებული კაცი, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ცალმხრივ კიდევ მოსწონდა ბერდოს შემართება, შეუპოვრობა და თავდადება, მაგრამ მწარედ აფიქრებდა მისი გეგმა. კიდევ დიდხანს არიგებდა ბერდოს, მაგრამ ამაოდ.

ბერდომ ცივად გაისტუმრა კაპრაშიძე. აჩქარდა, ჩემს საქმეში მართლა არავინ ჩაერიოს და ხელი არ შემიშალოსო, იმ სადამოსკე დაიბარა ბიჭები და იარაღი აასხმევინა.

ბერდო პირველი შევიდა ერობის საბჭოს კანცელარიაში, სადაც საბჭოს თავმჯდომარე თავის მდივანს რაღაცას აწერინებდა. შეიარაღებული ბერდო რომ დაინახა, გოსტაბაშვილი თავით ფეხებამდე აცახცახდა.

— რა გინდა? — ხმადაბლა ჰკითხა ბერდოს და ეცადა გაბედულად შეეხედა მისთვის.

მდივანს ფერიფურმა გადაჰკრა და კალამი ხელში შეაცვივდა. გარედან ჩოჩქოლი მოისმა. ბერდოს ბიჭებმა დაჭერილი ბობოლეები და მილიციელები ერობის სახლთან მოიყვანეს და ახლა უცდიდნენ, ბერდოს გოსტაბაშვილი გამოეყვანა.

ბერდო კი ამ დროს ერობის საბჭოს თავმჯდომარეს ესაუბრებოდა:

— რა მინდა და ის მინდა, რომა შენი ხელისუფლება გათავდა და ჩვენი იწყება. მაიტა შენი იარაღი! — ბერდო გოსტაბაშვილს მიუახლოვდა და მის ნაგავს მისწვდა.

— ნუ ხუმრობ, ბერდო! — სთქვა გოსტაბაშვილმა და სახე ისე საცოდავად დაედრიჯა, რომ ბერდოს გულის სიღრმეში შეებრალა კიდევც.

— არ მოგკლავ, ნუ გეშინია, შენი ხალხი ჩვენს ხელშია, მაგრამ არავის მოგკლავთ! — უთხრა დინჯად.

— ბერდო, ყური მიგდე, აბა ჩემი იარაღი, მაგრამ, იცოდევ...

— რა უნდა ვიცოდე?

— თბილისში და გორში ვინ არიან? ვისი მთავრობაა?

— მე ეგენი არ ვიცი. მე ყველაფერს ვერ გავწვდები. გარეთ გამო, ხალხში ვილაპარაკოთ.

— დაილუპებით, ბერდო!

— შენ მაგაზე ნუ დარდობ. შენც წამო! — მიუბრუნდა ბერდო მდივანს, — შენც ხომ ამათი უსტაბაში ხარ!

— მე? მე? უსტაბაში? ბერდო, მე მხოლოდ... — წამოიკნავლა მდივანმა და ძლივს წამოდგა. მერე ყველასთვის მოულოდნელად აზლუქუნდა.

გოსტაბაშვილმა ერთ წუთს მრისხანედ შეხედა საქციელწამხდარ მდივანს და დაუსინა:

— ვაი, შე უბედურო!

— ხალხს პატიება სთხოვე. რაც ცოდო ჩავიდენია, გაპატიებთ. გაპატიებთ იმიტომ, რომ მწერალი ჩვენც გვინდა, — უთხრა ბერდომ.

ბერდომ გოსტაბაშვილს და მისი მდივანი გარეთ გამოიყვანა. ამ დროს შეიარაღებულმა ბიჭებმა სოფლიდან კიდევ რამდენიმე კაცი მოიყვანეს. მათ შორის ყველაზე დიდი წურბელა ესტატე ბებურიშვილი იყო.

ქართველიშვილების სახლში მხოლოდ მოურავი დახვედროდათ. ქართველიშვილები ზამთრობით თბილისში მიდიოდნენ და თავიანთ მდიდრულ სახლ-კარს მოურავის ანაბარად ტოვებდნენ.

ესტატე თვალებს აბრიალებდა და ვერაფერს მიხვედრილიყო. როცა გოგიტა ბერდოს თანხლებით აივანზე გამოჩნდა, ხელები გაშალა და ხმამაღლა შესძახა:

— გოგიტავ, გაგვაგებინე, რა ხდება, კაცო?!

გოსტაბაშვილმა ხელი უსიტყვოდ ჩაიჭინა და თავდახრილი ჩავიდა ეზოში. სადაც დაპატიმრებულნი იდგნენ.

ბერდო აივანზე გადაეყუდა. თანასოფლელებს რომ გადახედა, დაიბნა და

უხერხულად მიდგა-მოდგა. აღარ იცო-  
და, რა გაეკეთებინა, რა ეთქვა გლეხე-  
ბისათვის, ახლა იმედის თვალით რომ  
შეპყურებდნენ და მისგან რაღაცას  
ელოდნენ. ისევ გოსტაბაშვილმა მოიყ-  
ვანა გონს:

— რაღას უყურებ, ბერდო? ან ჩა-  
ვქოლოთ, ან გავგვასახლოთ, ან გავგვანთა-  
ვისუფლოთ! — სთქვა და ბოროტად  
ქვეშ-ქვეშ გამოიხედა, სიბრაზით მო-  
წოლილ სისხლს მისი თვალები წით-  
ლად აენთო.

— ჰო, ხალხნო, მამ... — აბნევით  
დაიწყო ბერდომ და თავს ძალა დაა-  
ტანა, სიტყვები ძლივს შეკრიბა, — რა  
ვუყოთ ამათ? ჩავქოლოთ თუ გავასახ-  
ლოთ? თქვენა სთქვით.

— გავასახლოთ! — გაუბეღავად სთქვა  
ერთმა. სხვებს მოეწონათ ეს აზრი და  
აჩოქოლდნენ. უმეტესნი გასახლებას  
მოითხოვდნენ.

ბერდომ ხელი ასწია, ხალხი დააშოშ-  
მინა და სთქვა:

— იარალი ავყაროთ, თითო პანდუ-  
რი ვკრათ და სოფლიდან გავყაროთ!  
გოგიტა წელში გასწორდა. მწარე  
ღიმილმა ჩაურბინა უღელაშებში.

ესტატე ბებურიშვილი გაოგნებული  
მისჩერებოდა გოგიტას.

— მწერალი ჩვენთან დარჩეს, არა? —  
ჩაიროხრობა ბერდომ და ქოსას შეხე-  
და.

— დარჩეს, დარჩეს! — აზვირთდა  
გლეხობა.

— გარეკეთ! — ხელი აუქნია ბერ-  
დომ ბიჭებს, მაგრამ უმალ მოაგონდა,  
რომ პატიმრებს ცოლ-შვილი ჰყავდა.

— ამთ ცოლ-შვილიც გავატანოთ? —  
ჰკითხა ხალხს.

— აქ იყვნენ რა, — დაიძახა მოხუც-  
მა გლეხმა, აიგნის კიბის სახელურს  
რომ დაჰყრდნობოდა და სასოებით უც-  
ქერდა სოფლის გმირს, ბერდოს.

მოხუცს ერთი-ორმა დაუჭირა მხარი,  
მაგრამ ახალგაზრდათაგან ერთმა დას-  
ქეჭა:

— ისინიც მოაშორეთ! მგლის ბუდე  
ლეკვებიანად უნდა ამოღწყვიტოთ!

წამოძახილზე ხალხი უცებ ახმაურდა:

— ისინიც გავყაროთ... გავყაროთ!  
— ჰა, რას იტყვი, გოგიტა? — მიუ-  
ბრუნდა ბერდო გოსტაბაშვილს. და  
მელიც ტყვეობას არ იმჩნევდა და  
ხალხს ამაყად უყურებდა.

— როგორც თქვენ გინდათ. ძალა  
თქვენს ხელშია, — უპასუხა სოფლის  
ნათავაკაცარმა. მისი ასეთი პასუხი არ  
მოეწონა ბერდოს, გაბრაზდა და მაშინ-  
ვე ორი თავისიანი მოიხმია:

— წადით, ამათი ცოლ-შვილიც გა-  
მოიყვანეთ! ერთად გაუდგნენ გზას.

ცოლა ხანში ქალები და ბალღე-  
ბი მოიყვანეს სოფლის ფორზე. გო-  
გიტამ მათ დანახვზე მხრები შეაქანა.  
შეამჩნია, რომ მისი ცოლი სხვა ქალებ-  
თან ერთად ჩუმად ტიროდა და რიხია-  
ნად შეუძახა:

— რა გატირებს, ქალო?!  
სხვებიც ჩაჩუმდნენ.

— ეს რა დღეა ჩვენს თავსა, გოგი-  
ტა? — ნამტირალევი ხმით ჰკითხა  
დღეამ.

— გაჩუმდი! იყუჩე, დედაჩემო!  
გოგიტას კბილების კრაჭუნი არავის  
გაუგონია.

ბერდომ ხელით ანიშნა შეიარაღე-  
ბულ გლეხებს, დასძარით განდევნილ-  
ნიო. თავად ერთ ხანს აივანზე იდგა,  
აქედან გაჰყურებდა მიმავალთ. როცა  
ყოყინი მიწყდა, აივანს მაშინლა შეხე-  
დეს გლეხებმა. ბერდომ აივანზე გაიარ-  
გამოიარა, მერე გოსტაბაშვილისეულ  
ოთახში შევიდა, მაგიდიდან სკამი გა-  
მოსწია და დაჯდა. დაჯდა და მაშინვე  
გველნაკებნივით წამოხტა, ვადაფურთ-  
ხა და სკამი ისევ მაგიდისაკენ მიავლო.  
ერთი ახალგაზრდა გლეხი კარებში იდ-  
გა და ბერდოს უყურებდა. ბერდომ  
შეხედა და გულმოსულივით დაიღ-  
რინა:

— აქ რა დამსვამს, კაცო!  
ისევ აივანზე გავიდა.

მაშინ კი რიგრიგობით ამოლაგდნენ:  
წინგუჟანთ ზაქარა, ჭიპიანთ იავორა,  
ონოფრიანთ ნიკა, სულუჟანთ იაკობა,

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცი



ლაბანთ ლუარსაბი, ჭინჭარანთ ტატე, ტროყიანთ იორდანე, ჭიპრანანთ სოლიკო, გიუნანთ მიტო, გირვანქანთ ლევანა.

ზაქარა, იავორა, იორდანე და იაკობა ხანშიშესულები იყვნენ, სოფელში ჭკუა ეკითხებოდათ. ლუარსაბი, ტატე, ნიკა, სოლიკო, მიტო და ლევანა სიღარბანისლესი უფროსებს ბაძვდნენ. ამთ-გან ლუარსაბი, ტატე და სოლიკო მუდამ მხარში უდგნენ ბერდოს.

ბერდომ შეხედა აივანზე ამოსულთ და მხრები გაშალა:

— ესეც ეგრე! ახლარა უნდა გლეხ-კაცსა?

— მიწა! მაშული! — თითქმის ერთხმად შესძახეს აივანზე შეგროვილმა გლეხებმა და ეს ხმა ფორზე შეკრებილემამაც აიტაცეს.

— შეგვარჩენენ კი? — ხმის თრთოლვით იკითხა მოხუცმა იორდანემ.

— შეგვარჩენენო?! — წარბი აზიდა ბერდომ და ახალგაზრდებს შეხედა. ისინი ჯარისკაცებივით შესწორდნენ და ბერდოს იმ წუთში ისეთი გული გაუხდა, ვერა ძალა ვერ გასტეხდა.

— ძალა ერთობაშიაო, ხო გაგიგონია, ჩემო იორდანე! — მიმართა ბერდომ, — ახლა, დღეს რაც არი, არი. ხვალისა და დავსდეთ და მიწები გავანაწილოთ.

— შენ აგაშენებს ღმერთი! — დაილოცა ზოგიერთმა. ზოგს კი, ცოტა არ იყოს, მომხდარი ამბავი აფიქრებდა და შიშობდა, ვაითუ სიკეთე არ მოჰყვეს ამას ყველაფერსო.

ბერდომ ერთი კიდევ გაიარა აივანზე, მერე შემობრუნდა და იკითხა:

— ეს ყველა კარგი, მაგრამ ი ხალხი სადლა?

— ვინ ხალხი? — იკითხა ზოგიერთმა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

— გიგო, ბარნა და მასწავლებელი ოქრუაშვილი.

— სად არიან, სადა? — წამოიძახა ვიღაცამაც. ამ ხმას უმალ გამოეხმაურა ჭიჭია-ვანა, აქამდე ჩუმად რომ იყო და გოლასთან ერთად თვალებს აქეთ-იქით გაკვირვებით აცეცებდა. წელან ახალქა-

ლაქის ბოლომდე გააცილა განდევნილი და სხევითან ერთად ძახაც დაეცა ყაყინა. როცა სოფლიაკენი ანარსხეს აიოი, ჭიჭია-ვანა ერთ შეიარაღებულ ჭაბუკს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რად გაყოფთ, პა?

გლეხმა შუბლში წკიპურტი მიჰკრა და უთხარხა:

— ადრე დაბერდები, ჭიჭი, ყველაფერი რომ გაიგო.

როცა გლეხებმა გიგო, დურგალი ბარნა ბოგველი და მასწავლებელი მოიკითხეს, ჭიჭია-ვანამ წამოიძახა:

— ახლავე აქ ჩამოგიყვანთ! გინდათ?

— წადი, ვანო, დაუძახე, — უბრძანა ბერდომ, — ზრდილობიანადა სთხოვე, ბრევულად არ გამოგივიდეს.

— ახლავე, ბერდო, შენ გენაცვალე! — შეიკუნტრუშა ჭიჭია-ვანამ და მოჰკურცხლა.

— ეი, ეი! უჩემოდ სად მიხვალ? — შეჰყვირა გოლამ. მერე ორივე ერთად გაიქცა გარიყულსაკენ, საიდანაც „ნასწავლი ხალხი“ უნდა ჩამოეყვანათ.

გიგოს სამჭედლოში მხოლოდ ვაყა დახვდათ. ბიჭი გრდემლზე ჩაქუჩს უკა-კუნებდა, თავისთვის დანისპირსა სჭედავდა.

— გიგო სად არის? — თითქმის ერთდროულად ჰკითხეს სოფლის ნაბოლარებმა.

— ბარნა ძიასთან ვიქნებიო.

— არიქა, გოლა! — დაიძახა გახარებულმა ჭიჭიამ.

პირი ახლა თავქვე იბრუნეს. ოფლში განვითქულები მიიჭრნენ დურგალთან.

ბარნას პატარა ოთახში მაგიდას უსხდნენ ხელოსნები, მასწავლებელი და ერთი უცნობი ნაჯარისკაცი, მაზარა მხრებზე რომ მოეგდო. ეს ნიკო კაპრა-შიქე იყო.

— ბერდომა, მოდიოთ! — წამოიწყო ვანამ.

— ბერდო მაგას და!.. — ჩაიბურტყუნა გიგომ.

კაპრაშიქემ შეკრიკებს შეხედა და უთხრა:

— ჩვენ ახლავე მოვალთ. ბერდოს უთხარი, გლეხები არ დაშალოს.

როცა ბერდოს შიკრიკები ცივად გაბრუნდნენ სოფლის ფორისაკენ, სადაც ორი მჭიდროდ მომიჯნავე სოფლის გლეხობას მოეყარა თავი, კაპრაშიძემ ერთხელ კიდევ გადახედა შეკრებილთ და უთხრა:

— სოფელი უნდა ვიხსნათ დალუპვისაგან. ბერდო უნდა დავარწმუნოთ, რომ შეცდა. რამე უნდა ვიღონოთ!

კაპრაშიძეს სიტყვა აღარ გაუგრძელებია, წამოდგა, სხვებიც აღდგნენ. მათ ელდა ეცათ ბერდოს ასეთი მოულოდნელი მოქმედებით და უმაღლესი შეიკრიბნენ მოსათათბირებლად, რომ სოფელი ესხნათ. მაგრამ ცოტანი იყვნენ და ახლა ერთი გამოსავალი — ბერდოს გადაბირება და მისი დარწმუნება იყო.

ბერდომ ახლად მოსულები აივანზე მიიღო.

— კარგია, რომ მოხვედით. ახლა სწორედ თქვენცა გვჭირდებათ. ხელიდან მიწების განაწილებას ვიწყებთ და ეს საქმე რიგიანად უნდა მოვაგვაროთ.

ბერდო განგებ ვერ ამჩნევდა კაპრაშიძეს და მას ყურადღებას არ აქცევდა.

— გმადლობთ, ბერდო, დაფასებისათვის, მაგრამ ჩვენ სხვა რამეზე გეახელით, — დაიწყო გიგომ და ჯერ მასწავლებელს გადახედა, მერე ბარნას და ნიკო კაპრაშიძეს.

— ზრძანეთ, ვისმენთ! — ბერდო მხნედ გამოიყურებოდა.

— აი, ნიკო კაპრაშიძე დალაგებით მოგახსენებს. ჩვენ ყველაფერში ვეთანხმებით. — განაგრძო გიგომ.

მაშინ ბერდომ ცალი თვალით გახედა ნასალდათარს.

— მოსახდინი მოხდა! — თავმომწონედ უთხრა მან ნიკოს.

— კი არ მოხდა და ახლა იწყება, — მკვახედ უპასუხა ნიკომ, — პატიმრები რა უყავი?

— სოფლიდან გავრეკეთ. ხალხმა ასე ინება.

კაპრაშიძე ერთ წუთს უჩერებულად შეიშმუნა. მას აშკარად შეეცყო სიფიცხე, მაგრამ თავი შეიკავა. მერე ბერდოს უთხრა, ორიოდ სიტყვა მათ-

ქმევინე გლეხებთან. მაშინ ბერდომ თავისიანებს დაუძახა, იქვე, კიბესთან რომ იდგნენ და მკვახედ უთხრა:

— თქმისხევეში გადაიყვით ეს კაცი! ნეტა რას შემომიჩდა!

— ჩვენ კიდევ შეგვხვდებით ერთმანეთს, ბერდო! — ამაყად უთხრა კაპრაშიძემ და ჭაბუკებს მიუბრუნდა: — გამცილებელი არა მჭირდება!

ფარხმალდაყრილმა და გაგულისებულმა ჩაუარა თავშეყრილ გლეხობას. გზაზე ერთ წუთს შედგა. მოიხედა, რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხელი უსიტყვოდ ჩაიქნია და ფარაჯის ფრიალით განერიდა ახალქალაქელებს.

გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ იყო?

— რა უნდოდა?

— თქმისხეველია.

მალდა, აივანზე კი ერთ ხანს დუმდნენ დარჩენილნი.

— არ ვიცი, რა გითხრა, — დაარღვია სიჩუმე გიგომ, — ტყუილად აუხირდი იმ კაცს.

— იმ კაცმა თქმისხეველებს მიხედოს! — ცივად მოუჭრა ბერდომ. იგი გრძელ სკამზე ჩამოჯდა, ფეხები წინ გაიშორა და ლაჯებში თავისი შაშხანა ჩაიდო.

— დაფიქრდი, ბერდო! — ხმას აუმაღლა გიგომ. მისი რიდი და პატივისცემა ყოველთვის ჰქონდა ბერდოს, მაგრამ ახლა, რატომღაც გაჯიუტდა და არაფერი დაუთმო. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, ბერდო წამოდგა და უთხრა:

— თუ არ შეიცვლით თქვენს აზრსა, გლეხობის მტრად გამოგაცხადებთ და დაგიჭერთ!

ჩანდა, ზაქარაშვილი ძალიან გაეთამამებინა წარმატებას და თავგასული იყო, სულ არ ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე და თავისი სოფლის მიღმა არ იხედებოდა. ურჩევდნენ, მაგრამ რჩევას არ იღებდა.

— ახლა რას აპირებ? — ისე, თით-

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

ქოს სხვათა შორის, ჰკითხა ოქრუა-  
შვილმა კარგა ხნის დუმლის შემდეგ.

— რას ვაპირებ და, რას უნდა ვა-  
პირებდე! მაგას კითხვა უნდა? მიწები  
უნდა გავანაწილოთ, მოვხნათ და დაე-  
თესოთ.

კვლავ დუმილი. ბერდოს მოტყევა  
უკვე აღარ შეიძლებოდა.

მეორე დღეს სახალხო გვარდიელები  
გარს შემოერთყენენ გარიყულასა და  
ახალქალაქს და ტყვია დაუშინეს.

ჯარის პატარა ნაწილმა გამანადგუ-  
რებელი ცეცხლი უცებ დაანთო და  
იქაურობას ბღვირი აადინა. ნაშუად-  
ღვეი იყო. მოწაფეები სკოლიდან შინ  
ბრუნდებოდნენ. სწორედ ამ დროს  
გაისმა ტყვიამფრქვევის ხმა.

ბერდო არ მოელოდა ასე მუხანა-  
თურ თავდასხმას. მალულად მოსული  
სახალხო გვარდიელები ახალქალაქისა  
და გარიყულას გაღმა-გამოღმა გო-  
რაკებზე მობობდავდნენ, მიხანში არა-  
ვის იღებდნენ და თოფებსა და ტყვია-  
მფრქვევს სოფლისაკენ ალაღბედზე  
ისროდნენ.

ბერდომ ორღობეებში ჩაასაფრა თა-  
ვისი ბიჭები. თავისუფლების დაკარ-  
გვით შეფიქრიანებულმა რამდენიმე  
ჯანიანმა გლეხმაც მონახა იარაღი. ისი-  
ნი ხევისპირა ბუჩქნარებში უცდიდნენ  
მტრის გამოჩენას.

სწორედ იმ დღეს უნდა გენანაწილე-  
ბინათ მიწა. არ დასცალდათ. უთანას-  
წორო ბრძოლაში ჩაებნენ და სანამ  
უკანასკნელი ვაზნა არ გაისროლეს, უკან  
არ დაიხიეს.

ჯარი სოფელში შევიდა.

ცოტა ხნის წინ კი სკოლიდან შინ  
მიმავალი ვაჟა ტყვიამ ბარძაყში დას-  
ჭრა. ფეფე და ვაჟა ის იყო ბოგირს  
გასცდნენ, რომ ტყვიამფრქვევის ხმა  
გაიგონეს. შეკრთნენ და შეჩერდნენ.  
ფეფე ვაჟას მიეკრო და ბიჭმა თავისი  
გულის გამალებულ ფეთქვასთან ერ-  
თად იგრძნო გოგონას შეშინებულ  
გულის ფრთხილი. ყველაფერი თვა-  
ლისდახამხამებაში მოხდა.

ვაჟამ დაინახა, ტყვიების ჯერმა რო-  
გორ გადაიბრინა და გაჰყარა სახალხო  
ქვის კედელი და ბიჭის ფეხქვეშ მოეც  
მოირყა. ამ წუთიდან არაფერი ახსოვს.  
გონს საშინელმა ტკივილებმა მოიყ-  
ვანა.

შინ იწვა. თავს დედობილ-მამობილი  
აღდა. ელენეს ნამტირალევი სახე ჰქონ-  
და. ვაჟას მოცოცხლებამ ორივეს გულ-  
ში იმედი ჩაუნთო, მაგრამ მისი მშვე-  
ლელნი უეჭიმოდ მაინც უძღლური იყ-  
ვნენ. ბედზე ვადარჩენილიყო ვაჟა.  
ტყვიას წვივი გაეგლიჯა. გიგო იყო  
მისი პირველი მკურნალი. ჯარგამოე-  
ლილმა კაცმა მოუსუფთავა და შეუხ-  
ვია ჭრილობა, მაგრამ ტკივილი ვერ  
დაუცხრო და ბიჭის ცოდვით იწვოდა.

თედოს ოჯახშიც მოთქვამდნენ. ფე-  
ფეს არა დაშავებია რა, მაგრამ ენაჩა-  
ვარდნილი გოგონა ფერდაკარგული  
იწვა და გამწვარებული დედამისი თავ-  
ში ხელს იცემდა.

ჯართან ერთად სოფელში უმალ გა-  
მოჩნდნენ განდევნილნი. მოვარდნენ და  
მაშინვე თავიანთ ფუძეს ეცნენ. მარტო  
გოგიტამ არ მიაშურა სახლს. სახლი კი  
არა, ახლა ის ედარდებოდა, ბერდო  
რომ გაუსხლტა ხელიდან. ეძებდა, მაგ-  
რამ ვერსად მიაგნო. კანცელარიაში  
რომ დაბრუნდა, იქ ქოსა მწერალი  
დაუხვდა. ბერბიჭა დაჩოქილიყო და  
ლოცულობდა. გოგიტა რომ დაინახა,  
მისკენ ხოხვით წამოვიდა და ფეხზე  
ემთხვია.

— მაპატიე, მაპატიე, მაპატიე! — ქვე-  
და ყბა უკანკალბდა და ამ სიტყვის  
მეტს ვერას ამბობდა. მაგრამ მაშინ,  
როცა გოგიტამ შეიბრალა იგი და  
უთხრა, ამდგარიყო, ტირილი აუვარდა.  
ტიროდა ქოსა და გოსტაბაშვილს თვა-  
ლებში ვედარ უცქერდა.

სოფლელები არ ჩანდნენ. ყველას  
მაგრად გამოეკეტა თავის სახლის კარი.  
ქოსა მღვიანი გოგიტას გუშინდელ  
ამბებს უკავლავდა:

— გიგო, ბარნა და ოქრუაშვილი  
შენს მხარეზე იყვნენ, თავი დაანებე  
რევოლუციასაო, ურჩევდნენ ბერდოს,

გოგია ისევ მოიყვანეო. ერთი კაპრა-  
შიძეც ერია მათში, თეძმისხვევლი.

— მართლა ასე იყო?

— ასე იყო, ღმერთს გეფიცები!

გოსტაბაშვილმა გადაწყვიტა, თავი  
მოეყარა გლეხობისათვის და დამუქრე-  
ბოდა, რომ მსგავსი რამ მეორედ არ  
გაებდათ. გოგიტასა და ესტატეს დაბ-  
რუნებისთანავე მხარი დაუმშვენეს შეძ-  
ლებულმა გლეხებმა. ისინი ბერდოს  
დაემალნენ, ერთი გოსტიბეში გაიქცა,  
ორნი კი ვალმა სოფელში მოკეთეს  
შეეხიზნენ. ბერდომ ვერც კი მოასწრო  
მათი ავლადიდების განაწილება.

სოფლის მილიციელებმა მორეკეს  
გლეხები. სანამ მილიციელები გიგოსაც  
წაყვანდნენ, მას მასწავლებელი ეწვია.  
ოქრუაშვილი ერთ ხანს მდუმარედ დაპ-  
ყურებდა ფერმკრთალ ვაჟს და რამ-  
დენჯერმე ღრმად ამოიოხრა, მერე  
გიგოს მიუბრუნდა და ყველა ეს უბე-  
დურება ბერდოს დააბრალა.

— რა ჰქნა იმ უღმერთომ!

— ლამის დამიღუპეს ბიჭი.

ნაპოვნი და მის ოჯახში ჩაბუდებუ-  
ლი კაციშვილი ახლა მისი იყო, შვი-  
ლად ერგებოდა, თუ პატარა მეგობ-  
რად. ვაჟას კეთილმა გულმა გიგოს  
გულში დაიდო ბინა და პატარა წვლი-  
ლიც მიიზღო. ამიტომ სტკიოდა გული  
გიგოს, ამიტომ დაჰკანკალებდა თავს  
დაჭრილ ყმაწვილს.

— ასეთი შავბელი დრო არასოდეს  
ყოფილა, — კვლავ ამოიოხრა ოქრუა-  
შვილმა.

ვაჟამ წამოიკენესა და თვალი გაა-  
ხილა.

მილიციელები მათაც ეწვივნენ. მამა-  
კაცები სოფლის ფორზე გაიხმეს.

ერობის საბჭოს შენობის აივანზე  
ჯარის უფროსი ოფიცერი ავიდა. გოს-  
ტაბაშვილს მიუახლოვდა და სამხედრო  
ჩვეულებისამებრ მოკლედ და სხარტად  
ჰკითხა:

— ამ ხალხს რად აგროვებთ?

— უნდა გავაგებინო, მეორედ ასე-

თი რამ... — წამოიწყო გოსტაბაშვილმა,  
მაგრამ ოფიცერმა შეაწყვეტინა:

— დაშალეთ!

გოსტაბაშვილს ოდნავდაც არ უნ-  
დოდა ჯარის უფროსის განაწყენება.  
გონებაში გაჰკიცხა თავისი საქციელი.

ოფიცერმა ერთი გაკვირვებით ვადა-  
ხედა უხერხულად აწრიალებულ გოგი-  
ტას, აივანზე გავიდა და ხმამაღლა იყ-  
ვირა:

— ჰკუთთ იყავით, თქვე მამაძალე-  
ბო! წადით შინ! შინ წადით-მეთქი! — ხე-  
ლი გაიქნ-გამოიქნია, ხმა ჩაეხრინწა.

გლეხები ოფიცრის პირველსავე ბრძა-  
ნებაზე დაიშალნენ, გზაზე გაიფანტნენ.  
ოფიცერმა მაინც მიაყოლა:

— ყველას დაგხვრეტო! — მერე აი-  
ვანზე მოხდენილად შეტრიალდა და  
ვითომ აქ არაფერიყო, გოგიტას მიმარ-  
თა: — ვისთან არის პურმარტილი გაშ-  
ლილი?

— ესტატე ბებურიშვილთან. წამობ-  
რძანდით! — სხარტად უპასუხა თავმჯ-  
დომარემ.

მაშინ ოფიცერი თავის ხელქვეითებს  
მიუბრუნდა:

— ბატონებო, თქვენი არ ვიცი და  
მე მგელივით მშინან... გთხოვთ! — და  
ხელები კმაყოფილებით მოიფშვნითა.

ოფიცრები დეზების წკარუნით დაე-  
შვნენ კიბეზე.

ესტატე ბებურიშვილთან ღრეობდ-  
ნენ. ეს წურბელა ჯართან და გოგი-  
ტასთან ერთად დაბრუნდა სოფელში.  
დროზე დაიჭირა თადარიგი, რომ უფ-  
როსებისთვის პატივი ეცა.

ოფიცრები მალე დათვრნენ. იმუქრე-  
ბოდნენ. როცა მათ ღვინო გადაჰკრეს  
და ზომაზე მეტად შეთამამდნენ, გოგი-  
ტას ცხვირწინ რევოლვერიც კი დაუტ-  
რიალეს:

— შენმა გლეხებმა კიდევ თუ გაბე-  
დეს ასეთი რამ...

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

თენდებოდა, როცა გოგიტა გოსტაბა-  
შვილი ორმა მილიციელმა შინ შიაცი-  
ლა. ახალქალაქიდან გაძევებულს ცოლ-  
შვილი და მოხუცი დედა ჯერ კიდევ  
კასპში ჰყავდა გახიზნული. ახლა, როცა  
ხელისუფლება ისევ დაიბრუნა და ღვი-  
ნით გული შეითბო, ბრძოლისა და  
ვასშმის შემდეგ პირველად მივიდა შინ.  
ისე მოღლილიყო, ნაგვემ-ნათრევს ჰგავ-  
და, თავი საშინლად უხუტრდა და მუხლი  
ეკვეთებოდა, მაგრამ მილიციელებთან  
არ იმჩნევდა, იხტიბარს არ იტეხდა. ისე  
მიდიოდა, თითქოს ეს-ეს არის ხელს  
გაშლის და იცეკვებსო.

მილიციელები, გოგიტასთან ერთად  
სოფლიდან რომ განდევნეს, მშვიერი  
მილასლანებდნენ. ერთი ყოჩაღი კაცი  
სამივეს გაბაწრავდა.

„შენმა გლეხებმა კიდევ თუ გაბედეს  
ასეთი რამ!..“ — აგონდებოდა გოგიტას  
და ბოღმა ახრჩობდა, რომ მთავარი  
დამნაშავე ხელიდან დაუსხლტა.

გოგიტას შურისძიება ეწადა. ახლა,  
დაიჭერდა თუ არა ბერდოს, ცხელ  
ტყევის დაუყოვნებლივ შუბლში მიახ-  
ლიდა. ცალთვალამ როგორ უნდა მაჯო-  
ბოსო, ვერ ისვენებდა.

გოგიტა რევოლვერის ტარს ხელიდან  
არ უშვებდა. იარაღი ბუდიდან ამოე-  
ლო და საცემზე შეყენებული ჯიბეში  
ედო. იგი ერთმა გარემოებამაც ჩააფი-  
ქრა და დააღონა, ოფიცრები რატომ არ  
გამომეშვიდობნენო. ჯარს სოფელში  
უბირებდა დაბინავებას. რომ ეს ერთი  
საღამო მაინც გულმაგარად ყოფილიყო.  
მაგრამ ოფიცრები აჩქარდნენ და მოო-  
ლილი ჯარისკაცები ღამით კასპის გზას  
გაუყენეს. ჯარმა სოფელს შიშის ქარი  
აუყენა და წავიდა.

გოსტაბაშვილს ის არ ეფიქრობოდა,  
ხუთიოდე ლომივით ვაჟაკი განემირტუ-  
ლი რომ ესვენათ გლოხებს.

გოგიტა თავის ჩაბნელებულოსა და  
უპატრონო მიტოვებულ სახლს მიუ-  
ახლოვდა. ჩიშარი შიგლი და დილის  
ბინდებუნაში შორიახლო დაგდებული  
მოკლეული ძაოლი დაინახა, მარამ  
ამისათვის განსაკუთრებული ყურად-  
ღობა არ მიუქცევია. ასე მდუმარე და

მიუსაფარი არასოდეს დახვედრია სახ-  
ლი. იჩქარა, რაღაც ძალამ წინ წაადგო.  
აივანზე მხნედ აიჭრა, კარი <sup>გოგიტას</sup> <sup>შეხვედრის</sup>  
რით შეაღო, ბნელსა და ცივ დაბრაზში  
ხმამალა დაიძახა, ეჭვი, ჰეო, — და მი-  
ძინებული სახლის გამოსაღვიძებლად და  
შიშის გასაფანტად რევოლვერი გაის-  
როლა. ოთხკედელს შუა ჩამწყვდეული  
სიჩუმე გრგვინვად და ქუხილად იქცა.

მილიციელებსაც შეეცვალათ იერი.  
ცოტა უფრო ფხიზლად შევიდნენ გო-  
გიტას მიერ აღებულ „ციხე-სიმაგრე-  
ში“. გოსტაბაშვილმა ლამა აანთო.  
როცა ოთახი კარგად განათდა, ირგე-  
ლივ მიმოიხედა:

— არაფერი წაუღიათ ძაღლიშვი-  
ლებს!

მართლაც, ყველაფერი ხელუხლებ-  
ლად იყო, მაგრამ... „ძაღლი ვინ მოკ-  
ლა?“ — მხოლოდ ახლა მოაგონდა თა-  
ვისი ბობრია. ალბათ ჯარისკაცებს  
შემოაკვდათ. მათ კისერზე იყოს მისი  
ცოდვაო, გაიფიქრა და დანაშაული აპა-  
ტია. გოგიტა ტანტზე ჩამოჯდა და მი-  
ლიციელებს მიაჩერდა, ისინი კვლავ  
მოუხუნდნენ. ძილი ყველაფერს ერჩიე-  
ნათ.

— არ შეგცივდათ, თქვე ოხრებო? —  
არეული სახე ჰქონდა გოსტაბაშვილს,  
მოოლილი, ფერმკრთალი, უძინარი, მაგ-  
რამ ბოროტ თვალებს მაინც აბრიალებ-  
და და მილიციელებს აფხიზლებდა.

მილიციელებმა ბუხარში ცეცხლი გა-  
აჩაღეს. ხმელი შუშა მაშინვე ატკრიც-  
აღდა.

— სად არის ბერდო?! — წამოიყვი-  
რა უკრებ გოგიტამ, — რა პირები დაგი-  
ლიათ?! ეჭვი, ჰე! — რევოლვერი კიდევ  
ერთხელ გაისროლა და თითქოს დამ-  
შვიდდა. ცეცხლმა ოთახს სითბო მოჰ-  
ფინა. მოითენთნენ, ძილის ბანგი მოე-  
დოთ მოღლილთ. გარეთ მტრეჯისფრად  
ინათა.

გოგიტას ძილმა წაართვა თავი. უნ-  
დოდა ეგზიზლა, ეს საბედისწერო ერთი  
ღამე, ტანჯვისა და უძილობის ღამე,  
ბოლომდე თეთრად გაეთენებინა, მაგ-  
რამ დაღლილობამ სძლია. ტანტამდე

ძლივს მივიდა. მიეგლო და მაშინვე ჩაიძინა.

ბუხარი ღუღუნებდა, რცხილის შემოტყრცილებდა.

მილიციელებმა ერთ ხანს აკანტურეს თავი, მერე იქვე მიწვნენ და ბუხარის წინ შვებით გაშალეს ფეხი... დილასთან ერთად ბერდოც შემოვიდა. დილა ფანჯრებიდან შემოიპარა, ბერდო — სხვენიდან. მას თან ჩამოჰყვა ორი რაზმელიც.

დამარცხებულმა ბერდომ გოგიტას სახლის სხვენი ირჩია დასამალავად. აქ ყოფნა უფრო საიმედოდ ჩათვალა. ძალი მოკლა და გოსტაბაშვილის „ციხე-სიმაგრეში“ საიმედოდ ჩასაფრდა. ყველაფერი დაინახა, ყველაფერი გაიგონა. შემდეგ ორივე ამხანავით დარბაზში ფრთხილად შევიდა. ჯერ მილიციელებს აართვა იარაღი და მერე გოსტაბაშვილს რევოლვერი ააცალა, სოფლის თავკაცს უცებ გამოეღვიძა, მაგრამ გვიანდა იყო. უიარაღოდ დარჩენილს ენა მუცელში ჩაუფარდა, შიშის ქრუანტელმა ძილი გაუფრთხო. მზერა არ ატყუებდა, თავს ბერდო ადგა და ხელში მისი რევოლვერი ეჭირა.

ბერდო არაფერს ამბობდა. იქნებ ლაპარაკიც არ იყო საჭირო. ერთი ცხელი ტყვია გოგიტას და... ბერდომ კიდეც დაზვერა მისი ოდნავ შენაოჭებული, დაბალი შუბლი, მაგრამ განზრახულის სისრულეში მოყვანა ვერ გაბედა.

გოგიტა კარგად ხედავდა ცალ თვალში აელვარებულ შურისძიების ცეცხლს და ეს ცეცხლი აბრმავებდა. წამოიწია, წამოჯდა კიდეც. ბერდომ ამისი საშუალება მისცა. რაზმელები მილიციელებს არ შორებოდნენ. თავს ადგნენ და მეთაურის განკარგულებას ელოდნენ.

— ჯარი წავიდა თუ აქ არი? — იკითხა ბერდომ. რევოლვერი ჯიბეში ჩაიღო, ტარს ხელი მაინც არ შეუშვა, სასხლეტს თითი არ გამოაცალა.

გოგიტა ღუმდა. ენა ვერ დაეძრა. არ იცოდა, რას უქაღდა ეს ცალთვალა, რა ელო გუნებაში.

— წავიდნენ, — უპასუხა მცირე ყოყ-

მანის შემდეგ და თავისი ხმის გაგონებაზე გუნება წაუხდა.

— ამათ იმედზე დაგაგდეს? — ზერდომ მილიციელებზე მიანიშნა.

გოგიტამ თავს ძალა დაატანა:

— რა გინდა? თუ მკლავ, მომკალი!

— ძვირად დაგვიჯდება, — მშვიდად უპასუხა ბერდომ, — შენ ერთს მოგკლავთ და ჩვენ ათს მოგვკლავენ. ანგარიში ვიცი.

— შენ თვითონ არ იცი, რას აკეთებ, — უთხრა გოსტაბაშვილმა.

ბერდო შეცბუნდა, პასუხი ვერ მოძებნა. გოგიტას სიტყვა მოჭრილი იყო. როგორ თუ არ იცის ბერდომ, რას სჩადის და რისთვის იბრძვის! გოგიტას სიტყვა გულში ეკლად დაესო, მიუხედავად იმისა, რომ ახლა გამარჯვებულის იერიით ადგა თავს და შეეძლო აქვე ჩაეძაღებინა.

— ცოცხალი რომ დაგტოვო, დამაყენებ ჩემს წისქვილში?

— ნუ მემასხრები! საქმეს მორჩი და გამათავე!

— ბიჭები შინ წავლენ, მე კი წისქვილში, თუ კიდეც არ მომივარდები...

— კიდეც რასა მთხოვ?

— მე სოფელში ვიქნები და შენ თვალს ამარიდებ.

— მტერი შინ მყავდე?

— სული ტკბილია, გოგიტავ! ხვალ ცოლ-შვილს მოიყვან, უფრო დაგთბება აქა...

ღუმელი ჩამოვარდა. სული რომ ტკბილი იყო, ეს რამდენჯერმე კიდეც გამოსცადა გოსტაბაშვილმა. და განა იმ წუთებში, როცა თვალი აახილა და ბერდო დაინახა, არ გატკბა სული?! ახლა ისიც გაახსენდა, რომ ხვალ-ზევ კასპიდან მოხუცი დედა და ცოლ-შვილი უნდა გადმოეყვანა.

— იყავ! ჯანი გავარდეს! ხელს არ გახლებ, ვითომც აქ არა ყოფილხარ, — დათანხმდა გოგიტა, — მხოლოდ ერთი რამ დაიხსომე. გვარდია კიდეც შემოდ-

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

გამს ტყვიამფრქვევებს ჩვენი სოფლის სერებზე.

— ეგ რომ მცოდნოდა, მეც იმ სერებზე დავხვდებოდი! — თავი სინანულით გაიქნია ბერდომ, მერე სიტყვა ბანზე ააგდო, — მაშ ესენი შინ წავლენ, არა?

— წავიდნენ! — ამაზედაც დათანხმდა გოგიტა.

— ხელს არავინ ახლებს?

— არა, არავინ ახლებს, — ღრინავს სოფლის თავკაცი.

— შენი რევოლვერი მე მექნება, შენ სხვას იშოვნი.

— მიჩუქნია!

— ეგ რომ არ გეტყვა, ვითომ ისედაც ჩემი არ იყო? შენს ნაჩუქარს რა თავში ვიხლი! — გაწყრა ბერდო.

ბერდოს ლაპარაკი მობეზრდა, თოფი მხარზე შეისწორა და კარისაკენ წავიდა. წამოდიოთო, — უთხრა ბიჭებს.

უკვე კარგად იყო გათენებული, სამი შეიარაღებული კაცი სოფლის შარაზე რომ გამოვიდა. სოფელში კაციშვილი არ ჩანდა. იმ სისხლიანი დღის შემდეგ გარეთ ვინ გამოვიდოდა! ზამთრის მიღებული მზე ამოდიოდა. მთებზე თოვლი იდო და თოვლის სუსხი ბარში აღწევდა.

ქიჟია-ვანა და გოლაც კი არსად ჩანდნენ, ამ დროს სოფელს რომ დაუვლიდნენ ხოლმე. ერთი ქვემოთბნიდან

აივლიდა, მეორე ზემოდან დაეშვებოდა, შუასოფელში შეხვდებოდნენ მინუს მანეთს და ლუკმაპურისათვის კარიკარად დაწანწალებდნენ. დღეს ისინიც მიმალულიყვნენ.

ბერდო დაღლილი ზაქივით თავჩაღუნული მიდიოდა და თავის დანაშაულს ახლავდა გრძნობდა.

— წავალთ, ბერდო, — მოესმა ბიჭების ხმა.


ბერდო შეჩერდა, ერთი ღრმად ამოიხრა და სთქვა:

— არ გამოვიდა სიკეთე, ბიჭებო!

მარტოდმარტო წავიდა. ორღობეში შეაბოტა. ცალ ხელში გოგიტას რევოლვერი ეჭირა და სასხლეტს თითს არ აცილებდა. ამ ორღობეს იქით ხევია, ხევს გაღმა — წისქვილი, ძველი, დაღუპებული წისქვილი, მაგრამ მაინც თბილი თავშესაფარი. ფეხს აუჩქარა. თითქოს შემოესმა კიდევ დოლაბების ხმაური, სარეკელას რაკუნის, ღარში დაქანებული წყლის შხუილი, ჩახრიალას ჩხრიალი. აი, სიცოცხლე სად დღულდა!

გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ასე ძლიერ არასოდეს არ მონატრებია თავისი ძველი, წაფერდებული წისქვილი. აგერ, გამოჩნდა კიდევ იგი. თითქოს სულიეროვით იღვა და ბერდოს გზას გასცქეროდა.

გაგრძელება იქნება



## კოლაუ ნარიკაძე

### სათქმელი ჩემი

რა მედარდება,  
რა მალონებს,  
რა მამწუხარებს?!  
რაც ადამიანს გააჩნია დასაკარგავი:  
უძვირფასესი,  
უნეტარესი —  
ეს ყოველივე აღარ არის.  
ასევე სილა თითებს შუა  
თითქოს უდნებათ  
ზღვის პირას ბავშვებს,  
უდარდელად რომ თამაშობენ.

მკვეთრად მომესმის გულისცემა,  
როცა შემოვა სიჩუმე დამის  
და სარკმლის მინას  
აეკვრება შავი ზეწარი...  
რა უცნაურად არ დაღლილა  
ჯერ კიდევ გული —  
ესოდენ ბრიყვი!  
და უშეცარი!

მე ველოდები ყოველივეს,  
რაც უნდა მოხდეს,  
და ისე, როგორც  
უძლიერეს მხარულთ ვჭრიდი  
რიონის ზვირთებს,  
რიონის ლანქერს ჟამს გაზაფხულის,  
როგორც ჩემს ღონეს  
და კუნთებს ვცდიდი,  
და მახარებდა  
დაცვა ჩაგრულის,

ან ისე, როგორც  
ჩემს მეტოქეს,  
მოძულეს უღირსს  
ვაძლევდი პასუხს  
ძლიერი დარტყმით, —  
ასევე ვხვდები გაბედულად  
დასასრულს დღისა  
უმტკიცეს აღთქმით!

კურთხეულ იყოს ყოველივე,  
რაც განვიცადე,  
რაც ახარებდა  
ბავშვობას,  
ყრმობას,  
უმანკოებას.  
როცა მჯეროდა,  
რომ გზა ზურმუხტით მოჭედილი  
ამოდის ცამდე,  
რომ იქ სათიბებს  
ულურჯეს ფერის  
გააქვთ ბიბინი  
და სერაფიმთა  
ხმაშეწყობით  
იქ გუნდი მღერის.  
და თუ მშობლები ვიქნებოდი  
დამჯერი ბავშვი,  
შემეძლებოდა  
იქ სირბილი და იქ თამაში.

მუხთაღს და ჯაბანს  
არ ჰქონია საერთო ჩემთან!  
არ მიჭამია მათთან ჭური,  
არ მისვამს ღვინო!  
არც მეგობრობა  
არ მქონია  
არამზადებთან,  
ჩემი სამშობლოს  
გამცემლებთან,  
სამშობლოს მტრებთან.

და თუმცა უკვე მივადწიე  
სამოცდაცხრა წელს, —  
მე ახლაც შემწევს,  
გნებავთ სიტყვით,  
თუ გნებავთ მკლავით,  
პასუხი გავცე  
ყოველ სულმდაბალს,  
ორგულს და გამცემს.

სისხლში გასვრილი  
არ ყოფილა ხელები ჩემი,  
არ მიძებნია წარჩინება,  
ჯილა და ჯილდო.  
არ დაგჩოქილვარ,  
როგორც მონა არვის წინაშე.  
არ მაკვირვებდა  
არც სიმდიდრე,  
არც უქონლობა,  
თუმცა ორთავე  
მე საკმაოდ მაქვს გამოცდილი.  
ტანჯვის, ტკივილის  
გადატანაც იყო ადვილი,  
რადგან მე მწამდა  
მხოლოდ ერთი,  
ღმერთი ნამდვილი,  
მხოლოდ ერთი,  
ნამდვილი ღმერთი:  
ჩემი მამული,  
მისი ენა,  
სიტყვა ქართული —  
ჩემს სულში ტკბილად  
ჩადენილი და გამართული...

მას ვანაცვალე,  
და შევწირე,  
რაც კი მეზადა:  
ჩემი ოცნება,  
ფიქრი, ცრემლი  
და ჩემი გული —  
შევწირე, რათა ყოფილიყო  
მხნე და ღლეგრძელი...  
და ნუ დამძრახავთ,  
მაპატიეთ,  
რაც ვერ შევძელი!

აი, ამიტომ  
რა მადარდებს,  
რა მალონებს,  
რა მამწუხარებს?!

როგორც ოდესღაც  
ჩემს მოძულეს  
ვაძლევედი პასუხს  
ძლიერი გარტყმით, —

ისევე ვხვდები  
ღლის დასასრულს  
უმტკიცეს აღთქმით!

კოლაუ ნადირაძე ☆ სათქმელი ჩემი ☆



# რენესანსი საქართველოში

მოთხროვა

... და შავბანასცმლიანი მამაკაცი

ქალიან ცხელოდა. გავარვარებულ ასფალტს ბული ასდიოდა. ისეთი სიცხე-პაპანაქება იდგა, გარეთ არ გამოისვლებოდა. ყველას ეგონა, ნაშუადღევს აგრილდებაო, მაგრამ შეცდნენ — მზე ისევ იკბინებოდა. ეზოში არაფერი გამოსულა, კვირა დღე იყო და ყველანი შინ იყვნენ ჩაკეტილნი. სიცხით გაბრუებულნი დროდადრო ამოიოხრებდნენ ხოლმე და სველი ცხვირსახოცებით ოფლს იწმენდნენ. ჰაერი მძიმე, დახუთული იყო. სუნთქვა გაჭირდა.

რკინის ხვეულ კიბეზე მსუქანი კაცი ჩამოვიდა, ონკანზე რეზინის მილი მიამაგრა და ეზოს მორწყვას შეუდგა. შესამჩნევად აგრილდა. ფანჯარას ჯერ ერთი კაცი მოადგა, მერე მეორე.

— შენ გიშველა ღმერთმა, სარდიონ.

— რა კარგად მოიფიქრე, კაცო!

სარდიონს ესიაშოვნა და სიამაყეც კი დაეტყო. — ასეა, ასეაო, — სთქვა.

— მოფიქრება არ უნდოდა? — გაიკვირვა დიდულვაშინმა კაცმა, — მთე-

ლი დღე რაღაც მაწუხებდა და ვერ მიეხვდი, რა იყო.

— თქვენ ნუ იცით ყველაფრის გაბუქება, — შენიშნა მაისურჩიანმა მამაკაცმა მეორე სართულიდან. — რა მოხდა? კაცმა ეზო მორწყა, რა დიდი ამბავია, არ ვიცი?

— რას ამბობ, ანდრიკო, — ფანჯარის რაფაზე წითელლოყება ქალი გადმოიხარა, — კაცი პატივს გცემს, უნდა დააფასო.

— ჰო, ჩემი გულისთვის შეწუხდა სწორედ, როგორ არა! — ჩაიციინა ანდრიკომ. — კაცს დაცხა და ეზო მორწყა, რა მოხდა?

— მერე, ადამიანმა რომ თავის თავსაც ასიაშოვნოს და შენც, რა მოხდაო უნდა სთქვა?

— არ ვიცი სწორედ! — დაემოწმა ულვაშმა.

— საკვირველია, ანდრიკო, შენი საქმე.

— რას ერჩოდა, ნეტავი, ამ კაცს?

— მიდი, სარდიონ, მიდი, გენაც-

ვალე, ყველას კი ნუ დაუგდებ ყურს, —  
ურჩია ვიღაცამ.

ანდრიკოს გული მოუვიდა და ოთახ-  
ში შებრუნდა. იქვე, აივნის კართან  
შეჩერდა—იქნება ჩემზე რამე სტეჟანო.

მოწინააღმდეგის გაქცევამ სარდიო-  
ნი გაახარა; წელში ვაიმართა. რეზინის  
მილი ისე ამაყად ეჭირა, რომ წყლის  
ქავლი საგულდაგულოდ გაღესილ  
დაშნას დაემსგავსა. ნელა, ნაზად ამოძ-  
რავებდა ხელს, თითქოს საყვარელი  
ქალის სახელს ჩხაპნიდა სილაზე.

მეზობლები სიგრილეს გრძნობდნენ,  
ალერსიანად დასცქეროდნენ სარდი-  
ონს.

— სხვა რომ არაფერი, — სთქვა მი-  
ხეილა, — ფიზკულტურაცაა ეზოს  
მორწყვა.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ულ-  
კაშა და მაშინვე დაეკვდა. — სადაურთ  
ფიზკულტურააო.

— აბა, ვლასოვი ნაღდად მებანძრე  
იქნებოდა, — გაისმა აივანზე შეუმჩ-  
ნევლად გამოსული ანდრიკოს ხმა, —  
ჩვენი კარტოზიაო.

სარდიონმა ონკანი დაკეტა და ზევით  
აიხედა.

— რა გინდა, პა! აღარ მომეშვები,  
ბიძია?

„ბიძია“ ისე იყო ნათქვამი, უცნებუ-  
რო სიტყვას უღრბდა. ანდრიკო პასუ-  
ხის გასაცემად მოემზადა და დაფიქრ-  
და. აშკარად ეტყობოდა, უწმაწური  
პასუხის თქმას აპირებდა. ლოყებდაჟ-  
ღაჟა ქალმა, ელიკომ ვადასწყვიტა ყუ-  
რები დაეცო, მაგრამ უეცრად „ოჰო,  
ვინ ჩამოსულაო“, მოესმა და ჭიშკრი-  
საყენ გაიხედა. ეზოში ტანმორჩილი,  
გამხდარი მამაკაცი იდგა. იმ ვაგანია  
სიცხეში შავი კოსტუმი ეცვა. კისერზე  
გაბზევილი პეპელა-პალსტუხი ეკეთა,  
ხელში ორი დიდი ჩემოდანი ეჭირა.  
ეზო შრებოდა, მზე აცხუნებდა, ას-  
ფალტს ორთქლი ასდიოდა და გამხდარ  
ნი მამაკაცი თითქოს ნისლში იდგა.  
მეზობლებს პატარა, სევდიანი თვალე-  
ში მოავლო, თავი მდაბლად დაუქრავდა  
უთხარა: „გამარჯობათ, ხალხო!“

— ოჰ! — გაიკრიჭა ანდრიკო. —

„ფოკუსნიკს“ გაუმარჯოს. როგორ  
მოიარე რუსეთი, კარო?

ვარკენულში  
გზიპროტექცია

— დიდი მადლობა, კარგად.  
— რამდენი ხანია, აქ აღარ ყოფილ-  
ხარ, შენი ბოქლომი დაჟანგდებოდა.

— არა უშავს, — ნაღვლიანად გაიღი-  
მა კარომ, — თქვენი ნებართვით რო-  
გორმე გავალბე.

მისი ოთახის კარზე, თითქმის ყო-  
ველთვის, პატარა ბოქლომი ეკიდა;  
კარო მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდი-  
ოდა თბილისში. სხვა დროს გასტრო-  
ლებზე დადიოდა სხვადასხვა ქალაქებ-  
ში. მეზობლები დიდად არ აფასებდ-  
ნენ. „გამარჯობის“ მეტს არაფერს  
ეუბნებოდნენ ხოლმე. ხანდახან მაინც  
აუცილებელი იყო კაროსთან გამოლა-  
პარაკება და ყველა ეჭვით ისმენდა  
მის მაღალფარდოვან სიტყვებს. ერ-  
თადერთი, ვინც წშირად ელაპარაკებო-  
და, ანდრიკო იყო, მაგრამ კაროს არ  
უყვარდა ეს კაცი. არავინ იცოდა  
კაროს ასავალ-დასავალი, ნამდვილი  
სახელიც კი არ იცოდნენ მისი. „კარო“  
ამ პატარა კაცის ფსევდონიმი იყო. ეს  
გამხდარი მამაკაცი ჩვეულებრივად  
იქცეოდა, მაგრამ ყველა მაინც ეჭვის  
თვალთ შესცქეროდა — კარო ილუ-  
ზიონისტი იყო.

სარდიონმა კაროს ახედ-დახედა, რე-  
ზინის მილი დაახვია და შინ აიტანა.  
ანდრიკო მეორე სართულიდან დამცი-  
ნავად დასცქეროდა კაროს, ის კი ეზო-  
ში იდგა, ხელში უზარმაზარი ჩემოდ-  
ნები ეჭირა და ამოდ უცდიდა, როდის  
გასცემდნენ ხმას. თვითონაც არ იცო-  
და, რუსეთის ქალაქებში ყოფნისას  
რატომ ენატრებოდა ხოლმე მეზობ-  
ლები — ხალხი, ვის გვერდითაც წელი-  
წადში სამიოდე თვე თუ ცხოვრობდა.

ხმას არავინ იღებდა და კარომ მის-  
და უნებურად რამდენიმე ზედმეტი მოძ-  
რაობა გააკეთა: ერთი ჩემოდანი სველ  
ასფალტზე დადგა, ხელი გულის ჯი-  
ბეში ჩაიყო, მერე ისევ ჩემოდანს დას-  
წვდა და თავის ოთახისაკენ გასწია.

გურამ დოჩანაშვილი

ჩვენს ეზოში წვიმა მოდის



ბუხუტი სანიკიძე მეორე სართულზე ცხოვრობდა. სამსახურიდან შვიდის ნახევარზე ბრუნდებოდა, საშინაო ტანსაცმელს იცვამდა, ხელებს იბანდა და სადილობდა. მერე მეორე ოთახში გადიოდა, ტახტზე წამოწვებოდა და კედელზე ჩამოკიდებულ დიდ საათს შეხედავდა. ამ დროს ყოველთვის რვის ათი წუთი იყო ხოლმე.

ბუხუტის ფიქრი უყვარდა. ნასადილევს დაძინება არ შეეძლო, რადგან ათას რამეზე ფიქრობდა. ტახტზე გულადმა წამოწვებოდა და ძალაუნებურად განსჯა-მოსაზრებებში იძირებოდა. „ნეტავი ვინ უფრო მიყვარს, ჩემი სიძე საშა, თუ ჩემი რძალი ნაზიკო?“ ეს მეტად ძნელი გადასაწყვეტი იყო, რადგან ბუხუტის ძალიან უყვარდა სიძეც და რძალიც. პასუხის ვასაცემად აუცილებელი იყო ფანტაზიის მოშველიება. ბუხუტი ჯერ წარმოიდგენდა, თითქოს საშამ ხელი მფიტება. სიძის შეწუხებულ სახეს რომ წარმოიდგენდა, გული ეტკინებოდა. მერე იმავე მდგომარეობაში ნაზიკოს წარმოიდგენდა, ისევ ეტკინებოდა გული. არაფერი გამოდებოდა — ორივე ძალიან უყვარდა ბუხუტის. მაგრამ მან იცოდა, ცხოვრებაში ზუსტად ერთნაირი რომ არაფერი იყო და ისევ ფიქრობდა, მაინც რომელი უფრო მიყვარსო?

ბუხუტი გარინდებული იწვა და ათას რამეზე ფიქრობდა. მერე სიამაყით იხსენებდა, სამსახურში ძალიან ჭკვიანი კაცის სახელი რომ ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ამ დროს სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა: იმათ რა იციან, ასეთ რამეებზე რომ ფიქრობო.

მიხეილსაც ჭკვიან კაცად იცნობდა ხალხი. თავი ამაყად ეჭირა, თავშეკავებული კაცი იყო. რჩევა-დარიგების მიცემა უყვარდა, რაიმე კამათის დროს თანამოსაუბრეებს ჯერ ყურადღებით უსმენდა და თავის აზრს ყოველთვის ბოლოს გამოთქვამდა ხოლმე. ყველა აფასებდა მიხეილს, ელიკო ხომ აღმერთებდა — ქალების

ჭკუა რა ვთქვი, თორემ ასეთი ძალიანაა ნი უცოლშვილო უნდა იყოსო? ამას ელიკო ისე ხშირად იმეორებდა, რომ ერთხელ თავშეკავებული სარდიონიკი მოთმინებიდან გამოიყვანა — „ქალებთან რა გინდა, შე ქალო, იქნებ მიხეილს არ უნდოდა ცოლი?“ ამაზე ელიკომ უპასუხა, არა, სარდიონ, გინდაც არ სდომებოდა, იმ ქალების ადგილზე მაინც არ მოვუსვენებდიო.

ელიკო გაჭირვების დროს ყოველთვის მიხეილს მიაშურებდა ხოლმე. ერთხელ მასთან ძალიან ადვლეგებული მივიდა და თვალცრემლიანმა სთხოვა. შენი ჭირიმი, მიხეილ, ჩემი ბიჭი დაარიგე, ვიღაცა გოგო და ევ თურმე ერთმანეთს გადაჰკიდებიათო. მიხეილმა დინჯად მოუკიდა პაპიროსს, თავი გაიქნია და შეწუხებულ ქალს თვალთვალში გაუყარა. მერე ჰკითხა, დღეს რა დღეაო. შაბათიაო, უპასუხა ელიკომ. მიხეილი დაფიქრდა, გუნებაში რაღაცა აწონ-დაწონა და, კარგი, სამშაბათს ყველაფერი რიგზე იქნებაო. უთხრა. ელიკოს გული მოუბრუნდა. იმავე საღამოს მიხეილი ეზოში იჯდა. ჭადართან ერთი მერხი იდგა, იქ უყვარდა მიხეილს ჯდომა. კარგახანის შეღამებული იყო, ჭიშკარი რომ გაიღო და ელიკოს ვაჟი შემოვიდა.

— ბიძიკო, მოდი აქ!

ბიჭი მორცხვად მიუახლოვდა.

— ჩამოაჯექი აქ. რამდენი წლისა ხარ?

— ჩვიდმეტის.

— ეჰ! — ამოიოხრა მიხეილმა.

ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ. ბიჭი ცოტა აკვირვებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა.

— მე ახლა შენ რომ დაგარიგო, — დაარღვია სიჩუმე მიხეილმა, — როგორ გგონია, კარგი მენდომება შენთვის თუ ცუდი?

— კარგი.

— აბა, ყური დამიგდე, ორიოდ სიტყვა უნდა გითხრა: ახლა უკვე ჭკუა გმართებს. დღეიდან მარტო კი აღარა ხარ, ორნი ხართ, ორნი, — თვალთან

ორი თითი მიუტანა მიხეილმა. ბიჭს შერცხვა და თავი ჩაღუნა. — ახლა ძალიან უნდა ერთდო უსიამოვნო შემთხვევებს, — განაგრძო მიხეილმა, — ქუჩაში ერთად რომ მოდიოდეთ და მთვრალი შეგხვდეთ, გვერდი უნდა აუქციო; თუ ამას ვერ შეძლებ, რასაც გეტყვის, ყველაფერზე დაეთანხმე. რომ გითხრას, მუხას მსხალი აბიაო, აბიაო-ტქო, უთხარი, რა გენაღვლება. ხომ სწორი ვარ?

— დიახ, ძია მიხეილ.

— და საერთოდ... — მიხეილმა კარგახანს უყურა, — გესმის ჩემი?

— კი.

— მე რომ ახლა დაგარიგე, როგორ გგონია, კარგი მინდოდა შენთვის თუ ცუდი?

— კარგი.

— აბა, შენ იცი. უფროსებს დაუჯერე და კაცი გამოხვალ.

მაგრამ მიხეილი ყველასთან როდი იყო ასეთი აღერსიანი. დიტოს, მაგალითად, სულ სხვანაირად ელაპარაკებოდა. დიტო ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო. საკმაოდ უზრდელი, ბრიყვი და ზარმაცი ადამიანი ვახლდათ. დიტოს კაცად არავინ აგდებდა. ერთადერთი, ვისთანაც მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა, მიხეილი იყო. მიხეილს ძალიან უყვარდა მერხზე ჯდომა, დიტოც ყოველთვის გვერდით მოუსკუბდებოდა ხოლმე. იცოდა, დაფასებული კაცი რომ იყო და ეტმასნებოდა.

ანდრიკოსი არ იყოს, მეზობლებს გულზე არც დიტო ეხატებოდათ. მას ყველაზე მეტად სარდიონი ვერ იტანდა. სარდიონი ოჯახის ერთგული, შრომისმოყვარე კაცი იყო. სამსახურიდან შინ ისე არ დაბრუნდებოდა, იდლიაში ამოჩრილი დიდი საზამთრო არ მოიტანა. იმ დღის შემდეგ, როდესაც ჩვენ პირველად მოვავლით ეზოს თვალი, გახურებულ ასფალტს აღარ რწყავდა — ვის უნდა ვემსახურო, ანდრიკოსს თუ დიტოსო? სხვებიც აღარ რწყავდნენ ეზოს; რატომღაც ყველას ეგონა, სარდიონს ეწყინებოა. ისევ საშინელი სიციხეები იდგა. ყველას სული

ეხუთებოდა, ასფალტს ბული ასდიოდა. არაქათგამოცლილი ბრუნდებოდნენ სამსახურიდან, საღამოხანს გამოდნენ გარეთ (ბუხუტი ოთახში რჩებოდა და ფიქრობდა), ზოგს სკამი გამოჰქონდა ეზოში, ზოგი მერხზე ჯდებოდა და ლაპარაკობდნენ, ანდა ჩუმად ისხდნენ. ცას უყურებდნენ და მსჯელობდნენ, გაწვიმდებოდა თუ არა.

კარო ფანჯრიდან შესცქეროდა მეზობლებს, კამათში ჩარევა უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. იცოდა, ყველა ეჭვით რომ შეათვალეირებდა, მის დანახვაზე ზოგიერთი ამირიზებოდა კიდევ. კაროს ძალიან უნდოდა მერხზე დამჯდარიყო და ყველასათვის ეამბნა, რა ლამაზი ქალაქია ლვოვი, მაგრამ თავმოყვარეობა ამის უფლებას არ აძლევდა და მოწყენილი კარო იხსენებდა ხოლმე, რომ „ლვოვში პატარა, კონტა სახლებია; ორ-სამსართულიანი სახლები სჭარბობს. ტრამვაიც პატარაა და ვიწრო ლინდავზე დადის. ლვოვში დიდი თოვლი იცის. ქალაქის დიდ პარკში ტევა არ არის, ხალხს ციგურებით დასრიალებს, გორაკებიდან ციგით ეშვებიან. იქ თოვლი ისეთი ჩვეულებრივი ამბავია, რომ გუნდასაც კი იშვიათად ესვრიან ერთმანეთს. ლვოვში სუფთა ქუჩებია. დნებროპეტროვსკიც კარგი ქალაქია. როსტოვისა არ იყოს, ისიც ფერდობზეა გაშენებული...“

კაროს ეზოში ერთადერთი მეგობარი ჰყავდა — ნინიკო, ოთხი წლის გოგონა. კაროს ძალიან მოსწონდა ეს ბავშვი. ნინიკოს ქერა თმა და დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა. მთი დამეგობრებდა ასე მოხდა: ერთხელ კარომ ეზოში დაინახა ნინიკო, დაბლა ჩამოვიდა, ხელი გაიქნია და მის თითებში ქალაქის ყვავილი გაჩნდა. გოგონამ გაკვირვებით შეხედა კაროს და ხელი გაუშვირა. მერე ყვავილი შეათვალეირა და მდლომა გადაუხადა. გოგონას ბოხი, სასაცილო ხმა ჰქონდა. კარომ გაიღიმა და გამოლაპარაკება გადასწყვიტა:

გურამ დოჩანაშვილი  
ჩვენს ეზოში წვიმა მოდის

- რა გქვია?
- ნინიკო, — ჩაიღუღუნა გოგონამ.
- ვისი გოგო ხარ?
- დედიკოსი.
- მე კარო მქვია.

იმ დღის შემდეგ კაროს ყოველთვის გამზადებული ჰქონდა ქალაქის ყვავილი. დაინახავდა თუ არა გოგონას, ხელს გაიქნევდა, ყვავილს გაუწვდიდა და პატარაც ბოხი ხმით მადლობას უხდიდა.

## კაუჩუკის ხე

ერთხელ კარომ სტუმარი მოიყვანა. საღამოვდებოდა, მიხეილი და დიტო მერხზე ისხდნენ. ანდრიკო აივანზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა, მარიამი ეზოში სარეცხს ჰფენდა.

მსრებგანიერ, მოქნილ ქალს ყველამ ინტერესით შეხედა. კაროს სტუმარს სევდიანი და მაინც ოდნავ თავხედური გამომეტყველება ჰქონდა. ამ ქალმა მეზობლების დაქინებული მზერის მიუხედავად, ძალიან თავისუფლად აიარა ხვეული კიბე და სანამ კარო ბოქლომს აწვალებდა, რაღაც გესლიანად ჩაილაპარაკა მეზობლებზე. მასპინძელს სახეზე არაფერი დასტყობია, პასუხისაგან თავი შეიკავა, კარი გააღო და ქალი თავზიანად შეიპატიჟა. მეზობლები დაფიქრდნენ, მერე ერთმანეთს გადახედეს, ცდილობდნენ გამოეცნოთ, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ კაროს და იმ ქალს.

კარომ ყავა აადულდა და ფინჯნებში დაასხა. ქალმა ოდნავ მოსვა და ტუჩი ენის წვერით აილოკა.

- მოგწონს, როზეტა?
- არა უშავს. შენ უშაქროდ სვამ?
- კი.

ეს იყო და ეს. მერე კარვა ხანს ხმა არ ამოუღიათ. კარომ საყვარელი ფირფიტა მოძებნა და ყველამ გაიგონა „არაბული ტანგოს“ ნაღვლიანი მელოდია. კარო ქალთან მივიდა, შეხედა და წელზე ხელი მოხვია. ნელა, მძიმედ ცეკვავდნენ. ქალი ოდნავ მაღალი იყო,

კარო და ნინიკოს დედა არც ესე-მებოდნენ ერთმანეთს — მარამი ძალიან გულჩათხრობილი გახდა. მანამდე დეგ, რაც ქმარი გარდაეცვალა. მანამდე მხიარული, ხალისიანი ქალი იყო, მაგრამ ამ მოულოდნელი უბედურების შემდეგ სულ განმარტოვდა.

ქალს მხოლოდ პატარა ნინიკო დარჩა ნუგეშად, ქერთამიანი, ლურჯთვალება ბავშვი.

მაგრამ კაროს ისე ღირსეულად ეჭირათავი, რომ მისი სიღაბლე არც იგრძნობოდა.

— რას აკეთებენ ნეტავ? — იკითხა მიხეილმა. დიტომ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. თავში ეშმაკური აზრი მოუვიდა და მიხეილს გაუღიმა.

— რავე წიწილაჭამია ლეკვივით იკრიჭები, ბიჭო.

დიტომ ისე უცბად მოიწყინა, რომ მიხეილს მაშინვე გული მოუღება, — ჰო, სთქვი, სთქვი!

დიტომ მიმოიხედა და ტუჩები ყურთან მიუტანა.

— ვითომ? — ჩაილაპარაკა მიხეილმა, ყური გამოიწმინდა და კაროს ფანჯარას ახედა.

ანდრიკო ოთანში შებრუნდა და უფროს შვილს — ათიოდე წლის ბიჭუნას — უთხრა, კაროსთან მიდი, მამამ მანეთი მასესხეო, ასე უთხარია.

მარიამი ეზოში სარეცხს ჰფენდა, ძალაუნებურად ყურს უგდებდა ტანგოს. მერხზე ჩამოჯდა, მაგრამ ეზოში მაშინვე დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა.

— კიდეც ვიცეკვოთ? — ჰკითხა ქალს კარომ.

— ვიცეკვოთ.

მარიამი წამოდგა, ვარდისფერი პირსახოცი დაბერტყა და თოკზე გადაჰკიდა.

კაროს ძალიან გაუკვირდა, კარზე რომ მიუთაკუნეს.

— მამამ მანეთი მასესხეთო.  
— კი, ბიჭო, — ჯიბეში ხელი ჩაიყოს კარომ და საფულე ამოიღო, — იქნებ მეტი გჭირდებათ, ჰა?

— რა ვიცი, მანეთი მასესხეთო.

— გესმის, ალაპარაკდნენ, — აცმუკა და დიტო.

ბიჭი ისე გავიდა ოთხიდან, კარი არ მიუხურავს. კარომ ხელი მსუბუქად ჰკრა სახელურს და სანამ ჯახუნნი გაისმოდა, ქალს მიუბრუნდა:

— ვიცეკვოთ, როზეტა?

— ვიცეკვოთ, კარო.

— რას აკეთებდნენ, ბიჭო? — ანდრიკომ ჩაიმუხლა და შვილს თვალი თვალში გაუყარა.

— არაფერს. აი, მანეთი.

— იპ...

— რამ ავაცუნდრუკა, კაცო? — დაინტერესდა მიხეილი.

— კიდევ უკრავენ.

— მერე შენ რა?

— მე? არაფერი.

— ჰოდა, იჯექი ჩუმად და ნუ იკრიჭები.

კარო და მისი სტუმარი ნელა, მძიმედ ცეკვავდნენ. კარომ ქალს მხარზე ჩამოადო თავი. იგი ცეკვავდა, ფიქრობდა და თვალწინ ედგა შაბლონური, მაგრამ მაინც სასიამოვნო სურათი — ზღვის ნაპირი, ზღვა, კლდე, ტალოები და ძალიან შორს, ცის კიდურზე, თეთრი იალქანი.

ბუხუტი სანიკიძე ტახტზე იწვა და „არაბოლო ტანგო“ უსმენდა.

მარიამი ისევ ჩამოჯდა მერხზე. როცა სიმღერას ისმენდა, ეგონა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, უფრო მეტიც — მას ამ დროს სასწაულისა სჯეროდა. სიმოიხის დამთავრების შემდეგ კი ძალიან წყდებოდა გული.

ანდრიკომ აღარ იცოდა, რა ექნა. ძალიან აღიზიანებდა „არაბული ტანგო“. მაგიდის უჯრა გამოადო და ელექტროსამართებელი მოიმარჯვა. ძველი ელექტროსამართებელი ხრიგინებდა და ანდრიკოს სიმღერა აღარ ესმოდა.

ტანგო დამთავრდა და გულნატკენი

მარიამი ისევ სარეცხს მიუბრუნდა. სველი პირსახოცი გაწურა, დაბერტყა და თოვზე გადაკიდებდას აპირებდა. როცა კარო და მისი სტუმარი გამოჩნდნენ. მარიამმა ქალს შეხედა და ძალაუნებურად დააკვირდა. მოქნილი, თამამი ქალი იყო როზეტა. მიხეილს შეხედა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, დიტოს შეხედა — გააწითლა კაცი.

ანდრიკოს ძალიან მოეწონა ქალის ტან-ფეხი, მისი სახის დანახვაც მოუნდა. აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს მოიფიქრა — ესანთის კოლოფი აიღო და ეზოში გადააგდო. კოლოფი ქალის დაბალქუსლიან ფეხსაცმელთან დაეცა. კარომ და მისმა სტუმარმა მაშინვე ზევით აიხედეს, მიხეილმა და დიტომაც აიხედეს ზევით.

— ბოღიში, ქალბატონო, — ანდრიკომ თავზიანად დაუკრა თავი.

— არა უშავს, — უთხრა კარომ, — ხდება ხოლმე.

ქალი ამირიზა, გაბრაზებულმა შეათვალიერა ანდრიკო და ჭიმკრისაკენ გაემართა. კაროც უკან მიჰყვა, მაგრამ მაშინვე შემოესმა ანდრიკოს თხოვნა — „თუ შეიძლება, ასანთი ამომიგდეო.“

— ვის ეუბნებით? — დაინტერესდა კარო.

— ჰა? — დაიბნა ანდრიკო, — თქვენ გეუბნებით, აბა, თქვენს მშვენიერ სტუმარს სომ ვერ ვეტყვოდი?

— რატომ არ მეტყვოდი? — დაინტერესდა ქალი.

— ჯერ ერთი, უხერხული იქნებოდა, — მორცხვად სთქვა ანდრიკომ, მერე ხმაში ისევ თავგიდობა შეეპარა, — მეორეც ის, რომ თქვენისთანა სუსტ არსებას ვერ შეგაწუხებდი.

„ძლიერმა არსებამ“ — დიტომ ხმამალა გაიცინა. მიხეილმაც ჩაიცინა და ქალს ამაყად დააკვირდა. ქალი ძალიან გაბრაზდა და მიმოიხედა. უკან დაბრუნდა, ფეხები განზე გადგა, პატა-

გურამ დოჩანაშვილი  
ჩვენს ეზოში წვიმა მოდის

რა ჩანთა კაროს ხელში შეაჩეჩა, უკან გადაიხინჯა, თავი მიწას მიუახლოვა, გაშეშებული მეზობლების თვალწინ ასანთის კოლოფი პირით აიღო და კვლავ წელში გაიმართა, კოლოფი მარჯვენა ხელში მოიქცია, მარცხენაით ტუჩი მოიწმინდა, მერე ხელი მოიქნია და ასანთი აივანზე მარჯვედ შეაგდო, — ინებეთო. შემდეგ კაროს ხელი გამოსდო. ჭიშკართან ცოტა ხნით შეჩერდა, პირდაღებულ მეზობლებს თვალი მოავლო, გაუცინა და ანდრიკოს

ჭიშკაროვანი კოცნა გაუგზავნა, — დაედაც გაოგნებულ და დამაჯერებელ კაცს აშკარად დასცინა.

ორიოდე წუთი გავიდა, ხმა არავის ამოუღია. გაკვირვებით შესტეპროდნენ ჭიშკარს, საიდანაც ქალი და კარო გავიდნენ.

სხვებზე ადრე მიხეილი გამოერკვა. სახე დამანჭა და სთქვა, მე რომ მაგისთანა ქალიშვილი მყავდეს, ყელს ფრჩხილით გამოგჭრიდიო.

### ჩვენს ეზოში სასწაული ხდება

ისეთი საშინელი სიცხეები არავის ახსოვდა. ასფალტი დნებოდა, ფეხსაცმლის ანაბეჭდი მიწაზე გარკვევით ჩანდა. სიცხით გაბრუებული, არაქათ-გამოცლილი მეზობლები უაზროდ შესტეპროდნენ ერთმანეთს, უიმედოდ ათვალეირებდნენ ცას და ნაღვლიანად ჩაიქნევდნენ ხელს — არა, არ გაწვიმდებაო.

საქმეს ეზოს მორწყავაც არ შეელოდა — ორთქლს ღია ფანჯრებში ასფალტის ბული შექონდა და ამაზეც ხელი ჩაიქნის. საერთოდ ყველაფერზე ჩაიქნის ხელი, მოიწყინეს, დანადგოლიანდნენ, მოეშენენ. ერთხელ სამსახურიდან დაბრუნებულ სარდიონს საზამთრო კიბეზე დაუვარდა და გასკდა. მერე თითქოს შეეგუენ სიცხეს — რაყდენმა სთქვა, ზაფხულში უნდა ცხელოდეს, აბა როგორ გინდათო. ეს მშენიერი აღმოჩენა იყო, ამ აზრმა საუცხოოდ იმოქმედა მეზობლებზე, აუტანელი სიცხე მათთვის უცებ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. არ მოულაპარაკებიათ, მაგრამ თითქოს დააკანონეს, რომ სიცხეზე კრიტიკა არავის დაეძრა. ძველებურად ესალიმებოდნენ ერთმანეთს, ათას რამეს ჰყვებოდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ ხანდახან მაინც მოიწყენდნენ, ჩუმად ისხდნენ და ფიქრობდნენ ზაფხულის შხაპუნა, მხიარულ, თავაწყვეტილ წვიმაზე. ფიქრიც კი ერთგვარ ღალატად

ითვლებოდა, რადგან ყველა გრძნობდა, რაზე ფიქრობდა უცერად მოწყენილი თანამოსაუბრე და ამიტომ, თავი რომ შეექციათ, გასართობ ამბებს იგონებდნენ.

მარიამს ბავშვი აგარაკზე ჰყავდა გაგზავნილი. კარომ რამდენჯერმე დააპირა გამოლაპარაკებოდა ქალს, ბავშვის ამბავი გამოეკითხა, მაგრამ თავს იკავებდა. ერთხელ მარიამმა მოზრდილი ყუთი — ბავშვისათვის გასაგზავნი ამანათი — ეზოში გამოიტანა და სარდიონს სთხოვა, დამიქედო. კარო მათთან მივიდა, ხელი გაიქნია და მარიამს ქალაღდას ყვავილი გაუწოდა, ესეც გაუგზავნეთ თქვენს პატარა ნინიკოს, იგი მიხვდება, ესოდენ მცირე საჩუქარს ვინც უგზავნისო.

გაკვირვებულმა მარიამმა ყვავილი ყუთში ჩაღო და კაროს მადლობა გადაუხადა.

ამ შემთხვევამ დააინტერესა მეზობლები — მოდით, კაროს ვთხოვთ, იქნებ თავისი ნომრები გვაჩვენოსო.

ერთხელ, როცა კარო შინ ბრუნდებოდა, დიტო ფრთხილად მიუახლოვდა და უთხრა: — პატივცემულო, მეზობლები გთხოვენ, გვაჩვენო შენი ნომრები, ძალიან გთხოვთ...

კარო დათანხმდა:

— რომელ საათზე გნებავთ?

— დღეს შეიძლება?

— რა თქმა უნდა...

— აბა, შვიდ საათზე გვიჩვენე.

— შვიდზე იყოს, — სთქვა კარომ, — კეთილი და პატიოსანი.

სალამოს შვიდ საათამდე კარომ საგულდაგულოდ გაითეთოვა თეთრი პერანგი და ფრაკი, საყელოზე პეპელა-პალსტუხი მიიმაგრა, დანიშნულ დროზე გამოცხადდა ეზოში და მეზობლებს თავი მდაბლად დაუქრა.

მეზობლებს ეზოში სკამები ჩაეტანათ, ერთრიგად ისხდნენ და უნდობლად შესცქეროდნენ კაროს.

კარომ ყველანი შეათვალიერა, აშკარად ეტყობოდა, რომ ღელავდა, შემდეგ ჩვეულებრივი გაზეთი გაშალა, ყველა აჩვენა ორივე მხრიდან და მეზობლების ცხვირწინ ნაკუწ-ნაკუწად აქცია, ხელში მოკმუტუნა, ბოლოს ხელი გაშალა და... მეზობლების თვალწინ გაზეთის ნახევები აფრიალდა. არ გამოუვიდა კაროს ჩანაფიქრი.

მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს, კარო წამოწითლდა. ერთ ხანს დაბნეული იდგა. მერე გამბედაობა მოიკრიფა და სთქვა: — არა ვარ შეჩვეული ეზოებში გამოსვლას...

დიტომ ჩაიფრუტუნა, ყველა დამცინავდ შეაქებდა კაროს. იგი ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს. ოთახისაკენ გასწია, გზაში შემოტრიალდა და თავის გამართლებას შეეცადა — ჩემი სტიქია ესტრადია.

მარიამს ძალიან შეეცოდა კარო, თვალი გააყოლა.

ბუხუტი სანიციე იმ საღამოს „გრაფიკიდან ამოვარდა“. ეზოდან რომ ამობრუნდა და ტახტზე წამოწვა, უკვე რვა საათი სრულდებოდა. იგი მხნედ გრძნობდა თავს და წარმოიდგინა, თითქოს წვიმა მოვიდა. ფანჯრის რაფაზე დაცემული წვეთების ხმაური მისმა სიძემ — საშამ გაიგონა. ნაზოკოსაც ძალიან გაეხარა ეს ამბავი, ძლივს არ წამოწვიმო? გრილი პაერით ტკბებოდნენ, გახარებულნი ისხდნენ ოთახში და წვიმის ხმაურს ყურს უგდებდნენ.

ვილაკამ დააკაუნა. კარო შეერთა თვალმოკუტულმა გაიხედა კარისაკენ ზღურბლზე მარიამი იდგა. კარო წამოდგა და სტუმარს შეეგება.

— დაბრძანდით.

— გმადლობთ, ერთი წუთით შემოვიარე, — უთხრა მარიამმა და სკამზე ჩამოჯდა.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

— გუშინწინ ჩემი ნინიკო ვინახულე.

— მართლა? — გაიღიმა კარომ, — ხომ კარგადაა?

— კარგად არის, გმადლობთ.

— წალვერში ისვენებს, არა?

— დიახ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. კარო ყოყმანობდა, გამოეტანა თუ არა სტუმრისათვის ორიოდ დღის წინათ ნაყიდი ლელვის მურაბა, მაგრამ გადაიფიქრა. ვაითუ არ მოეწონოსო.

— ჩემს გოგონას ძალიან მოენატრეთ.

— მართლა? — გაეხარა კაროს.

— სულ თქვენ გახსენებდათ. ყვავილისათვის დიდი მადლობა დამაბარა.

— ეჰ, ის რა ყვავილია...

— რატომ, მე მომწონს.

— მართლა? — გაეხარა კაროს, — ერთი წუთით მიტრიალდით, თუ შეიძლება.

მარიამმა ზურგი შეაქცია და სმენად გადაიქცა. უჯრის ხმაური შემოესმა.

— შეგიძლიათ მოტრიალდეთ.

მარიამი ყურადღებით შეაქებდა. კარომ ხელით სწრაფი მოძრაობა გააკეთა — ინებეთ!

ქალაღის სიფრიფანა ყვავილი იყო. მარიამმა გაიღიმა.

— გინდათ სხვა ნომრებიც გიჩვენოთ?

— რა თქმა უნდა.

კარო ეშხში შევიდა. საწოლის ქვემოდან დიდი ყუთი გამოათრია, მერე ფრაკის სახელოები დაიკაიწა, ყუთიდან ჩვეულებრივი გაზეთი ამოიღო, ორივე მხრიდან აჩვენა, შემდეგ მარიამ

გურამ დოჩანაშვილი  
ჩვენს ეზოში წვიმა მოდის

მის თვალწინ ნაკუწ-ნაკუწად აქცია, ხელში მოჭმუქნა, მერე ხელი გაშალა და... მარიამის თვალწინ ისევ მთელი გაზეთი აფრიალდა.

გაოცებული მარიამი კაროს გამხდარ ხელებს დააკვირდა.

საოცარი იყო, კაროს ხელში არაფერი ეჭირა — მარიამთან ახლოს მივიდა და ხელები დაანახვა. უცებ მის თითებში პაპიროსი გაჩნდა, კარომ პაპიროსი პირთან მიიტანა და გააბოლა! მერე კარომ პირდაპირ იატაკზე დაავლო პაპიროსი, ფეხიც დაადგა, ისევ სწრაფი მოძრაობა გააკეთა ხელით და... მის თითებში ახალი პაპიროსი გაჩნდა, არხინად გააბოლა.

მარიამმა ლოყაზე ჩამოისვა ხელი.

ჯერ სად იყო... კარომ ქაღალდისაგან პარკი გააკეთა, მერე ჰიქიდან წყალი ჩაასხა, პარკი გადმოატრიალა და... იატაკზე ერთი წვეთიც კი არ დაცემულა. კარომ პარკი გასხნა, მარიამს მშრალი ქაღალდი აჩვენა, ისევ გააკეთა პარკი, გადმოატრიალა და წყალი იატაკზე გადააქცია.

ნუთუ მართლა არსებობდა სასწაული?

როგორ არ არსებობდა — კარომ მარიამს ჩვეულებრივი ჯოხი აჩვენა, მაგიდაზე დააკაჟუნა, დაიქნია და... ჯოხი ყვავილების თაიგულად გადაიქცა. თაიგული მოჭმუქნა, მუჭში ჩამალა, მერე თითები ნელა გაშალა და... რის ყვავილები, რა ყვავილები — მარიამს ჩვეულებრივი კვერცხი დაანახვა. მაგიდიდან ყუთი აიღო, თავი ახალა და გადმოატრიალა. ყუთში არაფერი იყო. კარომ ყუთი ისევ მაგიდაზე დადო, შიგ კვერცხი ჩაღო და თავსახური დაახურა. მერე ყუთს შავი ნაჭერიც

გადაათარა, მარიამს შეხედა, შავი ნაჭერი შორს მოისროლა, ყუთს დახეწა და... ჰოი, საკვირველებზე — ყუთიდან ყავისფერი მტრედი ამოფრინდა!

კარომ მარიამს შეხედა, გამოცვლილი ეჩვენა ქალი. დიდხანს უყურა მას და მიხვდა, რომ ქალი სადაც იყო, ატრდებოდა, მხრები აუცახცახდებოდა, თავს ხელებში ჩარგავდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად იტყოდა: „კარო, კარო, ძვირფასო!“

მარიამს თვალი მართლაც ცრემლით აევსო. კარო მიუახლოვდა ქალს და ხმადაბლა უთხრა — „მე დიდი ხანია, ოჯახზე ვოცნებობ“.

რამდენიმე დღის შემდეგ წვიმაც მოვიდა. გათენებისას წამოწვიმა — ჯერ რამდენიმე წვეთი დაეცა ეზოში, მერე სახურავზე ახტუნავებული წვეთების ჩუმი გუგუნი გაისმა და...

წვიმს, სასიამოვნო სიგრილვა, ახლად გამოლციებული მეზობლები ყურს უგდებენ წვიმას. გაუნძრევლად წვანან და ბურანში მყოფთ ძალიან უხარიათ, რომ წვიმა მოდის. სახურავზე მსხვილი წვეთები ეცემა, მილში წყალი მოჩხრიალვებს. ეზოში პატარა გუბეები დადგა. გუბეში მოჩანს პატარა, ორსართულიანი სახლი და ცახცახებს. ფანჯრის რაფებზე გაუთავებელი რაკარტკია, მეზობლები კი ბურანში არიან, ყველას ეზარება ადგომა. ოთახს სავსეა წვიმის წვეთების ხმაურით და ყველას ასე ჰგონია, თუ საბნიდან ფეხს გამოჰყოფენ, მაშინვე დაუსველდებათ. წვანან ასე ბურანში და ყურს უგდებენ წვიმას. გარეთ კი მართლა წვიმს — ჩვენს ეზოში ზაფხულის შხაბუნა, მხიარული. თავაწყვეტილი წვიმა მოდის.




მელაე კახიძე

## სერბიული ლექსები

მაგრამ მაინც მინდა!

მეცამეტე დღეა,  
მჭვია უცხოელი,  
ზღვის ნაპირას ვდგავარ  
და მზეს უხმოდ ველი.  
გზა-გზა ჩუმად მიდის  
ყველა ქალაქელი,  
არცა ვისგან ღიმილს,  
არცა სალამს ველი.  
ეს ცა მეჩემება,  
თითქოს თბილისური,  
ჩვენებური მზე და  
მზეზე თბილი გული.  
მიწა ნადარდები,  
ლურჯი ლაქვარდები,  
მე ამ მზეში მხოლოდ  
სიკვდილს დავზარდები.  
მაგრამ მაინც მინდა  
ზეცა თბილისური,  
ჩვენიული მიწა,  
— ჩვენი თბილი გული!

მზე წითელ ბურთივით მოგორავს  
და ზღვაში ყიჟინით შვერბივართ,  
ქიქი სერბიელი გოგოა  
და უყვარს თავისი სერბია.  
მე კი ამ ზღვასა და ამ ნაპირს  
სხვებევით მაინც ვერ დავხარბდი,  
მეც ხომ მაქვს ასეთი ლამაზი  
ზღვა(ა) და მზიანი დაღმართიც.  
ის ამბობს: — სხვაგვარი მაღლი სცემს  
აქაურ ტბასა თუ ზღვის ყურეს,  
მას უნდა, სულ ცქერად გადვიქცეთ  
და ყველას თვალეზში გვიყურებს.  
ქიქიმ უთქმელობა არ იცის,  
მე ვთქვი და მანაც სთქვა თავისი...  
მას უყვარს თავისი სერბია,  
მე ჩემი მცხეთა და კრწანისი.  
ქიქი სათაყვანო ქალია  
და მსურს, რომ არასდროს იჯავროს,  
და ვისთან რა დასამაღია,  
მის მკლავებს ფერი აქვს ბრინჯაოს.  
წამოველ, შეგხვდები ველარსად,  
ათასი მდინარე გავტოპე.  
მე მინდა, შენს ლამაზ ქვეყანას  
ვერაფინ მიუდგეს სათოფედ!  
მზე მთებზე დამდნარა ფერებად,  
მივდივარ, გზას უკან გავცქერი.  
— არ იყოს ევ ბედნიერება  
პირველი და უკანასკნელი.  
მე მაგ შენს სიხარულს ჩემად ვთვლი,  
ჩენს მიწას მც(ო) თავზე ვეფლები,  
იცოცხლოს, ფერადში დაბურღეს  
ევ შენი მზიანი ველეზი.



# მთორბეტ ქსრი

რომანი

თავი მეოთხე

შეა ჩემს პირდაპირ იჯდა. შუბლი შეეკუმუნა, ცარციტ მოსვრილ თითებს მაგიღაზე ათამაშებდა, თავი დაეხარა და არავის ყურადღებას არ აქცევდა. მე სიგარეტს ვეწეოდი და დროდადრო საათს დავყურებდი: ხუთიოდე წუთიც და მეექვსე გაკვეთილი დაიწყება, მერე შინ წავალ, ლოგინზე წამოვწები და დავისვენებ.

ჩვენს გვერდით ფიზკულტურის მასწავლებლები — რეზო და ქართლოსი — იდგნენ, ჭადრაკს თამაშობდნენ. ისინი მუდამ ჭადრაკს თამაშობენ. სულ ჩხუბობენ და ტრაბახობენ, არა მე გიგებ და არა მეო. შარშან მთელი წელი გრძელდებოდა ბრძოლა ამ საკითხის გამოსარკვევად, მაგრამ ამაოდ. ალბათ წელსაც ასეთივე ხალისით აპირებენ დაწყებული დავის განგრძობას. უფრო მეტს რეზო ლაპარაკობს და მგონი ამის წყალობითაა, რომ უფრო ხშირად იგებს. ყოველ შემთხვევაში, ქართლოსი სულ

ამას იმიზეზებს: ამდენს რომ არ ლაყბობდეს, ერთ პარტიასაც ვერ გამომირევდაო. ლაპარაკით ნერვებს მიშლის და მერე უხეშ შეცდომებს ეუშვებო. რეზო ცინიფერთვალემა, მაღალი და მხრებგანიერი ბიჭია, ჩაჭყლეტილი ცხვირი აქვს, რასაც კრივიტ გატაცებას აბრალებს. მისი პარტნიორი ტანმორჩილია, შავგვრემანი; ბავშვივით ბუტია და ყოველი პარტიის დამთავრების შემდეგ, მიუხედავად შედეგისა, ისეთი განაწყენებული და გაბრაზებული სახე აქვს, რომ ყველას ეცოდება და გულწრფელად ურჩევენ, ჭადრაკს თავი დაანებოს; ნერვებს რალას იშლი, დიდოსტატი შენგან მაინც არ დადგებაო, ეუბნებიან. ამას ცოლიც ურჩევს, მის საცოდაობას თუ წაიხსრო. ისიც ჩვენს სკოლაში მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ქართლოსი ამაცობს, მეტსახელად „დიდ მამულაშვილს“ რომ ვეძახით: იგი გვარად მამულაშვილია და, ამის გარდა, სადმე თამადად თუ აირჩიეს, ქეიფს ისე

როგორ დაამთავრებს, ერთი შვიდჯერ  
თუ არ აღდეგრძელა მამული.

— ანტონ, მომეცი სიგარეტი, — მით-  
ხრა ვაჟამ და სკამიდან წამოიწია, —  
უნდა გავსინჯო.

სიგარეტი მივაწოდე.

— ქართლოსივით არ დაგემარ-  
ტოს, — ვუთხარი მე, — პაპიროსის მო-  
წევას შეეჩვია, ყიდვას კი ვერა.

— ქართლოსი წაგებასაც შეეჩვია, —  
სთქვა რეზომ, — უკვე აღარ ბრახობს.

— ფრთხილად იყავი, — უთხრა ქართ-  
ლოსმა, — მაგ დაგვალულ ცხვირს მო-  
უარე.

— ჩემს ცხვირს შენ ვერც მიწვდები.

— რეზო ძველი მოკრივეა, — ვთქვი  
მე, — მასთან ცოტა სიფრთხილე გმარ-  
თებს.

— მართლა მოკრივე ხართ? — ჰკით-  
ხა ვაჟამ და ახალმოკიდებული სიგარე-  
ტი ზიზღით ჩააქრო.

— პირველთანრიგოსანია, — სთქვა  
ქართლოსმა, — თუ არ ტყუის.

— ერთ დროს ვიყავი, — სთქვა რე-  
ზომ, — ახლა ბავშვებს ვასწავლი.

— თქვენ ასწავლით ამ ბავშვებს  
ცემა-ტყუპას?

— რას იზამ, სპორტი.

— მე არ მასწავლით?

— სიამოვნებით. მეც წავივარჯიშებ  
ცოტას. თუ გინდათ, დღესვე დარჩით.

— დავრჩები. კარგი ბიჭები გყავთ?

— კი, ძალიან უყვართ კრივი.

— ყველაზე უკეთესი ვინაა?

— ბადრი ხატიძეა ერთი, მეთერთ-  
მეტეკლასელი. რაიონის ჩემპიონია.

— დღეს უსათუოდ დავრჩები, —  
თითქოს ვილატას ემუქრებო, ისე სთქვა  
ვაჟამ.

ვახტანგი მათალი, გამხდარი კაცია,  
თხელი თმა სანახევროდ გაჭალარავე-  
ბული აქვს.

ყველაზე უფრო მაინც მისი ხასიათი  
გვაკვირვებს. ვერასდროს ნახავთ მოწ-  
ყენილს. სულ ხუმრობს. ესეც ჩემი  
სისტემააო, ამბობს. ისეთი ხერხი ვიცი,  
ერთ მშვენიერ დღეს მთელ ქვეყანაზე

ერთ მოწყენილ კაცსაც ვერ ნახავთ,  
მისი აზრით, მოწყენის მიზეზი ყველას  
შეიძლება ჰქონდეს. მთავარად დასაწყისა  
როთ ეს, რათა სხვასაც არ გავუფუ-  
ჭოთ გუნება. ვახტანგი ამბობს, მე  
ყოველთვის ასე ვიქცევი და თვითონაც  
მშვენიერ გუნებაზე ვდგებიო. ადამი-  
ანის ბუნება ასეთია: როცა სხვას ასია-  
მოვნებ, შენც ნასიამოვნები რჩები,  
როცა სხვისი დარდის შემსუბუქებას  
ცდილობ, თვითონაც შევებას გრძნობო.  
დღეს ვაჟა მაინცადამაინც მხიარულ გუ-  
ნებაზე ვერ იყო და ვახტანგიც შეუჩ-  
ნდა: ნუ ჩამოგტირის სახე, მასწავლე-  
ბელს მოწყენის უფლება არა აქვსო.

— ეს უფლება ყველას გვაქვს, —  
მიუგო ვაჟამ.

— ყველას არა. მასწავლებელი მხო-  
ლოდ თავის თავს არ ეკუთვნის.

ვახტანგს ლაპარაკის საღერღელი  
ჰქონდა აშლილი და ყველამ მის ირგე-  
ლივ მოვიყარეთ თავი.

— როგორც მსახიობი, არა? — ჰკით-  
ხა რეზომ.

— ჰო, დაახლოებით, მაგრამ მასწავ-  
ლებელი კიდევ უფრო ძნელი ამოცა-  
ნის წინაშე დგას. მსახიობმა ცუდადაც  
რომ შეასრულოს როლი, ამით ბევრი  
არაფერი დაშავდება, მომდევნო სპექ-  
ტაკლზე გამოასწორებს ნაკლს. ცუდი  
მასწავლებლის გაფუჭებულ საქმეს კი  
არაფერი შველის. თუ ერთხელ წაი-  
ფორხილა, მორჩა და გათავდა.

— აი მე მასწავლებელი ვარ, —  
სთქვა ვაჟამ, — მაშასადამე...

— ეგ არავინ იცის, — შეაწყვეტინა  
რეზომ, — მასწავლებელი ხარ თუ არა.  
ჯერჯერობით შენ მხოლოდ ინგლისუ-  
რი ენის სპეციალისტი ხარ.

ვახტანგმა დიმილით შეავლო თვალი  
რეზოს.

— შენც გეტყობა ჩემი კეთილის-  
მყოფელი გავლენა.

— მე ხუთი წლის განმავლობაში  
ესწავლობდი მასწავლებლობას. ჰოდა.  
მაინც საეჭვოა ჩემი მასწავლებლობა?

— საეჭვოა, — სთქვა ვახტანგმა, —  
მასწავლებლობა არ ისწავლება. მასწავ-  
ლებლად იბადებიან.

— როგორც გენოსები, — სთქვა რეზომ და ვაჟას თვალი ჩაუჭრა.

გენოსობის პრობლემა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ვახტანგის „ფილოსოფიაში“.

დაფიქრებული თედო ბოლთას სცემდა სამასწავლებლოში. დირექტორი ცხრილს ათვლიერებდა. მე და ვაჟა ფანჯარასთან ვიდექით და ვლუმდით. დირექტორმა უცებ თავი ისე გადააქნია, თითქოს ცხრილში უხეში შეცდომა აღმოაჩინაო, და ჩვენთან მოვიდა.

— ხატიძე თქვენ გამოავადეთ გაკვეთილიდან? — ჰკითხა ვაჟას.

— მე გამოვადე.

— დღეს მისი მშობელი მოვა, მოვლაპარაკეთ.

— მშობელი? რა საჭირო იყო?

— მაშინ არც გაკვეთილიდან უნდა გაგეძევიათ.

ვაჟა აღმდა.

— და საერთოდ, მოსწავლის კლასიდან გაძევა წესრიგის დამყარების ყველაზე ადვილი და უფარგის გზაა. ვაჟა კვლავ არაფერს ამბობდა.

— ეს აღზრდა არაა. ეს აღზრდაზე ხელის აღებაა. ადვილ გზას კი არ უნდა ეძებდეთ. მით უმეტეს, მასწავლებლობას ახლა იწყებთ.

— მაშინ ეს ყველაზე ძნელი გზა იყო ჩემთვის, — სთქვა ვაჟამ.

დირექტორმა შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ჩვენს სასაღიფოში ერთი მაგიდაზედ ფანჯარასთან დგას. თუ ეს ადგილი თავისუფალი დამხვდა, სულ აქ ვჯდები ხოლმე. სადილის შემდეგაც კარგა ხანს ვზივარ აქ, სიგარეტს ვეწევი და მდინარის გაღმა მთებს ვაყუარებ, ან აუჩქარებლად ვსვამ ცივ ლუდს და ახალ გაზეთებს ვათვლიერებ. მაშინაც ფანჯარასთან ვიჯექით და ოფიციალტ ველოდი, რომ კარბში ჩემი ძველი ნაცნობი კოსტა მექოშვილი დავინახე. იგი დაბიდან ათიოდე

კილომეტრზე მთიან სოფელში ცხოვრობს. შორიდან გამიღიმა და ჩემსკენ შემოვიდა.

— მთელი წელია არ შეგხვედრავართ ერთმანეთს, — მითხრა დაბალი ხმით და ხელი ჩამომართვა, — მეზობლები კი ვართ.

— და ფრონტის მეგობრებიც.

— მართლაც, — სთქვა მან და დაჯდა, — ძალიან გულცივი კი გავხდით ეს ბებრები. შეგხვდით და თითქოს არაფერი.

— ძალიან დაბერებულხარ, კოსტა. მეც ასე დამეტყო ეს ერთი წელი?

— არა, შენ არ დაგტყობია. ერთი წელი ცოტაა სამაგისოდ.

კოსტა ზუსტად ჩემი ხნისა იყო. ეს მაშინაც ვიცოდი, ფრონტზე.

— კიდეც ერთი კერძი, ანა, — დავუძახე ოფიციალტს, — ლვინოც.

— მე ვეღარ ვსვამ, — სთქვა კოსტამ, — წვეთს აღარ ვსვამ.

კოსტა მოწმე იყო, რა ბეწვზე გადავრჩი ერთხელ სიკვდილს. ჩვენი ბატარეის ერთ-ერთ ქვემეხთან ვიდექით და მიდამოს ვათვლიერებდი. ჯარისკაცები გამალეებით თხრიდნენ მიწას, რომ ქვემეხი საფარში ჩაეყენებინათ. ამ დროს ერთმა ჯარისკაცმა მოირბინა და მითხრა, ამხანაგო კაპიტანო, იქ ერთი თქვენი თანამემამულე დგას, გეძახითო. მოვცილდი თუ არა ქვემეხს. რაღაცამ სახარლად დაიქუხა და ქვემეხის ნამსხვრევები მიწის ბელტებთან ერთად ჰაერში ავარდა. კაცი არ დარჩენილა იქ მყოფთაგან ცოცხალი. ასე მიხსნა მექოშვილმა სიკვდილისაგან. იგი დაიჭრა და მორჩენის შემდეგ რამდენიმე კვირით შეგბულება მისცეს. დავაბარე, თბილისშიც გაიარე და ჩემი ოჯახი ნახე-მეთქი. მაშინ შევბოლებიდან ბრუნდებოდა და რაღაც შემთხვევით გაივლო ჩვენი ბატარეის პოზიციის გვერდით.

თბილისში თინას ღალატის ამბავი გაეგო. მეზობელს ეთქვა და სწორედ

გიორგი კეკელაძე  
მეთორმეტე წარი

ამიტომ დამიძახა მაშინ, ძალიან აღშფოთებულიყო თურმე. მაგრამ იმ უბედურების შემდეგ, ჩვენს თვალწინ რომ დატრიალდა, არაფრის თქმა აღარ სურდა. მგონი დაავიწყდა კიდეც, რისთვის დამიძახა. მერე კოსტა კარგა ხანს არ შემხვედრია, არც ომის დროს, არც მას შემდეგ. არც კი ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ არა. ამ ხუთი წლის წინ კი სრულიად შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. ბევრი ვილაპარაკეთ, იმ უბედურების ამბავიც გავიხსენეთ. კოსტას მაშინვე მოეღრუბლა სახე და მკითხა, ცოლ-შვილი როგორ გყავსო. დაბრუნებისთანავე გავცილდი-მეთქი, ვუთხარი. მაშინაა მითხრა კოსტამ, იმ დღეს ფრონტზე ეს ამბავი უნდა მეთქვა შენთვის, მაგრამ ველარ ვითხაროო. მე გამეცინა, ზოგი ჭირი მარგებელია, თინას ჩემთვის რომ არ ეღალატნა, ვინ იცის, იქნებ ახლა ცოცხალიც არ ვყოფილიყავი-მეთქი.

ოფიციალტმა საკმელი და ღვინო მოგვიტანა.

— ახლა გამიჭირდა, — სთქვა კოსტამ და ჩანგალს მოჰკიდა ხელი.

ჯარში საკმაოდ ხშირად შევხვედრივარ მეჭოშვილს. მხრებგანიერი ვაჟკაცი იყო, შავგვრემანი, საშუალო ტანის, სულ მოჭიდავესავით გაჯგომული იდგა. ახლა წელში ოდნავ მოხრილიყო, გამხდარიყო და საწყალი თვალებით იტყირებოდა.

მე ღვინო დავისხი, დავილოცე და დავლიე. კოსტამ ჩიქას ხელი არ ახლო.

— სასტიკად მაქვს აკრძალული, ნუ დამაძალებ.

— შენ რაღაც სხვა გიჭირს, — ვუთხარი მე, — ველარ გცნობ.

— მართალი ხარ, — მითხრა და თვალეში განწირული კაცის შიში გამოუჩრთა, — წასულია ჩემი საქმე. კიბო მაქვს.

— ნუ ხუმრობ, — ვუთხარი მე, — თავი დაანებე სისულელეს.

— ყელის კიბო, — სთქვა კოსტამ, — ჯერჯერობით გადაყლაპვა მიჭირს. ვიცი, დამახრჩობს. ექიმს ახლოსაც არ

ვეკარები, დამაწვევენ და შემდეგ კვლავ ავდგები.

— კარგი ერთი, ნუ ჩააგონებ შენს თავს ასეთ სისულელეს. ჩაგონება ზოგჯერ ავადმყოფობაზე უარესია.

კოსტას არაფერი უთქვამს.

— თუ რამე გაწუხებს, ექიმთან მიდი, შიში საქმეს არ უშველის.

— ექიმთან მივდიოდი. ავტობუსს ვუტყდი. შენ დაგინახე და იმიტომ შემოვედი.

— სიკვდილს გადამარჩინე, გახსოვს?

— ჰო, ალბათ. თუმცა ვინ იცის. შემთხვევაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

— რას ამბობ. ნამდვილად გადამარჩინე სიკვდილს.

— შენი ბიჭი დადის ხოლმე სტუმრად?

— ხანდახან. უკვე დაამთავრა უმაღლესი. ჟურნალისტი.

— ო, გილოცავ. შენ ჩემს ბიჭს ხომ იცნობ? ახლა თქვენს სკოლაში სწავლობს, ინტერნატში. წელს გადმოვიდა. ეს ერთი თვეა, თქვენთანაა.

— მეცხრეშია?

— ჰო, სოფელში საშუალო სკოლა არა გვაქვს და ხალხიც ცოტაა.

— ვანო ხომ არა?

— ჰო, ვანო. ძალიან ზარმაცობს? დიდი ზარმაცი ვინმეა.

— არა, არ ზარმაცობს.

ღვინო დავისხი.

— შენ გაემარჯოს, კოსტა, — ვუთხარი მე, — ეგ შიში მოიცილე. ვაჟკაცი არა ხარ?

— გმადლობთ.

— რა მოიგონა, — გავიცინე მე, — რა მშიშარა ყოფილხარ, კოსტა.

— ცოლი უნდა შეგერთო, — მითხრა მან, — სისულელე იყო ამდენი ლოდინი. არც ახლაა გვიანი.

— უნდა შევიერთო, ძნელია მართო ცხოვრება.

— ჯერ არ ხარ მართო, — მითხრა მან, — ამდენი ბავშვი გყავთ. საქმეც ბევრი გაქვთ. მაგრამ სკოლიდან რომ წახვალ, მთლად რიყეზე აღმოჩნდები. იცოდე.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ ისე შევეჩვევე მარტოობას, მენანება კიდეც...

— მარტოობა რა დასანანია?  
— ყველაფერი დასანანია, შეეჩვევი კაცი.



### თავი მხუთი

დაღლილი ვიყავი და ის იყო დაძინებას ვაპირებდი, კარზე ვილაცამ დააკაკუნა. ანტონის გარდა არავის ველოდი. მობრძანდი-მეთქი, შევძახე. კარი გაიღო და ოთახში უცნობი კაცი შემოვიდა. მაგიდას მიუახლოვდა, სადამო მშვიდობისაო, მითხრა და სკამზე დაჯდა. სიგარეტი ხომ არ გაქვსო, მკითხა ბოლოს. არ ვეწევი-მეთქი, მივუღე. მაშინ თვითონ ამოიღო ერთი ცალი სიგარეტი, ასანთი გაჰკრა და მოუყიდა.

— კარგად მოწყვე?

— გმადლობთ, — მივუგე მე, — კარგად.

— ჰო, კარგად მოწყობილხარ, — მითხრა და თამბაქოს კვამლი ღრმად შეისუნთქა. — ჯერ ახალი ხარ, უკეთესაო მოიწყობი, — მერე ხელი კარისაკენ გაიშვირა, — მე აქვე ვცხოვრობ. მოპირდაპირე ოთახში. მეზობლები ვართ.

მოხარული ვარ-მეთქი, ვუთხარი.

— რუსულის მასწავლებელიც აქ ცხოვრობს, ანტონი.

— ვიცი, ერთხელ ღამეც ვავაოე მასთან.

— საუცხოო კაცია, — მითხრა ჩემმა მეზობილმა, — ოქრო კაცი, — და თითქოს ამის დასადასტურებლად. ერთხელ კიდეც ორმად შეისუნთქა კვამლი.

— თქვენ სად მოშობთ? — ვკითხე მე, — სადღაც მინახიხართ, მაგრამ ვერასწავით ვერ გავიხსენე.

— აბანოში, ცირიხლდარეში ვარ.

— ოჰ, კარგი საქმეა.

— რა უქირს.

— კარგი ოთახია, არა? — ვკითხე მე, — ზამთარში ალბათ არ შემცივდება.

— გაიყინები, — მითხრა ცეცხლფარეშმა.

— რა გამყინავს?

— არ გჯერა? მაშინ ზამთარს დაუ-

ცადოთ. ჰო, მართლა, ღამაში მეზობელი გყავს, ფრთხილად იყავი.

— ვინ?

— ჩვენი ოფიცინტი, ანიკო.

— ჰოო, ვიცი.

— ხელფასი აიღე? — მკითხა მეზობელმა.

— ავიღე.

— რადიომიმღები იყიდე, თორემ მოგწყინდება. ანტონსაც აქვს მიმღები. მეც მაქვს. თუ გინდა, ჩემთან შემოდი ხოლმე.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე, — ვიყიდი, რა დიდი საქმეა.

— ცოლის შერთვა არ გინდა?

— როგორ არა.

— შეირთე. რაღას უყურებ? შენ ხნის რომ ვიყავი, შვილიც მყავდა. მარტო რა გააძლგებინებს? ლოლას იცნობ, კულტსახლის დირექტორი რომ არის? კარგი გოგოა.

— არ გამოწყვება.

იგი შეჩერდა და დამაკვირდა.

— ჰო, შეიძლება. შენ რა გქვია?

— ვაჟა. შენ?

— გრიშა. შენ გეცოდინება, ანტონს სძინავს?

— არ ვიცი.

— მეცოდიბა ეს კაცი.

— რატომ?

— ავადმყოფია. გული აწუხებს. შეხედავ, ჯანმრთელი გეგონება, მაგრამ ძალიან აწუხებს გული. შარშან ძლივს გადაარჩა. მთელი თვე იწვა საავადმყოფოში.

გრიშა მაგიდასთან მივიდა და წიგნების ფურცელა დაიწყო. საინტერესო ვერაფერი იპოვა, მერე ინგლისურ-ქართული ლექსიკონი აიღო და მკითხა:

გიორგი კეკელაძე  
მეთორმეტე წარი

— მოტოციკლეტი ვიყვარს?  
— ისე, — მივუბნე მე, — შეშინია ზედ დაჯდომა.

— სისულელეა, რაა საშიში? ო, რა მანქანაა! გაუტეე, საითაც გინდა.

მერე ლექსიკონზე მაჩვენა:

— მათხოვე ეს წიგნი.

— რად გინდა, ინგლისურს სწავლობ?

— ინგლისურს რა მასწავლის. ისე გადავთვალე რებ.

— კარგი, წაიღე.

— კარგად იყავი.

— კარგად.

კართან მივიდა და ისევ შემობრუნდა:

— შემოიყვანე ხოლმე ის ქალი, ჩვენ თვალს დაგზნებავთ.

— როგორ გეკადრებათ!

— ერთ ხანს კბილის ექიმი დასდევდა. მგონი არაფერი გამოუვიდა.

— მე ზედაც არ შემიხდავს.

— ნუ გეშინია, — მანუგეშა გრიშამ. — შენისთანა ბიჭს სად ნახავს!

მერე ერთხელ კიდევ დამემშვიდობა, მაგრამ კართან მისულს რაღაც ისევ გაახსენდა:

— სიგარეტი არ გაქვს?

— არ ვიწვი.

— ჰო, მართლა არ ეწვივი?

— არა, არ ვიწვი.

— გინდა ჩაგიწყო საქმე?

— რა საქმე?

— ლოლასთან. ჩაგიწყო. ჩემთან ახლოსაა. ძალიან კარგი მეგობარია ჩემი. ერთხელ რაღაც როლი შემასრულებინა. კარგად ვითამაშე, მას შემდეგ დამიმეგობრდა.

— ჩამიწყვე, — დავეთანხმე და გამელიძა.

გრიშა დამემშვიდობა და წასვლისას ისე შემომხედა, მეგონა, შემეკითხებოდა, სიგარეტი ხომ არ გაქვსო. მაგრამ არაფერი უთქვამს, გავიდა და კარი გაიხურა.

დილით ანტონის ფეხის ხმაზე გამეღვიძა. ოთახში შემოსულიყო და ბოლოს სცემდა. პირველად გამიკვირდა კიდევ, რომ დავინახე. ისევ ძველ ბი-

ნაზე ვიყავი, მეგონა. დამინახა, რომ მეღვიძა და საწოლთან მოვიდა.

კვირა დღე იყო, სკოლაში ვიწვევდნენ. ლევი არ ვიყავი და ადგომაც არ მეჩქარებოდა, მაგრამ ანტონის ხათრით უარი ვთქვი იმ დიდ სიამოვნებაზე, რასაც დილით ლოგინში კოტრიალი მანიჭებდა ხოლმე. ავდექი და სწრაფად ჩავიცვი ტანზე.

— წუხელ გრიშა გავიცანი, — ვუთხარი მე.

— ო, რა თქმა უნდა, გესტუმრებოდა. კარზე დააკაკუნა?

— როგორ არა.

— პირველად ასე იცის: ცოლს გათხოვინებო, არ დაგპირდა? აუცილებლად დაგპირდებოდა. მოტოციკლეტზეც გეტყოდა რამეს, ისე არ წავიდოდა.

გაოცებული შევყურებდი ანტონს.

— წიგნსაც წაიღებდა რომელიმეს. არ წაიღო?

— როგორ არა, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი აიჩრია.

— ხომ გითხარი. ნახე, როგორ დაგიმეგობრდეს... ძალიან შინაურულია. ოღონდ ერთი ნაკლი გაქვს, ამან თუ არ შეუშალა ხელი.

— რა ნაკლი?

— პაპიროსს არ ეწვივი. ძალიან უყვარს სხვისი სიგარეტების მოწვევა. არა, ძუნწი არ გეგონოს. რაღაც განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძნობს, როცა სხვას გამოართმევს სიგარეტს. ერთხელ წამოსცდა კიდევ, ჩემი ჯიბიდან რომ ამოვიღებ, მთელი გემო ეკარგებაო. ერთ ანგლოტს ჰყვებიან გრიშაზე. აბანოში, სადაც ეგ მუშაობს, თურმე ისე მოაბეზრა თავი ყველას, რომ აღარავინ აწვივინებდა პაპიროსს, სულ უარს ეუბნებოდნენ. ამდგარა და ყველასთვის უჩუქებია სამ-სამი კოლოფი სიგარეტი, თქვენც მოწიეთ და მეც მომაწვიენით.

— ლექსიკონი რაღად უნდა?

— გადაათვალე რებს. წინასიტყვაობას წაიკითხავს. თუ დაგიგვიანოს, მითხარი, ერთად მოვძებნით.

— მოვძებნით?

— ჰო, დაეკარგება სადმე. მაგრამ მე მაინც მივაგნებ.

— ჩაი აქ ავადულოთ?

— მე უკვე ავადულე. ასეთ პატარა საქმეზე სასაღილოში აღარ დავდივარ. წამოდი, ერთად ვისაუბროთ.

საუბრის შემდეგ ანტონმა თავისი ორლულიანი თოფი ჩამოიღო, იქნებ სადმე კურღლელს წავაწყდეთო; ჩემს ზურგჩანთაში სადილი, ანკესები და ვაზნები ჩავაწყვეთ, თოფი და ჩანთა ზურგზე ამკიდა და გზას გავუღიქეთ. კარგა ხანს ვიარეთ მაღალ სიმინდებში. ცხელოდა. ოფლიან სახეზე და შიშველ მკლავებზე სიმინდის მტვერი გვეწებებოდა. ანტონს უჭირდა თავისი მტკივნეული ფეხით სიარული და წამდაღუწუშ ფორხილობდა. მაინც კარგ გუნებაზე ვიყავით. მდინარის მხრიდან სასიამოვნო ნიავე ქროდა, წყლის ზედაპირი ვერცხლისფრად ლივლივებდა. ყოველ წუთს შეგვეძლო შეეჩერებულიყავით, მდინარეში გვებანავა და მზის გულზე დაგვესვენა. მალე სიმინდებს გავცდით და მაღალი ბუჩქებით დაფარულ ნაპირს გავყევით. შუადღე რომ მოახლოვდა, კარგი სათევზაო ადგილი შევარჩიეთ, ანკესები ჩავყარეთ და მზის გულზე წამოვწექით. ჩანთა და თოფი იმდენ ხანს ვათრიე, უკვე დაღლილი ვიყავი; არც არაფერი შეგვგვედრია, რომ გულის გასახალისებლად მაინც გამესროლა. ერთ ადგილას კურღლევი წამოგვივსო, მაგრამ მაშინვე საღაღაც შეძვრა და ჩახმახის შეყენებაც ვერ მოვასწარი.

ანტონი მზის გულზე იწვა და ღრმად სუნთქავდა. როცა მზეზე ვწევარ, ასე მგონია, არასდროს არ მოგვედებო, ამბობდა; საოცარ ჯანსა და სიმრთელეს ევტრძნობ, ზამთარში კი სული მეხუთებაო. თოვლი მარტო იმიტომ მიხარია, რომ ჩემი შვილი იონა ჩამოდის ხოლმე სანადიროდ, თოვლში ნადირობა ძალიან უყვარს. თუმცა ერთი ზამთარი ისე გავიდა, ერთხელაც არ გავხსენებია.

— დრო არ ექნებოდა, — ვუთხარი მე, — ახალდამთავრებული ჰქონია უნივერსიტეტი.

— მეც ასე მგონია, — სთქვა ანტონმა.

— აი, ჩამოვა და გავიცნობ, შეიძლე-

ბა ვიცნობ კიდევ შორიდან. ფილოლოგებს ბევრს ვიცნობდი.

— მაშინვე დაგიახლოვდება, — მითხრა ანტონმა, — ძალიან უყვარს ამხანაგები.

გულაღმა ვიწეკი, ცას შევყურებდი და ანტონზე ვფიქრობდი. იგი ბევრს ლაპარაკობდა იონაზე, მეუღლე კი ერთხელაც არ უხსენებია. ალბათ ცოლი მიტოვებული ჰყავს-მეთქი, გავიფიქრე. მერე გავბედე და ვკითხე:

— იონა დედასთან ცხოვრობს?

— დედასთან, — სთქვა ანტონმა, — ექვსი წლის იყო.

მე არაფერი მითქვამს. ნეტავ რატომ მიატოვა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ამის კითხვა უკვე ვეღარ გავბედე. ან რა ჩემი საქმე იყო. ათასი მიზეზი აქვს კაცს.

— ხუთი წელი ჯარში ვიყავი, — განაგრძო ანტონმა, — იონა ერთი წლის დარჩა. ომიდან რომ დაგბრუნდი, უკვე დიდი ბიჭი იყო. იმავე კვირას სამუდამოდ წამოვედი თბილისიდან. ყველაფერი მივატოვე. მერე ასე ვხვდებით ერთმანეთს, ხან წელიწადში ერთხელ, ხან სულ არა.

— პატარა რომ იყო, დედის კალთას ვერ შორდებოდა, — ვუთხარი მე, — ახლა დიდია. თავმოწონე ყმაწვილია, აწი უფრო ხშირად ნახავ.

— ალბათ, — სთქვა ანტონმა.

შემდეგ კარგა ხანს არც ერთს ხმა არ ამოვივლია. ანტონმა ჩემი მათემატიკის მასწავლებელი მომაგონა. ისიც მართონილა კაცი იყო და ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. ხშირად დავდიოდი მის ბინაზე, როცა ამოცემულ ამოცანას ვერ ამოვხსნიდი. ამოცანას თითქმის ვერასდროს ვერ ვხსნიდი და ეს ძალიან ცუდი პოზიციაზე მაყინებდა ხოლმე. ძალიან მინდოდა, მისწავლა მათემატიკა, რადგან ინჟინრობაზე ვოცნებობდი. შინ რომ ვისტუმრებოდი, ჯერ მოციმულ ამოცანას ამომახსნიდინებდა, შემდეგ მსგავს ამოცანას დამიწირდა ქაღალდზე და მეტყობდა, აბა, ამოხსენიო. მეც ვიჯექი და ტვინს ვიჭყლეტ-

გიორგი კეჭელაძე  
მეთორმეტე წარი

დი, ის კი ილიებოდა და მიმზერდა. თითქოს მანუგეშებდა, ნუ გეშინია, ძალიან ადვილიაო. მერე მეტყოდა, ვერაფერი ვერ გაიგე? აბა, კიდევ იფიქრე, კიდევო. მე მრცხვენოდა, ძალიან მრცხვენოდა მისი და ბოლოს თავი დავანებე მასთან სიარულს. დავალებას ამხანაგებისგან ვიწერი და ისე მომიქნდა თავი, თითქოს უცებ გამეხსნა ტვინი და ამოცანებს მშვენივრად ვწყვეტდი. თუმცა მასწავლებელი ყველაფერს ხვდებოდა და მეუბნებოდა, რატომ აღარ დადიხარო.

ანტონს შეეყურებდი და წამით ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს სწორედ ის იყო ჩემი მათემატიკის მასწავლებელი, თითქოს ახლახან დამიწერა ქაღალდზე სრულიად უბრალო მათემატიკური ამოცანა, რომელიც ვერასგზით ვერ ამოვხსენი... ამოცანა მართლაც ძალიან უბრალო იყო: ომიდან დაბრუნების შემდეგ ოჯახი მიატოვა და მერე სულ მარტოდმარტო ცხოვრობს. როგორ გაუძლო ამდენ ხანს ამ მეტრისმეტად მარტივ და ერთფეროვან ცხოვრებას? რატომ არ ცდილა, შეეცვალა იგი? დაებრუნებინა ის, რაც დაჰკარგა, რაც მის ცხოვრებას ფასს შემატებდა?

უცებ მკითხა:

— რაზე ფიქრობ?

დავიბენი. მეგონა, ხმამაღლა ვფიქრობდი, ის კი მისმენდა.

— შენზე, — მიეუბნე მე, — მიკვიროს, როგორ იცხოვრე ამდენ ხანს მარტოხელამ.

ანტონმა გაიღიმა.

— მე კი დედაჩემზე ვფიქრობდი. დედა ყველას კარგი უნდა ჰყავდეს. დედა, ან ცოლი მაინც. იონა მეცოდებდა. იონას ძალიან ცუდი დედა ჰყავს. დედაჩემი კი არაჩვეულებრივი ქალი იყო. აღრე გარდამეცვალა. გინდა ვიამბო, როგორ მოკვდა?

— მიამბე, — ვუთხარი მე.

— ეს ამბავი იონასაც უნდა გუ.მ-ბო, თუმცა არა, გული ეტკინება.

— მე მიამბე, — ვუთხარი და მივუახლოვდი, — გისმენ.

— მე მაშინ თექვსმეტი წლის ვიყა-

ვი, — სთქვა ანტონმა, — და ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს. დედაჩემი ძალიან ცუდად იყო, ლოგინი მრცხვენია მეზობლები და ჩემი გათხოვილი დები თავს ადგენენ. მე უაზროდ დავგებთალობდი უბოში. მერე დამიძახეს და მითხრეს, დედას შენი ნახვა უნდაო. მივედი და საწოლთან დავიჩოქე. დედამ თავზე ხელი გადამისვა და მითხრა, ძალიან მეცოდებო, მე მგავხარ და ამიტომ მეცოდებო. არც ჩემი ძმისთვის დაუძახნია, არც მამაჩემისთვის. მხოლოდ მე დამიძახა. ისინი არ მეცოდებინაო, მითხრა. მერე უეცრად ლოგინიდან წამოიწია და ახლავე წადი აქედანო, მიბრძანა. მე ადგილიდანაც არ დავძრულვარ, თითქოს გავხვედი. ახლავე წადიო, გაიმეორა დედაჩემმა ისეთი ცივი ხმით, რომ გული გამეყინა. საშინლად მეწყინა, ისეთი ხმით რომ მელაპარაკებოდა. ჩემს სიცოცხლეში ისე არაფერი მწყენია, რადგან არ ვიცოდი, სულაც არ მივმხდარვარ, რატომ მიშორებდა თავიდან. ნაწყენი და შეურაცხყოფილი გარეთ გამოვედი. კიბეზე არც კი ვიყავი ჩასული, რომ დედაჩემმა სამუდამოდ დახუჭა თვალი. ამას მაშინვე მივხვდი დებისა და მეზობელი ქალების წივილ-კივილზე. რამდენიმე წუთს იქვე ვიდექი, სადაც ამ ხმამ მომისწრო. არც ვტიროდი, არც რამეს ვამბობდი. ერთბაშად მივხვდი, თუ რატომ ეჩქარებოდა დედაჩემს ჩემი მოცილება, რატომ მელაპარაკებოდა ისეთი ხმით. ეშინოდა, ვაითუ გაჯიუტდეს და ოთახიდან არ გავიდესო.

— შენს ძმას რატომ არ დაუძახა? — ვკითხე მე.

— ჩემი ძმა ცოტა ავი კაცი იყო. პატარაობისას სულ მეცემდა. ტყუილებურალოდ მეცემდა. ისიც მამაჩემივით მექცეოდა, თუმცა, როგორც ვითხარი, თითქმის ჩემი ტოლი იყო. ყველაზე უფრო ეს მწყენდა. ისინი ყოველთვის ერთად მიდიოდნენ საქმეზე, მე კი შინ მტოვებდნენ, დედაშენს მოეხმარეო, ჩვენ კაცები ვართო. ჩემი დები მალე გათხოვდნენ და დედაჩემს მოეხმარე არავინ ჰყავდა. მაგრამ მეც მინდოდა

„კაცი“ ვყოფილიყავი, არ მინდოდა შინ დარჩენა. ჩემი ძმა დამცინოდა, გოგო ხარ და შენც მალე გაგათხოვებთო. ამიტომაც მძულდა. მაგრამ მხოლოდ ამიტომ არა. მძულდა იმიტომ, რომ მასაც ვძულდი. ერთ ხანს ვცდილობდი, მისთვის ისეთი რამ გამეკეთებინა, რომ შევეყვარებოდი. რაც კი შემძლო, პატივს ვცემდი, ყველაფერს ვუსრულებდი, რასაც კი დამავალებდა. ხვდებოდა, ამას რატომაც ვაკეთებდი და თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს თვითონაც დიდ პატივს მცემდა. მაგრამ მალე მივუხვდი ეშმაკობას და კიდევ უფრო შემძულდა. ერთხელ მეზობლის ბიჭებმა გამლახეს. ჩემმა ძმამ ეს რომ გაიგო, მიუვარდა მათ და ცხვირ-პირიდან ძმარი აღინა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მართალია, ისიც მიხაროდა, ჩემს მტრებს ჩემი გალახვა რომ არ შერჩათ, მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვა იყო: ჩემმა ძმამ დაამტკიცა, რომ მზად იყო ჩემს დასაცავად, რომ ვუყვარდი და პატივს მცემდა. მაგრამ ჩემი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მალე მივხვდი, რომ ეს გმობობა ჩემს დასაცავად სულაც არ ჩაუდენია. არც ჩემი სიბრალული ამოძრავებდა. ეს ყველაფერი იმისთვის გააკეთა, რომ მასზე არ ეფიქრათ, ლაჩარია და ეშინია ძმას გამოესარჩლოსო. ჩემზე უფრო საკუთარ თავმოყვარეობასა და ღირსებას იცავდა. მერე, როცა წამოვიზარდე, მე თვითონ ვცემე ჩემი ძმას. ღირსი იყო, მაგრამ ახლაც ვნანობ ამას. ვნანობ იმიტომ, რომ ტალახში ამოვსვარე, რითაც უსაზღვროდ დავჩაგრე, შეურაცხვეყვი და დავამცირე. რაც უნდა დამნაშავე იყოს კაცი, მე მაინც არ ვცნობ მას დაჩაგრვისა და დამცირების ღირსად. მაგრამ მაშინ სხვა გზა არ მქონდა.

ანტონი გაჩუმიდა. მეც ვღუმედი და ველოდი, როდის გააგრძელებდა საუბარს. იგი სილაზე პირადმა დაწვა, მკერდი მზეს მიუშვია და დაიწყო:

— სხვა გზა იმიტომ არ მქონდა, რომ თვითონ დამიპირა გალახვა. ერთი გოგო მიყვარდა. მასაც მოსწონდა ის გო-

გო, მაგრამ ცოლად კი არა, ისე, სალო-  
ლობოდ უნდოდა. მე არ დავანებე და  
ცემა დამიპირა. თავლაში შემეყვარებოდა  
კუთხეში მიმომწყვდია და მითხრა, იმ  
გოგოს თავს დაანებებ თუ არაო. თუ არ  
დაანებებ, აქვე დაგახრჩობო. მერე სილა  
გამაწა. მე წელში შევეუვარდი, წავაქ-  
ციე და ვცემე. მერე დიდხანს მემდუ-  
როდა. მამაჩემმა შეგვატყუო, უბრადა რომ  
ვიყავით და მიზეზი მკითხა. არაფერი  
მითქვამს, მაგრამ მაინც გაიგო, ალბათ  
ჩემმა ძმამ უთხრა. მას, მგონი, მე ვე-  
გონე გალახული, რადგან ცალი თვალი  
ჩალურჯებული მქონდა. ახია შენხეო,  
მითხრა, უფროსს უნდა დავმორჩილო.  
იმიტომაც უფროსიო. მამაჩემი ყოველ-  
თვის ამართლებდა ჩემს ძმას. რამეს  
დააშავებდიო, მეტყობდა. ჩემი ძმაც ისე  
ჩაუტყალავდა ყველაფერს, აუცილებ-  
ლად დააჯერებდა, რომ დამნაშავე მე  
ვიყავი. ბოლოს და ბოლოს მე არც ვუ-  
ჩიოდი ჩემს ძმას მამაჩემთან. დედას  
ვეტყობდი მხოლოდ. დედა მომეფერე-  
ბოდა და დამამშვიდებდა, მოერიდე,  
ხომ ხედავ, რა მხეცი იზრდებო.

ანტონმა ნაშფვი წყალში ჩააგდო, მე-  
რე ასანთი აიღო და ფიჩხის მოგრო-  
ვებას შეუდგა.

— შენ წადი, — მითხრა მან, — თოფი  
წაიღე. იქნებ სადმე კურდღელს წააწ-  
ყდე, ამასობაში მე თევზს მოვხარშავ.  
ნანადირევს კი გრიშას მივართმევთ სა-  
ლამსო.

— გრიშას? — ვკითხე მე. — გრიშას  
რატომ უნდა მივართვათ? — ჩანთიდან  
ვაზნები ამოვიღე და თოფს მივწვდი.

— ძალიან უყვარს ნანადირევი. სამა-  
გიეროდ მისი ცოლი სამაგალითო სუფ-  
რას გაგვიშლის, იმერულ ღვინოს დაგ-  
ვალევინებს. ძმამ ჩამოუტანა ბაღდადი-  
დან.

თოფი გავტენე და მდინარეს დავე-  
ყევი. ოციოდე წუთს ვიარე სიმინდებ-  
ში, მაგრამ ვერაფერს წავაწყდი. მერე  
ხელი ჩავიქინე და გამოვბრუნდი.

— ვერაფერი? — მკითხა ანტონმა.

გიორგი კეჭაღმაძე  
მეთორმეტე ზარი

როცა ვაზნები ისევ ზურგჩანთაში ჩაყარე.

— ვერაფერი, — მივუგე დაღონებულმა.

— იონას უყვარს ნადირობა, — სთქვა მან, — ყოველ ზამთარს ჩამოდის ხოლმე და მთაში დადევარათ.

— რაზე ნადირობთ მთაში?

— კურდღლებზე ან მელიებზე. ხელცარიელი არასდროს არ დავბრუნებულვართ. იონა კარგი მსროლელია.

— ზამთარში მეც წამოვალ მელიებზე სანადიროდ.

— წამოდი, თოფს გრიშას გამოვართმევთ.

თევზი უკვე მოხარშული იყო. ვისადიროდ და გზას გავუღეკით. თოფმომარჯვებული ანტონი წინ მიდიოდა, იქნებ სადმე კურდღელს გადავეყარო.

უკვე საღამო ხანი იყო, შარაგზაზე რომ გავედით და გამვლელი მანქანა გავაჩერეთ. ნახევარ საათში დაბაში ვიყავით. გრიშა დერეფანში შეგვეჩეხა, ღიმილით შეათვალიერა ჩვენი ჩანთა, მერე თოფს შეხედა და სთქვა:

— აბა, ნანადირევი მე ჩამაბარეთ, ერთ საათში ყველაფერი მზად იქნება.

ანტონმა ნაღვლიანად შემომხედა და თავი გააქანა.

— ვერაფერი მოვკალით, — ვუთხარი გრიშას, — ხელი მოვეცარა.

— ტყუილია, — სთქვა მან და ჩანთა გამომართვა. ეს, ცოტა არ იყოს, მესიამოვნა. ასეა თუ ისე, გრიშას მაინც სჯერა, რომ ჩვენც შეგვეძლო რამე მოგვიკლა. კურდღელი არც ჩანთაში აღმოჩნდა. გრიშამ ხელი ჩაიქნია და ჩანთა დამიბრუნა.

— შაშის თამაში იცი? — მკითხა მერე.

— ვიცი.

— ვითამაშოთ. თუ მომიგებ, ბაღდაღურ ოვინოზე დავპატიყებთ.

ანტონმა იმედის თვალით შემომხედა. კარი გავაღეთ და ოთახში შევედი.

ანტონი მსაჯად დავნიშნეთ.

სამი პარტია ვითამაშეთ. სამივე რომ წავაგე, იმედგაცრუებულმა ანტონმა

წიგნებს დაუწყო ფურცლა. <sup>გრიშა</sup> გრიშა-ორჯერ ისეთი თვალით შემომხედა, — მიეხვდი, რომ ჩემი თამაშით ჩვენი იყო კმაყოფილი. ბოლოს გრიშამ მხარზე დამადო ხელი. შემატყო, რომ წაგებამ საკმაოდ დამამძარა და ღიმილით მითხრა:

— ნუ ნაღვლობ, ღვინო კარგა ხანია გამითავდა.

მე-7 კლასში ოცდათორმეტი მოსწავლეა — თორმეტი გოგონა და ოცი ვაჟი. აქედან, ჩემი აზრით, სახლში მხოლოდ სამი გოგონა თუ ფურცლავს ხანდახან ინგლისური ენის სახელმძღვანელოს. დანარჩენები, როგორც შევატყვე, სულ სხვა დანიშნულებისათვის იყენებენ ამ წიგნებს: ხან თავში ესვრიან ერთმანეთს, ხევნ ფურცლებს, თხუზნიან მელნით, უფრო ხშირად კი მის ცარიელ არშიებზე ათას რამეს ახატავენ. თითქმის ყველა სურათს, როგორც აუცილებელი სამკაული, ახლავს ერთი პიჯაკიანი ჭოკი. ამ ჭოკს თავიც აქვს და თავზე რამდენიმე წვრილ ჩხირიც, ალბათ თმის სიმბოლოდ. ეს ჭოკი, რა აქმა უნდა, მე სულაც არა მგავს, მაგრამ ხანდახან ეჭვი მებადება, მხატვარი იქნებ მე მგულისხმობდა-მეთქი. მაგონი ამ წიგნებზე ხანდახან ჯდებიან კიდევ, როცა მისი პატრონები იძულებული არიან სადმე ტალახიან ადგილას შეისვენონ, იყინებენ რომელიმე მათემატიკური ამოცანის ან მაგალითის შავად შესასრულებლად და მიწერ-მიწერის საშუალებადაც. მაგალითად, რამდენიმე წიგნზე აღმოვაჩინე ასეთი „წერილები“: „მონატრებული საღამი, ნანა, ეს წიგნი რომ მიიღო, შიგ შენი ალაგბრის რკეული ჩადე, უნდა გადავწერო. ჭოკამ არ დაგინახოს, თორემ თავზე დამახიკვს“. „ლიანა, შეხედი ჭოკას, ცალი წინდა მაგონი უკულმა აცვია“. „სოსო ცინაძე, გაკვეთილი რომ გამოვა, ცხვირს გაგიხეთქავ.“ „მაყვალა, რა სასაცილოა ჩვენი ჭოკა. შუბლზე (კარიაიანი ხილი მოისვა და მთლად მოითხუნა...“ მაგონი ჭოკა

მართლაც მე უნდა ვიყო, თუმცა ჯერ არა ვარ მთლად დარწმუნებული.

ჰო, როგორც მოგახსენებდით, მთელ კლასში მხოლოდ სამი გოგონა კითხულობს შინ ვაკვეთილს. სხვები ძალიან არიან მონდომებული, როგორმე უამისოდ იოლად წაივინდნენ. ისინი ფიქრობენ, რომ უამისოდაც შეიძლება მიიღონ სამიანი, ოთხიანი და ზოგჯერ ხუთიანიც კი...

- მე წავიკითხავ, მასწავლებელო!
- მე წავიკითხავ.
- მე, მასწ...!
- მე... მე!

გაპყვირიან ისინი ვაკვეთილზე, ხელს მალა სწევენ და ასე მოდიან ჩემს შესაგებებლად. უნდა მოუსმინოთ, რა გულისმომკვლელი კვნესა აღმოხდებათ, როცა ბოლოს და ბოლოს ვილაცას მართლა გამოვიძახებ. ერთხელ ცდა ჩავატარე და მხოლოდ იმათ ვკითხე ვაკვეთილი, ვინც ასე გაპყვიროდა. შედეგი ასეთი იყო: ათიდან ცხრამ ვერ მიაგნო იმ ტექსტს, ვაკვეთილად რომ ჰქონდათ.

როცა მე-7 კლასში ჩასატარებელი ვაკვეთილის გეგმას ვწერ, ისეთი ვაძნობა მაქვს, თითქოს ჩემს თავს ვატყუებ. ვიცი, ამ გეგმის მიხედვით მაინც არ ჩატარდება ვაკვეთილი. ძირითადი მომენტები, რა თქმა უნდა, დაემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ საერთოდ იგი მაინც სულ სხვა ხასიათს მიიღებს. მაგალითად, გულთმისანი რომ ვყოფილიყავი და წინასწარ მცოდნოდა, თუ როგორ წარიმართებოდა დღეს ამ კლასში ჩემი ვაკვეთილი, ალბათ წუხებელ ასეთ გეგმას დავწერდი:

„მასწავლებელი შედის კლასში და კართან ჩერდება. ბავშვების ერთი ჯგუფი გაშმაგებით დარბის მერხებს შუა, დანარჩენები ალბათ ცოტა ხნის შემდეგ შემოვლენ კლასში. ვილაც ყვირის:

- მოსულა!..
- უი, მართლა შემოსულა, გოგო!..
- ბიჭო, მასწავლებელი!
- მოვიდა თუ?!
- რა მალე მობრძანდებით, მასწავლებელო!

— ნახევარი ჯერ გარეთაა, მასწ... მასწავლებელი დგას და ელოდება. როდის მოძებნიან მასწავლებელი თავიანთ ადგილებს. ისინი კი ამასწავლებელს შეიძლება აჰინურებენ. კლასში ისინი მერხების სახურავების საზეიმო რახუნნი. ამასობაში გადის ხუთიოდე წუთი. მასწავლებელი მიდის მაგიდასთან და იმ დროს, მისაღმებას რომ აპირებს, იღება კარი და კედელთან მასწავლებლების კიდევ ერთი მოზრდილი ჯგუფი მწკრივდება.

- ბიჭოს, ჰოკა უკვე აქაა!
- რა გაჩქარებდათ, მასწ...!
- არ დავსხდეთ, მასწ...!
- აქ დიდხანს ვიდგებით?

— დასხედით, — ამბობს მასწავლებელი და კიდევ ელოდება ხუთიოდე წუთს, სანამ ისინიც მოძებნიან თავიანთ ადგილებს. რაც, ცოტა არ იყოს, ძნელება, რადგან მათ მერხებზე სხვები სხედან. მერე სიას კითხულობს.

— ამოიღეთ საშინაო დავალების რვეულები.

ამას მასწავლებელი ჯერ ინგლისურად ამბობს, მერე ქართულად, ან ჯერ ქართულად და მერე ინგლისურად, რათა თავიდან აცილებულ იქნას გაუგებრობა და რვეულების ნაცვლად წიგნები ან სათამაშოები არ დააწყონ მერხზე.

რვეულების შემოწმებისას მქლავნდება, რომ დავალება შინ მხოლოდ სამ მასწავლებელს შეუსრულებია, სხვას აქვე გადაუწერია თითო წინადადება, ზოგს ესეც ვერ მოუხწერია და მხოლოდ თარიღი მიუწერია. სხვებს არც ამისთვის შეუწყუხებიათ თავი. ამას გარდა, მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ათჯერ არ მოუხდეს ერთი და იგივე რვეულის შემოწმება, რადგან არც ერთ რვეულს არ აწერია პატრონის სახელი და გვარი. შემდეგ იწყება იმ მასწავლებლების დაკითხვა, ვინც დავალება არ შეასრულა. ბოლოს გამოკითხვის ჯეირიც მიდის და მთელი კლასი გაათ-

გიორგი კეჭელაძე  
მეთორმეტე ზარი

რებულ შეტევებზე გადადის, არა მე მკითხე და არა მეო.

— ზაზაძე თამაზი, — ხმამაღლა ამბობს მასწავლებელი.

ზაზაძე თამაზი მეგობრებთან საუბარს თავს ანებებს და გაჯავრებული პასუხობს:

— მე ჩუმად ვარ, მასწავლებელო. სხვები მელაპარაკებიან.

— გაკვეთილი წაიკითხე.

— ახლავე, სერ. ბიჭებო, წიგნი მომეცით!

თითქმის ყველა მერხიდან იგზავნება ზაზაძისკენ თითო სახელმძღვანელო.

— სად ვეძებო ახლა გაკვეთილი, გადამიშალეთ დროზე!

თამაზი მერხზე ირწყევა და კითხვას იწყებს. მასწავლებელი ვერ ხვდება, რომელ ენაზე კითხულობს ზაზაძე და ეკითხება:

— ზაზაძე, ინგლისურად კითხულობ?

— რა ვიცი, მასწავლებელო, თქვენ უკეთ გეცოდინებათ.

ზაზაძე ფრიადოსანია. მისი გვარის გასწვრივ ყურნალში მხოლოდ ხუთი-ანები სწვრია. ეს ამტკიცებს, რომ ბავშვი ნიჭიერია და სწავლა შეუძლია. ამიტომ უკვე მერამდენე გაკვეთილია, მასწავლებელი მას არ უწერს ორიანს და აფრთხილებს, თუ არ ისწავლი, ნიშანს დაგაკლებო.

— ზაზაძე, რა გქონდა შარშან ინგლისურში?

— ხუთიანი ჰქონდა, — ამბობს მელიქიძე, იგი მის გვერდით ზის.

ასეთ უმნიშვნელო კითხვებზე თამაზს არ უყვარს პასუხის გაცემა.

— თამაზი ფრიადოსანია, მასწავლებელო, — ამბობს გურგენიძე.

— ნუ დამიწერთ ოთხიანს და მერე ვისწავლი, — ითხოვს ზაზაძე.

— ნუ დაუწერთ ოთხიანს, მასწავლებელო, — ყვირის ბერიძე, — ცოდვია ბავშვი, გული გაუტყდება.

— ზაზაძე, არც დღეს გისწავლია გაკვეთილი? ამდენი პატივბაც აღარ შეიძლება, — ამბობს მასწავლებელი.

— იცის, მასწავ... — ექომავება მურადაშვილი.

— როგორ არ იცის, — ამბობს მელიქიძე, — გუშინ ერთად ვიყავით დინეობლით მთელი დღე.

— აცალეთ წაიკითხ... —

ეს ლოლაძეა. მასწავლებლის მოთმინების ფილა სწორედ მის სიტყვებზე ივსება. ასე უღიბლოა ლოლაძე. მისი მარჯვენა ყური მამლის ბიბლოსავითაა აწითლებული.

— ჩემთან რა გინდა, ამას უყურე ერთი!

— აი, კიდეც, — ამბობს მასწავლებელი და ბიჭს ახლა მეორე ყურიც უწითლდება.

ლოლაძე მერხზე ემზობა და ტირის. ამოდენა ბიჭია და გოგოსავით ქვითინებს. თავმოყვარეობა სულ არა აქვს ამ ყმაწვილს.

წამით ყველანი სულგანაბული სხედან და შეშინებული თავებზე უყურებენ მასწავლებელს. ხედავენ, ჯერ კიდეც არ დამცხრალა მისი რისხვა. მაშინაა შემდეგი?

მასწავლებელი მაგიდასთან ზის და ყურნალს დაჰყურებს. ლოლაძე ტირილს განაგრძობს. ხალათის სახელოებით იწმენდს ცრემლს და ბუზღუნებს: „სხვა არ ლაპარაკობდა?.. მართო მე ვიყავი?..“

მერე მასწავლებელი კალამს იღებს, მელანში აწებს და ზაზაძეს იმოდენა ორიანს უწერს, უჯრაში ძლივს ეტევა.

— ორიანი?

— მართლა დაუწერა?

— დედა, რამოდენა ორიანია! — ისმის ჩურჩული. ზაზაძე ჯერ ყურნალს დაჰყურებს, მერე ადგილიდან წამოვარდება:

— წერე, წერე! ავაშენებს ეგ ორიანი. მეტი რა იცი, აბა!

მასწავლებელს საკმაოდ გრძელი ხელი აქვს და თავისუფლად წვდება ადგილიდან ზაზაძეს, მეორე მერხზე რომ ზის.

ახლა თამაზი ტირის და ზღუქუნით ამტკიცებს, რომ იგი ჯერ მამამისსაც არ გაულახავს და ეს ვინ გამოჩნდა ასეთი, რომ მისი გალახვა ვაბედა.

ამასობაში დროც გადის და ზარი ირე-

კება. „გაკვეთილი იგივე გექნებათ“, — ამბობს მასწავლებელი, ყურნალს ხურავს და კარისაკენ მიემართება. ისმის მხიარული სტვენა, რომელიც მასწავლებლის კართან მისვლისას გამაყრუებელ ოვაციად იქცევა.“

— ბატონო თედო, თქვენ ბავშვები გყავთ?

თედომ გაოცებით შემომხედა.

— როგორ არა, ხუთი შვილი მყავს.

— გიჭირთ მათი აღზრდა?

— როგორ ვითხრა. აღზრდა, საერთოდ, ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ ეს ხომ ჩემი სპეციალობაა.

— არ სცემთ ხოლმე?

— არა, რა თქმა უნდა, არა. ცემით აღზრდა არ შეიძლება.

— არც მოსწავლეებს?

— როგორ გეკადრება!

— უცებ რომ გამოხვიდეთ წონასწორობიდან? შემთხვევით რომ... ვთქვათ, არ ვინდათ, მაგრამ შემთხვევით, ხომ შეიძლება?

— არ შეიძლება. მასწავლებელს რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს.

— ვთქვათ მაინც, აი, თქვენ რომ მოგივიდეთ ასეთი რამ, რას იზამდით?

— ვერ გეტყვი, ჩემო ვაჟა, ალბათ თავს დავანებებდი სკოლას.

არაფერი მითქვამს. თედოც დუმდა და მიყურებდა.

— თქვენ ძალიან უყვარხართ ბავშვებს, — ვუთხარი მერე, — ამიტომ არ გიჭირთ მათი აღზრდა.

— მთავარია, ბავშვები გიყვარდეს, ვაჟო. შენ არ შეგიყვარდა ბავშვები?

— არ ვიცი, მგონი არა.

თედო ღიმილით მიყურებდა. მას არ სჯეროდა ჩემი ნათქვამი. თედოს ვერ წარმოედგინა, რომ მასწავლებელს ბავშვები არ ყვარებოდა. მე კი ნამდვილად არ მიყვარდა ისინი. მე მხოლოდ ჩემი ძმისწულები მიყვარდა — ვანიკო და თეო. თითო-ოროლა სხვაც მიყვარდა, მაგრამ ყველა არა. ამაში მას შემდეგ დავრწმუნდი, რაც მასწავლებლობა დავიწყე.

სკოლის კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, ჭიშკართან სადაბო საბჭოს თავმჯდომარე დავინახე. იგი ანტონსა და თედოს ესაუბრებოდა.

— აი, ისიც, — სთქვა ანტონმა, — რა მათთან მივედი, — ბატონი ალექსი სწორედ შენ გექმბდა.

ალექსიმ ხელი ჩამომართვა. მოხუცი კაცი იყო. ფართო, ნაღვლიანი თვალები და სქელი, ჭაღარა თმა ჰქონდა. ანტონმა და თედომ ჭიშკარი გააღეს და ქუჩაში გავიდნენ.

— შენთან პატარა საქმე მაქვს, ბიძია. — მიბრძანეთ.

— გუშინ ბიჭი მესტუმრა თბილისიდან. საშუალო წელს დაამთავრა. ახლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს. შენ ჭკვიანი ხარ, გამოცდილი. მინდა, გავსაუბრო ცოტა ხანს.

სიამოვნებით გავესაუბრები-მეთქი. ვუთხარი.

— ძალიან აინტერესებს შენი გაცნობა. თუ დრო გაქვს, ბარემ წავსულუყავით. ახლა შინაა. ხვალ ისევ თბილისში მიდის.

გზას გავუდექით და თხუთმეტიოდე წუთში ალექსის სახლში ვიყავით. მისი შვილი — ტანმორჩილი, ლამაზი ბიჭი კარში შემოგვხვდა.

— სტუმარს მიხედე, — უთხრა მამამ და სარდაფისაკენ გაემართა, — მე ღვიწხოს მოგიტანთ.

— გოდერძი, — სთქვა ბიჭმა და ხელი გამომიწოდა.

— ვაჟა.

სასტუმრო ოთახში შემიძღვა. მაგიდასთან დავსხდით.

— ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა. მამაჩემს ვთხოვე, ხომ არ გეწყინათ?

— არა, საწყენი რაა.

— ნუ ვილაპარაკებთ თქვენობით, მალე მინდა შეგეჩვიო. ჩემი მასწავლებელი ხომ არა ხარ.

— არა ვარ, — ვუთხარი მე.

— არ მიყვარს თქვენობით ლაპარაკი.

გიორგი კეჭალმაძე  
მეთორმეტე ზარი

— არც მე.

შევატყვე, საკმაოდ საინტერესო საუბარი მელოდა ამ ყმაწვილთან. ნეტა მაინც რისთვის მომიწყო ეს შეხვედრა, შენობით რომ მელაპარაკოს და ცოტა ხნის შემდეგ ძმაკაცით მხარზე მიტყაპუნოს ხელი?

— გუშინ ჩამოვედი თბილისიდან პატარა საქმეზე, ხვალ ისევ უნდა წავიდე. მამაჩემმა არაფერი გვითხა?

— რა უნდა ევითხა?

— სტუდენტურ ცხოვრებაზე. ფული რამდენი სჭირდებაო და სხვა ამისთანები.

— რამდენს გიგზავნის?

— ას მანეთამდე.

— სტიპენდიაც გექნება.

— როგორ არა.

— უნდა გეყოს, მე ოცდაათზე მეტს არ მიგზავნიდნენ.

— არ დამღუპო, მამაჩემს არ უთხრა. ეგლა აკლია!

— არა, არ ვეტყვი.

— მაგას ჰგონია, თბილისში ბატივით ვარ დაბნეული. სპეციალურად მომიწყო შენთან შეხვედრა, სტუდენტურ ცხოვრებაზე გიამბობს, თავის გამოცდილებას გაგიზიარებსო.

— აჟი სთქვი, მე მინდოდა შენი გაცნობაო?

— მეც მინდოდა, როგორ არა.

— მე რა უნდა გაგიზიარო, შენც მშვენივრად იცი ყველაფერი.

მე უკვე მომიწყინდა და ვნანობდი. ალექსის რომ წამოვყევი. უარი უნდა შეთქვა, ათასი რამ შემეძლო მომემიზებინა. ახლა კი მთელი საღამო აქ უნდა ვიჯდე. კაცს ჩემთან საუბარი უნდა, ხომ არ წამოგხტები და გავიქცევი.

— შარშან ერთი ლამაზი გოგო გვასწავლიდა, — სთქვა ბიჭმა, — მაგრად ვურევედით. ვეღარ გაუძლო და წავიდა.

— არ სწავლობდით?

— რას ვისწავლიდით. გაკვეთილზე ლაზღანდარობის მეტს არაფერს ვაკეთებდით. ახლა კი ვნანობ, მაგრამ რაღა დროსია. ატამანი მე ვიყავი, მთელი კლასი ხელში მეჭირა...

ეს მეორე ბიჭი იყო. შარშანდელი

მეთერთმეტე კლასის ატამანად რომ ასალებდა ჩემთან თავს. ალბათ კიდევ ბევრი გამოჩნდება ასეთი.

ამ დროს ალექსი შემოვიდა და დოქით ღვინო შემოიტანა.

— სტუმარს პატივი ეცი, — უთხრა გოდერძის, — მე საბჭოში უნდა ჩავიდე. დედაშენი ახლავე გაამზადებს სადილს. შენთან ბოდიში, ბატონო ვაჟა.

ალექსი გავიდა.

— ბატონოო, — გოდერძიმ გაიცინა, — რა კაცია მამაჩემი.

— ახლა ნანობ, ხომ?

— კი, ძალიან ვნანობ. მანამდე ერთი ბერიკაცი გვასწავლიდა. ახლა პენსიონერია. გეცოდინება, გაბრიელ რიყამაძე. გაკვეთილზე ანეგლოტებსა და თავისი ახალგაზრდობის ამბებს გვიყვებოდა, რას ვისწავლიდით!

— ის გოგო ძალიან ბრაზობდა?

— სულაც არა, იდგა და გვიყურებდა. ლამის ტირილი დაეწყო. ერთხელ მიყვარხარ-მეთქი, ქალაღზე დაუუწერე და მაგიდაზე დაეუღდე. საშინლად გაწითლდა.

გოდერძის დედა შემოვიდა, მომესალმა და სუფრის გაწყობას შეუდგა.

— მადლობა ღმერთს, — სთქვა გოდერძიმ, — არ მოგვეკლეს შიმშილით?

— რამე ჭკვიანური უთხარი, შვილო, ამ ვიყს, — მომიბრუნდა ქაღო.

— კარგი ახლა, ნუ დაიწყებ მამაჩემით. რა ჭკვიანური უნდა მითხრას.

— ნეტა ასე დაფასებული იქნებოდე შენც და რა მიჭირს.

— მაგ ხნის მეც კაცი ვიქნები, ნუ გეშინია.

— ბევრად უფროსი ხომ არ გგონია შენზე?

— წადი ახლა და რამე დაგვიმატე, კარგ სტუმარს კარგი პატივისცემა უნდა. ქალი გავიდა.

სუფრას მივუსხედით. გოდერძიმ ჭიქები აავსო, გაგვიმარჯოსო, დაილოცა და დალია. „ბევრს კი ვერ ვსვამ, — სთქვა მერე, — ხელად ვთვრები“.

— მეც.

— მასწავლებლები საერთოდ ვერ სვამენ ბევრს.

— არ სვამენ ბევრს.  
— ჰო, ალბათ.  
— მაშ ურევდით, ხომ?  
— ძალიან. შენ არ გირევენ?  
— არც ისე, — ვიცრუე მე.  
— არ ხმაურობენ?  
— ისე, ცოტას.  
— ჰო, თუმცა ვინღა დარჩა. ჩვენი კლასი იყო მოურჯულბელი. მე ვიყავი ატამანი. ახლა ხატიძე დარჩა.  
— ახლა ხატიძეა ატამანი?  
— ჩვენს დიასახლისს გაუმარჯოს, — სთქვა გოდერძიმ და კიდევ დავლიეთ თითო ჭიქა.  
მერე დარიგება დამიწყო:  
— მაგათ თავიდან მაგრად უნდა დახვდენ, მკაცრად უნდა მოეპყრა, თორემ შეჩვევა იციან. ხანდახან გართაც უნდა გააგდო. ამის ყველაზე მეტად ეშინიათ.  
— მართალი ხარ, ეშინიათ.  
— ბისმარკა როგორ მოგწონს?  
— ბისმარკი?  
— არ იცი? ბისმარკას დირექტორს ვეძახდით. ო, რა ავი კაცია. რა ყვირილი იცის. ეს შენ გაგიმარჯოს!  
— გმადლობთ.  
— თედოა დიდებული კაცი. რანაირი ლაპარაკი იცის. დაბრძანდით. აბრძანდით. დაფასთან მობრძანდით. სულ თქვენობით გველაპარაკებოდა. თედო ყველას გვიყვარდა. დირექტორი ხომ ავია, თედოს მაინც უფრო ვუჭერებდით.  
— თედოს გაუმარჯოს, — ვთქვი მე, — ყველა კარგ მასწავლებელს გაუმარჯოს.  
— ვახტანგი არ ამბობს ხოლმე, მასწავლებელი ყველა კარგიაო?  
— ამბობს.  
— კარგი გოგონებია თქვენს სკოლაში. განსაკუთრებით მეჩხრეში. აბა, თუ მეტყვი, ვინაა მეცხრეში ყველაზე ლამაზი?  
— ყველაზე ლამაზი? მგონი ნუნუ, ცინაძე ნუნუ.  
— ნუნუ? ჰო, ისიც ლამაზია. ისევ ფრიადოსანია?  
— არ ვიცი, მე სამიანი უნდა დავუწერო.  
— ცოდვაა, ოთხიანი მაინც დაუწერე.

— ვნახოთ.  
— იქ ერთია კიდევ, ნუნუზე ლამაზი, აბა, თუ გაიხსენო, — ჭუჭჩიშვილი?  
— ჰო, მაყვალა. ინგლისურში რას უწერ?  
— მთელ სკოლაში მარტო მას ვუწერ ხუთიანს.  
— მართლა? უწინ სამებზე სწავლობდა.  
— სხვა სავნებში ახლაც სამიანები აქვს.  
— როგორ მინდოდა მაყვალას ნახვა. ხვალ მოვალ სკოლაში.  
— ჭკვიანი გოგოა, — ვუთხარი მე, — მიკვირს, რატომ სხვა სავნებში არა აქვს ხუთიანები.  
— კარგია, მაგრამ ცოტას იპრანჭება. ლამაზია და იმიტომ. ყველა ლამაზი ასე იპრანჭება.  
— მაყვალა კარგი ბავშვია.  
— ჩემია, — სთქვა გოდერძიმ, გაწითლდა და უხერხულად გაიღიმა, — ხვალ აუცილებლად გამოვივლი სკოლაში.  
თვალეებში შევხედე. ამისთვის ხომ არ მომიწვია?  
— ლამაზ გოგოებს გაუმარჯოს, — სთქვა მან, — კარგ გოგოებს.  
— არა, ანტონს გაუმარჯოს. რატომ არაფერს ამბობ ანტონზე?  
— ეჰ, ანტონი კარგი იყო, მაგრამ... — გოდერძიმ ჭიქა ასწია.  
— მაგრამ რა?  
— სულ გამოიცვალა ამ ბოლო დროს, ტყუილუბრალოდ აყვირდება ხოლმე. დაბერდა ალბათ. უწინ ყველას გვიყვარდა.  
ცოტა ხანს კიდევ ვისხედით. გოდერძიმ თავისი სტუდენტობის ამბების მოყოლა დაიწყო. ლექტორები ჩემთვის გიჟდებიანო. მეუბნებიან, რომ დაამთავრებ, აუცილებლად აქ დაგტოვებთო. დარჩი-მეთქი. ვუთხარი. ვნახოთ. შევხედავ საქმესო. ჩვენს კურსზე სულ

გიორგი კეჭალაძე  
მეთორმეტე წარბი

ბიჭები არიან, გოგოები მონატრებულ გვეყავსო. სულ ნახაზები და ნახაზები...

მე ავდექი და ბოდიში მოვიხადე.

— არ დაგველია კიდევ?

— არა, მეტი აღარ მინდა.

— ცოტა ხანს მოიცადე. დედაჩემი რამეს მოგვიტანს.

— არა, აღარ მინდა. გმადლობთ.

— ხვალ მოვალ სკოლაში.

— მოდი.

— ერთი საქმე უნდა დაგავალო. თუ არ გეწყინება.

— რატომ უნდა მეწყინოს?

გოდერძი წიგნების კარადასთან მივიდა და ერთი წიგნიდან ლამაზი კონვერტი ამოიღო. ზედ დიდი ასოებით ეწერა: „მაყვალა“; მეტი არაფერი.

— თუ არ გეწყინება, ეს მაყვალას გადაეცი.

— კარგი, რა დიდი საქმეა. — კონვერტი გამოვართვი და ჯიბეში ჩავიდე.

— კარგად იყავი.

— კარგად.

კლოგინზე წამოვწეკი და თვალები დავხუჭე. თავი ოღნავ მიბრუნდა. მერე მაყვალა გამახსენდა და მივხვდი, გოდერძისთვის წერილი არ უნდა გამომერთმია. სულ ერთია, მაყვალას მაინც არ გადავცემდი. რა სისულელე იყო! სულ დამავიწყდა, რომ მაყვალას მასწავლებელი ვიყავი. ხშირად მემართება ასე. სწორედ ის მავიწყდება, რაც მთავარია და რაც არასდროს არ უნდა დამავიწყდეს. მერე ავდექი და ანტონთან შევედი. კარზე არ დამიკაჟუნებია.

— გრიშა მეგონე, — მითხრა მან შესვლისთანავე.

— ვიცი.

— არ დაგათვრეს?

— ცოტა დავლიეთ.

— რაზე ესაუბრე?

— მომავალზე. წერილი გამომატანა შეყვარებულთან.

— შეყვარებულთან?

— ჰო, მაყვალა ქუქჩიშვილთან.

— მაჩვენე.

ანტონმა კონვერტი გამომართვა და

დახედა. მერე ასანთი აიღო. ანტონ და კონვერტს ცალ კიდეზე მოუკიდა.

— აი, შენი წერილი.

მე შევბა ვიგრძენი.

— დამლუბე?

— ასეთი რამ მეტი არ გაბედო. თუ დაგავიწყდა, მასწავლებელი რომ ხარ?

— არა.

— დაგვიწყებია. ასეთი რამ მეტი არ გაბედო.

ცეცხლმოკიდებული კონვერტი იატაკზე დაავდო.

— მართალი ხარ, — ვუთხარი მე; — არ უნდა გამომერთმია.

— შენ იცი, იმ გოგოს რა უთქვამს?

— საიდან მეცოდინება?

— ჩვენი მასწავლებელი ძალიან მომწონსო.

— მერე რა არის ამაში ისეთი?

— რა და, იმ ხუთიანზეც ეპვიანობენ ჩვენი ქალები. ერთი ხუთიანი და ისიც ინგლისურშიო?..

— ერთი გაბედონ და რამე მითხრან. რაც ეკუთვნის, ყველას იმას დაუუწერ.

— შენი ნებაა.

ანტონის ოთახიდან ცუდ გუნებაზე გამოვედი. სახლში ვეღარ გავჩერდი და კლუბში წამოვედი. ლოლა თავის კაბინეტში იჯდა და რალაცას წერდა.

— სალამი, ბატონო დირექტორო, — ვუთხარი და გვერდით მივუჯექი.

— სალამი, მასწავლებელო.

— ეგ შემდეგ დაწერე, — ვუთხარი მე, — წამოდი, ბაღში დავჯდეთ. მშვენიერი ამინდია.

ლოლა ადგა, ქალაღები უჯრამში ჩაყარა და მკლავი გამომდო. კიბე ჩავივრბინეთ და ბაღში შევედით.

— ახალს რას მეტყვი? — მითხრა ლოლამ.

— არაფერს.

ლოლამ სახეში შემომხედა.

— ნასვამი ხარ?

— ცოტა.

— მაშინაც ცოტა გქონდა დალეული, მაგრამ ძალიან ურევდი.

— ცოტაც მათრობს. ის კიდევ არ დაგავიწყდა?



— არც დამაიწყდება. დირექტორი, პროკურორი, ინჟუბატორი.

— მაშინ არ ვიცოდი, ასეთი ჭკვიანი თუ იყავი.

— მართლა ჭკვიანი ვარ?

— ძალიან.

— მე მაინც ის მირჩევნია, როცა ლამაზი ხარო, მეუბნებიან.

— მაგას სარკეში დაინახავ. ჭკუას რომ ვერ დაინახავ სარკეში.

— ისე, ლამაზი ვარ?

— ძალიან.

კლუბთან მეცხრეკლასელმა გოგონებმა ჩაიარეს და ბიბლიოთეკისაკენ გაემართნენ. ერთი მათგანი მაყვალა იყო. იგი წამით შეჩერდა და ჩვენ დავაკვირდა. მერე გაიქცა და წინ მიმავალთ დაეწია.

— საწყალი, — სთქვა ლოლამ.

— ვინაა საწყალი?

— აი, ის ბავშვი.

— მაყვალა?

— ჰო.

— ასეთ რამეს მეორედ ნულარ იტყვი, ძალიან გთხოვ.

ლოლამ გაიცინა.

— რატომ?

— ეს მეორედ მითხრეს დღეს. ერთმა კაცმა მითხრა და ძალიან მეწყინა.

სალამო ხანი იყო. მოშორებით, გრძელ მერხზე რამდენიმე ბავშვიანი ქალი იჯდა. ორი ბუთხუზა ბიჭი პატარა ურიკას მიაგორებდა. დროდადრო შეჩერდებოდნენ და რალაცაზე დავას იწყებდნენ. კაკლის ძირას მეთერთმეტეკლასელი ბიჭები დავინახე.

— გინდა, ავდგე და ფაცხაფუცხით გავრეკო აქედან?

— ვინ? — იკითხა ლოლამ და შემომხედა.

— ის ბიჭები, ჩვენი მოსწავლეები არიან.

— არა, — სთქვა მან, — თუმცა შენ მაინც არ იზამ მაგას.

— ვიზამ.

— დიდები არიან, არ შეიძლება.

— იყვნენ მერე დიდები. ჩემი მოსწავლეები არ არიან?

— აღარ შეგიყვარდა ბავშვები?

— არა. არც შემეყვარდება ალბათ. უნდა წავიდე სკოლიდან.

— გაისად აღარ მოხვალ?

— არა. აღარ შემიძლია მეტი.

— მე კი ვიცი, რომ მოხვალ.

— ბავშვები არ მიყვარს, ამიტომ არ მოვალ. უწინ უფრო მიყვარდა. ახლა დასანახავად მეჯავრებიან. შეხედე იმ პატარა ბიჭებს, ურიკას რომ მიაგორებენ. უწინ ალბათ მივიდოდი და მოვეფერებოდი, თამაშს დავუწყებდი. ახლა დავინახე თუ არა, მაშინვე წარმოვიდგინე, როგორ მოვლენ რამდენიმე წლის შემდეგ სკოლაში და ჩემს გაკვეთილზე ლაზღანდართობას დაიწყებენ, როგორ დამიძახებენ ჭოკას, საძაგლად დამხატავენ და დაფასთან რომ ვიქნები მიბრუნებული, ყურის ძირში დაქმუჭნილ ქალღს მომარტყამენ.

— სისულელეა, — სთქვა ლოლამ, — არ შეიძლება მასწავლებელს ბავშვები არ უყვარდეს.

— ეს საიდან მოიგონე?

— სიყვარულის საზომი შრომაა, დახარჯული შრომა. მასწავლებლები იმდენ შრომას და ძალ-ღონეს ხარჯავენ მათი აღზრდისთვის, არ შეიძლება არ შეუყვარდეთ ისინი.

ლოლას თვალეში შეეყურებდი.

— არ შეიძლება მშენებელს საკუთარი ხელით აშენებული სახლი არ უყვარდეს.

— ბავშვები სხვაა, — ეთქვი მე, — გაღიზიანებენ, გემტერებიან, ზოგჯერ სძულხარ კიდევ, აშკარად გრძნობ, რომ სძულხარ. ამიტომ არც შეგიყვარდება.

— ბავშვს შეიძლება დღეს სძულდე, ხვალ კი თავდავიწყებით შეუყვარდე. სწორედ ამიტომაც ბავშვი. მე თვითონ გამოვცადე ეს. ორი წლის წინათ პიონერხელმძღვანელად ვმუშაობდი თქვენს სკოლაში.

ვლუმდი და ქუჩაში ვიციკირებოდი. ბალის ჭიშკარში დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი შემოვიდა და მეორე გასასვლელისაკენ გაემართა. სალამოს სკოლის

გიორგი კეჭელაძე  
მეთორმეტე წარი

დირექტორი იყო. იგი ყოველთვის ასე ამოკლებდა სკოლისაკენ გზას. ჩვენ რომ დაგვინახა, შეჩერდა.

— ვაჟა, წამო სკოლაში, გაკვეთილებს რატომ აცდენ?

— საღამოს სკოლაშიც ასწავლი? — მკითხა ლოლამ.

— ვასწავლი, — მივუგე მას. მერე დირექტორს მივუბრუნდი: — არ მოგდივარ. მომბეზრდა თქვენი სკოლა.

— თუ არ გინდა, ბიძია, მუშაობა, კი არ გაძალებ. წამოდით ახლა და მანდ მერე იჭუჭუტეთ. ნახეს დრო...

— არ წამოვალ. არ მინდა თქვენთან მუშაობა, მორჩა და გათავდა! სულ ვაუქმით ინგლისური ენა.

— შენ ვაგაუქმებ კარგად. ცოტა ხანს იდგა და ლოლამ კარგად  
ლით შეჰყურებდა.

— შენგან კაცი არ გამოვა, — მითხრა მერე, ხელი ჩაიჭნია და გზა განაგრძო.

— უხერხულია, — მითხრა ლოლამ, — მართლა აცდენ?

— მართლა რომ ვაცდენდე, ასე დამტოვებდა? მიწაში ამოგილებს, გაკვეთილი რომ გააცდინო. დღეს თავისუფალი ვარ.

ლოლა ადგა.

— უნდა წავიდე. ახალი სურათი უნდა გავუშვათ. შენ არ წამოხვალ?

— არა, არ მინდა. კარგად იყავი.

— ნახვამდის, ვაჟა.

გაგრძელება იქნება



## მოაკ შალაგაჩიძე

### ღამენებისა

ღამენებისა, მთაწმინდის მზეო!  
ღამენებისა, წმინდაო მთაო!  
ოცნებასავით აფრინდი ზემოთ,  
ცხოვრების ჩემის უცნობო გზაო,  
ღამენებისა, უცნობო გზაო!

ახლა ნაწვიმარ ფერში იზრდება  
შორეული და პატარა ყურე,  
თეთრი გემები დაესიზმრება,  
თეთრი გემები და გაზაფხული...  
ღამენებისა, პატარა ყურე!

ღამენებისა, წყნარო გარემო,  
ცისკენ გაწვდილო ცაცხვის ხელებო  
და ვიტრინების ფართო თვალებო...  
ჩუმის ხმის თქვენში ამოძგერებამ  
მე მოსვენება არ დამანებოს!..

დგას ქართვლის დედა სინდისის თასით,  
და ჟამი წივის მახვილის პირზე...  
ვერც ქარი მკაცრი, ვერც წვიმა ბასრი,  
ვერც საუკუნის მზე მოგიზგიზე —  
დიდებას მისსას ვერ შეედავოს!  
ღამენებისა, ქართვლის დედაო!

ვხედავ, მუქდება მტკვრის სანაპირო,  
ლიმილის სიმზე ცახცახებს მწვანე...  
და ნარიყალას ბებერი ლიბოც  
ხუჭავს სიბნელით დაქანცულ თვალებს.  
ღამენებისა, აჩრდილო დიდო!

ღამენებისა, დებო და ძმებო,  
ვინც არასოდეს არ შემხვედრიხართ;  
მე თქვენს მაგივრად მსურს ვიოცნეო,  
მე თქვენს მაგივრად ვფხიზლობ და მიყვარს.  
მარად უცნობო დებო და ძმებო,  
ღამენებისა!

## იჩაკლი იჩაკული

### თორელის ფუძე

ხვესურ ქვისმთელ ოსტატს

I

ერთი პატარა, ღარიბი ქოხი  
სოფლის ნაპირას შერჩა ამდენ ხანს,  
მოხუცს მაგონებს ის წელში მოხრილს,  
დრომ რომ მოხარა და ვერ გატეხა.

ამ ქოხში ოსტატს ენთო კერია,  
და ჟანგისფერი იდგა კედელი...  
მამის თვალები შემოგვცქერიან,  
ასე ცოცხალი, ასე მეტყველი.

— ახლა ხმელეთზე უძეოდ დავალ, —  
სთქვა და დაეყრდნო ბერი ყავარჯენს. —  
რა გითხრა, თორელს იცნობდი თავად  
და ეს კედლები გეტყვის დანარჩენს...

თითქოს ჩურჩულებს ყოველი ლოდი,  
ოსტატის ხელით ნაჩუქურთმევი,  
მიკვირს, მოასწრო ამდენი როდის,  
ანდა თუ რამე დარჩა უთქმელი?!

თავს რომ შევიყრით სოფლად სწორები,  
ზამთარია თუ გამოზაფხული,

შემოგვანათებს სახე თორელის  
ჩუქურთმებს შორის გამოსახული.

II

გინახავთ მისი ნამოსახლარი  
ლოდების წყობა და მიჯრილობა? —  
კედელს ჰკიდია წამოსასხამი,  
ციხეს ატყვია სამი ჭრილობა.

დიდხანს ეკიდა ფარ-ხმალი თასმით,  
კვამლს შეერუჯა დასალიერი,  
შიგ სიჩუმეა და ბინდში ასე  
დგას სახლი მყუდრო და ცარიელი.

აღარსად ხმალი, მტერზე ნაგეში,  
ვაჟკაცთ ნაქონი და მოსახმარი,  
კედელზე, როგორც ნისლის ნაგლეჯი,  
ჰკიდია ლევა წამოსასხამი.

მისი პატრონი ხმას აღარ გვასმენს,  
ხმა აღარ გვესმის არსაიდანა, —  
მარტო სახელი დატოვა ქვაზე  
და ქვეყნის ფიქრი თან წარიტანა!



# ჭეილსკესი, ზვიგინი ჭეილსკესი

მომხრობა

თავი მეთვრამეტი

1

ეს კვირა გრიგორი ივანოვიჩისთვის ტანჯვის კვირა გამოდგა. მარტო ის რად ღირდა, რაც ზემდეგმა გენერალ გრომოვისათვის მისაწერ წერილზე იმტერია თავი.

ჯერ კიდევ ომის დროს, გრიგორი ივანოვიჩს ჰოსპიტლიდან რომ წერდნენ, ერთმა ცნობილმა პროფესორმა, დიდმა ხუმარა და ენაკვიმატმა კაცმა გამომშვიდობებისას ზემდეგს დღეგრძელობის „საიდუმლო“ გაანდო:

„გრიგორი ივანოვიჩ, კონტუზია ვერაფერს დაგაკლებთ, ას წლამდე იტოცხლებთ, ოღონდ ჩემი რჩევა არ უნდა დაივიწყოთ: მუჟეე ხასიათზე იქნებით — გაიღიმეთ, კიდევ უფრო გაგიფუჭდებათ გუნება, კიდევ გაიღიმეთ. მოკლედ, არავითარ შემთხვევაში არ ინერვიულოთ, მპირდებით?“

ხუმრობით კი შეიძლებოდა პროფესორისათვის ასეთი პირობა მიგეცა,

არაფერზე გეგავრდებო, მაგრამ აბა, ერთი სინჯეთ, თუნდაც დღე გაატართ ისე, რომ არ აღელდეთ. ტყუილი იმედია. მართალია, ხანდახან სულ უბრალო რამეზე აპილილდება კაცი. გაივლის ერთი წუთი და თვითონ მიხვდება, ტყუილად გავსკდი გულზეო, მაგრამ, ერთი მითხარით, ის რა ცხოვრებაა, ყველაფერი თუ გაზომე და ასწონ-დასწონე. ასე რომ მიყვე, მოწყენილობისაგან სული აღმოგდება, მაგრამ ამჯერად ტყუილად არ აღელვებულა გრიგორი ივანოვიჩი, ლეიტენანტმა გრომოვმა გული მწარედ ატკინა. შვილებმაც დაივიწყეს, წერილმა დააგვიანა. ნეტავ უბედურება ხომ არაფერია იმათ თავს? აბა, ამ ამბების შემყურე, რა მოგასვენებს კაცს?!

გრიგორი ივანოვიჩს ახლა ყოველდამე ომი ესიზმრებოდა. არა, დიდი ომი კი არა, ომის რალაც ერთი წამი.

რამდენჯერ მიუღია ბრძოლაში მონაწილეობა, მაგრამ ასე ცხადად, ასე თვალნათლივ ჯერ მას არც ერთი

ბრძოლა არ უნახავს. ყველაფერს ისე ხედავდა, თითქოს ასი თვალი გამობმოდეს, და რაც მთავარია, ბრძოლაში ის დაინახა, რაც ჯერ არავის უხილავს — საკუთარი თავი.

ეს ალბათ გერმანიაში ხდებოდა, იმიტომ რომ, ტყე, სადაც ბრძოლა იყო გაჩაღებული, ისე კარგად იყო მოვლილი, გასხლული და გაკრიალებული, პირდაპირ დახატული გეგონებოდა.

ცხადში შეუძლებელი იქნებოდა თავისი ასეულის ყველა მებრძოლის ერთად დანახვა, სიზმარში კი მათ თვალებსაც ხედავდა, მათ სახეებსაც: ზოგს — გაცეცხლებულს, ზოგს — ტყვილისაგან დაღმევილს, ზოგს კი მშვიდსა და უსიცოცხლოს. ეს უკანასკნელნი უკვე აღარ ეწერნენ ცოცხლებში. შემდეგ საკუთარი სახე დაინახა, ზუსტად ისეთი, როგორც მაშინ იყო: ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქარისა და დაღლილობისაგან გაცრეცილი სახე, ნიკაპზე შავი, უხეში წვერი ამოსვლოდა; მარჯვენა ღაწვზე თიხის გუნდა ჰქონდა მიმხმარი. მაგრამ გრიგორი ივანოვიჩი ზემდეგ პეტროვის სახემ კი არ გააოცა და შეაძრწუნა, არა, სახე ჩვეულებრივი ჰქონდა, — თვალებმა მოჰგვარა შიში. მას ვერც კი წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა, რომ თუნდაც ბრძოლაში კაცს ასეთი თვალეები ჰქონოდა. თვალეები არც ანთებული ჰქონდა, არც უელავდა და არც ნაპერწკლებს ისროდა. მოკლედ, არაფერი არ იყო მათში ისეთი, ჩვეულებრივ, ბრძოლაში გაფიცებული მებრძოლის თვალებს რომ მიაწერენ ხოლმე. პირიქით, მისი თვალეები უძრავად იყურებოდნენ, სითბოს კი არ ღვრიდნენ, ყინულის სიცივის აფრქვევდნენ და სწორედ ამით იწვევდნენ შიშს.

ზემდეგს ხელში ყუმბარა ჩაებღუჯა და პატარა კოშკიანი სახლისაკენ გარბოდა. რუკაზე ამ სახლს მონადირის სახლი ერქვა, პეტროვისათვის კი ეს საცეცხლე წერტი იყო. სახლის კედელს ხელის ტყვიამფრქვევით შეიარაღებული ფაშისტები ამოფარებოდნენ.

ზემდეგმა სახლს ხელყუმბარა ესრო-

ლა, კარი გაიღო. ზღურბლს შეუჩერებლად გადაევლო. ზედ შესასვლელთან, ქვის იატაკზე პირქვე ჩამხობოდა. გადახოტრილი გერმანელი იწვა. ზემდეგმა მისი გაშეშებული ხელი ჩექმის წვერით შეანძრია. ფაშისტი მკვდარი იყო.

როცა კვამლი გაიფანტა და მტვერი დაილექა, ზემდეგმა მეორე გერმანელი დაინახა. შეიძლება ბრმა ტყვიამ მას ბრძოლის დაწყებისთანავე მოუღო ბოლო. ზემდეგმა მკვირცხლად მიმოიხედა, საეჭვო თითქოს არაფერი იყო. მტერს უკვე საკადრისი მიზლოდა.

ზემდეგმა თავგადახოტრილის გვამს გადააბიჯა და გარეთ გასვლა დააპირა. კარში რალაცამ შეაჩერა. უცებ ვერც კი მიხვდა, რა მოხდა, ამიტომ არც შეშინებულა, მაგრამ როცა მიხვდა. გული ჩასწყუდა და მორგევივით შეკუმშული უძირო უფსკრულისაკენ ჩაქანა. მაშინ, ამ საშინელ წამს, გრიგორი ივანოვიჩმა სხვისი თვალით მეორეჯერ დაინახა საკუთარი სახე. პირველად მხოლოდ ტუჩები გააჩნია. ტუჩები საცოდავად შეუტოკდა და სილურჯე შეეპარა.

ადამიანს ჯერ კიდევ ედგა სული. ტუჩებს კი სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

ზემდეგ გრიგორი ივანოვიჩმა თავისი თვალეები დაინახა. თვალეებსაც სიკვდილი დაუფლებოდა. გუგებში მხოლოდ უსახლვრო სევდა ჩანდა.

გრიგორი ივანოვიჩი იმან კი არ გააოცა და შეაძრწუნა, რომ კვდებოდა, არა, ზემდეგს მხოლოდ ის აწუხებდა. სიკვდილს ასე სულმოკლედ რომ ხვდებოდა. ეს ხომ ნამდვილი სიკვდილი იყო, გარდაუვალი, დაუძლეველი. ზემდეგი პეტროვი ამას არათუ გრძნობდა, ხედავდა კიდევ. თუმცა რალაც ძალა უკან მიხედვას არ ანებებდა. ყველაფერს მიიწვინებდა ისე ნათლად ხედავდა. თითქოს კეფაზე თვალეები ესხა. ხედავდა, ნიდაყვებზე როგორ წამოიწვია თავგადახოტრილი ფაშისტი. მან პისტოლეტი ფეხზე შეაყენა და ზემდეგს კეფაში დაუმიზნა. გრიგორი ივა-

ნოვიჩს ესმოდა და ხედავდა კიდევ, თავხოტორამ როგორ გაისროლა; პისტოლეტის ლულოდან მოლურჯო ალი გამოვარდა, ალის შუაში ტყვიაც გააჩია, სწორედ ის ტყვია, რომელსაც პისტოვის ბოლო უნდა მოელო. ზემდეგი ხედავდა, ტყვია როგორ მოფრინავდა, პისი ზუზუნიც კარგად ესმოდა, იცოდა, რომ ცოტაც და ტყვია კეფაში მოხვდებოდა. თვალები დახუჭა, ზემდეგი ვაოცდა, დარტყმა არ უგრძენია. ნეტავ კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებს? განა არ იცის, რომ ტყვია სწრაფად მოფრინავს და არც მიზანს ასცდება! თავხოტორამ ზომ პირდაპირ კეფაში დაუმიზნა. ჯოჯოხეთური სატანჯველია — ელოდო ტყვიას. ჩქარა მინც მომხვდეს, ჩქარა, თორემ შიშით მანამ გამძვრება სული, სანამ ტყვია ჩემამდე მოადრწევდეს.

მაგრამ ახლა გრიგორი ივანოვიჩის მეთვალყურე ორეულმა იფეთქა. მას ახლა მთელი არსებით სძულდა ის უღონოდ ხელბჩამოყრილი, კარში უძრავად გაჩხერილი კაცი. მხოლოდ ლაჩარს შეუძლია ასე მორჩილად ელოდოს სიკვდილს. გრიგორი პეტროვი კი არასოდეს არ ყოფილა მხდალი, არც ყოფილა და არც იქნება. მაშ. ივაკეაცე, ზემდეგო პეტროვ, მხრები გაშალე, ჯარისკაცო, უკანასკნელი ძალა მოიკრიფე და გაგლიჯე შიშის შემაზრზენი ბოროცილები. აბა, ჰე, გაინძერი! დიხხარე და ტყვია უეჭველად გვერდით ჩაგეჭროლებს. გაიჭერი წინ — ერთი ნაბიჯი გადადგი და გადაჩინილი ხარ. შენი ამხანაგები აგერ არ არიან? გესმის მათი ხმა? გესმის?

ზემდეგმა პეტროვმა ამხანაგების ხმა გაიგონა. სროლა შეწყდა, ეტყობოდა, ბრძოლა უკვე დაამთავრეს, მებრძოლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. აგერ ყურში ჩაესმა ოცეულის კომორგის ალიოშინის ხმა, იგი ზემდეგს უძახის. როგორ უნდოდა, შესმინებოდა: „აქ გახლავართო“, მაგრამ ხმა დაეკარგა, ხმასაც წაერთვა სიცოცხლე. ზემდეგ მთლად ყურისძირში მოესმა მებრძოლების ლაპარაკი. ვილაცამ სთქვა: „მოე-

ში, ვერ ხედავ, მკვდარიო“. „იქნებ თავს იმკვდარუნებს? მე, ჩემო ძამო, მტერს მკვდარსაც არ ვენდობი“.

„მე კი ვენდე, — მწარედ უსაყვედურა თავს გრიგორი ივანოვიჩმა, — ვენდე და კიდევ უნდა მოკვდე, რომ ჩემი დანაშაული გამოვისყიდო, ჩემი უკანასკნელი, გამოუსწორებელი შეცდომა რომ გამოვისყიდო“.

ტანჯვა მინც გრძელდებოდა. მისთვის განკუთვნილი ტყვია მოფრინავდა, მაგრამ ვერ იქნა და ზემდეგამდე ვეღარ მოაღწია. რამდენი დარჩა სიკვდილამდე? წამი? რა ვუყოთ, თავისი სიცოცხლის ამ უკანასკნელ წამს კაცურად გაატარებს. თვალი უნდა გაახილოს! რაღაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გაახილოს! იქნებ უკანასკნელად შეავლოს თვალი ყველაფერს, რაც მისთვის უსახლგროდ ძვირფასი და სანუკვარი. იქნებ უკანასკნელად მინც შეხედოს მეგობრების საყვარელ სახეებს, მათი სისხლით მორწყულ მიწას, ცასა და მიწას, ბალახსა და ხეებს; მერე კი ჯანდაბას, სიკვდილი თუ უწერია, დაე საუკუნოდ დაეხუჭოს თვალი. თვითონ კი არაფრისდიდებით არ იზამს ამას, არაფრისდიდებით...

გრიგორი ივანოვიჩმა თვალი გაახილა. გამოეღვიძა. უკუნი სიბნელე იდგა, მაგრამ ეს მინც შინაური, შვევისმომგვრელი, სიცოცხლით სავე სიბნელე იყო. პატარა ტუმბოზე მღვიძარა და მაჯის საათი ხმაშეწყობილი ტიტიკებდნენ, წყლის მილი მოხუცივით ხრიწინებდა, სიცივეშეპარული ორთქლის ვათბობის ბატარეას ტკაცუნი გაჰქონდა, დერეფანში კი ვილაცის აჩქარებული ფეხის ხმა ისმოდა.

გრიგორი ივანოვიჩი დაიბნა, უცებ ვერ გაერკვა, სად იყო და რა ხდებოდა. დამტანჯველი სიზმრის ტყვეობას ერთბაშად ვერ დააღწია თავი.

„უნდა გავუსხლტე ამ საშინელ ტყვეობას. უნდა გავუსხლტე“.

გრიგორი ივანოვიჩი ფიცხლად წამო-

ემანუელ ფიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

იწია, მაგრამ კეფაში მწარე ტკივილი იგრძნო და ბალიშზე კენესით დაეწარცხა.

„ალბათ უხერხულად ვიწექი, — გაიფიქრა ზემდეგმა, — ეს სიზმარი კი... მაინც რა აბდაუბდა არ დაესიზმრება კაცს.“

მონადირის სახლთან ბრძოლა მართლა იყო. ახლა ზემდეგმა ცხადად გაიხსენა ეს ნახევრად მივიწყებული ბრძოლა. შეეძლო ის დღე და რიცხვიც კი გაეხსენებინა, როცა პატარა სახლთან გერმანელებს შეეჯახნენ. ისიც კარგად ახსოვდა, ვინ ხელმარცხნივ ედგა და ვინ ხელმარჯვნივ. მტრის როლდენობა, მათი ზარალიც ნათლად აღდგა მესხიერებაში. თავგადასხორილი პიტლერელი მეტყვიამფრქვევე ხელყუმბარის ნამსხვრევით იყო განგმირული. იგი ნამდვილად მკვდარი იყო და აბა, სროლა როგორღა შეეძლო. ეს გრიგორი ივანოვიჩს ზუსტად ახსოვდა.

## 2

დღემ ცუდად ჩაიარა. გრიგორი ივანოვიჩს ხელიდან არაფერი გამოსდიოდა, ყველაფერს მოთმინებიდან გამოჰყავდა. დილით კარგა ხანს ლანძღა მედღეური, ზემდეგ კი იხსახ:

„მიკეშინი შეგნებულნი და წესრიგინი ჯარისკაცია, არ უნდა მეყვირა მისთვის, საქონლის საწყობშიც არ ღირდა ერთი პირსახოცის გულისათვის ამოდენა ალიაქოთის ატეხა. წვრილმანებს აყუყვი, პირსახოცი იპოვეს. მე კი გუნება სხვასაც გაუფუფუქე და ჩემ თავსაც“.

სალამოს გრიგორი ივანოვიჩმა თავი ძალზე ცუდად იგრძნო. მერე იყო და, თითქოს ჯიბრზე, უფროსი ლეიტენანტი გრიშინი გამოეცხადა. არმიიდან განვთავისუფლდი, კლუბს ახალ უფროსს ვაბარებ და თუ შეიძლება, ჰადრაკის ორი კომპლექტი დამიბრუნეთო.

— როგორ თუ დაგიბრუნოთ?! — მოიღუშა ზემდეგი.

— როგორ და ისე. კლუბის ქონება გახლავთ.

— ნურას უკაცრავად, — აენტო გრიგორი ივანოვიჩი, — ჰადრაკი ჩვენია. მე თვითონ გამოვიწერე ასეულისათვის.

ზემდეგმა ის დღე ძლივს გაათრია, მაგრამ სალამოს, როცა თავის ოთახში ჩაიკეტა, გუნება კიდევ უფრო მოეშხამა. დიდხანს არ დაწოლილა; ეშინოდა, კიდევ ომი არ დამესიზმროსო. მაგრამ წუხანდელ კოშმარს რაკი ააე გაუბრბოდა, ალბათ იმიტომაც დაესიზმრა ზუსტად იგივე ამბავი. სიზმარში მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი შეიცვალა: განათება, მოკლულულების პოზებია, ქვის ფილების ფორმა, რომლითაც მონადირის სახლი იყო ამოყვანილი. ფინალი უცვლელი რჩებოდა: თავგადახორტილმა ფაშისტმა ისევ კეფაში ესროლა. ტყვია მოფრინავდა, მოფრინავდა, მაგრამ მიზანს ვერა და ვერ აღწევდა.

ახლა გრიგორი ივანოვიჩმა იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. განა იმიტომ, რომ ის აკვიატებული სიზმარი არ აძლევდა წოსვენებას. არა, ზემდეგი ცრუმორწმუნე დედაბერი როდი იყო, ასეთ რამეებს აპყლოდა. გრიგორი ივანოვიჩის თავზე დამტყდარ უბედურებას მიზეზიც ჰქონდა: კეფა გაუთავებლად სტიკოდა. თავი უბჭუოდა, თვალეები უეცრად უბნულდებოდა, ნერვებს ვერ იმორჩილებდა და თავსაც ვერაფრით ვერ თოკავდა.

გრიგორი ივანოვიჩს ესმოდა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ეჭიმიხათვის უნდა მიემართა, მაგრამ ეშინოდა. განა არ იცის, რასაც ეტყვიან? ამხანაგო ზემდეგო, დროა პენსიაზე გახვიდეთ და დაისვენეთო. მკურნალობაც გპირდებათო. აი, ამას ეტყვიან.

არა, ეჭიმთან ფეხს არ მიადგამს. ადგება ახლა და ანიკინთან წავა. მეგობართან, მისა გულს მესაიდუმლესთან. ხუმრობა ხომ არაა, მთელი ომი ერთად გაიარეს. ყველაფერს მოუყვება — იქნებ გულზე მოეშვას.

## 3

პოლიტბელის მოადგილე ანიკინთან რომ მიაღწიო, ფარდაგმოგებული დე-

რეფანი უნდა გაიარო. რბილ ფარდაგზე ფეხის ხმას თითქმის ვერც გაიგონებდი, სამაგიეროდ ზემდეგს საკუთარი გულის დაგადუფი გარკვევით ესმოდა. ცუდადაა გრიგორი ივანოვიჩი. გულმაც კი უღალატა...

„იქნებ დღეს არც ღირს ანიკინის ნახვა, იქნებ სჯობდეს შინ დაბრუნდეს და ლოგინში ჩაწვეს?“

დერეფნის ორივე მხარეს ოთახებია ჩაირგებული. ორპირ ქარს ერთი კარი ღრიჭოდ დაუტოვებია. ოთახიდან გარკვევით ისმოდა საბოლკო სკოლის კურსანტის ხმა: „განვლილ ომში...“

„იპ, რა იცი თქვენ ომისა, — სევდინად გაიფიქრა გრიგორი ივანოვიჩმა, — ომი თქვენთვის დიდი ხანია დამთავრდა. მე კი ახლაც ომში მივბოძებ და ბოლომდე ალბათ ვერასოდეს ვერ მივალწვე. თავბოტორა ფაშისტის ხელში ჯერ კიდევ ბოლავს პისტოლეტი. ჩემთვის განკუთვნილი ტყვია ახლაც მოფრინავს, მაგრამ მიზნამდე ჯერ არ მოუღწევია. იცი, ტყვიას ვერსად გაეჭყევი. მერედა, რა ძნელია მასთან შეჯახების მოლოდინი. მკერდში რადაცა მჩხვლეს, ძალა გამომელია, ფეხებიც მიკანკალბს. ყველაფერს სჯობია, ჩავჯდე აგერ, იატაკზე. არა, ჩავჯდე კი არა, გავიჭიმო და დავიძინო, მაშინ არც მკერდში ტკივილი შემაწუხებს და არც არაფერი. მაგრამ მე ხომ საღდაც მივდივარ. ნეტავი სად?“

გრიგორი ივანოვიჩმა თავს ძალა დაატანა, ცდილობდა, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი გაესჩენებინა. და გაიხსენა: ის მიდის ანიკინთან, ფრონტელ მეგობართან. აუცილებლად უნდა ელაპარაკოს პოლიტხელის მოადგილეს. დღესვე. გადადება შეუძლებელია. შორს არ არის, აქვეა დერეფნის ბოლოში. ერთი ათიოდე ნაბიჯი თუღა დარჩა. უნდა მივალწვიო. პოლიტხელის მოადგილესთან ყოველთვის უამრავი ხალხია, გულზე მომეშვება.

როცა ტყის ნაღირს თავს შიში დაატყდებოდა ან ტკივილი მოერევა, ყველაზე მიყრუებულ ადგილს მიაშურებს. უღრან ტყეში დაიმალება. იგი

შველსა და თანაგრძნობას არსადღა არ ელოდებოდა. ის ნადირია და ნადირთ შორის ცხოვრობს.

ადამიანი კი ასეთ შემთხვევაში აღამიანებისაყენ — თავის თანამოძმეთაყენ მიიწვეს. გრიგორი ივანოვიჩი დაემორჩილა ამ დაუთრგუნავ ძალას. იგი არც დამჯღარა და არც იატაკზე გაწოლილა.

უნდა მიაღწიოს.

უეცრად უკუწეითი გამეფდა. გრიგორი ივანოვიჩი არ იყო დარწმუნებულ, რომ ელექტრონათურები გამოთიშეს.

„არა, ეს მე ჩამიქრა თვალში სინათლე“.

სიბნელეში დერეფანი უღაბნოში გამავალ გზად იქცა, გზად, რომელსაც არსაით არ მიჰყავხარ, რადგან უღაბნოში არც გზის გამკვალავია სადმე. არც სამხრეთია, არც ჩრდილოეთი, არც აღმოსავლეთი და არც დასავლეთი... გასავათებულ და დასნეულებულ კაცს ავისმომასწავებელ სიბნელეში ჩაფლულ უღაბნოში იოლად აებნევა გზაკვალი.

„მაგრამ მე უნდა... უნდა მივალწვიო“.

ზემდეგმა კარი ხელისფათურით მოძებნა, მხრით მიაწვა და როცა ვალო, გულის გასახარად სინათლე დაინახა. შუქი მომცრო ფანჯრიდან იღვრებოდა. ზემდეგი შუქისკენ წავიდა, ეს შუქი იყო მისი იმედი, მისი სიცოცხლის მხსნელი, მისი შვება...

ზემდეგი მთელი არსებით ამ შუქისაკენ მიიწვედა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეწია მრავალი წლის წინათ მტრის პისტოლეტიდან გამოსროლილმა ტყვიამ. გრიგორი ივანოვიჩმა კეფაში მოკლე, გამაბრუებელი დარტყმა იგრძნო. ერთბაშად გაიეღვა დამაბრმავებელმა სინათლემ და კვლავ უკუწეითი სიბნელე გამეფდა. ზემდეგმა იგრძნო წამიერი, ყოვლის შთანთქმელი ტკივილი და უეცარი, თითქმის ტკბილი გრძნობა შვებისა...

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა



ვასია კატანიჩის უყვარს ამხანაგებისათვის წაკითხული წიგნების შინაარსის მოყოლა. მაგრამ მოდი და, თუ ბიჭი ხარ, გამოიცანი, ამ მოთხრობაში რა ექუთუნის ავტორს და რა კატანიჩის. ვასია მხიარული და მეოცნებე აღამიანია. იგი ხანდახან ისეთ რამეს მოჩმახავს ხოლმე, ისე „შეასწორებს“ მწერალს, რომ საბრალო თავის ნაწარმოებს ალბათ ვედარც კი იცნობს. მსმენელები, იცოცხლე, არ აკლია, მაგრამ ერთხელ თვითონაც გაოცდა, როცა თავის „აუდიტორიაში“ საშა საფონოვს მოჰქრა თვალი. კატანიჩის ვამა.

რატომაც არა! საშა თვითონაც გვირიანი ნაკითხი ბიჭია, ჰოდა, დამდგარა აგერ და მთელი საათია, სხვებზევით პირდაღებულნი უსმენს ვასიას, არც დასციინის, არც ირონიულად იღიმება.

„იქნებ მართლა მაქვს ნიჭი, ა?“ — ვაიფიჭრა კატანიჩიკმა. — მაგრამ რისი ნიჭი უნდა მქონდეს? მწერლის ხომ არა? არა, მაგიდასთან ჯდომა და წერა ჩემი საქმე არ არის. აი, სცენა სხვა საქმეა. ანდა სულ უკეთესი: „ვასილი კატანიჩიკი, მხატვრული კითხვის ოსტატი“. ტაშიც შენია და ყვეფილებიც, გოგოვებიც შენ გიპარაწვეენ თვალეებს. მოკლედი, დიდ გასაჯალში ვიქნები. აბა. კაცი უკეთესს რას ინატრებს“.

ასეთი მაცდური მომავლით შთაგონებულმა კატანიჩიკმა მსმენელების წინ ისეთი გასაჯიყებელი სასიყვარულო ისტორია დაატრიალა, რომ თქვენი მოწონებულნი. ამ ისტორიას მხოლოდ ერთი დიდი ცოდვა სჭირდა: იმ წიგნში, რომელსაც მომავალი „მხატვრული კითხვის ოსტატი“ ყვებოდა, მსგავსიც კი არაფერი ეწერა.

— ხომ გახსოვთ, ბიჭებო, აი მედდა რომ იყო, სვეტლანა, იმ გმირულ სატანკო პოლკში უქარებას რომ ეძახდნენ, — ჰყვებოდა კატანიჩიკი (ვასიას სულ მიავიწყდა წიგნი, ისიც აღარ ახსოვდა, რომ ის სვეტლანა მედდა კი არა, მასწავლებელი იყო და ერთ-ერთი

ტანკისტის მეუღლე გახლდათ) სილამაზე ყველას თავგზას ბევრი ვაქაცის გული დაკოდა უისმა სილამაზემ. მაგრამ ის, სურას უქაციავად! „შორით დაგვა, შორით აღვო“, ხომ გაგვიგონიათ, ყველას ამ დღეში აყენებდა. ჰოდა, აგერ ომის დამთავრებას აღარაფერი უკლდა. გავიხედოთ, ჩემო ბატონო, და გამოჩნდა ერთი ჯარისკაცი. შესახედავად დიდი ვერაფერიშვილი იყო, არც ტანად იყო ყარამან ყანთელი. დიდი გმირული ბიოგრაფიაც არ ჰქონია, მაგრამ... გამოჩნდა თუ არა პოლკში, ხელად მოიგო იმ უქარება ქალიშვილის გული. მერედა, არ იკითხავთ, რითი? ეგ არც მე ვიცი და არც თქვენ — ეს ამბავი საიდუმლოების ბურუსითაა მოცული. მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი: შეხედნენ თუ არა ერთმანეთს სვეტლანა და ის ბიჭი, ბევრი ლაილაი არ დაუწყიათ. ერთი ხელის მოსმით ყველაფერი გადაწყვიტეს.

— როგორ, ასე ერთბაშად? ერთი ნახვით? — იკითხა საშამ.

კატანიჩიკმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაიციანა.

— ერთი ნახვით შეუყვარდა, აბა?! თქვენ, როგორც გატყობთ, ამხანაგო საფონოვ, ასეთი ამბები ძალიან გაინტერესებთ, ა?

საშამ დაირცხვინა და არ უპასუხა. ლოყებზე სიწითლე მოედო. ცოდვა გატეხილი სჯობია და ასეთი ამბები მართლა აინტერესებდა ამ ბოლო დროს. კარგა ხანია ეჩვენება, რომ შეყვარებულთა და სწორედ ასე ერთბაშად, ერთის ნახვით მოედო სიყვარულის ცეცხლი.

ერთი ჰკითხეთ საშას: ირინას რა ფერის თვალები აქვს, ან რა ფერის თმა აქვს, ტუჩები როგორი აქვს, ან გუშინ როგორი კაბა ეცვა! მოკალით და ვერ გეტყვით, არ ახსოვს და რა ქნას. ხშირად, დილით რომ გაიღვიძებდა.

ცდილობდა, ირინას სახე მოეგონებინა. მაგრამ თავისდა გასაკვირად, ვერ ახერხებდა. თითქოს ირინა უსხეულო იყო, თითქოს არც არსებობდა.

რა თქმა უნდა, მკაცრად თუ მივუდგებით, ეს დიდი ვერაფერი სიყვარულია. შეყვარებულს თვალიც გამჭრიახი აქვს და მებსივრებაც. ალბათ ცდება საშა — უფრო სიყვარულის სურვილი ჰკლავს და არა თვით სიყვარული.

გასაკვირი არაფერია. იქნება ცდება კიდევ. იქნებ კი არა, ნამდვილად ცდება. მაგრამ თვითონ... თვითონ რას წერს თავის ლექსებში. წერს, რომ ირინა უყვარს თავდავიწყებით, უყვარს უსაზღვროდ, მასზე ამოსდის მზე და მთვარე...

საშას ეჩვენებოდა, რომ მისი ლექსები ცეცხლითა და ვნებით იყო სავსე, სადაც ყოველი სიტყვა საშინლად ვარვარებდა. როცა თავისი აზრი სერგეი ბრაჟნიკოვს გაანდო, მან გაიცინა:

— რაო, რას ამბობ, გავარვარებულაო? ნეტავ ამ სიმშურვალეს რა ქალაღმა გაუძლო, ფერფლად რომ არ იქცა?

საშას არ სწყენია. მეგობრის დაცინვა ახლა გულზე არ ხვდებოდა. ახლა საშა მხოლოდ ერთი საქმით იყო გატაცებული — მთელი თავისუფალი დრო იჯდა და ლექსებს თხზავდა სიყვარულსა და მიჯნურობაზე.

იგი პოეტობამ ისე გაიტაცა, პაემანზე წასვლაც კი აღარ იზიდავდა. როცა ირინას ნახვის საშუალება მიეცემოდა, გული სწყდებოდა, რომ ლექსების წერა უნდა გადაედო. თუმცა საფონოვი საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელდა, რომ რვეულთან განმარტობა უფრო დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ვიდრე სათაყვანებელ ქალიშვილთან ყოფნა. ეს კი მართლაც ასე იყო. ამიტომ ყოველთვის, როცა ირინასთან პაემანზე მიეშურებოდა, საშა სერგეი ბრაჟნიკოვს ებეჭებოდა, წამომყვირო.

— მე რად გინდივარ? — ეუბნებოდა სერგეი, — ასეთ საქმეში, ჩემო საშა, მესამე კაცი ყოველთვის ზედმეტია.

— კარგი ერთი, — აღშფოთდებოდა

ხოლმე საშა, — რა განსაკუთრებული საქმე მე მაქვს! საშინი რომ ვართ, უფრო მეტი ხალისია. ესეც რომ არ იყო, ირინას უხარია შენი მოსვლა. ის კი არა, ჩემზე უფრო შენი დანახვა უხარია.

— აი, ახლა კი აურიე, — რატომღაც ბრაზდებოდა სერგეი, მაგრამ ბოლოს მაინც თანხმდებოდა, მეგობარს ხათრს არ უტეხდა.

— ჯანდაბას შენი თავი, წავიდეთ, რაკი ასეთი უშნო და უხეირო ხარ. რომ პაემანზე კაცმა ხელჩაკიდებული უნდა გატაროს, სხვა რა გზა მაქვს.

სერიოჟა გულწრფელად ფიქრობდა, რომ საშა ირინას დანახვაზე ფრთხილდა და იზნეოდა. ბრაჟნიკოვს უკვირდა, ასეთ კარგ, გულღია ქალიშვილთან საშას ნეტა ელეთ-მელეთი რატომ მოსდისო. თვითონ ირინასთან თავს ლალდ გრძნობდა.

„ისეთი ჰქვიანია, შევიძლია ყველფერზე ელაპარაკო. მე შენ გეტყვი და ვერ გაგიგებს. საშა თავს ტყუილად იკატუნებს. ვითომდა ჩემთვის ყველფერი სულ ერთიაო. ეჰ, საშა, ფრთხილად იყავი, არ გადაამალაშო, თორემ გამონრდება ვინმე ყოჩალი ბიჭი და ამ შენს ირინას თვალსა და ხელს შუა წაგართმევს. ნეტა მაშინ რა ხასიათზე დადგები?“

ეს ყოჩალი ბიჭი ხომ შეიძლებოდა თვითონაც ყოფილიყო? ეს სერგეის აზრადაც არ მოსდიოდა. მას მოსწონდა ირინა და საშასაგან განსხვავებით მისი სახის ყოველი ნაკვთი ახსოვდა. ქალიშვილის ნალაპარაკებს კი გაცნობის წუთიდან დღემდე სიტყვა-სიტყვით გაგიმეორებდათ.

ბრაჟნიკოვი ირინაზე ხშირად ფიქრობდა, ფიქრობდა თბილად, ნაზად. ქალიშვილი თითქმის არასდროს არ ავიწყდებოდა, მაგრამ ეს როდი აშინებდა. ქაბუქს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ მის გულში დიდი გრძნობა იზადებოდა.

ემანუელ ფეიგინი  
ჰარისკაცი, შვილი ჰარისკაცისა

„რას ამბობთ, რას! ამის გაფიქრება კი არ შეიძლება. ირინა ხომ საშას სატრფოა!“

5

იმ დღეს სერგეიმ შეამჩნია, რომ საშა ქალაქში წასასვლელად დათხოვნას არც აპირებდა. ბრაჟნიკოვმა მეგობარს შეახსენა, გახსოვს, ირინას რომ დაპირდი, კინოში წავიდეთო?

— მე კი არა, შენ დაპირდი, — უპასუხა საშამ.

— მე?!

— კარგი, გული ნუ მოგდის, ორივენი დაეპირდით. წავიდეთ, მაგრამ რომ იცოდე, როგორ არ მინდა დღეს სადმე წასვლა. შენი არ ვიცი და ახლა მარტო ყოფნას არაფერი მირჩევნია. კაცი ყაზარმაში რომ ცხოვრობ, დღე და დამე ხალხში ტრიალებ. ხანდახან განმარტობა მომენტატრება. მონატრებას ვინ დაეძებს, ხანდახან საჭიროცაა, კაცი მარტო დარჩე, რალაცაზე დაფიქრდე, თორემ შეიძლება ფიქრსაც გადაეჩვიო. შენ კი ამბობ — კინოში წავიდეთო.

— მე კი არა და... მე რა, თუ ძალიან გინდა, გაითხარე სორო და იცხოვრე შიგ მარტო.

— ასე ხომ? შესავალი მზად არის, — გაეცინა საშას, — ახლა შენ ჩემს სისხლში გამჯდარ ინდივიდუალიზმს მისდგები... სჯობია წავიდეთ!

სერგეი ბრაჟნიკოვს ხმა არ ამოუღია, ან კი რა ჰქონდა სათქმელი? ისედაც გამოდის, რომ ირინასკენ მას უფრო მიუწევს გული, ვიდრე გამიჯნურებულ საშას. „გამიჯნურებულს? ვითომ? აჰ, ამაზე ფიქრი აკრძალულია. არ გაბედო! ამაზე მარტო ფიქრიც კი ღალატის ტოლია.“

...ირინა მათ შეპირებისამებრ წიგნის მალაზიის შესასვლელთან უცდიდა. ის ამ მალაზიაში მუშაობდა გამყიდველად. ირინა ჯერ ბაიბურშიც არ იყო, რომ დაუწერელი, მაგრამ ურყევი სამართლის ძალით იგი უკვე ვილაცის სატრფოდ ითვლებოდა. მას წარმოდგინაც კი არ ჰქონდა საშა საფონოვის მგზნე-

ბარე ლექსებზე. ამიტომ ირინა მუშაობდა მეგობარს ერთნაირად ექცეოდა. ველ შემთხვევაში ცდილობდა ერთნაირად მოქცეოდა, რა თქმა უნდა, ადვილად შესაძლებელია, რომ ეს უწყინარი ქალური ეშმაკობაც იყო. ალბათ ერთ-ერთი ჭაბუკი მეორეზე მეტად მოსწონდა. განა ბუნებრივი არ არის? ალბათ მისმა გულმა არჩევანი უკვე ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა. ნეტავ ვინ არის ბედნიერი რჩეული? საშა საფონოვს ნამდვილად ჰგონია, რომ თვითონაა ეს ბედნიერი ახალგაზრდა. სერიოჟას კი...

— რა კარგია, რომ მოხვედით, ბიჭებო, — სთქვა ირინამ და ამხანაგებს ორივე ხელი ერთად გაუწოდა, — მაგრამ კინოში წასვლა რომ არ მინდა? ამბობენ, უხეირო და მოსაწყენი სურათიაო. მოდი, გავისეირნოთ, მერე კი კულტურის სასახლეში წავიდეთ. მეონი, დღეს ცეკვები უნდა იყოს.

ისინი კაი ხანია მიეჩვივნენ ასე სეირნობას. ქალაქის ძველ პარკში საკუთარი გზაც კი ჰქონდათ ამორჩეული. ისინი ჩვეულებრივ... მაგრამ დღეს საშა ჩვეულებრივს არ ჰგავდა.

— პარკში ახლა სინესტეა და სახალისო არაფერია. სჯობია ქუჩებში ვიხეტიალოთ, — სთქვა საშამ.

არავინ არ შეკამათებია, მაგრამ საშამ მაინც ვერ მოისვენა. ცდილობდა. რაც შეიძლებოდა გესლიანი სიტყვები მოეძებნა ქუჩა-ქუჩა სეირნობის განსაქიქებლად.

„ნეტავ დღეს რა ბზიკმა უკბინა, რა ამბავშია? — გაიფიქრა სერგეიმ, — ბუზლუნებს, ღრინავს. იქნებ ეკვიანობა? ტყუილად. მე ვიყავი და ვიქნები კიდევ მისი ერთგული მეგობარი.“

— დღეს რაღაც ცუდ გუნებზე ხარ. საშა, — შენიშნა ირინამ.

— არაფერიც, მშვენიერ ხასიათზე გახლავართ, — უპასუხა საშამ.

საფონოვმა იცრუა. მოშხამულ გუნებაზე იყო. თითქოს ვილაცამ ხელის ერთი მოქნევით აუხილა თვალიო. საშამ უცებ იგრძნო, რომ ირინა სრულეზით არ უყვარდა. სიცრუე კი, თუნდაც უთქმელი, საშასთანა უეშმაკო, პატიო-

სანი კაცისათვის ამხარზენი და შესა-  
ზიზღი რამ არის. მან კი მთელი რვეუ-  
ლი სასიყვარულო ლექსებით ააჭრელა.

„ვაი, სირცხვილო?! ახლავე უნდა  
მოსპოს ეს ცრუ, ყალბი ლექსები,  
ახლავე.“

— მაპატიეთ, ამხანაგებო, — აზნეუ-  
ლად, დამნაშავესავით სთქვა საშამ, —  
მაგრამ, დამეიწყა... სასწრაფო საქმე  
მაქვს. ახლავე ყაზარმაში უნდა გავბ-  
რუნდე. არა, არა, შენ დარჩი, სერიო-  
ჟა, მე მარტო...

მისი წასვლა გაქცევას უფრო ჰგავ-  
და. მეგობრები დიდხანს გაჰყურებდ-

ნენ მიმავალ საფონოვს. ვერაფერი გავ-  
გოთ, მაგრამ როცა საშას წასვლის  
მიზეზს მიხვდნენ, ერთმანეთს შეხვედნენ  
და სიცილი წასკდათ.

ერთი ჰკითხვით, რა აცინებთ, ვერა-  
ფერს გეტყვიან. უბრალოდ იცინიან,  
გულზე მოეშვათ და თავი ჩინებულად  
იგრძნენ. იცინიან ისე, უმიზეზოდ.

— კიდევ დიდხანს ვიდგებით? —  
იკითხა ირინამ. სერგეიმ ქალიშვილს  
ხელი გამოსდო და პირზე ღიმორე-  
ულმა სამართლიანად გაიფიქრა: „მესა-  
მე ასეთ საქმეში ზედმეტია და წავიდა  
კიდევ.“

## თავი მეთექვსმეტი

### 1

ვასილი მიხაილოვიჩი მოულოდნე-  
ლად ჩამოვიდა, შვილიშვილისთვის წი-  
ნასწარ არაფერი შეუტყობინებია. რო-  
ცა ლეიტენანტ გრომოვს უთხრეს,  
პოლკის შტაბში გენერალ გრომოვთან  
უნდა გამოცხადდეთ, გენადიმ გაიფიქ-  
რა, მამაჩემი იქნებო. უნდა გამოვტყ-  
დეთ, მამის ჩამოსვლა მაინცადამაინც არ  
ეჭაშნიკა. გენადიმ კარგად იცოდა, რომ  
მამას არასოდეს არ ეცალა. რაკი მან  
საქმეები გადასდო და ჩამოვიდა, ახალ-  
გაზრდა ოფიცერს შეხურება არ ასცდებ-  
ოდა. გასაგები იყო, რომ მამამისი  
ვარიას ისტორიის გამო იქნებოდა გა-  
ცოფებული. მკაცრი და მომთხოვნი  
მამისაგან სახეიროს არაფერს ელოდა.

„ღმერთო, რა უდროო დროს ხდება  
ყველაფერი. ჭრილობა ჯერაც არ მომ-  
შუშებია, ოდნავ, რომ ვინმე შემეხოს,  
ტკივილისაგან მგელივით მოვრთავ  
ყმილს.“

გენადიმ შეება იგრძნო, როცა პო-  
ლიტხელის კაბინეტის კარი შეაღო და  
ტანმორჩილი, წელში მოხრილი, ჩა-  
ფართხუნებულპალტოიანი მოხუცი და-  
ინახა.

„ბაბუა! რა კარგია, ბაბუა რომ ჩა-  
მოსულა.“

ბაბუა მას არასოდეს არ გასწყრო-  
ბია. არც ახლა დაუწყებებს ჭკუის სწავ-

ლებას. ალბათ ძველებურად, უბრა-  
ლოდ გაესაუბრება და ყველაფერი  
ამით დამთავრდება. იქნებ შვილი-  
შვილს უშველოს კიდევ ხლართების  
გახსნაში, იქნებ ყველაფერში გაარ-  
კვიოს, ბურუსი გაჰვანტოს, გაუგებარ  
ამბებს ნათელი მოჰფინოს.

— გმადლობ, ბაბუ, რომ არ დამივი-  
წყე.

— შენ თავს რა დამივიწყებ, ბიჭო,  
ერთადერთი მყავხარ, — უპასუხა ვა-  
სილი მიხაილოვიჩმა და შვილიშვილი  
გულში ჩაიკრა.

— ჩამოფრინდი, ბაბუა?

ვასილი მიხაილოვიჩს ნაღვლიანად  
ჩაეცინა.

— ჩამოფრინდი კი არა, მატარებ-  
ლით ძლივს ჩამოვიჩანდი.

გენადის გაუკვირდა: „ბაბუა და წუ-  
წუნია? რა მისი საკადრისია.“

შვილიშვილმა ბაბუას შეხედა და  
გული სევდით შეეკუმშა. სულ ერთი  
წელია, არ უნახავს და როგორ მოტეხი-  
ლა მოხუცი გენერალი. ერთი წლის  
წინ ჭარმაგად გამოიყურებოდა. ახლა  
კი მთლად მობერებულა.

ეტყობა, ჯანზეც ვერ უნდა იყოს

---

ემანუელ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

კარგად. გულაჩუყებულმა გენადიმ კინადამ ჰკითხა — ბაბუა, ეს რა მოგსვლიაო, მაგრამ დროზე მიხვდა, ასეთი შეკითხვა რა უაზრო იქნებოდა.

კარზე დააკაუნეს და კაბინეტში მასპინძელი — პოლიტხელი, პოდპოლკოვნიკი ანიკინი შემოვიდა. მან ვასილი მიხაილოვიჩს თავისი თავი წარუდგინა და როცა მოხუცი გენერალი გულთბილად მიესალმა, სთქვა:

— მე, ამხანაგო გენერალო, ერთხელ უკვე შეგხვედრივართ, მართალია, კარგა ხნის წინ — 1942 წელს, თებერვალში.

— მაშ, სარნის რაიონში, ხომ?

— დიახ, ამხანაგო გენერალო, სარნის რაიონში.

— პარტიზანი იყავით?

— წელიწადზე მეტი. სანამ დავიჭრებოდი, თქვენი იქაური მეზობლის რაზმში ვიბრძოდი.

— მაშინ, თებერვლის ბრძოლებში, მაგრად დაგვეხმარეთ. თქვენი რაზმი რომ არ მოგვეშველებოდა, გერმანელები გაგვსრესდნენ. ასე რომ, მადლობას გიცხადებთ, პოდპოლკოვნიკო. სიხარულით გართმევთ ხელს!

ანიკინმა დაირცხვინა:

— გმადლობთ, ამხანაგო გენერალო. მაგრამ მე პირადად... მაშინ თქვენ რას უნდა დაგხმარებოდით? ჯერ კიდევ რიგითი ჯარისკაცი ვიყავი.

მოხუცი გენერალი მოიღუშა:

— არასწორად მსჯელობთ, პოდპოლკოვნიკო. პოლიტიკური მუშაკი კი ბრძანდებით. რიგითი! ამაშია სწორედ ძალა, რიგითი რომ იყავით. პიტლერელებისათვის ვისვრიათ?

— მისვრია.

— მოგიხვედრებიათ?

— ვახვედრებდი ხოლმე.

— ესე იგი, გვეხმარებოდით. თქვენი ამბობთ... კარგი, წავიდეთ, გენადი, პოდპოლკოვნიკს ხელს ნუ შეეშლით.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო გენერალო, კვირა დღეს რა საქმეები უნდა შექონდეს, — შეიცხადა ანიკინმა. — ნება მომეცით, შეგიკითხოთ, ქვეგანაყოფში გავლას ხომ არ ისურვებდით? ნახავ-

დით, როგორ ვცხოვრობთ, ხალხსაც გაესაუბრებოდით.

— ჯერ შეილიშვილთან შევალთ და ცოცხალი შევხვდებით. შეილიშვილიც შინაური საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი.

— მაშინ, ნება მომეცით, მანქანა გამოვაყვანიო.

— გმადლობთ, ჩვენ ფეხით გავივლით. მერე, თუ რაიმე დაგვჭირდა. გეტყვით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, არ მომერიდება. რაც არ უნდა იყოს, ერთად გვიბრძოლია.

2

გენადი თავს უხერხულად გრძნობდა, როცა შემხვედრი ჯარისკაცები გენერალ გრომოვს კი არა, მას — ლეიტენანტ გრომოვს ესალმებოდნენ. მაგრამ აბა, ერთი მითხარით, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ აგერ, სამხედრო ქალაქში ჯოხის კაკუნით მიმავალი მოფამალებული მოხუცი გენერალი ვახლდათ? მოხუცს კი პატრეი უნდა სცენ, ხალხში ასეა მიღებული, მაგრამ წესდებით ეს არაა გათვალისწინებული — სამხედრო სამსახურში აუცილებელი როდია. მოხუცი ჩინითაც სხვებზე უფროსი იყოს. გენადის ეს მშვენივრად ესმოდა. შარს ვერავის მოსდებდა, მაგრამ მაინც ეუხერხულებოდა და სწყინდა. რაც მთავარია, ბაბუა ეცოდებოდა.

„რა დაუნდობელია მაინც სიბერე, როგორ მოტეხა ეს რკინასავით კაცი! საწყალი ბაბუა!“

გენადის უცებ ერთი მოსკოვური მზიანი დღე გაახსენდა. ვასილი მიხაილოვიჩი ორდენის გადასაცემად კრემლში მიიწვიეს. გენადი მაშინ ათი წლის ბიჭი იყო. ბაბუა და შეილიშვილი შეთანხმდნენ, რომ გენადი ბაბუამისს ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან დაელოდებოდა. ბაბუა დაპირდა, მოსკოვის ქუჩებში გაგასეირნებო. ღმერთო, რა იყო ის სეირნობა? თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება გენადის. გენერლის მუნდირში გამოქიმული ბაბუა ლამაზი, დიდებული შესახედავი იყო, მკერდი ორდენებითა და მედლებით ჰქონდა დამშვენებული. სახელ-

განთქმულ პარტიზანულ მეთაურს შემხვედრი ჯარისკაცები და ოფიცრები ისეთი მოწიწებით უღებდნენ ხელს, გამვლელებიც ისე გულითადად უღიმოდნენ, რომ ბაბუსს დიდებით შუქმოფენილ გენადის ეჩვენებოდა, სკოლაში ცული ნიშნებით გამწარებული ათი წლის ბიჭბუჭა კი არა, მეც რაღაც სხვა კაცი ვარო.

ახლა კი... აბა, ახლა ვის მოუვა ახრად, რომ ეს გაცვეთილ პალტოში გამოწყობილი მოხუცი სწორედ ის სახელგანთქმული პარტიზანი გენერალია, რომელზეც ომის დროს ლეგენდები დადიოდა?

გენადიმ ოხვრა გულში ჩაიხშო.  
— ბაბუა, — სთქვა მან საყვედურითანი კილოთი, — რა იქნებოდა, სამოქალაქო ტანსაცმლით რომ არ ჩამოსულიყავი, უხერხულიც კია, გენერალი სამხედრო ნაწილში ასე გამოცხადდეს...

— შე შვილიშვილთან ჩამოვედი, სამხედრო ნაწილში კი არა.

— მერე, შენი შვილიშვილი სამხედრო და შენს გენერლის მუნდირს პატივსა სცემს.

— შე არ ვცემ პატივს, თუ რა გგონია? პატივს რომ ვცემ, სწორედ იმიტომ არ ჩავეცივი. ახლა მე რომ მუნდირი ჩამაცვა, ბოსტნის საფრთხობელას დავემსგავსები. არა! როცა მოვკვდები, მუნდირში მაშინ გამომაწყვეთ, უკანასკნელი პარადისათვის, — უხალისოდ გაიცინა ვასილი მიხაილოვიჩმა.

ერთი ახლა მოხუცი გენერლის სულში ჩაგახდათ?

„მუნდირის ღირსება! ჯარისკაცის მუნდირი, — ბუტბუტებდა იგი თავისთვის, — ერთი მაცოდინა, ჩემ შვილიშვილს როგორ ესმის ეს სიტყვები? რას ხედავს ამ სიტყვებში, მინდა ვიცოდე“.

ვასილი მიხაილოვიჩი შვილიშვილს დაჟინებით მიაჩერდა. გენადი შეიშმუშნა: მართალია, ბაბუსას თვალებს ძველებური ციცხლი აღარ ჰქონდა, მაგრამ გენადის ეჩვენებოდა, რომ ბაბუამისი მის სულსა და გულს ძველებური გამჭ-

რიახობით სჭვრეტდა. წინათ, ბავშვობა რომ იყო, გენადი არც ცდილობდა ბაბუსასათვის რაიმე დაემალა. ახლა კი... „ბავშვი ხომ არა ვარ... ამდენი წლის განმავლობაში სულსა და გულში იმდენი რამე დამიგროვდა, ის მხოლოდ მე მეკუთვნის, მე და არავის სხვას!..“

— რას მიყურებ, ბაბუა? თითქოს ვერა მცნობ, — უხერხულად და, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა გენადიმ.

— ჰო, თითქოს ვერა გცნობ, — დაუდასტურა ვასილი მიხაილოვიჩმა, — რაღაც გამოცვლილი მეჩვენები.

— რას ამბობ, ბაბუ, რაც ვიყავი. ისევე ისა ვარ, — მთლად დამაჯერებლად ვერ შეეპასუხა გენადი.

— არ ვიცი. ვნახოთ, — სთქვა მოხუცმა გენერალმა, — არ ვიცი, — გაიმეორა მან, — ამიტომ გთხოვ, დაწვრილებით მომიყვე, რა დაგემართა კომკავშირის კრებაზე? ბრაუნეიკოვი ვინლა? თუ შეიძლება გამაცანი.

— კი ბატონო. შემიძლია გაჩვენო, — ცალკეად დაეთანხმა გენადი და უსიამოვნოდ გაიფიქრა: „მოასწრეს ხომ ყველაფრის ჩაბუღებულება! ფუ, რა ხალხია!“ — მხოლოდ, თუ ღმერთი გწამს, ბაბუა, ბრაუნეიკოვს ჩემზე გამოკითხვას ნუ დაუწყებ. ცოტა უხერხულია. რაც არ უნდა იყოს, სამსახურში ბრაუნეიკოვი ჩემი ხელქვეითია. ის მაინცადამაინც არც ჩემი ქებით მოიკლავს თავს.

— შენ ასე ფიქრობ, ხომ?

— დარწმუნებული ვარ. ბრაუნეიკოვი კარგი ბიჭია, მაგრამ რაღაც ერთმანეთს ვერ ვეწყობით. ამ საქმეში ისიც გვარიანად სცოდავს, მეც. სხვადასხვა ყაიდის ხალხი ვართ... გესმის, ბაბუა, სხვადასხვა.

— მესმის, — სთქვა ვასილი მიხაილოვიჩმა, — კარგი, მომიყევი რა მოხდა კრებაზე, რატომ გააკრიტიკეს? თუმცა არა, ჯერ ერთი გრიგორი ივა-

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ნოვის დამიძახე! მინდა, ჩვენს შინაურ საუბარს ისიც ესწრებოდეს.

გენადიმ ბაბუსა ვაოცებით შეხედა:

— რომელ გრიგორი ივანოვის? პეტროვის? ჩვენს ყოფილ ზემდეგს?

— რატომ ყოფილს? თადარიგში გავიდა თუ?

— ზემდეგმა თქვენი ჭირი წაიღო.

მოხუც გენერალს ტანში გაბურძ-გლა. ამ ბოლო დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გებულობს თავისი თანამებრძოლების სიკვდილის ამბავს. ისეთი გრძნობა ეუფლებოდა ხოლმე, თითქოს ტრიალ მინდორზე მარტოხელა რჩება. თავშესაფარი ვერსად უპოვია, არტილერის ცეცხლი კი წამოეწია. ითვლის აფეთქებულ ყუმბარებს და ბაგეები უხმოდ ჩურჩულებენ: „ვერ მოაღწია“, „გადამცილდა“, „ეს კი ჩემია. აღსასრული დადგა.“ საშინელი განცდაა. რა მამაციც არ უნდა იყო, შიშისაგან მაინც გააგაჩრდილებს.

— როდის მოკვდა? — ყრუდ წარმოთქვა ვასილი მიხაილოვიჩმა.

— მესამე კვირაა. ზუსტად არ მახსოვს, როდის მოხდა ეს ამბავი, მგონი ათში იყო. კი, ნამდვილად ათში, სწორედ იმ ვლეს ახალი დავალება მომცეს.

მოხუცმა გენერალმა ჯიბიდან დაჭმუჭნილი კოთხეტი ამოიღო და თარიღს დახედა: „ზემდეგს ეს წერილი სიკვდილამდე ორი დღით ადრე დაუწერია.“

— რა დაემართა?

— მართალი გითხრა, არ ვიცი, ბაბუა. ამბობენ, გული გაუსკვავო.

ზემდეგი პეტროვის წერილი რომ მიიღო, ვასილი მიხაილოვიჩი შესძრა უცნობი კაცის გულწრფელმა და მზრუნველმა სტრუქონებმა.

გენერალი რამდენს არ ეცადა, მებსიერება როგორ არ დაძაბა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვაიხსენა ზემდეგი პეტროვი. ახლა კი პეტროვის წერილმა რაღაც ახალი, ამაღლებული აზრი შეიძინა. ეს უკვე მარტო წერილი კი აღარ იყო, არამედ მამაცი, კეთილი გულის ვპირობა, ტკივილით დატანჯული გულის ამოძახილი.

„შენ კი ისე მოიხსენიე მიხაილოვიჩი, თითქოს კაცი კი არა, წივილია მომკვდარიყოს, — გულში ვასილი მიხაილოვიჩმა შეილიშვილი, — მერე არ გრცხვენია, შე უგულო! ის ხომ შენზე ფიქრობდა, სიკვდილის წინაც კი შენს ბედზე, შენს მომავალზე ზრუნავდა, შენ კი... საიდან გამოგყვა ასეთი ცივი გული, საიდან?“

გენადიმ ბაბუსას დაბნეულად შეხედა:

„რამ დაანადგლიანა ნეტავი? რა წერილს დახედა? ვითომ ბრაჟნიკოვი გაბედავდა წერილის მიწერას?“

ვასილი მიხაილოვიჩი დიდი ხანია უსათვალოდ ველარ კითხულობდა. რაც წლები გადიოდა, მხედველობა უფრო და უფრო აკლდებოდა. მაგრამ განსვენებულ ზემდეგს გარკვეული, სწორი ხელი ჰქონდა.

„ალბათ თვითონაც ნათელი და პირდაპირი კაცი იქნებოდა. ასეთი დადამიანი არ იეშმაკებდა. რაც გულში ჰქონდა, ის დაწერა. პირდაპირ დაწერა. გულახდილად და ნათლად.“

„...ასე იმიტომ მაწუხებს ლეიტენანტ გრომოვის ბედი, რომ ღრმა პატივს გცემთ თქვენ და თქვენს ოჯახს. თქვენ და თქვენი ვაჟი გმირულად იბრძოდით საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ახლა იარაღი თქვენს გვარში მესამე თაობას გადაეცა. მე და თქვენ სამხედროები ვართ, ამხანაგო გენერალო, და ჩინებულად ვიცით, რომ იარაღი თავისთავად არაფერს ნიშნავს, ქვემეხები და ავტომატები თავისით არ ისვრიან. გააჩნია, ვის ხელშია იარაღი... ჰოდა, მე ვფიქრობ, ამხანაგო გენერალო...“

გენერალმა გრომოვმა წერილს ხელისგული დააფარა. ზემდეგის სიტყვებმა ისევ დასერა მოხუცის გული. ეჭვმა შეაშფოთა გენერალი გრომოვი. ამ პირდაპირ და მკვეთრად ნათქვამმა სიტყვებმა წყენაც კი მოჰგვარა. მკვდრებთან დავას რა აზრი აქვს. — განა შეიძლება ახლა გარდაცვლილი ზემდეგი რამეში დაარწმუნო, ან აზრი შეაცვლევინო? — ვასილი მიხაილოვიჩს მაინც არ ძალუძს დაწყებული დავა შეწყვიტოს, იმიტომ რომ, უფრო

ღრმად უნდა ჩასწვდეს ლეიტენანტ გრომოვს. გენერალმა მოხედვაც ვერ მოასწრო, მისი საყვარელი ბიჭუნა, მისი შვილიშვილი გენა ისე გადაიქცა ლეიტენანტ გრომოვად.

ვასილი მიხაილოვიჩი იცნობდა მხოლოდ გენადის — ბავშვს, მოზარდს; მაგრამ მოზარდილ გენადის, არა, უბრალოდ გენადის კი არა, ლეიტენანტ გრომოვს, მეომარს, მეთაურს, სრულუბით არ იცნობდა. მკაცრმა, სიძნელეებით სავსე ცხოვრებამ ასწავლა ვასილი მიხაილოვიჩს, რომ ადამიანის გაცნობა ყველაზე უფრო საქმეში შეიძლება.

„ამაში მართალი ხართ, ზემდეგო... არ გეკავიათებოთ. მაგრამ განა გენა დამნაშავეა, ჩემთან ერთად რომ არ იბრძოდა? ის თუ არ იყო, — სხვები იყვნენ. ასეთივე ახალგაზრდები. მე ვიცნობ მათ, დამიჯერეთ, ზემდეგო, ვიცნობ. ერთხელ და ორჯერ კი არ წავაძლიერებ ცეცხლის წვიმაში. ბევრნი იყვნენ ისინი, სხვადასხვანაირები. მაგრამ ყველაზე მთავარი რაც იყო, იმით ერთმანეთს ჰგავდნენ. ღვიძლი ძმებოვით ჰგავდნენ ერთმანეთს. გენაც მათი ძმაა, მათი უმცროსი ძმა. და ყველაზე მთავარი, რაც გენადის არსებაშია, ზუსტად ისეთია, როგორც ჩვენს სახელოვან თაობას ეკადრება. ამას ვერ უარყოფთ, ვერც შესძლებთ, და არც მოისურვიბთ. პოთა, თუ მთავარი ამბავი რიგზეა, მაშინ სხვა დანარჩენი წვრილმანიბი საშიში არ არის. მეთანხმებით, ზემდეგო?

ვთქვათ, რაღაც განსაკუთრებულ საოფიცრო კარიერაზე ოცნებამ ბიჭი ცოტა უზომოდ პატივმოყვარე გახადა... ამას თქვენ ზუსტად მიხვდით, ზემდეგო. მაგრამ მე ისიც მჯერა, რომ ყველაზე პატივმოყვარე ოცნებაშიც კი გენადი დამპყრობელ ბრძოლებზე არ იფიქრებს და თავისი დიდების გულისათვის არასოდეს სხვის სისხლს არ დაღვრის.

თუ გენადი გრომოვს ცხოვრება არჩევანის წინაშე დააყენებს, თუ მას ეტყვიან: აი შენ, ლეიტენანტო, უბრწყინვალესი სამხედრო კარიერა, დაწინა-

ურება, უმაღლესი ჯილდოები, შეიძლება სამარადისო დიდებაც, ოღონდ ომში მოპოვებული; და, აი, თქვენი აზრით, რას ამოირჩევს ლეიტენანტი გრომოვი? შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ზემდეგო, გენადი მშვიდობას ირჩევს და ომს „არას“ ეტყვის... ჩემი შვილიშვილის ხელში იარაღი ბოროტებას არ მოემსახურება. არც შეიძლება მარტო იმიტომ კი არა, რომ გენადი ჩემი სისხლი და ზორცია. რომ ის ჩემი ვაჟიშვილის შვილია, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ჩვენ ერთი დროის ქვეშ ვდგავართ.

აი, სწორედ ეს არის მთავარი, ზემდეგო. დანარჩენი კი... დანარჩენს მოვევლებო... პატივმოყვარეობასაც, გულ-ზვიადობასაც... ეს თუმცა სახიფათოა, მაგრამ მისი დაძლევა შეიძლება. შეიძლება-მეთქი!“

გენერალი გრომოვი ზემდეგს როგორც მოწინააღმდეგეს ისე კი არ ეკამათება, არამედ როგორც მეგობარსა და მოკავშირეს.

„შენ უკვე შემოიტანე წვლილი ჩემთვის მახლობელი და ძვირფასი ადამიანის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ამისათვის მადლობას გწირავ, ძველო ჯარისკაცო.“

ვასილი მიხაილოვიჩი წამოდგა და ოთახში ისე რიხიანად გაიარ-გამოიარა, გენადი ძალაუფლებურად ისევ მოიხიბლა: ახალგაზრდა ლეიტენანტი ბაბუას უყურებდა და მისი მხნეობით ტკბებოდა.

### 3

რამდენიმე დღის შემდეგ ვასილი მიხაილოვიჩმა ანიკინს დაურეკა.

— გამარჯობათ, ამხანაგო პოლპოლკოვნიკო. გახსოვთ, მანქანას რომ შემპირდით? ზემდეგის საფლავი მინდა ვინახულო. პო, რა თქმა უნდა. გენადისთან ერთად მოხერხდება? გმადლობთ, გმადლობთ... თქვენც წამოხვალთ? წამოვით, საწინააღმდეგო არა-

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ფერი მაქვს. დღეს? ჰო, დღეს სჯობია, ხვალ შინისაკენ გავუტევე, საქმეები მაქვს. არა, არა, არაფრით არ მოხერხდება, ისეთი საქმეებია, დეპუტატობის ამბებია, ხომ იცით... დიდი ხნით გადადება არ შეიძლება.

პოდპოლკოვნიკმა ანიკინმა ლეიტენანტი გრომოვი მეცადინეობიდან გამოიძახა და უთხრა, ჩვენთან ერთად წამოდით.

გენადის დიდი ხალისი არ გამოუჩენია. თავს მოქანცულად და მოტეხილად გრძობდა. ეს რა უყო მისმა კეთილმა და საყვარელმა ბაბუამ, სულ არ ააფორიაქა? ახლა ეშმაკიც ვერ გაიგებდა, გენადის სულზე, რა ცეცხლი ტრიალებდა, ახლა მის სულში ჩახედვაც კი შეზარავდა კაცს. ფერფლისა და ნანგრევების გარდა ალბათ ვერაფერს დაინახავდა. მის არსებაში ახალი ჯერ არაფერი აშენებულა. ასე უცებ ახალს აბა რა ააშენებდა. ძალიან უშიძის გენადის, ძალიან. ახლა კიდევ სასაფლაოზეა წასასვლელი. ნეტავ რა საჭიროა? ყველაფერს სჯობია, თავი დამანებონ. მაგრამ რას იზამ. თავს ზევით ძალა არაა, პოდპოლკოვნიკს ვერაფერს შებედავ, ახლა ბაბუასთან კამათიც შეუძლებელია.

...ზემდეგ პეტროვის სამარიდან გვირგვინები უკვე აეკრიფათ. პირველი თოვლით გადაფიფქულ ბორცვზე მხოლოდ ჯარისკაცული გამოსათხოვარი „ყვავილები“ — შაშხანის ცარიელი ჰილზები ეყარა.

— აი, სად განისვენებს თქვენი ზემდეგი, — სთქვა ვასილი მიხაილოვიჩმა და ქული მოიხადა, — კარგი, ერთგული ამხანაგი დაკარგეთ, პოდპოლკოვნიკო. კაცი აღამიანებისთვის ცხოვრობდა და იღწვოდა, სულიც ამ კეთილი საქმისათვის დალია.

„აღამიანებისთვის, ესე იგი, ჩემთვისაც“, — გაიფიქრა გენადიმ და უეცრად გული ისეთი მწარე ნალველით აევსო, კინაღამ ყვირილი აღმოხდა.

ზემდეგის საფლავთან დიდხანს არ დარჩენილან. მკვდრები მშვიდად უნდა განისვენებდნენ, ცოცხლებს კი გადაუ-

დებელი საქმეები ელოდათ. სულ ხუთი, დიდი-დიდი ათი წუთი არ დაუნებნებიათ დათოვლილ საფლავებში. თან, მაგრამ გენადი გრომოვმა ან მცირე დროში მთელი თავისი ცხოვრების გასსენება მოასწრო. აქ, ზემდეგის საფლავთან, გენადი პირველად დასწვა სირცხვილმა, ყველა შეცდომა, ყველა ხელის მოცარვა ერთბაშად დაუდგა თვალწინ.

„ეჰ, ასე არ უნდა მეცხოვრა“.  
ამ წუთში გენადიმ თავის მომავალსაც სხვა თვალთ შეხედა, თუმცა თავისი სიყმაწვილის ოცნებაზე ხელის აღება მაინც არ შეეძლო. დიდებაც მოვა და გმირობის ჩადენის დროც დაუდგება. ამ დიდებას იგი მარტო საკუთარი თავისთვის კი არა, ხალხისთვის ნატრობდა.

„ახლა თქვენთვის მინდა ვიცხოვრო, ხალხო. მხოლოდ თქვენთვის, თქვენთან ერთად და თქვენს შორის“.

...სასაფლაოდან მომავალნი დიდხანს დუმდნენ. მანქანა შლაგბაუმთან შეჩერდა, გრძელი სატვირთო მატარებელი ლიანდაგზე მიგრუხუნებდა. მხოლოდ მამინ ამოიღო ანიკინმა ხმა, ჩიბუხი გააბოლა და სთქვა:

— ამ რამდენიმე დღის წინ გრიგორი ივანოვიჩზე ჩემი ცოლი მელაპარაკებოდა... ჰო, ჩემს ოჯახში ყველას ძალიან უყვარდა განსვენებული. ბავშვებს განსაკუთრებით. ყველანი ბაბუას ვეძახდით. მე და ჩემი ცოლი ხომ საბავშვო სახლში გავიზარდეთ — მახლობელი არავინა გყავს... ჰოდა, ჩემმა ცოლმა მითხრა, მოდი ახლა და სთქვი — გრიგორი ივანოვიჩს ბედი ჰქონიაო. კაცმა მთელი ომი გადაიტანა, რა ცეცხლში არ გამოიარა და აგერ თავისი სიკვდილით კი მოკვდაო. ნეტა რას ლაპარაკობ, ქალო-მეთქი. რას ჰქვია თავისი სიკვდილი? ეგ ფიქრი გულში არ გაივლო, ზემდეგი პეტროვი ჯარისკაცურად მოკვდა. ჩვენ სხვანაირი სიკვდილი არც გვიწერია-მეთქი. სწორედ ასე ვუთხარი...

— მერე ცოლმა რაო, იტირა ხომ? — შეეკითხა ვასილი მიხაილოვიჩი.

— კი, ჭტირა. თქვენ საიდან იცით, ამხანაგო გენერალო?

— ვიცი, — გაცინა მოხუც გენერალს, — მაინცადამაინც კარგად ვერ გითქვამთ. აზრი კი სწორია, მაგრამ... გახსოვთ: „...и снова бой, покой нам только снится“. კომუნისტებისათვის ცხოვრება ყოველთვის ბრძოლაა, ისინი თავის საომარ პოსტზე ლევენ სულს... ასეა, მაგრამ როცა ქალს გული დარღლითა აქვს დამძიმებული, ცოტა სხვა-ნაირად უნდა ელაპარაკო.

— თქვენ გამოცდილი კაცი ბრძანდებით და მერე როგორი, — თქვა ანიკინმა.

— ჰო, გამოცდილი კი, — რატომღაც ამოიოხრა ვასილი მისხილოვიჩმა და მძლოლს უეცრად შეცვლილი უბრძანა: — აბა, დავიძრათ, დავიძრათ! ვერა ხედავთ, გზა გაგვინთავისუფლეს, შენ კი ზოზინობ...

ახალგაზრდა მძლოლი ყურებამდე გაწითლდა და განაწყენებულმა ტუჩები მოკუმბა. გენერალი გრომოვი მიხვდა, რომ ცოტა მკვახედ გამოუვიდა. მიხვდა და თავი სინანულით გააქნა:

— იცი რა, ძამიკო, ამ გადასასვლელზე დგომას ვერ ვიტან. — დარცხვენით გაუღიმა მძლოლს, — ტყუილი დროს კარგვია ნამდვილად, დამიჯერე, ასეა...

## თავი ოცდაშვირთა

### 1

მთებში გაშენებული ქალაქი ადრე იძინებდა, ჯერ ხეირიანად არც კი დაღამებულობო, ქუჩაში კი სულიერი არ ქაჰანებდა. აქაური მუშაკაცი გუშაგიცაა. ხალხმა დააყენა ის სახელმწიფოს საზღვარზე, ჰოდა, მიეჩვია კიდევ ჯარისკაცულ ცხოვრებას. როცა ყაზარმაშის საღამოს საარი გაისმის, მთელი ქალაქისთვისაც ძილის დრო დგება. აქ საათს სამხედრო საყვირის ხმაზე ასწორებენ. იმიტომ რომ, აქ ჯარისკაცსაც და მშვიდობიან მცხოვრებსაც ერთი ბედი უწერიათ.

ლამით, როცა ოფიცრების ბინის კარს შიკრივი მიუაკუნებს, ყველა იღვიძებს, სიტყვა „განგაში“, ჩურჩულითაც რომ ითქვას, ყველა ფეხზე წამოიჭრება ხოლმე, მასწავლებელიც, მოლარეც, მუშაც და მოსწავლეც.

აქ საზღვარია.

იმ ლამითაც ქალაქში სიწყნარე გამეფებულიყო, ქუჩებში ძებორციელი არავინ ჩანდა. მაგრამ აი, ისმის მტკიცე ნაბიჯების ხმა. ეს ოფიცერთა პატრული მოდის: წინ ლეიტენანტი გენადი გრომოვია, მის უკან კი რიგითი ჯარისკაცები — სერგეი ბრაჟნიკოვი და ალექსანდრე საფონოვი მოაბიჯებდნენ.

რა კარგად, რა ამაყად მოდიან! მათი სიამაყე ბუნებრივი და გასაგებია.

„ხალხო, მე თქვენზე საკუთარი სიცოცხლით ვაგებ პასუხს. მე თქვენ მტრებისაგან გიცავთ“, — ფიქრობს ამ წუთში საშა საფონოვი.

ლეიტენანტ გრომოვსაც თავში ასეთი ფიქრები უტრიალებდა. აბა, სხვაზე რაზე უნდა ეფიქრა. ეს ხომ მისი ცხოვრების აზრი და მიზანი იყო. სერგეი ბრაჟნიკოვიც, რა თქმა უნდა, ასე უნდა ფიქრობდეს, მაგრამ შევუნდოთ ჭაბუქს, ახლა მას სხვა დარდი უფრო აწუხებდა. გუშინ ირინასთან ერთად ამ ქუჩაზე მოსეირნობდა. სერგეი მეტწილად დუმდა. ჭაბუქსა და ქალიშვილს შორის დაბადებული გრძნობა ისე ახალი, უჩვეულო და, სერიოჟას აზრით, ისეთი ფაქიზი და მოუშფიფებელი იყო, რომ ერთი დაუკვირვებლად წამოცდენილი სიტყვა, ერთი უნებლიე მოძრაობაც კმაროდა და ყველაფერს ბოლო მოელებოდა. ქვეყნად კი ამაზე ცუდი არაფერია, როცა საქმე დასაწყისშივე ჩაკვდება ხოლმე. სერგეი ძალზე

ემანუელ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ფრთხილად იჭერდა ქალიშვილის ყოველ სიტყვას.

„მაინც რა უზრუნველია ირინა. ვინ იცის, ამ წუთში იქნებ ჩვენი ბედი წყდება, ის კი ჩიტუნასავით გაუთავებლად ჭიკჭიკებს.“

— უყურე, უყურე, სეროიჯა, ვარსკვლავი მოწყდა, ჩაიფიქრე რამე? მოწყვეტილ ვარსკვლავს რომ უყურებ, რაღაცა კარგი, სასურველი უნდა ჩაიფიქრო, იცი?

— მე სულ კარგსა და სასურველზე ვფიქრობ.

— მე კი ვერაფრის გაფიქრება ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად ჩაიქროლა. იქნებ ვარსკვლავი არც იყო. თანამგზავრი ხომ არ იქნებოდა?

— შეიძლება. თუმცა აქ არ უნდა გამოჩინილიყო.

— არ გინდა თანამგზავრის დანახვა?

— როგორ არ მინდა.

— მეც მინდა, იცი, როგორ მინდა!

— დანახვა. ჯერ სადა ხარ, ყველაფერს მოესწრები, ყველაფერს დაინახავ, — სთქვა სერგეიმ და იმწამსვე იწინა.

„იქნებ არაფერი არ უნდა ჩემი, არც მე ვუნდივარ და არც ჩემი დაპირებები ებიტნავენა. კი, მგონი, ასეა. ირინა მოიღუშა, ხელი გულზე მიიკრა. რისი შეეშინდა, მე ხომ არ ვატყუებ. მისთვის ყველაფერს გავაკეთებ, თავსაც კი გავწირავ.“

— მართლა ამბობ, სეროიჯა?

— მართალს გეუბნები. შენ მხოლოდ დამიჯერე. გჯერა?

ირინა ცოტა ხანს ჩუმად იყო და სერგეის თვალბეჭდში მისჩერებოდა, შემდეგ გაეცინა, არა, კი არ გაეცინა, გაეღიმა. სერგეი მიხვდა, რომ ირინას მისი სჯეროდა. სჯეროდა და უხაროდა. სერგეის ჯერჯერობით მეტი არაფერი უნდოდა. მთავარია, ირინას მისი სჯეროდეს. სჯეროდეს და ენდობოდეს.

...შემდეგ აი, აქ, ამ ხესთან შეჩერდნენ. ირინამ ხელი მოჰკიდა.

— მეტს ნუღარ გამაცილებ, არ დაგავიანდეს.

— არ დამავიანდებ, — დაუდგურად უპასუხა სერგეიმ, — ნუთუმიცაა წუთი კიდევ მაქვს, მივირბენს.

— მაშინ გაიქეცი, — უთხრა ირინამ, მაგრამ ვაჟისთვის ხელი არ გაუშვია, — ხვალ ხომ შევხვდებით, სეროიჯა?

— ხვალ განაწესს უნდა შევუდგეთ.

— მაშ, კვირამდე ვეღარ შეისილებ, არა? — ამოიოხრა ირინამ.

— ჰო, კვირამდე ვერა.

სერგეიმ ირინას ტუჩები პირველად დაინახა ასე ახლოს, ტუჩები, საყვარელი, ბუნჩულა, მიამიტი ტუჩები. ისინი თითქოს ჩურჩულებენ, — გაიქეცი, დაგავიანდებო. სერგეის კი ეჩვენებოდა, რომ ტუჩები სულ სხვას ევედრებოდა. მაინც რას? არ ვიცი. რა იქნება, ამ საყვარელ ტუჩებს რომ თავისი ტუჩები შეაწებოს? მაგრამ არა, ბრატუნოვი ადგილს მოწყდა.

არა, მარტო იმიტომ კი არ გაქცეულა, რომ ყაზარმაში ნახევარი წუთით დაგვიანებისა ეშინოდა. ამ ნახევარი წუთისთვის სერგეის არ ვადაასახლებდნენ. საქმე ღრომში როდი იყო. კოცნას კი მოახერხებდა, მაგრამ რატომღაც არ უნდოდა.

„განა ხვალინდელი დღე არ დადგება? განა ირინას მეტს აღარ შეხვდება, განა მომავალი წინ არ გვიდევს? ყველაფერი გვექნება, ყველაფერი. ჩვენი ცხოვრება ახლა იწყება, ირინა. ახლა იწყება.“

პატრულმა სერგეი ბრატუნოვმა ძლივს გასაგონად ამოიოხრა: „ასეთ ამბებზე მსჯელობა ძნელი როდია, მით უმეტეს, როცა თავში ნათელი, ყველას მოსაწონი აზრი გიტრიალებს, მაგრამ ერთი წამით დახტუქავს თუ არა თვალბეჭდს, ირინას ტუჩებს ხედავს, მისი კოცნის სურნელებას გრძნობს. თუმცა რომელ კოცნაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ერთმანეთისთვის ერთხელაც კი არ უკოცნიათ. კოცნა კი შეეძლო, შეეძლო, მაგრამ გაიქეცა. საშამ სწორად სთქვა ჩემზე, დიდი მშრალი კაცი ხარ. გეოგეტრიული ფიგურა, ტოლფერდა სამკუთხედიო. მოკლედ, კაი შტერი

ვარ. გაუთავებელი მსჯელობა მიყვარს. დრო კი როდი მიცდის, მოხედვასაც ვერ მოვასწრებ, რომ ახალგაზრდობა თვალსა და ხელშუა გამიფრინდება. მერე უყარე კაკალი. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი წაგლეჯვაზე და მოსწრებაზე ხომ არაა? არა, ნამდვილად არა. განადირს ერთ დაკარგულ კონცანზე დარდი, თუ ერთმანეთი გვიყვარს? მთელი ცხოვრება წინ გვიდევს... აი, ისევ დავიწყე მსჯელობა. ვზომავ, ვწონი, ყველაფერს თავის ადგილს ვუჩენ, ყურებში კი ისევ ირინას მსუბუქი ნაბიჯების ხმა მიდგას... ის კარგახანს მომდევნა, მე კი მოხედვისაც მეშინოდა, მეშინოდა, რადგან მერე ვეოარ წამოვიდოდი. ნეტავ რისთვის მომდევნა? ნეტავ რისი თქმა უნდოდა? შეიძლება რაღაც მნიშვნელოვანს მეტყუოდა, შეიძლება ძალიან უბრალო, ქალურ სისულელის. ვინ იცის, სულ ერთია, ყურიდან მანაც არ მშორდება მისი აჩქარებული ნაბიჯების ხმა“.

## 2

დაცარიელებულ ქალაქში სიჩუმე გამეფიბულა. მყუდროობას მხოლოდ მძიმი, არმიული ჩექმების ნალები წკარაწყური არღვევდა.

პატრულები პარტიის რაიკომის გასწვრივ მიაბიჯებდნენ. პირველი სართულის ფანჯარებში სინათლე ჯერ კიდევ ინთო. აქ ხშირად სხედან ხოლომე შუალამიმდე. კარმა გაიჭრიალა და ქუჩაში აკრიალ ჩასხმული კაცი გამოვიდა. ეს პოლიტბელი, პოდპოლკოვნიკი ანიკინი გახლდათ. გუშაგები პოდპოლკოვნიკს მიესალმნენ. საღამზე პასუხის შემდეგ, ანიკინმა გენაოის და სირაგის გვარებით მიმართა, საშას კი, ცოტა არ იყოს, დამნაშავესავით შეხედა, თითქოს ამბობდა — რა ექნა, შინი გვარი ჯერ არ ვიცი. მპატიოო. საშას, რა თქმა უნდა, ესმოდა, რომ ანიკინი პოლიკის ყველა ჯარისკაცის გვარს ვერ დაიმახსოვრებდა. მაგრამ საფონოვს რომ არ იცნობდა, საშა ამაში საკუთარ თავს ადანაშაულებდა.

„თავის გამოსაჩენი ჯერ არაფერი გამიკეთებია. სერგეი მე როდი ჩვენი ლეიტენანტიც ყოჩალი რაფიკურია. იმიტომაც ასსოვთ და პატივსაც სცემენ. მე კი... მაგრამ მაცალეთ! მაცალეთ და მე ვიცი. რა ბიჭიც ვიქნები. საშა საფონოვი ძალებს იყრებს და ერთ მშვენიერ დღეს ყველას გაგოცებთ“.

საშამ ჯერ თვითონაც არ იცოდა, ქვეყანას რითი გაოცებდა, ისე კი დარწმუნდა, რომ ლექსებით ფონს ვერ გავიდოდა. ამ ბოლო დროს მაინცადამაინც აღარც ლექსები გამოუდიოდა. ამას წინათ ირინასადმი მიძღვნილი რვეული ნაკუწებად აქცია, სწორედ მაშინ მოკვდა პოეტი ალექსანდრე საფონოვი. ტყუილად თავს იტყუებდა. პოეტისა საშას არაფერი ეცხო. არც ერთ მის ლექსს ნამდვილ პოეზიასთან საერთო არა ჰქონდა რა. რაც საშამ ხელის ერთი მოსმით გაანადგურა და ნაკუწებად აქცია, იყო მხოლოდ გართმული სიცრუე, რაღაც სულელური მონაჩმახი. ლექსები მოსპო, არ შესძლებია სიმართლის გამოხატვა და ეგ არის. აი, ახლაც კი... თავის სიცოცხლეში პირველად მიდის სამხედრო პატრულში, თითქმის კიდებედილი საბჭოთა მიწისა. დაუჯერეთ საფონოვს. მას სულითა და გულით სურდა თავისი ამაღლებული განწყობილება ლექსად გადმოიკვა. მაინც რა ბედნიერება იცავდებ მშობლიურ ქვეყანას, იცავდებ შენს ხალხს. საკუთარ ლექსს თავი ვერ გამოაბა, ყურში კი სხვისი მკაფიო. ამაღლებული სტრიქონები უგუბუნებდა:

Революционный держите шаг!  
Неугомонный не дремлет враг!

საშა საფონოვმა იცოდა, რომ ეს ბლოკის ლექსი იყო. თვითონ კი გონებაში ორი სტრიქონიც ვერ გადააბა ერთმანეთს.

„ახლა, ამ წუთში გული რაღაც ამაღლებული, საზეიმო გრძნობითა მაქვს

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა



საესე. ლექსი თუ ახლა არ დაიბადა, მაშინ მას არც არასოდეს სწერებია დაბადება. მერე რა, თუ ჩემგან პოეტი არ დადგება, კარგი ჯარისკაცი ხომ ვიქნები“, — გადაწყვიტა გულში საშამ.

3

— რა კარგია, რომ შეგხვდით, ამხანაგებო, — სთქვა ანიკინმა, ჯარისკაცებს ფეხი აუწყო და გვერდით გაპყვა, — ახლა რაიკომში ადგილობრივ კომკავშირელებთან საინტერესო საუბარი მიმდინარეობდა. კარგი საქმე განუზრახავთ — კომუნისტური შრომის ბრიგადების შეხვედრა გარნიზონის მეომრებთან. თემაც საინტერესო აურჩევიათ — „ვიცხოვროთ, ვიშრომთ და ვისწავლოთ კომუნისტურად“. ჰოდა, მე მინდა ყველაფერი კარგად მოიფიქროთ, მოემზადოთ, სალაპარაკო არა გაქვთ, თუ რა. მე მგონი, ნათელი, შინაარსიანი შეხვედრა გამოვა. თქვენ რას იტყვით, ამხანაგებო? გამოვა?

პატრულები გაჩუმდნენ.

— ასე რომ, მოემზადეთ, — განავრძო თავისი ფიქრით ვატაცებულმა ანიკინმა, — როცა რაიმე კარგს მოიფიქრებთ, ჩემთან შემოიარეთ, მოვილაპარაკოთ!

ანიკინმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ პატრულები დუმდნენ.

— თქვენ რას განუხმებულხართ?.. ააა! პატრულებს ეკრძალებათ გარეშე პირებთან საუბარი. აფერუმ, პოლიტხელი! წესდება მე თვითონ არ დავარღვიე?!

ლეიტენანტი გრომოვი წესდებს ყოველთვის ზუსტად იცავდა. წესდების ყოველი მუხლი მისთვის კანონი იყო. მაგრამ ახლა ანიკინზე უფრო შეცბუნებული თვითონ ჩანდა. გუშავის უტხო პირთან საუბარი მართლაც აკრძალულია. წესდებაში სწორედ ასეა ნათქვამი, რომ „...პატრულის პირად შემადგენლობას სამსახურის შესრულებისას ეკრძალება გარეშე პირებთან საუბარი.“ მაგრამ განა პოლპოლკოვნიკი გარეშე პირია? ჯარისკაცებისთვის

საც არ არის გარეშე და ჩემთვის ხომ, მით უმეტეს. მერედა, როგორც ყოველდღე მუშაობს, მუშაობს ლეზბი მექცევა, იმ მძიმე დღეებშიც როგორ მომეხმარა. ჰოდა, საიდან არის გარეშე? მერედა, მასთან ლაპარაკი განა გარეშე პირთან ლაპარაკია? არა, რა თქმა უნდა, არა. წესდება წესდებაა, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ გაითვალისწინებს. ხანდახან თვითონ უნდა გადაწყვიტო, როგორ მოიქცე.

და ლეიტენანტმა გრომოვმა გადაწყვიტა:

— აუცილებლად მოვიფიქრებთ, ამხანაგო პოლპოლკოვნიკო. ჯარისკაცებს უყვართ ასეთი საზეიმო შეხვედრები.

— სწორია, — შენიშნა პოლპოლკოვნიკმა, — ასეთი შეხვედრა საზეიმო უნდა იყოს. ისე კაპიკია მისი ფასი.

— ჩვენ კი ხვალ საკუთარი დღესასწაული გვაქვს, ამხანაგ ბრაენიკოვის დაბადების დღე უნდა აღვნიშნოთ, — მოულოდნელად სთქვა გრომოვმა. გენადის გულით უნდოდა, პოლპოლკოვნიკისათვის რითიმე ესიამოვნებინა, ყურადღებისათვის სამაგიერო გადაეხადა.

„ვიცი, ნამდვილად გაეხარდება“, — გაიფიქრა გულში გენადიმ. არც მოტყუებულა, ანიკინს გულწრფელად გაუხარდა, რომ ეს სიტყვები სწორედ გენადისაგან გაიგონა.

„ნეტავ გულით ამბობს? მაშ, ბრაენიკოვს და გრომოვს არაფერი აღარ ჰქონიათ დასაყოფი. იქნებ...“ პოლიტხელი საგონებელში ჩავარდა. ლეიტენანტი გრომოვი კერკეტა ყმაწვილი გახლდათ. ანიკინს გვარიანი ჯაფა დასჭირდა, სანამ გენადის მოათვინიერებდა. ცოდვა გამოტეხილი სჯობია, პოლიტხელს არც კი ჰქონდა იმედი, რომ გენადის ასე მალე მოარჯულებდა. იოლი როდი ჩანდა ლეიტენანტ გრომოვის ხალხისაკენ შემობრუნება.

„ერთი ამას დამიხედეთ, რაღაც სიკეთე დასტყობია. დმერთმა ხელი მოუმართოს, როგორც იტყვიან. მინდა დვიჯერო, რომ ლეიტენანტის გაყინულ გულს სითბო შეეპარა...“

ანიკინი სერგისაკენ მარტად შემოტრიალდა.

— რამდენი წლისა ხართ. ამხანაგო ბრაჟნიკოვ?

— ჯერ კიდევ ცხრამეტისა გახლავართ, ხვალ კი ოცის ვიქნები.

— დიდებული ასაკია! ნება მომეცით, წინასწარ მოგილოცოთ. რა გისურვო, ეს კი არ ვიცი. მე მგონი, ოცი წლის კაცი ყოველგვარი სიკეთითაა სავსე. მოდიო, ას წლამდე სიცოცხლეს გისურვებთ. თანახმა ხართ?

— მე ორასზეც თანახმა ვარ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ცხოვრება ძალიან მომწონს.

ანიკინს გაეცინა:

— ერთნაირი გემოვნება გექონია, ამხანაგო ბრაჟნიკოვ. ბედს არ ვემდურები, ცხოვრებასთან არც მე ვარ მწყურალოდ, ძალიან მომწონს ცხოვრება.

ანიკინმა მაგრად ჩამოართვა სერგეის ხელი და წუთით ჩაფიქრდა. კიდევ რა უსურვოს ამ ყოჩაღ ჯარისკაცს ოცი წლისთაზე? თვითონ ანიკინმა ოცი წლის ასაკში ომის მწარე გემო იწვინა, მძიმე, სისხლიანი, არნახული და დაუვიწყარი ომისა. ბევრი მისი კბილა ბიჭი, ბრაჟნიკოვივით ჭკვიანი, ჯანღონით სავსე, წარმოსადეგი ვაჟკაცი დაიფერფლა ცეცხლში.

„ვაითუ ბრაჟნიკოვსაც ასეთი ბედი მოეღოს? ვაითუ ამ ოცი წლის ჭაბუქსაც ავბედითი კოცონი ეღოს?“ ანიკინმა უფრო მაგრად მოუჭირა სერგეის ხელი.

— კიდევ მინდა, ჯარისკაცო, ვისურვოთ, რომ ომი არ გენახოთ. მშვიდობიან ცხოვრებას ვისურვებთ, ამხანაგო ბრაჟნიკოვ, მშვიდობიანს, მაგრამ მღორეს კი არა. ყური მოგკარა. პარტიაში აპირებს შესვლასო. მაშ, დასწავლეთ: კომუნისტისათვის ცხოვრება ბრძოლაა.

ანიკინმა სერგეის ხელი უშვა და გრომოვს მიუბრუნდა:

— გახსოვთ, ლეიტენანტო, ბაბუათქვენმა სწორედ ასე სთქვა — კომუნისტისთვის ცხოვრება ბრძოლააო. მე, იცით, აღტაცებული ვარ მოხუცი გენერლით. აი, მესმის კაცური კაცი. ვითომ თადარიგშია გასული, დამსახურებულად ისვენებს... მაგრამ დაუღე-

გარ გენერალს რა მოასვენებს — ილწვის, შრომობს. მოუსვენარი მოხუცია პირდაპირ შესაშურია.

გენადიმ თავი დაუქნია. ჰო, ნამდვილად ასეთი ბაბუა ჰყავს: არც თვითონ იცის მოსვენება და სხვებსაც არ ასვენებს. გენერალ გრომოვისთანა ადამიანები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შრომობენ და იბრძვიან.

— აბა, აქ გამოგემშვიდობებით, — სთქვა ანიკინმა, — მე უკვე სახლში ვარ. ლეიტენანტმა გრომოვმა პოდპოლკოვნიკს ხელი აუღო.

— ნებას მოგვეცეთ გზა გავაგრძელოთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

— დიახ, წადით. ღამემშვიდობისა, ამხანაგებო. ღამე კი მშვიდობიანი იქნება. ამისათვის ვცოცხლობთ, ამისათვის ვშრომობთ. თქვენ კი მინც შფოთიანობა მინდა ვისურვოთ, კარგი ბოლშევიკური შფოთიანობა. რაც არ უნდა იყოს, გაღმა მეგობრები როდი გვყავს. სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

საშა საფონოვს ტანში გაბურძგლა — საზღვრის სიახლოვე არასოდეს არ შეუგბრძენია ასე მძაფრად და ასე ძლიერად.

„აი, თურმე რას ნიშნავს საზღვარი! აქ გვერდით მეგობრები და ახლობლები გვყავს, იქ, გაღმა კი გადამთიელები. ღუშმანები ღამეს შეფარებიან...“

„Революционный держите шаг!  
Неугомонный не дремлет враг“.

მტერს თუ არ სძინავს, არც ჩვენ გვძინავს. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს“.

— შენ რას ბუტბუტებ, — შეეკითხა სერგეი, — ისევ ლექსებს ხომ არ თხზავ?

— არა, კაცო, რა დროს ლექსებია, — დაიბნა საშა, — რაღაც საშინლად მომწყურდა. ჰოდა, ტუჩებით ფიფქებს ვიჭერ.

— ერთბაშად არ დაგიჯერო.

— ნუ დამიჯერებ, თუ გინდა, —

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ეწყინა საშას, მაგრამ ჩვეულებრივ წყენამ მალე გაუარა. შემდეგ სერგეის ოფიცრის უჩუშრად ჰკითხა: — ყური მივდე, სეროიოჟა... რა იქნება, საზღვარზე მართლა რომ გადმოძვრეს ვინმე? მივიღივართ ასე მშვიდად და უცებ...

— ნუ ააფრინე! — გაეცინა სერგეის. — შემოძვრნენ რა, ძველი დრო კი არ გეგონოს. შემოძვრებიან და ისეთ დღეს დავაყრიო, დაბადების დღეს იწყევლიდნენ. არა, მამა უცხოვნდებათ, პურმარისს დავახვედრებთ.

მაგრამ საშას ასე უცებ რა დაამშვიდებდა.

— რა იქნება, რომ...

ლეიტენანტი არც შემობრუნებულა, პატრულებს ისე მიაძახა:

— ლაპარაკი!

პატრულებმა სული განაბეს.

„არ ავლაქაქდით?! — უკმაყოფილოდ გაიფიქრა სერგეიმ. საშამ რომ რაღაც არ მოჩმახოს, ხომ არ შეიძლება. ლატარიაში მერგო ეს მეზღაბრე!“ მაგრამ, როგორც ჩანდა, ამხანაგის განწყობილება ასე თუ ისე მასაც ვადედო და უნებურად გაიფიქრა: „საერთოდ ხომ ყველაფერი ასე იწყებოდა: ცხოვრობს ხალხი თავისთვის, მშვიდად, წყნარად და უცებ...“

მაგრამ ახლა პატარა ქალაქში სიმყუდროვე სუფევს. ეს სიმყუდროვე კი ისეთი კარგია და მშვენიერი, კაცს გული ხალისით გევსება. გინდა რაღაც კარგი მოიმოქმედო. ადამიანებზეც მხოლოდ სიკვარულით იფიქრო. ყველანი კარგები არიან. ლეიტენანტიც კარგი ბიჭია. არც გული ჰქონია ცუდი. ნეტავ, საიდან გაივო, ზვალ რომ ჩემი დაბადების დღეა. მე არავისთან კრინტი არ დამიძრავს. ირინასთანაც კი არაფერი წამომიყრანტალებია. დაბადების დღე არასოდეს არ აღმინიშნავს. დედა რომ ცოცხალი იყო, მაშინ ვინ იცის... არ მახსოვს. ვითომ მართლა აპირებენ აღნიშვნას? არა, ლეიტენანტს ალბათ ისე წამოსცდა. ალბათ ნანობს თავის საქციელს და უნდა რითიმე მასიამოვნოს. ამისათვისაც მადლობელი ვარ.“

ოცი წლის ბიჭის პირობაზე, სერგეი

ადამიანებში კარგად ერკვეოდა. მათი კარგად ესმოდა. ახლა კი მშვენიერად მიმხვდარიყო. ახლა რომ სერგეისთვის არ აინუნში არ იყო, თვითონ მას ვერ დაადანაშაულებდით. ამხანაგები რაღაცას უმაღავდნენ. ბრაჟნიკოვმა არც ის იცოდა, რომ დღეს ლეიტენანტმა გრომოვმა პოლკის მეთაურს პატაკი წარუდგინა, პოლკოვნიკმა კი ზედ წააწერა: „დაბადების დღესთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის რიგითი ჯარისკაცი ს. ა. ბრაჟნიკოვი გადაღებულ იქნას პოლკის გაშლილ დროშასთან“. ბრაჟნიკოვმა არც ის იცოდა, რომ მზარეული შაქირ მურთაზოვი სამი დღეა სამზარეულოს წიგნს ჩასჩიჩინებს და სერგეისათვის უზარმაზარი ნამცხვრის გამოცხობას აპირებს.

„საკონდიტრო ხელოვნების უმაღლესი კლასი უნდა ვუჩვენო, არ დავაპრაწებ ყველას თვალებს? თუ გგონიათ, რომ შჩისა და ფაფის მეტს ვერაფერს გავახერხებ, ძალიან ცდებით.“

არც ის იცის ბრაჟნიკოვმა, რომ საშა საფონოვს, მის გვერდით რომ ჩუმად მოაბიჯებდა, ჯიბეში ახალთახალი დასაკეცი დანა, მაკრატელი და რაღაც პატარა ნივთებით ავსებული ტყავის ჩანთა ედო. საჩუქარს საშამ მთელი თავისი დანაზოგი ფული მიახარჯა. კარგად იღივებულა. სამაგიეროდ სერგეის უუქველად მოეწონება. საშას კი მეგობრის გახარება სულითა და გულით უნდოდა. სხვა ამხანაგებიც დაქიჩმაჩნდნენ. მიკოშინიც დიდხანს იმტერევედა თავს. საჩუქარი კი სანაქებო მოუმზადა — აიღო თავისი კულდაჭა გოგოს საუკეთესო ფოტოსურათი და ზედ დიდი ამბით დააწერა: „ძია სეროიოჟას, დაბადების დღის აღსანიშნავად“. შემდეგ ცოტა ხანს კიდევ დაფიქრდა და წარწერას ესეც მიუმატა: „ჩამოდი ჩვენთან, ძია სეროიოჟა. საშა მიკეშინა.“

აბა, თუ ბიჭები ხართ, სცადეთ და ანდრეი მიკეშინისაგან ასეთი პატივისცემა დაიმსახუროთ. იოლი საქმე არ გეგონოთ, ძალზე გავიჭირდებით.



ვასია კატანჩიკა რომ ვაიგო, ამხანაგები სერგეის დაბადების დღეს უზღიანო, საგონებელში ჩავარდა. ჯიბეში გახვრტილი კაპიკიანიც აღარ ეგდო, რაც გააჩნდა, სულ იმ „შფოთიან“ დღეებში მიახარჯა. ვასიას ერთი საყვარელი წიგნი ჰქონდა, — სერგეი ესენინის ლექსები და პოემები. წიგნს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ცელოფონში სათუთად ჰქონდა გამოხვეული. კატანჩიკი მზად იყო, თავისი ერთადერთი საუნჯე ბრაუნინგისათვის მიეძღვნა. მაგრამ მიიღებს კი სერგეი მისგან საჩუქარს? აი, რაშია საქმე. ბრმაც კი ადვილად დაინახვდა, რომ ვასია კატანჩიკი სერგეის მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. ასეა და რას იზამ.

ეს საჩუქრები, ასე ვთქვათ, შინაურული საჩუქრები იყო. მაგრამ აი, ნიკოლოზ მაკაროვმა რომ მეგობარს საჩუქარი მოუშხადა, საჩუქარიც იმას ჰქვია — მთელს ამიერკავკასიის ოლქს მოსდო სერგეი ბრაუნინგის სახელი.

აღბათ ზუსტად ახლა, დიდ სამხედრო სტამბაში მბეჭდავმა საროტაციო მანქანა აამუშავა და ახლად დაბადებული ხვალისდელი გაზეთი თვალის დახამხამებაში ხელზე გადაიფარა. მბეჭდავმა გაზეთი გაშალა. გამოცდილმა თვალმა გვერდები ელვის სისწრაფით ჩათვალიერა. მესამე გვერდზე სარდაფის ექვსი სვეტი ეჭირა ნარკვევს — „სერგეი ბრაუნინგოვი — რიგითი ჯარისკაცი“. ნიკოლაი მაკაროვმა ბევრი ჯაფა ნახა, მაგრამ სერგეის დაბადების დღისთვის ნარკვევი მაინც დაწერა. ამჯერად შრომა წყალში არ გადაუყრია. რედაქტორმა მაინც მოასწრო, ნარკვევი მოიწონა — ყოჩაღ, შენს ნარკვევში ახლა კი იგრძნობა ნამდვილი ცხოვრებაო.

აბა რა, ნიკოლაი მაკაროვმა რაც სთქვა, აასრულა კიდევ, ისეთი ჯიუტი კაცია, ფარ-ხმალს იოლად ვერავინ დააყრევინებს.

ნარკვევს ბრაუნინგის ფოტოსურათიც ახლავს. სურათზე სერგეის მტკიცე, შეუღრეკელი სახე აქვს. ოცი

წლის ბიჰის პირობაზე იქნებ მეტად მკაცრი და კუშტი მოგეჩვენოთ სერგეი ბრაუნინგოვი, მაგრამ რას იზამ, და... მბეჭდავმა კმაყოფილებით დაიღიმა, გაზეთი მოეწონა. ახლა ხელი რომელიღაც დილავს დააჭირა და მანქანა უფრო სწრაფად ამუშავდა.

„მიდი, მიდი, იტრიალე, თორემ ვერ მოვასწრებთ, ძმობილო,“ — ფიქრობდა გულში ოსტატი.

პატარა სასაზღვრო ქალაქის ქუჩებში კი ისევ ისე ფეხშეწყობილი მიაბიჯებდა სამხედრო პატრული. უკან დარჩა ქალაქის შუაგული, განიერი ქუჩები. ძველ გარეუბანში თვალს ხვდებოდა მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო შუკები, თიხით შეგლესილი მაღალი ღობეები, ვიწრო, მჭიდროდ დაგმანული ჭიშკრები. ფანჯრები არსად არა ჩანდა: სახლები ეზოების სიღრმეში მიჩქმალულა. აქ, აღბათ, ქარი რომ არ სისინებდეს, ღამით საოცარი მდუმარება დაისადგურებდა. ქარმა სწორედ შუალამისას იცის მთებიდან შემონავარდება. ყაჩაღივით ჯერ გარეუბნებში შეიჭრება. მერე მთელს ქალაქს დააფორიაქებს, თუნუქის სახურავს და აგრუხუნებს, საკვამურებში სტვენითა და სისინით გაინავარდებს, უზარმაზარ ხეებს ჭრიალს დააწყებინებს.

„ეს ვერანა ქარი დილაღედ არ ჩადგება, — გაიფიქრა გენადიმ, — მცხოვრებლები აღბათ ქარის ხმაურს აინუნშიაც არ ავლებენ, ასეთ კონცერტებს მიჩვეული იქნებიან, სძინავთ გემრიელად, ვითომცდა აქ არაფერი. დილით, შეგვეცლიან თუ არა, იმავე წუთში თავს მივდებ დასაძინებლად. თუმცა დასაძინებლად სად მეცლება, ბრაუნინგოვთან მივალ და დაბადების დღეს მივულოცავ. ჰო, მივალ და გადავეხვევი... თუმცა გადახვევა არა ღირს არც ერთი არ ვართ ნაზი ბიჭი. ასეთი გულისამაჩუყებელი სცენები რა საჭიროა. ხელს მაგრად, ვაჟაკურად ჩამო-

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ვართმევ და ვეტყვი: სამუდამოდ, ჭირ-  
სა და ლხინში ძმად და მეგობრად მი-  
გულე. სწორედ ასე ვეტყვი, სამუდამ-  
ოდ, სიკვდილამდე-მეთქი.“

ქარი კი შმაგდებოდა და შმაგდებო-  
და. თოვლის ფიფქები, ციდან აქამდე  
რომ მოუქნელად, ზოზინით ეშვებოდ-  
ნენ, უცებ დაბზრიალდნენ, აირევ-დაი-  
რიგნენ. თითქოს სადღაც გადაიკარგ-  
ნენ, თითქოს ვერ მიაღწიეს სასურ-

ველ მიწას. საბჭოთა ქვეყნის  
სამხრეთ საზღვარზე ხანმოკლე მსგავს  
ავი ზამთარი სასუფეველს იმკვიდრებ-  
და, თან მაყრებდად შმაგი, სუსხიანი ქა-  
რები, ქარბუქი და ზვაგი მოჰყვებოდა:  
იწურებოდა „ცივი ომის“ მეცამეტე  
წელი, დიდი გამარჯვებითა და მიღწე-  
ვებით, შფოთითა და მღვლეარებით აღ-  
სავსე — ათას ცხრაას ორმოცდა-  
თვრამეტი წელი.

თარგმნა დალი კოკაიამ



# საქართველოს პოეზია

## შრომა

და აი, — ჩემი ცხოვრების გზაზე  
მივადექ სიტყვას, რომელმაც აზრი  
თავისი წონით ისე გასრისა,  
რომ შედარების მწვერვალებამდე  
ვეღარ მალღებდა.

მუშაობაზე უთუოდ ძნელად  
და მძიმედ უნდა იწერებოდეს.  
არც დასაწყისი, არც დასასრული  
არ აქვს არადერს.

ვიდრე შექმნიდა სიცოცხლის უჯრედს,  
ნივთიერება შრომობდა დიდხანს  
და აზროვნებდა მილიონ წლებით,  
უჯრედი იყო ყოვლად უბრალო  
და მაინც მასში საოცრად ნათლად  
მოჩანდა ბედი დედამიწისა  
და მომავალიც დედამიწისა.  
მერე მეც მოველ.

დავიხარე და ქვა რომ ავიღე —  
ვიხილე უცებ: მქონდა ხელები.  
ხის კენწეროებს შევავლე თვალი  
და მივხვდი, ძალმიძს შევხედო მზესაც  
და ვარსკვლავებსაც.

გარდა იმისა, რომ ვუშვებ მიწას.  
იმ დღიდან თავი არ დამიხრია.  
ასე დაიწყო დაუსრულებლად  
გრძელი პროცესი შემეცნებისა,  
პროცესი, რასაც ვუწოდებთ შრომას.  
შრომაა ფორმა

ნივთიერების შემეცნებისა.  
მე ვაზროვნებდი დიდხანს ხელებით,  
მხოლოდ ხელებით,  
მუხუშუმებში იპოვით ახლა

იმ აზროვნების კვალსა და შედეგს.  
ძნელაა ფიქრი მხოლოდ ხელებით,  
მათ ხომ იმისი ძალუძთ გაგება,  
მხოლოდ იმისი, რასაც სწვდებიან.  
ასეთი აზრის ყოფვა-გაყიდვა  
შესაძლო არის.

შესაძლო არის ჯაჭვებით დაბმა,  
რომ ვერ გაშალოს ფრთები ძლიერი  
მაღლა ფრენისთვის.

აღამიანებს ხომ ოდითგანვე  
უნდოდათ ფრენა და ბევრჯერ სცადეს  
ამ ცის ლაფვარდში განავარდება.

აღამიანის შრომა ხომ მუდამ  
იმაზე ბევრად დიდი ყოფილა,  
ვიდრე ეს არის ხოლმე საჭირო  
საფლავის თვისის მოსაშენებლად.

რადგან ვახსენე, მე მინდა გითხრათ  
ორიოდ სიტყვა საფლავებზედაც.  
თუკი ოდესმე თქვენ მოგიხდებათ  
ხილვა ხეოფისის პირამიდისა  
ან ტაჯ-მაჰალის, —

იქ ნახათ ქვეში აღბეჭდილ სწრაფვას  
კაცთა შვილების, —

რომ დედამიწას აშორებოდნენ.  
თქვენი მზერა და თქვენივე აზრი  
ამ დიად ძეგლებს

უკვდავებამდე გააგრძელებენ.  
მაგრამ ძეგლების ვერც ერთ ქვა-ლოდზე  
თქვენ ვერ იხილავთ  
აღამიანის თითის ანაბეჭდს,  
ათასობით და მილიონობით  
თითის ანაბეჭდს.

ამ ხელებს, გარჯით დაძაბულ ხელებს,  
უნდოდათ, ქვები რომ აეხილათ

უკვდავებამდე.  
თითოეული ეს ანაბეჭდი  
ჰგავს იეროგლიფს,  
რომლის წაკითხვა ვერაინ შესძლო დღემდე.  
თქვენ ვერ იხილავთ დიდი აკლამის  
ირგვლივ მოფენილ ურიცხვ საფლავსაც.  
ასე უდგამდნენ უდაღეს ძეგლებს  
არა რაჯებსა და ფარაონებს,  
არამედ შრომას!  
ასე მისდევდა საათს საათი  
და საუკუნეს სხვა საუკუნე.  
მე მივდიოდი ნელა, გულდინჯად,  
მაგრამ ჯიუტად და შეუპოვრად,  
იღუმალბოთი აღსავსე მიწის  
ერთი კანონის აღმოჩენიდან  
მეორე, უფრო რთული კანონის  
აღმოჩენამდე.  
თვალდაცუტილი, ვითარცა ბავშვი,  
მე შევეყურებდი  
დაუსრულებელ მისიას ჩემსას,  
რაც დამავალა დედა-ბუნებამ,  
რომ უფრო კარგად შემეცნო იგი.  
მაგრამ ეს მიწა იყო კეთილი,  
კეთილად დარჩა.  
მიწა დედას ჰგავს:  
მიახლოებას ვერც კი მოასწრებ,  
რომ ხელებს გიწვდის და გეუბნება:  
— ჩამეკარ მკერდში!  
ასეა ყველა კანონი მიწის,  
ან რომელიმე განა ოდესმე  
ყოფილა ჩვენგან გადამალული?  
იგი უბრალოდ გულს გადაიხსნის,  
მიახლოებას რომ იგრძობს შენსას,  
როგორც კი იგრძობს ნამდვილ ძიებებს,  
მონატრებულთა ბაგეთა სუნთქვას  
და გულის ძვერას აღმოჩენის წინ,  
თვით საიდუმლო გაიწვდის ხელებს  
და ადამიანს გადაეხვევა,  
რითაც ანიჭებს  
შეცნობის უკვდავ ბედნიერებას.  
არა, არ არის ნივთიერება  
თავისი თავის წინააღმდეგი:  
თუკი მძიმეა,  
ადამიანებს მანვე უბოძა

ძალა ისეთი და შემართება,  
რომ კაცმა მისი აწყვეა შესძლოს;  
თუ უსაზღვროა, მისცა გონება,  
რომ ჩასწვედს იმე უსაზღვროებას.  
ამბობენ: უფრო სწრაფად ირუნავდა  
მიწა თავისი დერძის გარშემო,  
დიდხანს ბრუნავდა, გახარებული,  
სწორედ მას შემდეგ,  
რაც დედამიწას ადამიანი  
გადაეხვია და იგრძნო კიდევ,  
რომ არის იგი ზურთით მოგვალი...  
იანგარიშა ვინმე თუ არა,  
ქვეყნად რამდენი სამუშაოა? —  
სხვადასხვაგვარი,  
საქირო, როგორც ადამიანი.  
ადამიანი დაიბადება  
და სამუშაო თან მოაქვს... დიახ...  
ვადიდებ შრომას, ურომლისოდაც  
აზრი არა აქვს ჩვენს არსებობას.  
ნივთიერება შრომობს, აზროვნებს  
და ეს ყველაზე თვალნათლივ მოჩანს  
არა ცივ ქვეში და არა ხეზე, —  
ადამიანში!  
წუხელ მესიზმრა მე იგი ხელი  
უშუშევირისა.  
ორივე მკედარი  
ნუთუ უსაზღვრო დედამიწაზე  
მართლა არ არის იმ ხელებისთვის  
არცა სახნისი,  
არცა ნაჯახი და არცა ბარი,  
რათა დაიწყონ მათ აზროვნება,  
დაიწყონ მღერა და მეტყველება?  
ხელებო, წუთით ნუ გაჩერდებით  
და სამუშაო ეძიეთ ჩქარა!  
ნებით არ მოგაკვს? — აიღეთ ძალით!  
ეს ხომ თქვენივე უფლება არის,  
თქვენივე ვალი და მოწოდება.  
  
რა უძლური და სუსტი ხარ, სიტყვავ!  
რა ყოვლისშემძლე და მძლავრი, — შრომავ!  
არა სიტყვებით, არამედ შრომით  
არის დიადი ეს დედამიწა:  
არა სიტყვებით, არამედ შრომით  
ბრწყინავს, ანათებს დიდ პლანეტებში.

### მშვიდობა

სიჩუმეს ვითხოვ მე ყველა ზღვისგან,  
ოკეანისა და მდინარისგან,  
სიჩუმეს ვითხოვ  
ყველა დიდი და ყველა პატარა  
კაღისგან, მთისგან.  
სიჩუმეს ვითხოვ ხისგან, რომელიც  
საგაზაფხულოდ კვირტებდამსკდარი  
ფეთქავს, შრიალებს.  
ვითხოვ სიჩუმეს და ვლაპარაკობ:  
ჩვენ ძალაგქმს გაგჩნდეთ უმტკივნეულოდ  
და უხმაუროდ გარდავიცვალოთ.

ცა რომ მტრედისფერ ზარივით რეკვს,  
ჩვენ ამოვგლიჯეთ მას რკინის ენა  
ბომბდამშენების, კრიესერთა, ზარბაზნებისა,  
ჩვენ გაეახურეთ ყველა მითგანი  
მზის ცხელ ქურაში  
და გადავანეთ დედამიწაზე  
სიჩუმედ.  
  
იმ ღამეს იყო სიწყნარე სრული  
პირველად, ქვეყნის გაჩენის დღიდან,  
მშვიდად ეძინა ლაოსელ მებრძოლს. —

გულთან მიეკრა შაშხანა ცხელი;  
და ისვენებდნენ აღყირელებიც,  
სამშობლოს მკერდზე თავმიდებულნი.  
იმ ღამეს არეინ არბევდა კონგოს,  
კუბის ქურეზზე არა გრგვინავდნენ  
ყუმბარები და

შაქრის ლერწმებსაც  
არა ლოკავდნენ ხანძრის ენები.  
ხმაურიანი დიდი ქარხნებიც  
დუმდნენ.

სწორედ იმ ღამეს გამოველ გარეთ  
და ვესაუბრე ხეებს, ბალახებს.  
ჩემი სათქმელი არ დამიშალავს.  
მათ უფრო მეტი მიამბეს, რადგან  
იყო სიწყნარე.  
მათვე გამანდეს დიდი ოცნება  
იმ ფოლადისა, რომელიც ჯერაც  
დაბადებული არ არის, არა.  
ასე გამანდეს:

— ფოლადმა გვთხოვა, გვეკითხა **შენთვის**,  
როდის შეიძლება, იგი ქურაში  
რომ დაიბადოს ზარად ან გუთნად?  
მე კი პასუხი არ გამიცია.

აველ ციურა ზარის მწვერვალზე,  
რომელსაც ენა ამოვავლიჯეთ  
ზარბაზნების და ბომბდამშენების.

მე ვარსკვლავების მწვერვალზე აველ  
და ზედ აღვმართე სიტყვა „მშვიდობა“.  
კიდით კიდემდე ვარხიე იგი,  
ციურ ზარს ვიდრე არ დაეჯახა  
და არ დაიწყო რეკვა, წკრიალი.  
გამოვლიცა ჯარისკაცს უცებ,  
გაყინულიყო შაშხანა ცხელი.

ქვეყნის მხრებს ერთი ხელით დაეყრდნო,  
მეორით მაგრად ჩაბლუჯა თოფი  
და ამეტყველდა:

— რამდენჯერ მომკლეს —  
სამართლიანად და უსამართლოდ!  
რამდენჯერ ვთვლემდი  
ჩემი მშობელი მიწის ფესვებში  
და ჩემს გულ-მკერდზე ვგრძნობდი სიმძიმეს  
დაუბადებელ ფოლადისას.

დაღეს გაევიგონე ზარის გუგუნო,  
სამყაროს ზარის, და მინდა გკითხოთ:

იქნებ დრო დადგა, იბადებოდეს  
ფოლადი იგი ზარად ან გუთნად?  
იქნებ დრო დადგა, წამოვდგე ზეზე!  
მე ვუპასუხე: დროა! რადგანაც  
არ დამაყენა გლოვამ მიწისა,  
დაუთესავი მარცლის სიმძიმემ,  
დაუმთავრებელ შენობის დარდმა,  
უთქმელ სიტყვათა მხურვალებამაც.

მე ვუპასუხე: დროა! რადგანაც  
მწვანე ტყეები სულ გამეჩხერდნენ,  
მდინარეებმა იკლეს და, აი,  
უკვე დრო არის დაბადებისა.  
მე ვუპასუხე: დრო არის-მეთქი,  
გამოიღვიძოს ადამიანმაც,

პურმაც, სიტყვამაც,  
რადგან ერთ ნაჭერს დედამიწისას  
ძალუქს ჩაეკრას მეორე ნაჭერს.

ქვას შეუძლია ქვა გაამავროს.  
მე ვუპასუხე: დროა! რადგანაც  
დღეც და გუთანიც მიისწრაფვიან  
გონებისაკენ, სიყვარულისკენ.

ქვეყანაზე კი არსებობს სიტყვა,  
რომლითაც არის შესაძლებელი  
მთელი პლანეტა რომ დაითესოს.  
და ჯარისკაცმა მკითხა უცეცხვად:  
— თოფ-იარაღი სადღა დაეაწყოს?  
მე ვუპასუხე:

— ადამიანი როცა ფხიზლდება,  
თოფ-იარაღი ისვენებს მასწინ.

მაგრამ არ არის ეს ხომ სიმართლე!  
მე მომჩვენა ასე უბრალოდ,  
რომ მსოფლიოში იმ ღამეს თითქოს  
იყო სიწყნარე;

რომ ისვენებდნენ აღყირელები,  
სამშობლოს მკერდზე თავმიდებულნი,  
რომ არ არბევდა არაეინ კონგოს;  
რომ არ გრგვინავდა ბომბი კუბაზე;  
რომ არ იწვოდნენ ლერწმის ყანები,  
ხმაურიანი, დიდი ქარხნები  
რომ დუმდნენ მასწინ.

არ დაიჯეროთ, — მე მომჩვენა!  
დაე ხმაური გაანადგუროს  
შენმა მრისხანე თოფ-იარაღმა,  
დაე მთელი ხმით ბორგავდეს იგი  
და მოითხოვდეს სიჩუმეს დიადს.  
დაე სიტყვები — დედა, მიწა, პური,  
მზე, სიყვარული, სამშობლო,  
რევოლუცია, შრომა, —  
სხვაეც ბევრი სიტყვა შესანიშნავი,  
დადგეს ერთადერთ სიტყვის გუშავად,  
რომ კაცისშვილებს უმტკივნეულოდ  
შეეძლოთ მოსვლა ამ მზისქვეშეთში  
და უხმაუროდ წასვლაეც აქედან;  
რომ ეს მტრედისფერ ზარს დაემგვანოს  
და მის ყველაზე მაღალ ვარსკვლავზე  
ენტოს, ელავდეს და წკრიალებდეს  
სიტყვა „მშვიდობა“.

მაშინ ყოველი და ყველაფერი  
ისე იქნება, როგორც ვამბობდი.



## პაპი ბაქაძე

### პროზა თუ დრამატურგია?

ქართული თეატრის ბოლოდროინდელი რეპერტუარის გადასინჯვისას არ შეიძლება თვალში არ გვცეთ ერთი გარემოება, — ძალიან გახშირდა პროზაულ ნაწარმოებთა ინსცენირებანი: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „კოლხეთის ცისკარი“, „მე ვხედავ მზეს“, „ნოველების სადამო“, „მკვდრის მზე“, „წყალდიდობა“, „ჯარისკაცის ქვრივი“, „თამაში ჭვავის ყანაში“ და ასე შემდეგ. ყველასათვის გასაგებია, რომ მოჭარბებული ინსცენირებანი არაა თეატრის კეთილი ცხოვრების შედეგი. იგი უკიდურესი გასაჭირის ნიშანია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ჩვენში გავრცელებულ ინსცენირების პრინციპს თავი უნდა დავანებოთ. თუ უინსცენირებოდ ქართულ თეატრს არსებობა არ შეუძლია, მაშინ ამ საქმეს უფრო სერიოზულად, მეტი სიფრთხილითა და გულისყურით მოვეკიდოთ. ჭეშმარიტი ხელოვნების თვალსაზრისით თუ მიუუღებელით, ინსცენირება სრულიად ახალი ნაწარმოების დაწერას ნიშნავს.

რა არის ინსცენირება? — კითხულობდა ვ. შკლოვსკი და თვითონვე პა-

სუხობდა, — შექსპირია ინსცენირება. მართლაც, როგორც ცნობილია, შექსპირმა ზოგიერთი თავისი ტრაგედია დაწერა აღორძინების ეპოქის იტალიელი ნოველისტების ნაწარმოებთა მიხედვით. მაგრამ ლიტერატურულ პირველწყაროსა და შექსპირის ტრაგედიებს შორის კოლოსალური ზღვარია. გამარჯვებული ყოველთვის ინგლისელი დრამატურგია. სამწუხაროდ, ინსცენირების შექსპირისეული პრინციპი დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. ახლა უფერული და უღლეური ასლების გადაღების პრინციპს ამჯობინებენ, რაც ფაქტიურად ანტიდრამატურგიის შექმნას უწყობს ხელს. მართალია, ჩვენშიაც ყოფილა შემთხვევა, როცა ესა თუ ის ინსცენირება წარმატებით დაგვირგვინებულა (სამაგალითოდ დუმბაძის მოთხრობათა ინსცენირებების დასახელებაც კმარა), მაგრამ ეს სრულიად არ ამართლებს პროზაულ ნაწარმოებთა სცენისათვის გადაკეთების ეგზომ გავრცელებულ ჩვეულებას. ამას დიდი ზიანი მოაქვს. ეს ზიანი სამი სახით წარმოგვიდგენია:

პირველი: ინსცენირებით ივსება რეპერტუარი, მაგრამ არ იქმნება დრამა-



ტურგია — თეატრის არსებობის საფუძველი. თავის დროზე ქართულ თეატრში აჩვენებდნენ „ჩატეხილ ხიდს“ (ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით), „ნინოშვილის გურიას“ (ე. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით), „ოთარანთ ქერივს“, „პირველ ნაბიჯს“ და სხვებს, მაგრამ ამ ინსცენირებებით ჩვენი ეროვნული დრამატურგია არ გამდიდრებულა, თუმცა მაშინ ალბათ რეპერტუარი შეივსო. დრამატურგიული კრიზისი კრიზისად დარჩა. ზემოხსენებულ ინსცენირებებს ახლა არც ერთი თეატრი არ დადგამს და ისინი არც წმინდა ლიტერატურულ ღირებულებებს წარმოადგენენ.

**მეორე:** როგორც წესი, ამა თუ იმ პროზაულ ნაწარმოებთა დღევანდელი ინსცენირება, მხატვრულ-იდეური თვალსაზრისით, არასოდეს არ დგას პროზაულ პირველწყაროს სიმაღლეზე. გამოდის, რომ კარგ პროზაულ ნაწარმოებს განგებ და ნაძალადეოდ ვამახინჯებთ. თუმცა ეს ბუნებრივიც არის, რადგან ირდევია ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კანონთაგანი, რომელიც გულისხმობს, რომ ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები იმიტომ იზადება ან რომანად, ან ლექსად, ან პიესად, რომ მას სხვა სახით და სხვა ქანრით დაბადება არ შეეძლო, ე. ი. ინსცენირებით ხშირად ირდევია ქანრების თავისთავადობისა და შეუცვლელობის კანონი.

**მესამე:** ინსცენირება, გვინდა თუ არ გვინდა, იწვევს დრამატურგიის შინაგანი კანონების დაშლა-დარღვევას (ეს ხდება უმთავრესად მაშინ, როცა ინსცენირებისათვის ალებული ნაწარმოების ერთგული გვინდა დავრჩეთ). თეატრი ხდება პროზის ილუსტრატორად, სადაც მხოლოდ გაცოცხლებული სურათები მოქმედებენ. დრამატურგია (და ამდენად თეატრიც) კარგავს დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნების უნარს და მოქმედების, ხასიათის, კონფლიქტის ჩვენება-გამოვლენის საკუთარ, მხოლოდ თეატრისათვის დამახასიათებელ საშუალებებს. ეს კი იწვევს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის სიკვ-

დილს. ხელოვნების ყველა დარგი მკითხველისა თუ მაყურებლისათვის მხატვრული აზროვნების სპეციფიკური საშუალებებით არის საინტერესო, საყურადღებო და მიმზიდველი. სხვანაირად ისინი ერთმანეთს გაიმეორებდნენ და მათ დამოუკიდებელ არსებობასაც ღირებულება არ ექნებოდა.

რაკი ინსცენირების დროს ხელოვნების ორ სრულიად განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე დარგთან (პროზა და დრამატურგია) გვაქვს საქმე, ბუნებრივია, რომ მწერალს მრავალგვარი ოპერაცია-მანიპულაციის ჩატარება უხდება. განსაკუთრებით რთულდება საქმე, თუ ინსცენირების ავტორი ცდილობს ერთგული დარჩეს პირველწყაროსი. ცდილობს, არც პროზაული ნაწარმოები დაამახინჯოს და არც პიესა დაწეროს ცუდი. ასეთი განზრახვისას მწერალი შებოქვია და ამას არ შეიძლება არ მოყვეს უარყოფითი შედეგი. არადა, რა უფლება აქვს ინსცენირების ავტორს დაამახინჯოს პირველწყარო? ერთი სიტყვით, იქმნება დახშული წრე, რომლის ვარდევია და საქმის გამარჯვებით დასრულება თითქმის შეუძლებელია. ეს რომ ასეა, ამას ნათლად ადასტურებენ ამ ბოლო დროს წარმოდგენილი ინსცენირებანი და განსაკუთრებით „თამაში ჭვავის ყანაში“, რადგან ჯერომ სელინჯერის მოთხრობა ყველაზე ნათლად გამოკვეთილი ანტიდრამატურგიული ნაწარმოებია. რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ მოთხრობის გმირს პოლდენ კოლფილდს კინო და თეატრი არ უყვარს, არამედ იმიტომ, რომ თვით ნაწარმოები თავისი ბუნებით და ხასიათით ეწინააღმდეგება სცენის კანონებს.

„თამაში ჭვავის ყანაში“ ერთი კაცის აღსარება და ამდენად, სრულყოფილად ჩამოყალიბებული სახეც ერთია—პოლდენ კოლფილდის. შეუძლია თუ არა ამ ბიუს იყოს დრამატული ნაწარმოების გმირი? ჩემი აზრით, არა, რადგან იგი

აკაკი ბაქრაძე

პროზა თუ დრამატურგია?

მოთხრობის ამბის განვითარების მანძილზე სტატიკურია როგორც სიუჟეტური მოქმედების, ისე აზრის მოძრაობის თვალსაზრისით. ვარდა ამისა, მას არავისთან არა აქვს კონფლიქტი, რომელიც ბუნებრივად გამოიწვევდა როგორც განვითარება-მოძრაობის აუცილებლობას, ისე კონკრეტულ დასასრულსაც. ერთი შეხედვით, პარადოქსულად ჟღერს — კოლფილდს არავისთან არა აქვსო კონფლიქტი მაშინ, როდესაც იგი ყველაფრისა და ყველას მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი და მოვლენებსა და პიროვნებებზე სრულიად ჩამოყალიბებული აზრი აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ ჰოლდენ კოლფილდს ბრძოლა და მოქმედება არ დაუწყია თავის აზრის დასაცავად ან განსახორციელებლად. ამდენად ჰოლდენის ფიქრი ფიქრადვე რჩება. მას ჯერჯერობით ამ ფიქრის გაზიარება შეუძლია და მეტი არაფერი. ამიტომ არის, რომ ჰოლდენის სახის მოძრაობაში წარმოდგენა შეუძლებელია, ე. ი. გათიშულია ხასიათი და კონფლიქტი. თუ პროზას შეუძლია წარმოდგინოს ხასიათი უკონფლიქტოდ და პერსონაჟის სტატიკური პორტრეტი დაგვიხატოს, ყოვლად შეუძლებელია დრამატურგიაში ხასიათისა და კონფლიქტის გათიშვა. დრამატურგიაში კონფლიქტი ავლენს ხასიათს და ხშირ შემთხვევაში ხასიათი განაპირობებს კონფლიქტს. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ.

მოთხრობაში არა მარტო ჰოლდენია გამოთიშული მოქმედების დრამატურგიიდან, არამედ დანაჩენი პერსონაჟებიც, რადგან ისინი არ არსებობენ დამოუკიდებლად. ყველა მათგანი არსებობს მხოლოდ ჰოლდენის თვალთა და პოზიციიდან დანახული, ე. ი. საგნების, მოვლენების და ადამიანების ხილვა მაქსიმალურად სუბიექტურია. მოთხრობის ყველა პერსონაჟზე ჰოლდენი მსჯელობს და ფიქრობს და მკითხველიც ამ გზით იცნობს მათ. ნებით თუ უნებლეთ, რაკი ხასიათის გამოვლენის დრამატურგიული საშუალება გამიორიცხა, თეატრს უნდა მიემართა ყველაზე

იოლი გზისთვის — ჰოლდენ კოლფილდი ყოფილიყო სპექტაკლის წამყვანი. ასეც მოხდა, დგას სცენაზე აქტიურად და კითხულობს პროზაულ ტექსტს, რამაც კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი დაამსგავსა მხატვრული კითხვის საღამოს გაცოცხლებული სურათებით.

პროზაული ნაწარმოების გაპიესებამ ბუნებრივად დასვა სპექტაკლში ერთი თავისებური ელემენტის გაჩენის საკითხი. ესაა მთხრობელი. სპექტაკლში „მკვდრის მზე“ შეყვანილია სპეციალური პერსონაჟი მთხრობელის სახით, „წყალდიდობაშიც“ ლადო მთხრობელის ფუნქციასაც ასრულებს და მთავარი გმირიც არის. უკვე თავისთავად ნათელი ხდება, რომ მოვლენათა განვითარება, პერსონაჟთა ურთიერთობა და მოქმედება ისე მიმდინარეობს სცენაზე, რომ სახვის ჩაურევლად მაყურებელს გაუჭირდება სპექტაკლის უშუალო აღქმა. განა ეს თავისთავად არ ლაპარაკობს, რომ დაირღვა დრამატურგიის სამეტყველო ენა, რაკი დაუხმარებლად, ერთგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეუძლებელია წარმოდგენის გაგება?

თანამედროვე დრამატურგიამ მონოლოგი გააძევა პიესიდან, მთხრობელი კი შეიგუა და შეითვისა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია. მონოლოგის გაძევებით დრამატურგია მოაკლდა დიდ გამომსახველობით საშუალებას, ხოლო მთხრობელის შეძენით ილუსტრაციული გახდა.

მოთხრობაში „მკვდრის მზე“ გიორგი კობაიძეს თავის მეორე „მესთან“ აქვს კამათი: გიორგისა და ავგიორგის შინაგანი ბრძოლა ამ სახის ფილოსოფიური არსი. სპექტაკლში ავგიორგის ფუნქცია მთხრობელს დაეკისრა, რამაც გიორგი კობაიძის სახე გაასქემატურა და შინაგანი დრამატიზმი მოაკლო. იგი, რთული გაორებული პიროვნებიდან, რომელსაც თავისთავთან კამათში უნდოდა ეპოვნა ჭეშმარიტება, ერთპლანიანი სახე გახდა. ვიღაც მთხრობელი მის სულში ხელს აფათურებს და ედაიგბა. რა უფლებით, რა აუცილებლობით? მხო-

ლოდ და მხოლოდ ერთი უფლებით — გიორგის დრამა გასაგები გახადოს, რადგან ამ კაცს ორი ცხოვრებით უცხოვრია — კეთილთადაც და ბოროტთადაც. გიორგი კობაიძის გულისტკივილი მონოლოგით რომ გადაწყვეტილიყო, მაყურებლისათვის ჭეშმარიტად ტრაგიკული განცდის მომგვრელი იქნებოდა იმ კაცის ცქერა, რომელმაც საკუთარი ნებით გაშალა გული და შიგ ჩაგახედა. ახლა კი მთხრობელი ძალდატანებით ცდილობს, გულის საიდუმლო ამოაცალოს გიორგის და სხვას გააგებინოს. ეს კი ტრაგიკული თვითმხილების მაგიერ, სასამართლოსეული დაკითხვის ელფერს იძენს, რასაც დრამა არასწორი მიმართულებით მიჰყავს.

თუ „მეკვდრის მზეში“ მთხრობელის შეყვანამ ერთ-ერთი სახის მთლიანობა დაარღვია, სულიერი კონფლიქტი გაამარტივა და ამით ხასიათი სქემატური გახადა, სპექტაკლში „თამაში ჭვავის ყანაში“ წაშალა ინტიმი, რომელიც ჰოლდენსა და მკითხველს შორის არსებობდა.

მართალია, მოთხრობაში ჰოლდენ კოლფილდი თვითონ მიმართავს მკითხველს („მართლა თუ გაინტერესებთ ჩემი თავგადასავალის მოსმენა...“) და იწყებს ამბის თხრობას, მაგრამ თავად ბერსონაჟის ხასიათი და ჯ. სელინჯერის თხრობის მანერა საოცარ ინტიმურ დამოკიდებულებას ქმნის მოთხრობასა და მკითხველს შორის. თითქოსდა, ვიღაც ახლობელი თავის სანუკვარ ფიქრს გიზიარებსო. ეს არც არის შემთხვევითი: როგორც მწერალს, ისე მის გმირს ყოველგვარი პოზა, მანჭიობა და მეტიჩრობა სძაგს. ინტიმურობის დასამყარებლად ჯ. სელინჯერი კარგად იყენებს პროზის სპეციფიკის ერთ-ერთ თვისებას: პროზაული ნაწარმოები და მკითხველი ურთიერთობისას მარტონი არიან. მათ შორის არ დგას მესამე ერთეული. დრამატულ ნაწარმოებსა და მაყურებელს შორის არის მესამე კომპონენტი მსახიობისა და რეჟისორის სახით. თეატრში ჰოლდენ კოლფილდის პირით ჯ. სელინჯერი უშუალოდ

კი არ ელაპარაკება მაყურებელს, არამედ მსახიობისა და რეჟისორის ინტერპრეტაციის გავლით. რეჟისორმა ი. ვეციქელიამ ჰოლდენი — ი. გოგიჩაიშვილი ავანსცენაზე დააყენა და მაყურებელთან მუსაიფი გაამართვინა. მთავარი პერსონაჟის გამოყოფამ მაშინ, როცა ჰოლდენის შეცნობა კონკრეტული საქციელის გამოვლენით კი არ ხდება, არამედ ავტოდახასიათებით, ჯ. სელინჯერის გმირს მეტიჩრობისა და კოკობზიკობის იერი შესძინა. ასეთმა შთაბეჭდილებამ გააქრო ინტიმურობის შეგრძნება და მხატვრული სახეც დამახინჯებული წარმოგვიდგინა, რადგან შეიქმნა განწყობილება იმისა, რომ თითქოს ჰოლდენ კოლფილდი კოკეტობს და იპრანჭება აზრებისა და შეხედულებების ორიგინალობით, ყველაფრისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით. ასეთ აღქმას აძლიერებს ინსცენირების ავტორის არასწორი ინტერპრეტაცია ჰოლდენისეული ამა თუ იმ განცხადებისა. მაგალითად, ერთგან ჰოლდენ კოლფილდი მოგვითხრობს, რომ ხელთათმანები მომპარესო. ბიჭმა არ იცის, ვინ მოიპარა ხელთათმანები, თუმცა ირონიულად შენიშნავს იგი, „რას ვიზამდი, კიდეც რომ მცოდნოდა. კაი მხდალი და ლაჩარი გახლავართო“. ამ სიტყვების შემდეგ, იგი წარბოდეგნით ხატავს, როგორ დაუწყებდა ქურდს ლაპარაკს, როგორ შეეცდებოდა ვაჟაკობის გამოჩენას, ქურდს პირში მიახლიდა, ქურდი ხარო და ა. შ. მაგრამ აქაც ამ გამოგონილ დიალოგს ქურდთან ჰოლდენი ირონიით და დაცინვით სავსე სიტყვებით ამთავრებს: „ბოლოს მაინც ისე გამოვალ მისი ოთახიდან, რომ ვერ მივაკერებ. მერე ალბათ საპირფარეშოში შევალ, ჩუმად სივარეტს მოვწეე და სარკეში მისხანე სახეს მივლევ“. როგორც დავინახეთ, ჰოლდენს ია ეშინია თავისთავის მიმართ ცინიკურა დამოკიდებულება გამოამჟღავნოს. ეს კი ნათლად მეტყველებს მისი ხასიათის ბუნებასა და თვისებაზე, მის ვაჟაკო-

აკაკი ბაქრაძე  
პროზა თუ დრამატურგია?

ბაზე, რადგან ლაჩარსა და მხდალს, წვრილმანსა და ეგოისტს არ შეუძლია თავისთავის მიმართ კრიტიკულად განწყობა. ამიტომ ჰოლდენის ზუმრობით დახატული სურათი ქურდთან საუბრისა მოთხრობაში ჰოლდენის სასარგებლოდ ლაპარაკობს. რეჟისორმა ი. კაულიამ კი ეს საუბარი თეატრში წარმოადგინა, როგორც ნამდვილად მომხდარი ამბავი და ამით ჰეშმარიტად მხდალი კაცის სახის ილუსტრაცია მოგვცა, რითაც ჰოლდენის სახე დაკნინდა. ამის შემდეგ ჰოლდენი — ი. გოგინაიშვილის განცხადება „კაი მხდალი და ლაჩარი ვახლავართო“, მწარე სინანულის იერს ატარებს და მასში არაფერია ირონიული და სასაცილო. ასეთი წაკითხვა სელინჯერის მიერ დაწერილი ეპიზოდისა ყოველად შეუძლებელია. იგი ვიცდარია. გარდა ამისა, ჰოლდენის სიტყვებს („კაი მხდალი და ლაჩარი ვახლავართო“) ფუნქცია დაეკარგათ. ისინი ილუსტრაციის განმარტებად იქცნენ, რადგან მაყურებელმა თვითონაც ძალიან კარგად დაინახა, როგორ იქცევა ჰოლდენი — ი. გოგინაიშვილი. ჰოლდენის სიტყვებს მანომ ექნებოდა ფასი, თუ იგი კონტრაპუნქტული დაპირისპირებით დაგვანახებდა პერსონაჟის ნამდვილ ბუნებას. მოთხრობაში სწორედ კონტრაპუნქტული ქვეტექსტით არის აღწერილი მთელი ეს გამოგონილი დიალოგი ქურდთან. ამიტომაც ილიმება მკითხველი, როცა ჰოლდენის საუბარს ისმენს და ოდნავადაც არ სჯერა მისი სილაჩრისა. პერსონაჟის მიერ წარმოთქმულ წინადადებას თუ ბრმად დავუჯერეთ და ღრმად ჩამარხული აზრი ვერ ამოვიკითხეთ, მაშინ ჰოლდენის სიგიჟის დამადასტურებელი ეპიზოდიც უნდა დაგვემატებია, რადგან იგი ერთგან ამბობს — „ნამდვილად გიჟი ვარ, ვალიარბე!“

მოთხრობის არასწორად წაკითხვის გარდა, აქ შეცდომა მეორე მიზეზითაც არის გამოწვეული. ი. კაულიამ დაინახა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მთხრობელის საშუალებით (როგორც უკვე ვთქვე, ჰოლდენი მთხრობელის ფუნქციასაც ატარებს თავისთავში) პერსონაჟის

ნაჟის სახე და ხასიათი ვერ დიხატებოდა. აუცილებელი იყო კონკრეტული მოქმედება, რომელიც საშუალებას მისცემდა რეჟისორსა და მსახიობს გმირის კონკრეტული საქციელი ეჩვენებინათ. ამ კონკრეტული მოქმედებისა და საქციელის ძებნაშიც გამოიწვია ზემოთ ნახსენები შეცდომა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პროზა არ აძლევს მდიდარ საკვებს დრამატურგიას. დრამატურგიას თავისი მასალა სჭირდება. იგი (მასალა) უსათუოდ უნდა შეიცავდეს სანახაობით ელემენტს და მისი ჩვენება მოქმედებით უნდა შეიძლებოდეს სცენისათვის შესაფერის პირობებში. რაკი პროზაული ნაწარმოები უმრავლეს შემთხვევაში არ შეიცავს დრამატურგიისათვის აუცილებელ ან შესაფერის მასალას, მის ძიებას ინსცენირების ავტორი ხშირად შეცდომამდე მიჰყავს. მის წინაშე გარდაუვალად დგება პირველწყაროს გადაკეთების, დამატება-გამდიდრების, შეცვლის აუცილებლობა. ეს პროზაული ნაწარმოების ღრმა და საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მოითხოვს სხვადასხვა სახის უნარსაც, რადგან დამატებული ან შეცვლილი ეპიზოდი დაცენა არ უნდა არღვევდეს პირველწყაროს ჟანრს, მხატვრული ქსოვილის მთლიანობას, სტილს, ბუნება-ხასიათს, ელფერს (სხვადასხვის უნარი, სხვათაშორის, ნიჭიერების თანაბარ დონესაც მოითხოვს, რაც, სამწუხაროდ, ინსცენირების პირობებში გამოორიცხულია). ყოველგვარი დარღვევა კი ინსცენირებისათვის გამიზნული ნაწარმოების აზრისა და იდეის გამარუდებას იწვევს. უკვე თქმულის ნათელსაყოფად მაგალითი ისევ სპექტაკლიდან — „თამაშ პეგვის ყანაში“ მოვიტანოთ, რადგან იგი ინსცენირების მანკიერ თვისებებს ტიპური სახით ამჟღავნებს.

როგორც მკითხველს მოეხსენება, მოთხრობაში ნაამბობია ვინმე ოსენბერგერის პენსის სკოლაში ჩამოსვლის შესახებ. ვავისენოთ, ეს როგორ არის აღწერილი ჯ. სელინჯერთან: „საფეხბურთო სეზონის პირველ მატჩ-

ზე თავისი დიდებული „კადილაკით“ ჩამობრძანდა. ჩვენ ტრიბუნებზე ჩავაშვკრივეს და გვაბლაღვეს — ესე იგი, „ვაშა“ გვაძახებინეს... მეორე დილას ეკლესიაში ათსაათიანი სიტყვა წარმოთქვა“. ამის შემდეგ გადმოცემულია ოსენბერგერის სიტყვის შინაარსი და ამბის თხრობა ასე გრძელდება: „...ლაპარაკის საღერღელი რომ აეშალა და ეშხში შევიდა, ნამდვილი სეირი სწორედ მაშინ მოხდა. გადაიქაჩა — ასეთი ბიჭი ვარო, ამისთანა მოხერხებულიო, რა არ გამომივა ხელოდანო და ამ დროს, უცებ, ედგარ მარსალამ, რომელიც ჩემს წინ იჯდა, აიღო და ერთი მაგრად ბრიგა. რა თქმა უნდა, დიდი სიბრიყვე მოუვიდა, ტაძარში როგორ შეიძლებაოდა!.. მაგრამ ძალიან სასაცილო კი იყო. ყოჩად, მარსალა. სახურავი კინიღამ გაანგრიო. ხმამაღლა არვის გაუტყინია, ოსენბერგერს წარბიც არ შეუხრია — ვითომ არ გაუგონია. მაგრამ ბებერ თარმერს, ჩვენს დირექტორს, რომელიც ოსენბერგერის გვერდით იჯდა კათედრაზე, ხელადვე შეეტყო, რომ მშვენივრად გაიგონა. ჰოი, ბიჭო, რას გაწიწმბატდა! მაშინ არაფერი, მაგრამ მეორე საღამოს სასკოლო ლარბაზში შეგვეყარა ყველა და დაიქოქა. ის მოსწავლე, რომელმაც ეკლესიაში აღმამფთოთებელი დანაშაული ჩაიდინა, სკოლაში გაჩერების ღირსი არ არისო. მარსალას შევეხვეწეთ, მანამ თარმერს სიტყვა არ დაუმთავრებია, ერთი კიდე ბრიგეო, მაგრამ გუნებაზე ვერ იყო“...

მართალია, სპექტაკლში ეს ეპიზოდი, მოქმედების ადგილისა და ხასიათის თვალსაზრისით, მოითხოვდა კორექტივს, რადგან თეატრს არ შეუძლია აჩვენოს როგორ ჩამობრძანდა „კადილაკით“ ოსენბერგერი, როგორ გაამწკრივეს მოწაფეები ტრიბუნაზე და ა. შ. მაგრამ კორექტივის შეტანის დროს ზუსტად უნდა დაცულიყო მოთხრობის ავტორის სტილი, იუმორის ფორმა, პერსონაჟისადმი დამოკიდებულება და გმირების ხასიათი, გამოვლენილი კონკრეტული საქციელით. ინსცენირების

ავტორის მიერ შეტანილი ცვლილებანი კი მხოლოდ თეატრის მოახოვნობისდა მიხედვით კი არ სცვლის შემართუნაობა ეპიზოდს, არამედ სრულიად სხვა ბუნების, ხასიათისა და სტილის სცენას უმატებს სელინჯერის ნაწარმოებს. სპექტაკლში ოსენბერგერთან შეხვედრა საკლასო ოთახში ხდება. შეხვედრამდე მოწაფეებთან მოდის მოხუცი სპენსერი და კოლფილდა და მის ამხანაგებს აზეპირებინებს ოსენბერგერისადმი მიძღვნილ „ლექს“, რომელიც თურმე თვითონ სპენსერს დაუწერია. ჯერ ერთი, სელინჯერს არსად უთქვამს სპენსერი ლექსებსაც წერდაო; მეორეც, ოსენბერგერთან შეხვედრაში სპენსერს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. გამოდის, რომ ი. კაკულიას კორექტივები თვითნებურ ხასიათს ატარებს და მთლიანად ცვლის სელინჯერის პერსონაჟის ბუნებასა და ხასიათს. გარდა ამისა, ი. კაკულიას მიერ დაწერილი „ლექსი“ (არავითარი ლექსი მოთხრობაში არაა) როგორცაც უნდა მოქცეულიყო ამერიკელი მწერლის მხატვრულ სტილისტიკაში და არ დამსგავსებოდა ნ. დუმბაძის ზურიელას „პოეტურ“ ქმნილებებს. სამწუხაროსაა, რომ ი. კაკულიამ თავისი „ლექსით“ და მერე ამ „ლექსის“ სცენური წარმოდგენით ჯ. სელინჯერის მწარე ირონია საციროკო ატრაქციონად აქცია.

მართალია, სპექტაკლის ავტორს არ შეეძლო სცენაზე გადაეტანა სელინჯერის მიერ აღწერილი სკაბრიოზული შემთხვევა და ალბათ ამიტომ მორცხვად შეცვალა ვარდით, რომლის დაყენოსის შემდეგ ცხიწყება უტყდებათ. ერთი შეხედვით, ეს უვნებელი და დასაშვები კორექტივია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც დავიწყებული და გამოტოვებულია მთავარი. სელინჯერისათვის არსებითი ის კი არ არის, თუ როგორ მოიქცა მარსალა, არამედ ის, რომ ეს ეკლესიაში მოხდა. თარმერიც ხომ იმითომ გააცხვლდა, რომ უზნეოდ ტა-

აკაკი ბაქრაძე  
პროზა თუ დრამატურგია?

ძარში მოიქცნენ („ის მოსწავლე, რომელმაც ეკლესიაში აღმასვლოთებელი დანაშაული ჩაიდინა, სკოლაში გაჩერების დღის არ არისო“). სელინჯერის აღწერილ სკაბრიოზულ შემთხვევას სეროზული დანიშნულება აქვს — იგი ეკლესიის, ე. ი. რელიგიის გამასხარავებას გულისხმობს. არც ისაა შემთხვევითი, რომ მოთხრობის მთავარ პერსონაჟს ყველაფერი რელიგიასთან დაკავშირებული სძულს („ქრისტე მიყვარს, მართალაა, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი სისულელეა ბიბლიაში“). ეკლესიაში მომხდარ შემთხვევასა და პოლდენის ათეისტურ (თვითონ პოლდენი ამბობს: „დედაჩემი და მამაჩემი სულ სხვადასხვა რელიგიის ხალხია, ბავშვები კი ათეისტები გამოვიდით“) განწყობილებას შორის პირდაპირი კავშირი და მთელი მოთხრობის ერთ მთლიან კრიტიკულ დამოკიდებულებას ქმნის რელიგიის მიმართ. სელინჯერი-სათვის ოსენბერგერი უბრალო მიზეზია და არა მიზანი. ი. კაქულიასათვის კი ოსენბერგერი მიზეზიც არის და მიზანაც. ასე დაამკირა ინსცენირების ავტორმა ამერიკელი მწერლის იდეური პოზიცია და პაწია, მოწაფურ ცელქობამდე დაიყვანა იგი.

პროზაული ნაწარმოების ინსცენირების დროს ერთ-ერთ რთულ საკითხთაგანია დროის პრობლემა. პროზა დროს თავისუფლად ექცევა და შეუძლია მოქმედება ამბის განვითარების დაურღვევლად გადაიტან-გადმოიტანოს. დრამატურგია კი ამ მხრივ შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგიაში კარგა ხანია დაივიწყა კლასიციტური პრინციპი დროის ერთიანობისა, მაინც თავისუფლად და შეუზღუდველად მოქმედება დროში სცენურ ნაწარმოებს უჭირს.

როგორც წესი და კანონი, დრამატურგია აწმყოს აჩვენებს, ხოლო წარსულის შესახებ მოუთხრობს.

„ოიდიპოს მეფეში“ ოიდიპოსის წარსულზე — იქნება იგი მისი ბავშვობა თუ მეფე ლაიოსის მკვლელობა — სოფოკლემ მოგვითხრობს. გვიჩვენებს მხო-

ლოდ იმას, რაც აწმყოში ხდება: ბავშვის წარმოშობის საიდუმლოებებს, ოიდიპოსისა და იოკასტეს ბრძანებებსა და მის ტრაგიკულ დასასრულს.

ოტელო გვიყვება — როგორ შეუვარდა იგი დეზდემონას, ანდა როგორ აჩუქა დედამ ცხვირსახოცი, რაკი ეს ამბები წარსულს განეკუთვნება; ხოლო როგორ წარამართა აწმყოში ოტელო-დეზდემონა-იავოს ურთიერთობა, ნაჩვენებია უშუალოდ.

ჰ. იბსენის გმირი — მშენებელი სოლნესი უყვება ჰილდას, თუ რა მოუვიდა მის ოჯახს. მათი ურთიერთდამოკიდებულება კი მაყურებლის თვალწინ ვითარდება.

ასეა ყველგან, ყველა სცენურ ნაწარმოებში. პროზის ინსცენირებაში კი დრამატურგის ეს პრინციპი დაარღვია. დაიწყო თვითნებური გადასახლება აწმყოდან წარსულში და პირიქით.

„წყალდიდობის“ მთავარი პერსონაჟი ლალო მაყურებლის წინაშე უკვე მოხუცი დგას და თუ რა გარდახდა მას, მოგონების გზით უნდა შევიტყოთ. ამისათვის აუცილებელია ორი თუ სამი ათეული წლით უკან დავიხიოთ, გაახალგაზრდავებული ლალო ვნახოთ და მისი ოჯახური თუ საზოგადოებრივი დრამის მოწმე გავხდეთ. ნაჩვენებია აწმყოც და წარსულიც, უფრო მეტად კი წარსული, ვიდრე აწმყო.

ამობოქრებულ ზღვაში მარტოდმართო დარჩენილი ჯარისკაცის დასერჟანტის წინაუბრთიერობა ანუ წინასიტყვიანია რომ გავიგოთ, ისევ რეტროსპექციას უნდა მივმართოთ და ვნახოთ, რა მომხდარა ადრე სერჟანტს, ქალსა და ჯარისკაცს შორის (სპექტაკლი „ნოველების საღამო“, ნოველა „ტალღები ნაპირისაკენ მიიჩქარინა“).

როგორც ვხედავთ, პროზამ მოიტანა წარსულისა და აწმყოს ერთდროულად ჩვენების აუცილებლობა. თითქოსდა ეს არ უნდა იყოს მომაკვინებელი ცოდვა. რა ვუყოთ მერე, დროის დრამატურგიული ჩვენების პრინციპი რომ დაირღვა, ვითომ ამით არსებითი რამ

დაშვება, დაზიანდა? სამწუხაროდ, დაშვება და დაზიანდა.

ამბის თხრობის დრამატურგიისათვის დამახასიათებელი ტემპი და დინამიკა შეიცვალა პროზის ტემპითა და დინამიკით. ამან მოქმედების განვითარება სცენაზე შეანელა და მღორე გახადა. ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტი თანდათან განვითარდეს, მაყურებლის თვალწინ დაიძაბოს, გაიზარდოს და გადაიჭრას, ჯერ შედეგს ვხედავთ და შემდეგ ახსნა-განმარტებას ვისმენთ (უფრო სწორად, ვყურებთ), რატომ მომხდარა ასე და არა სხვანაირად. ჯერ ვნახეთ მოტეხილი, დაფიქრებული და გულგატეხილი ლადო და მერე გავიგეთ, რა ცხოვრებას მიუყვანია იგი ამ მდგომარეობამდე. ასევე ჯერ დაჩაჩანაკებული გიორგი კობახიძე გვაჩვენებს და მერე გვიამბებს მისი შვილის სიკვდილის ისტორია. ეს იგივე იქნებოდა — მაყურებელს ჯერ ოტელოს მიერ დევდემონას დახრჩობის სცენა ენახა და შემდეგ აეხსნა შექსპირს, რატომ გაიმეტა თავდავიწყებით შეყვარებულმა ქმარმა ცოლი სასიკვდილოდ. დრამატურგიაში კონფლიქტის ფინალისაკენ თანდათანობით განვითარება და მოქმედების მაყურებლის თვალწინ გაშლა მას (მაყურებელს) ამბის დამსწრის შთაბეჭდილებას უქმნის. ეს ეფექტი მხოლოდ თეატრალური ხელოვნებისათვის არის დამახასიათებელი და სპეციფიკური (ამ ეფექტის სცენური ძალით მიღწევა არ შეუძლია კინოსს). თუმცა ამის პრეტენზია აქვს. ამის მიზეზია ის, რომ სცენაზე ცოცხალი მსახიობი მოქმედებს, ეკრანზე კი მსახიობის სურათი), ურომლისოდნე თეატრი ჰკარგავს ემოციური ზემოქმედების უდიდეს იარაღს.

სცენაზე დროის ხშირი ცვლა ბუნებრივად სვამს მსახიობის ასაკის პრობლემას. ხშირად მსახიობი იძულებულია პირველ მოქმედებაში 60 წლის კაცის როლი შეასრულოს, ხოლო მეორე მოქმედებაში უცბად 20-25 წლის ახალგაზრდა გახდეს. ასეთ ასაკობრივ მეტამორფოზას მსახიობის თამაშში უცი-

ლობელად სიყალბე შეაქვს. რა თქმა უნდა, თეატრისათვის არაა უცხო, როცა შედარებით ახალგაზრდა მსახიობი მოხუცს თამაშობს, ხოლო ხანდაზმული — ქაბუცს, მაგრამ ერთია, როცა მსახიობს მთელი სპექტაკლისათვის აქვს შემუშავებული პერსონაჟის ასაკობრივი სახე და მას წარმოადგენს, და სულ სხვაა ერთ წარმოდგენაში წლოვანების რამდენიმეჯერ გამოცვლა. ასეთი მდგომარეობა ძაბავს მსახიობს, ღლის და ართმევს საშუალებას, როლის გარეგნული სახე ერთ სტილისტურ მთლიანობაში წარმოადგინოს. კიდევ უფრო ცუდად არის საქმე, როცა ერთი როლის თამაში ორ სხვადასხვა მსახიობს უხდება ერთდროულად. მაგალითად, „წყალდიდობაში“ გიორგი და გურამ საღარაძეები ასრულებენ ერთ როლს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მამა-შვილია და ბევრი რამ აქვთ საერთო, მხატვრული სახე მაინც ორად გაიყო. ეს იმის ბრალაა, რომ ისინი სხვადასხვა ხასიათის, ემოციური ძალის, სტილისა და მანერის მსახიობებია. ასეთმა გაორებამ, რასაკვირველია, სახის ემოციური ზემოქმედების ძალა დაასუსტა.

პროზა არა მარტო დროის წარმოდგენითა და ასახვით არის დრამატურგიაზე უფრო ფართო და ტყეადი, არამედ პერსონაჟთა გალერეის მრავალფეროვნებითაც. პერსონაჟთა სიმრავლე პროზას აძლევს საშუალებას, ადამიანთა საზოგადოება უფრო სრულად, მრავალი პლანითა და კუთხით, სიღრმითა და ფერებით დახატოს. ამ მხრივ დრამატურგია შეზღუდულია როგორც მაყურებელთან ურთიერთობის ტექნიკური პირობებით, ისე მხატვრული აზროვნების სპეციფიკური თვისებებით. ეს გარემოება თავისთავად მოითხოვს პროზაული ნაწარმოების ინსცენირების დროს პერსონაჟთა მექანიკურ შემცირებას ან რამდენიმე გმირის ერთ სახედ გაერთიანებას. ასეთ ოპერაციებს, ნებით თუ

---

აკაკი ბაქრაძე

პროზა თუ დრამატურგია?

უნებლიეთ, მიყვებართ ლიტერატურული პირველწყაროს დამახინჯებამდე, რადგან ირღვევა პერსონაჟის ხასიათი, თვისებები, ბუნება, მოქმედება — საქციელის ლოგიკა. ამდენად, სახეში ჩადებული იდეური მიზანდასახულება ჰკარგავს არსს, დანიშნულებას. ეს რომ ასეა, დავრწმუნდებით ერთი მაგალითით. სპექტაკლში „თამაში ჭვავის ყანაში“ გაერთიანებულია მოთხრობის ორი პერსონაჟი: ჯეინ გალაპერი და სალი ჰეისი. ეს გაერთიანება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რადგან ისინი რადიკალურად განსხვავებული პიროვნებებია და არც გარეგნულად ჰგვანან ერთმანეთს.

ჯ. სელინჯერის მოთხრობაში სულ სამი კაცია — ელი, ფიბი და ჯეინ გალაპერი — რომელთა შესახებ დაუფარავი სიყვარულითა და სითბოთი ლაპარაკობს ჰოლდენ ჰოლფილი. ეს სამი კაცი შეადგენს მისთვის ყველაფერ ამოდლებულსა და ლამაზს ცხოვრებაში. სამიდან ორი — ელი და ფიბი — მისი და-ძმაა, უცხო მხოლოდ ჯეინია, მაგრამ ეს გოგონა „ჩვენებს გარდა, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ელის ხელთათმანი ვაჩვენე, ლექსებით აპრელეზულიო“, — ამბობს ჰოლდენი. ეს კი არის ჰოლდენის მიერ სულიერი სიახლოვისა და ნდობის მაქსიმუმის გამომჟღავნება, რადგან ელის ხელთათმანები ყველაზე წმინდა და სათუთი სახსოვარია ჰოლდენის ცხოვრებაში. ჯეინსა და ჰოლდენს შორის სუფთა და ალალი დამოკიდებულებაა. გაიხსენეთ, მაგალითად, როგორ ადელდა ჰოლდენი, როცა გაიგო, რომ ჯეინი სტრედლეიტერთან იყო პაემანზე. შეეშინდა, ამ ბიჭის მორალური ჭკუჭყი არ მოსცებოდა ქალს. ჰოლდენს სულ ერთხელ უყოცნია ჯეინისათვის. ისიც მაშინ, როცა ქალს საზიზოარი მამინაცლის დანახვამ რაღაც მწარე და შეურაცხმყოფელი გაახსენა. ეს კოცნა უფრო მოფერების, დამშვიდების და თანაგრძნობის გამომხატველი იყო („ერთბაშად გული ჩამწყდა მტირალი ჯეინის დანახვისასაო“, ამბობს ბიჭი). ვიდრე ვენებისა. უდიდეს

სიამოვნებას ჰგვრის ჰოლდენს გაიხსენოს, როგორ ეფერებოდა მას ჯეინი კინოში. ერთი სიტყვით, ჯეინი უფერ ლამაზთან არის დაკავშირებული ჰოლდენისათვის („მისთვის ხელის ჩაჭიდება ერთ რამედ ღირდა“... „ჯეინთან „თავს ბედნიერად გრძნობდი, და მორჩა — მეტი რაღა გინდოდა“... „სულ წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული. ძალიან კაი წიგნებს კითხულობდა“).

სულ სხვაა სალი ჰეისი. ჰოლდენი ხშირად ამ ქალზე დაცინვით ლაპარაკობს (უშველებელი წერილი მომწერა, ვილაც ვაუბატონზე ილაქლაქა, ტუჩები ჰქონდა წათხიანილი, სულ იმანჭებოდა და იგრინებოდა, სიხარულის დორბლები გადმოყარა და ა. შ.) მაშინ, როდესაც ჯეინის მიმართ არასოდეს არ უხმარია დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი სიტყვა. ბოლოს იქამდე მივიდა ჰოლდენი, რომ შეაგინა კიდეც სალის („წადი ერთი შენი“...), თუ ჯეინს ერთხელ აკოცა და ისიც თანაგრძნობის ნიშნად, სალის — რამდენიმეჯერ მამაკაცური ვნებით. „თეატრში მისვლამდე, ტაქსში რამდენჯერმე ვაყოცეთ ერთმანეთს“.

მართალია, მერე ჰოლდენმა ამ გოგოს მიყვარხარო, ისიც უთხრა, მაგრამ თვითონვე დაამატა ირონიულად: „ტყუილი ვუთხარი, რაღა თქმა უნდაო“. რაც შეეხება წიგნებსა და განათლებას, სალი ჰეისს შეუძლია ჰერცოვინია მოლბოროს უტიფარი სიტყვები გაიმეოროს — მამაკაცები და ბანქო ჩემი წიგნებიია.

ამ ორი სხვადასხვა პერსონაჟის გაერთიანება შლის მათ მხატვრულ ინდივიდუალობას, აღარბებს მწერლის პერსონაჟთა გაღვივებას, ერთფეროვანსა და ცალმხრივს ჰხდის საზოგადოებას, სადაც შეიძლება ჯეინიც ცხოვრობდეს და სალიც. აქ უფრო მიქანიკურ გაერთიანებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე წინააღმდეგობრივ ხასიათთან, რადგან არ არსებობს მათი გაერთიანების არც ემოციური და არც ლოგიკური დამაჯერებლობა და საბუთი. ამიტომაც ამ როლის

შესრულება ფაქტიურად შეუძლებელია. ვინ უნდა ითამაშოს მსახიობმა, ჯგინი თუ სალი? მათ ხომ განსხვავებული საქციელი, მოქმედება, ბედი, სურვილები და სალაპარაკო ენა აქვთ? ამის გამოა, რომ მსახიობი არც ერთს თამაშობს და არც მეორეს — მხოლოდ კითხულობს ტექსტს.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ ინსცენირების დროს, ერთი მხრივ, ვამახინჯებთ პროზაულ პირველწყაროს და, მეორე მხრივ, დრამატურგიულ

ნაწარმოების მაგიერ ვღებულობთ მის ხელოვნურ შემცვლელს. ამიტომ ინსცენირება არ არის ხსნა. ხსნა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული დრამატურგის შექმნაა. სხვა გზა არ არსებობს. სხვა გზა დრამატურგიული კრიზისის დროებითი მიფუნქჩება-მიჩქმალვაა, რომელიც ხვალ უფრო მძაფრად და უფრო მტკივნეულად იჩენს თავს.

---

აკაკი ბაქრაძე  
პროზა თუ დრამატურგია?



## წიგნი ნათამაძე

### ემგობიკა და ჰუმანიტემა

ქართულ ლიტერატურას სხვა მრავალ თემასთან ერთად ერთი სპეციფიკური თემაც აქვს. მთის ცხოვრება—საქართველოს მთიანეთის თავისებური ყოფა, თავისებური ეთიკური და საზოგადოებრივი წარმოდგენები, რაინდული მორალი და ვაჟკაცური სულისკვეთება, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ მოკიდებული, ჩვენი მწერლობის გატაცებული სიყვარული-სა და აღფრთოვანების საგანი გახდა. მთის თემას ჩვენი იმთავითვე დაუკავშირდა რომანტიკული კილო, ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა მთავარი დადებითი გმირები უზადო ვაჟკაცობისა და კეთილშობილების შარავანდით მოსილნი გვევლინებიან. მაგრამ ეს რომანტიკა, — თუ გნებავთ, იდეალიზაცია — მთის თემისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში არ ქცეულა ერთადერთ მოტივად, რომელიც ყველა სხვა მოტივს დაჩრდილავდა. ალ. ყაზბეგის მოთხრობებში რომანტიკა დამყარებულია უტყუარი რეალიზმის მტკიცე საძირკველზე, მისი იდეალიზებული გმირები მთაში გამეფებული „ზნე-ჩვეულებებისა“ და „ცხოვრების წესის“ განზოგადებულ, ბარის შერყეული მორალისადმი „შეფარეთ“ დაპირისპირებულ სახეებს

წარმოადგენენ. ყაზბეგის შემოქმედებაში მისი დროისათვის უკიდურესად აქტუალური ეროვნული მოტივი პირადი რაინდობის „რომანტიკულ“ მოტივზე უფრო ძლიერია. მთის სიდიადე და სიმტკიცე მწერლისათვის საქართველოს სიდიადე და სიმტკიცეა, მთიელთა ერთგულება თემისადმი და კოლექტივიზმის სული მისთვის საქართველოსადმი ერთგულებას და ქართველი ხალხის ერთპირობას ნიშნავს (ეს პატრიოტული სულისკვეთებაა სწორედ ის მთავარი რამ, რაც მთის თემისადმი მიძღვნილმა ქართულმა ლიტერატურამ „მგზავრის წერილებიდან“ ისესხა). ეს მოტივი არანაკლები ძალით მეორდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში; მამულიშვილური გრძნობისა და ეროვნული პრობლემათიკის გარეშე ვაჟა-ფშაველას შემოქმედება წარმოუდგენელია. პატრიოტულ სულისკვეთებასთან ერთად მთის თემისადმი მიძღვნილ ჩვენს კლასიკურ ლიტერატურაში მეტად ძლიერია „ყოფითი“, რეალისტური ნაკადიც: მთის ნამდვილი ცხოვრება, მისი საჭირბოროტო საკითხები, განათლების გაუმჯობესების გზათა ძიება მთის თემაზე დაწერილ XIX საუკუნის ლიტერატურას, ისევე როგორც მთელ ქართულ

ლიტერატურას ზოგადად, უყურადღებოდ არ დარჩენია. ეს „პროზაული“ ამოცანა მისთვის მუდამ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა იყო.

ეს ფაქტი მრავლისმთქმელი და დამაფიქრებელია. ჩვენი მთის ცხოვრება, მთიელთა რაინდული ზნე-ჩვეულებები, რომლებიც გავრცელებულია არა რაიმე ვიწრო არისტოკრატიულ კასტაში, არამედ მშრომელი მოსახლეობის ფართო მასაში, მსოფლიოსათვის უნიკალური მოვლენაა. არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ თავისებურმა სამყარომ დიდი ხანია მოაჯადოვა არაქართველ და არაკავკასიელ მწერალთა და პოეტთა ფანტაზია და იგი ისევე იქცა რომანტიკული პოეტური გზნების საგნად, როგორც კავკასიონის ზვიადი ბუნება. მაგრამ ქართული ლიტერატურის წინაშე არც შშობილი ბუნების სიდიადეს, არც მთიელ პერსონაჟთა პირად რაინდულ თვისებებს მთავარი — ე. ი. რეალისტური, მოქალაქობრივი ამოცანა არასოდეს არ დაუჩრდილავს (მიუხედავად იმისა, რომ იმ უცხო ლიტერატურათა მაგალითი, რომლებიც კავკასიის მთიელთა ცხოვრებას ეხება, ჩვენს მწერლობას „მთის“ თემის სწორედ ასეთ გადაწყვეტას უკარნახებდა). ჩვენი მწერლობისათვის იმთავითვე უცხო იყო მთის სინამდვილეში ეგზოტიკის ძიება, იგი არასოდეს მისდგომია ჩვენს მთიანეთს, როგორც უცხო თავგადასავალთა სამყაროს, მას არასოდეს ჩვენი მთიანეთისათვის ტურისტის თვალთ არ შეუხედავს. მოქალაქობრივი პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა და რეალიზმი იმთავითვე ჩვენი მთისადმი მიძღვნილი ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშანი იყო.

რასაკვირველია, სამოქალაქო მოტივები და ყოფითი რეალიზმი არ ამოწურავს მთის თემისადმი მიძღვნილი კლასიკური ქართული ლიტერატურის მთელს თემატიკას. ამის მკაფიო მაგალითია ვაჟა-ფშაველას დიადი შემოქმედება მისი დიდმასშტაბიანი ფილოსოფიური პრობლომებით. მთიელთა თემურ ყოფასა და მამა-პაპისაგან ნაანდერძე

ურთიერთობებში ვაჟა-ფშაველამ ადამიანთა ურთიერთობის, ადამიანებსა და საზოგადოების ურთიერთობის მართლადიული პრობლემები დაინახა. ფშავესურთა ცხოვრების მასალაზე ადამიანების ბუნებაში ღრმად ჩაწვდომა მისი ამადლეველი განდიდება და უფრო ღრმა ფილოსოფიური პრობლემატიკა, ვიდრე ვაჟას აქვს, ლიტერატურაში ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ეს ფილოსოფიური სიღრმე ვაჟას შემოქმედებაში არც გამორიცხავს და არც ჩრდილავს მამულიზმილობას, პრაქტიკულ-სოციალურ პრობლემატიკას, საქართველოს მთიანეთის ბედ-იბბალზე პასუხისმგებლობის გამახვილებულ გრძნობას. დიდ ფილოსოფიურ პრობლემებთან მორკინე ვაჟას არასოდეს არ ავიწყდება მთის სინამდვილე, მისი კეთილდღეობის სადღეისო საკითხები. ეს სინამდვილე მისთვის საკუთარ იდეათა სამყაროს გადაშლის უბრალო ფონი როდი იყო.

ჩვენს დროში მთის თემამ ახალი თავისებური გარდატეხა ჰპოვა. ბევრმა სოციალურმა პრობლემამ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს წინაპრებს აღეულებდა, ახლა აქტუალობა დაკარგა. მთის ეკონომიური და კულტურული წინსვლა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებისა, ახლა პრაქტიკული ღონისძიებების საკითხია, რომელიც მხოლოდ ლიტერატურას როდი ეხება. მთის პროგრესი — მთელი ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი სოციალური ძვრების ჩვენება მთის სპეციფიკურ სინამდვილეში — ჩვენი ლიტერატურის თემად ისევ დარჩა (განსაკუთრებით ეს ეხება საბჭოთა ხელისუფლების ადრეულ წლებს). მაგრამ ამ თემის გვერდით ჩვენს დროში ფართოდ განვითარდა სხვა უფრო სპეციფიკური თემატიკაც, რომელსაც მთის ცხოვრებისა და მისი ისტორიის უფრო განზოგადებული ასახვა, მთიელთა პერსონაჟების სულიერი სამყაროს უფრო

ნოდარ ნათაძე

ეგზოტიკა და ჭეშმარიტება

კონკრეტული დანახვა აქვს მიზნად. ავტორის ყურადღების ცენტრში ექცევა მთის განუყოფელი ძველი ყოფა, მისი ბუნება და ის შთაბეჭდილება, რასაც ეს ბუნება ადამიანებზე ახდენს („რომანტიკულ“ ლიტერატურაში ამ შთაბეჭდილებას არ ანალიზებდნენ, მას მხოლოდ უმღეროდნენ, ვითარცა ამამღლებელს). მწერალს აინტერესებს ისტორიული ეპიზოდები, რომელთაც ყოველგვარი აქტუალობა დაკარგეს და ახლა მხოლოდ პერსონაჟების სახეთა გამოძიწვის, საერთო და ინდივიდუალურ ადამიანურ თვისებათა ჩვენების ფუნქცია აქვთ. არა მარტო მთის ახალი თანამედროვე ყოფის დანახვა, არამედ მთის ძველი და ახალი ყოფის ახალი, თანამედროვე ადამიანის თვალთ დანახვა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის ნიშანდობლივი და უთუოდ სასარგებლო ტენდენციაა.

ამგვარად, მთის თემას ჩვენში დიდი და ხანდაზმული ტრადიცია აქვს. ეს თემა დღევანდელი ავტორისთვის არა მარტო რთული, არამედ საპასუხისმგებლო თემაცაა. ვინც მას ხელს ჰკიდებს, ის ჩვენი ლიტერატურის მდიდარ ტრადიციებს ემყარება.

თ. მაღლავერიძის „უშმა“ მთის თემაზე დაწერილი მოთხრობაა. მისი მოქმედება დღევანდელ სვანეთში ხდება. აქ მოთხრობილია თბილისელი ახალგაზრდის ამბავი, რომელიც ბეჩოში მასწავლებლად ჩასულა და იქ სხვისი დანიშნული შეყვარებია. მოთხრობის თემა (სვანეთი, მისი დღევანდელი და ხვალისდელი დღე) მნიშვნელოვანია. ადამიანთა გრძნობები, ურთიერთობები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც მოთხრობის დრამატულ კონფლიქტში მონაწილეობენ, მნიშვნელოვანი გრძნობები და საზოგადოებრივი ინსტიტუტებია. ამასთან არც ერთი არაა ისეთი, რომ მასზე ხელწამოკრით წერა. მისი უბრალო ფონად გამოყენება შეიძლებოდა. ავტორის მიერ არჩეული თემა დიდ სიმართლეს, მასალის დიდ ცოდნას და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ

გრძნობას მოითხოვს. საკმარისი არაა, რომ ამ თემაზე დაწერილი მოთხრობა სინტერესო იყოს — მოთხრობაში მოცემული ამბები ამასთან ერთად სწორად უნდა იყოს გააზრებული, მოთხრობილ ფაქტებზე ნაწარმოები მკითხველს სწორ წარმოდგენას უნდა უქმნიდეს.

ამ მოთხრობის მთავარი ნაკლი მდგომარეობს სვანეთის ცხოვრების არასწორად, ცალმხრივად ასახვაში. ჩვენ განგებ ვამბობთ „არასწორად“ და არა „არაზუსტად“, რადგან მხედველობაში გვაქვს არა ფაქტობრივი სიზუსტე, არა ყოფისა და ზენ-ჩვეულებების ცალკეული დეტალები, არამედ საკითხის საერთო გააზრება, სვანეთის ცხოვრების სწორედ ის მხარე, რომელიც, ავტორის ჩანაფიქრით, ნაწარმოების კონფლიქტს ქმნის. რატომ არის, ავტორის აზრით, მოთხრობაში აღწერილი კონფლიქტი გარდუვალი ან კანონზომიერი მაინც? რატომ ქცეულა მოთხრობაში გაშლილი ინტერესთა შეჯახება ტრაგედიად, ან თუ გნებავთ დრამად და რატომ არ არის იგი, ავტორის აზრით, ქრონიკა? იმიტომ რომ, ამ კონფლიქტში თითქოს ორი სხვადასხვა მსოფლგაგების, ორი სხვადასხვა მორალის, ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი მრწამსის დაპირისპირება ჩნდება. თითქოსდა ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, „ძველი“, მეორე მხრივ, „ახალი“, ერთი მხრივ, პატრიარქალური ტრადიციები, მეორე მხრივ, თანამედროვე ადამიანის თავისუფალი მსოფლმხედველობა, ერთი მხრივ, სიბნელე, მეორე მხრივ, განათლება. მართლაც, მოთხრობის მიხედვით რატომ არ იმარჯვებს სიყვარული, ან რატომ არ შეიძლება გაიმარჯვოს? მხოლოდ იმიტომ, რომ მას თურმე ძველი ადამი უპირისპირდება. კონკრეტულად, სვანური ადამი, რომელიც თბილისში გაზრდილმა მასწავლებელმა ლაღომ ჯერ არ იცის. „შვან რეღვნი“ (სვანეთი ირღვევა), — ამბობს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის მეუღლე, ტერო, როცა გაიგებს, რომ ქეთუმ, რომელსაც თავისი დანიშნული ადარ

უყვარს, გადასწყვიტა სხვა კაცს—ლადოს გაჰყვას ცოლად. ტერო მოთხრობაში ძველ, ტრადიციებით შებოჰილ სვანეთს ანსახიერებს. ამ სასიყვარულო ამბის ტრაგიკულად განცდა ტეროს მიერ, მოთხრობის მიხედვით, თავისუფალი გრძნობისადმი ძველი სვანეთის ზოგად დამოკიდებულებას გამოხატავს. „წამყევი ქეთუსთან. მე არაფრის დამალვას არ ვაპირებ“, — სთხოვს ლადო თავის მეგობარს, ტეროს მეუღლეს თემრაზ ჯაჭვლიანს, რაზნედაც ეს უკანასკნელი პასუხობს: „—არ მეზარება, მხოლოდ იცოდე, სვანეთში ჯერ არ მომხდარა მაგნაირი რამე“. „ახლა მოხდეს“, — ამბობს ლადო; „— მეც ეგეთი ვიყავი, — სთქვა თემრაზმა ნაღვლიანად, — ახლა რადაა...“ ამ ტრაგედიის წყარო მოთხრობაში ისაა, რომ დანიშნულის დალატი „წესი არ არის“, თუნდაც დანიშნულებს ერთმანეთი აღარ უყვარდეთ.

„მეცხრე კლასში დირექტორი ჩამაცივდა (დირექტორი ქეთუს დანიშნულის — ჩოფეს ძმა), ჩემი რძალი უნდა იყო, — ასე მოუთხრობს ამ უბედური ნიშნობის ისტორიას თავის ახალ შეყვარებულს ქეთუს, ამ კონფლიქტის მთავარი გმირი. „—მოაგზავნეს მოციქულები. ბაბა (ბაბუა), კარგი ოჯახის შვილიაო, დაეთანხმა. მე ვინ შემეკითხა... სოხუმში გავიპარე, ბიძასთან, — უნდა ვისწავლო-მეთქი, არ მომეშვა. ქალმა თუ მიგატოვა, სვანეთში ყველაზე დიდ სირცხვილად ეგ ითვლება. არ იცი შენ აქაური წესები... ახლა თვითონაც ვეჯავრები, მაგრამ ძმა აღარ ანებებს.“

ეს ყველაფერი ავტორს ნათლად აქვს გამოხატული, მაგრამ მოთხრობაში ამ საკითხზე ამაზე მეტია ნათქვამი. არაპირდაპირ, მინიშნების ენით ავტორი გვიმტკიცებს, თითქოს ეს „წესი“, რომელიც კონფლიქტის წყაროა, სვანეთთან განუყრელად იყოს დაკავშირებული, თითქოს იგი არასასურველი, მაგრამ მოუცილებელი ნაწილი იყოს ამ საამაყო და მომხიბლავი მხარისა, რომელსაც ავტორი საერთოდ სიყვარულ-

ლით აღწერს. მოთხრობაში არის კონფლიქტული სცენები, სადაც სკოლის ბავშვები მღერიან საუკუნოვან ხალხურ სიმღერებს, რომლებიც მსმენელებს სიამაყესა და მღელვარებას განაცდევინებენ (ეს გრძნობები დამაჯერებლად, პლასტიურადაა დახატული). არის სცენები, სადაც ვხედავთ სვანეთის შვილთა მძიმე ჭიდილს ბუნებასთან და ვაჟკაცურ ლხინს შრომის შემდეგ. ასეთ და ამგვარ სცენებს მოთხრობის დიდი ნაწილი უყავია და სიამოვნებით იკითხება, მაგრამ მათი დანიშნულება, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ამ სიამოვნებაში არ მდგომარეობს. ავტორმა იცის, რასაც აკეთებს, როცა მოთხრობის მთავარ კონფლიქტს სწორედ ამ სცენების ფონზე ხატავს. გმირი, რომელსაც სხვისი — ბეჩოელი შოფრის — ჩოფე ვეზდენის დანიშნული შეჰყვარებია, მოთხრობის ჩანაფიქრით, თითქოს მთელ ამ მომხიბლავსა და დიად სამყაროს უპირისპირდება. იგი თითქოს მთელი იმ ცხოვრების წესის წინააღმდეგ მიდის, რომელმაც შექმნა „ლილეო“, ბეთქილის სიმღერა, ვაჟკაცური საგმირო ტრადიციები. ამ დაპირისპირებამ უნდა გააშფავოს და გაამძაფროს გმირის წინაშე წარმოშობილი პრობლემა და კონფლიქტს საბედისწერო, ტრაგიკული ფერადობა მისცეს. მოთხრობის ეს ჩანაფიქრი აშკარად ჩანს.

ეს „დაპირისპირება“ შემთხვევითი არ არის. იგი, თუ შეიძლება ეს გამოთქმა ვიხმართ, სოციალური პრობლემის დონემდეა აყვანილი. ეს სოციალური „პრობლემა“, არც მეტი, არც ნაკლები, თანამედროვე ცივილიზაციასთან, თანამედროვე კულტურული ცხოვრების წესთან სვანეთის დამოკიდებულების პრობლემაა. „ძველიდან ის შემოგვრჩა, რაც მაზინჯი იყო, ახალი ბოლომდე ვერ შევითვისეთ და დავრჩით ასე“, — ამბობს თემრაზ ჯაჭვლიანი, მასწავლებელი, რომელსაც სტუდენტობისას მეცნიერული მუშაობის ნიჭი და მიღრეკილე-

ნოდარ ნათაძე  
ეგზოტიკა და ჭემმარტიკა

ბა გამოუჩენია, მაგრამ ოჯახზე ზრუნვის სამუდამოდ ბეჩოს სკოლაში დაუტოვებია. მოთხრობის „ტრაგიზმი“ თუ დრამატიზმი ისაა, რომ სვანეთში ძველი პატრიარქალური წესი თითქოს დღესაც თრგუნავს ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებებს, ფრთებს აჭრის ნამდვილ სიყვარულს. მოთხრობის სამი მთავარი გმირი ამ მკაცრი ადათის მსხვერპლი ხდება: მასწავლებელ ლადოს უყვარს ქეთუ, ის ამ ძველ ადათს აქტიურად უპირისპირდება. ქეთუსაც უყვარს ლადო. იგი ვერ ბედავს თავისი გადაწყვეტილების აშკარად გამხელას ოჯახისა და საზოგადოების წინაშე, მაგრამ ბოლოს მაინც მტკიცე ხელით წყვეტს თავის შემზღვეველ ბორკილებს (ქეთუს მოტაცება მარცხით მთავრდება — ქეთუს დანიშნული გაიგებს მათს გადაწყვეტილებას). ქეთუს დანიშნული ჩოფე ამ უღმობელი წესის მესამე მსხვერპლია — მას აღარ უყვარს ქეთუ, რომელმაც მის თავს სხვა არჩია, მაგრამ იძულებულია ყველა სამართლიანი და უსამართლო გზით მის დასაკუთრებას ეცადოს, რადგან სხვა შემთხვევაში, იმავე უღმობელი ადათის თანახმად, იგი თავლაფდასხმული აღმოჩნდება. მას ყვირაზე შეუტაცხყოფელ სიტყვას — „ნამცვირს“ დაუძახებენ. ჩოფე „აქტიურად“ მტრობს ლადოს, თავისი დანიშნულის შეყვარებულს. მრავალი პერიპეტეების მქონე კონფლიქტის ბოლოს იგი თითქმის ეხვეწება ლადოს, რომ თავი დაანებოს ქეთუს და შესჩივლებს კიდევ, რომ, მართალია, ქეთუ მისთვის უკვე უცხო ადამიანად ქცეულა, მაგრამ იგი თავს ვერ დაანებებს ქალს სწორედ იმ უღმობელი ადათის შიშით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. როგორც ეს ტრაგიკულ თხზულებაშია ხშირად მიღებული და როგორც ამას ჩვენი ლიტერატურის ამოცანები ზოგადად მოითხოვს, ავტორს თავისებური „გამოსავალი“ მოუძებნია ამ ტრაგიკული კონფლიქტიდან, თავისებური „ნათელი“ პერსპექტივაც მოუხაზავს, რათა მკითხველი უნუგეშო პესნიზმისგან ეხსნა: ზემოთ ხსენებული უღმობელი

წესი, როგორც ირკვევა, არ არის განუყოფლად გაბატონებული სვანეთში, მის გვერდით ავტორი გვიჩვენებს <sup>საქართველოში</sup> <sup>იხ. ანუ</sup> (უნდა ვიგულისხმოთ: მზარდს), პროგრესულს, რაც იმედს გვაძლევს, რომ ადამიანის ბუნებრივი გრძობებისათვის გზის გახსნა აქაც შეუძლებელი საქმე არაა. ეს იმით ვლინდება, რომ მოთხრობის კონფლიქტში შეყვარებულთა მხარეზე არიან მასწავლებელი თემარაზი და საბჭოს თავმჯდომარე ყორა. ამით მოთხრობის, ასე ვთქვათ, „კონცეფცია“ თავდება. მის იქით რჩება მხოლოდ ყოფითი სცენები, დრამატული თუ ლირიკული სიტუაციები, მეტ-ნაკლები სიზუსტით მიხაზული ფსიქოლოგიური დეტალები.

ეს გამჭვირვალედ მიხაზული „კონცეფცია“, სულ ცოტა, რამდენიმე შეცდომას შეიცავს. ერთი ის, რომ ნიშნობის ინსტიტუტის შინაარსი სვანეთში ისეთივე როდია, როგორც ბარში და თუ ავტორმა გადასწყვიტა, ამ ურთიერთობის დარღვევაზე თავისი ნაწარმოების კონფლიქტი და კონცეფცია აეგო, იგი ვალდებული იყო მკითხველისათვის სვანური ყოფის ეს თავისებურება როგორღაც მიენიშნებინა. სვანეთში ნიშნობის შემდეგ ვაჟი თითქმის ოჯახის სიძეა, ხოლო ვაჟის დანიშნული თითქმის ძალია. ნიშნობა თითქმის ქორწინებაა. დანიშნულის დაკარგვა, ამგვარად, ცოლის დაკარგვას უდრის. არსად, არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ საზოგადოებაში ცოლქმრული კავშირის დარღვევა, თუნდაც მათ ერთმანეთი აღარ უყვარდეთ, კომედად არ განიცდება. მეტ-ნაკლებად ეს ყველაზე ტრაგედიაა და სვანეთისათვისაც იმდენად საციფიკურს არაფერია წარმოადგენს, რომ ამაზე ნაწარმოების კონცეფცია აიგოს. ამის მსგავსი იზიზღისადმი ზერელე დამოკიდებულება გმირის მიერ, მისი „მსუბუქად“ განცდა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნაწარმოებში გამართლებული, თუ ავტორს თვით ეს ურთიერთობა და სოციალური ინსტიტუტი კი არ აინტერესებს, არამედ მხოლოდ მოქმედი პირის პირობა



ნება, როცა გმირია ზერელე დამოკიდებულება ამ საქმისადმი მისი გმირის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებას შეადგენს. სხვა სახე ამ პრობლემის გადაწყვეტისა ჩვენ ლიტერატურაში არ გვევლება.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი დეზინფორმაცია — ართქმა თუ ვერდანახვა იმისა, რაც ყველაზე არსებითია ავტორის მიერ არჩეული კუთხისთვის — მოთხრობას სხვა მხრივ ახასიათებს. სვანეთის დღევანდელი ყოფისათვის ის როდია დამახასიათებელი, რომ აქ, როგორც გვარწმუნებს ავტორი, ძველი პატრიარქალური წესები და თანამედროვე ცხოვრება საბედისწერო წინააღმდეგობაშია, რომ სვანეთი სადღაც შუაგზაზე გახირულა პატრიარქალურ ადათებსა და დღევანდელობას შორის, რომ აქ გაბატონებული (იხ. ციტატები ზემოთ) ძველი ადათები ადამიანთა პირად ურთიერთობებს ზღუდავს, რომ თავისუფალი გრძობა ამ დახავსებული წეს-ჩვეულებების გადაგდებას ლამობს და, უნდა ვიფიქროთ, ოდესმე ამას მიაღწევს კიდევ. ვინც სვანეთის დღევანდელ ცხოვრებას ცოტათი მაინც იცნობს, მისთვის აბსოლუტურად ნათელია, თუ რამდენად გარეგნული და ზერელეა ეს შთაბეჭდილება, რამდენად ნაკლებად გამოხატავს იგი ცხოვრების ნამდვილ არსს, რომელიც, შეიძლება ითქვას, თვალში გვეცემა, თუკი ჩვენი თვალთახედვა იმთავითვე არ იქნება შეზღუდული რაღაც ლიტერატურული სათვალევებით, თუ არ შევეცდებით სოციალური „პრობლემა“ დავინახოთ იქ, სადაც იგი ნამდვილად არ არსებობს. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ სვანეთში ძველი და ახალი ცხოვრების ურთიერთობა სულ სხვაგვარია, ვიდრე ამას ავტორი ავიწერს, რომ ძველმა, დღევანდლობისთვის მიუღებელმა ცხოვრების მკაცრმა წესებმა, რაზედაც ავტორი გვესაუბრება, დიდი ხანია დაკარგეს თავიანთი ძალა და სიმძაფრე და თუ ნაწილობრივ ჯერ კიდევ მოქმედებენ.

მაინც არა აქვთ ასეთი კრიტიკული წინააღმდეგობის ხასიათი.

პირიქით, რაც უფრო მტიკილებდა ფართოვდება ახალი, ჩვენი საუკუნის შესაფერისი ყოფი, ცივილიზაცია და განათლება, მით უფრო მტიკილებდა პატივისცემა იმ საუკეთესოსადმი, რაც სვანეთს ძველმა დრომ უნდერძა — სტუმართმოყვარეობისადმი, ურთიერთგატანისადმი, ვაჟკაცობის „კულტისადმი“, სოფლის, თემისა და მეგობრის ერთგულებისადმი და ა. შ. თუკი სვანეთში (ისევე, როგორც ჩვენს სხვა მთიან რაიონებში) დღეს მართლაც ბევრი რამ არის შემორჩენილი ძველი პატრიარქალური ყოფიდან, თუკი იქ განაგრძობს არსებობას მრავალი ძველთაძველი ადათი თუ ოჯახური წესი, ეს მხოლოდ ისეთი ადათები და ისეთი წესებია, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას კარგად ევლება, ისე როგორც თვითმფრინავით „ქუთაისი — მესტია“ მგზავრობა ევლება კლდესა და თოვლში ბანდულებით სიარულს, როგორც ქარხანაში თუ მუზეუმში მუშაობა ევლება ჯიხვზე ნადირობას, როგორც ხაიშის დიდი ელსადგურის მშენებლობა არ უშლის ხელს ზაფხულში მთებიდან ჩოჩიალა მარხილებით თვის ჩამოზიდვას. სვანეთში მისულ კაცს სწორედ ეს ეცემა თვალში და არა ის, რომ დანიშნულის სხვაზე გათხოვება არავის არ მოსწონს. ცხადია, ქალის ძალად გათხოვების ის მკაცრი და არაადამიანური ადათი, რომელზედაც „უშბას“ კონფლიქტია აგებული, ამგვარი უწყინარი „რელიქვიების“ რაიცხვს არ ეკუთვნის. მაგრამ ნუთუ ავტორის სურს დაგაჯეროს, ან თვითონ სჯერა, რომ ამგვარ კონფლიქტზე აგებული შემთხვევითი ეპიზოდი შეიძლება ფართო საზოგადოებრივი პანორამის დახატვისათვის გამოდგეს?

შეიძლება ვიკითხოთ: კი მაგრამ, იქნებ ავტორს აღწერილი ძველი ადათი აინტერესებს მხოლოდ როგორც კონკ-

ნოდარ ნათაძე  
ევზოტიკა და ჭეშმარიტება

რეტული გამოვლინება „ძველისა“ საერთოდ, იქნებ მას საზოგადოებაში ძველისა და ახლის ბრძოლის მარად ძველი და მარად ახალი თემის ახლებურად განზოგადება სურს?

მოთხრობის თანახმად, აქ დახატული „კონფლიქტისათვის“ თავის დაღწევა სვანეთიდან წასვლით შეიძლება. განა მტკიცება სჭირდება იმას, რომ ეს არ არის ძველისა და ახლის ბრძოლის ამადლევებელი თემა? ესაა „მხილება“ იმ წესისა, რომელიც შეიძლება ჯერ მთლად არ გაქრა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყოველგვარი საზოგადოებრივი აქტუალობა მაინც დაკარგა. თუ ამასთან დაკავშირებით სადმე რაიმე ექსცესი მოხდა (ასეთი ექსცესი ყველგან, მაგალითად, ბარშიც შეიძლება მოხდეს), ეს არ იძლევა საფუძველს, რომ ნამდვილი თუ გამოვლილი ფაქტი ტრაგედიალად გადავაქციოთ და სოციალური პრობლემის დონემდე განვზოგადოთ. რაც შეეხება ნამდვილ სოციალურ პრობლემებს, ეს პრობლემები სვანეთში მართლაც არის — არის ისევე (და არსებითად, იგივე პრობლემები), როგორც მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ ამ პრობლემებს დანახვა უნდა, მათ ასახვას მახვილი თვალი და მოვლენათა დრმა, დამოუკიდებელი გააზრება სჭირდება.

რასაკვირველია, მხატვრული სიმართლე სხვა და ფაქტობრივი სიმართლე სხვა. შეიძლება ერთი და იგივე ამბავი, ერთი და იგივე ისტორიული ფაქტი, ადამიანთა ურთიერთობის ერთი და იგივე სახე მწერალმა სულ სხვადასხვაგვარად განიცადოს. მაგრამ ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ეს მხოლოდ იმიტომ შეიძლება მოხდეს, რომ სხვადასხვა კაცი გარეგნულად ერთსა და იმავე მოვლენას სულ სხვადასხვა მხარეს დაინახავს, თუ წინ წამოსწევს. შეიძლება, მაგალითად, ერთსა და იმავე ფაქტს ერთმა შეხედოს მორალის მკაცრი მოთხოვნების მხრიდან, მეორემ ადამიანურ სისუსტეთა მხრიდან. მაგრამ რ.ც.ა საქმე ეხება ისეთ დიდ და ისეთ კონკრეტულ სოცია-

ლურ თემას, როგორცაა მთელი კუთხის დამოკიდებულება ახალ ცხოვრებასთან, მაშინ ფაქტობრივი უკვე მხატვრული სიმართლის აუცილებელი პირობაა. გაზვიადება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ აქ ქვეშაობა ერთია. მისი გარდახდომა მხატვრული სიმართლის დარღვევასაც ნიშნავს.

მაგრამ იქნებ სვანეთი განსახილველი მოთხრობისთვის მხოლოდ ფონია და არა თემა, იქნებ „უშუას“ ნამდვილი თემა იმ ადამიანურ ურთიერთობებში უნდა ვეძიოთ, რომლებიც აქაა დახატული? იქნება აქ მთავარია მოქმედ პირობა ხასიათები, მათი ინტერესთა შეჯახება, მიმზიდველად და ახლებურად დახატული მათი გრძნობა? არა, ნაწარმოების თემა მხოლოდ სვანეთის თემაა, განზოგადების თუ გააზრების ცდა მხოლოდ სვანეთის პრობლემას ეხება, მხოლოდ ამ პრობლემის თვალსაზრისით ხდება. მთავარი გმირი ლადო არ არის ლიტერატურული ხასიათი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით — იგი ხასიათის მხოლოდ მონახაზია. მისი პიროვნება მხოლოდ იმდენადაა დახატული, რამდენადაც აუცილებელია, რომ მის თავგადასავალს — ქეთუს გულის მოსანადირებლად ბრძოლას დამაჯერებლობა მიეცეს. ჩვენ მხოლოდ იმას ვიგებთ მისი პიროვნების შესახებ, რომ ის, ახლად დამთავრებული ფილოლოგი, „თავის თავს ეძებს“, რომ მას აქვს დაკუნთული მკერდი და სტუდენტობისას მოთხრობები დაუწერია. ეს ისეთი შტრიხებია, რომელიც, ასე ვთქვათ, საერთოა თანამედროვე მოთხრობათა დიდი ნაწილის გმირისათვის — თანამედროვე ახალგაზრდისათვის. ლადოს ხასიათი არ არის იმდენად გამოკვეთილი, რომ მოთხრობის შესაქმნელად კმაროდეს.

ოდნავ მოხაზულია ქეთუს პორტრეტიც. გარეგნულად (მაგრამ მხოლოდ გარეგნულად) თვალსაჩინოდ დახატულია ჩოფე. რაც შეეხება მოთხრობის მთავარ მამოძრავებელ ძარღვს — სიყვარულის გრძნობას, იგი მეტად არაინდივიდუალურადაა დახატული.



მკითხველი ამაოდ დაუწყებს აქ ძებნას თუნდაც ერთ ახლებურ, ორიგინალურ ნიუანსს, ახლებურ შტრიხს, განცდის თავისებურ პერიპეტიას. ეს გრძნობა ბუნებრივია (ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს), მაგრამ საინტერესო არ არის, ახლის მთქმელი არ არის, შემეცნებით ინტერესს მოკლებულია, რაიმე ახალზე ან რაიმე განზოგადებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ გრძნობის ცვალებადობა და განვითარება მხოლოდ გარეგნული დაბრკოლებების ძლევის პროცესში ხდება, ხდება მხოლოდ ამ უკანასკნელთა კარახით. ამგვარად, თუ მკითხველი მაინც იგებს რაღაც ახალს, იგებს მხოლოდ იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიაც ეს გრძნობა იშლება. სიყვარული ამ ნაწარმოების თემა არ არის. მისი ისე ხატვა, როგორც ეს ამ მოთხრობაშია მოცემული, მოთხრობის შესაქმნელად საკმარის საფუძველს ვერ ქმნის.

რალა რჩება? რჩება დამაჯერებლად, ცოცხლად აღწერილი ამბავი ორი კაცის ბრძოლისა ერთი ქალის გულისთვის. დამაჯერებელია, რომ ვამბობთ, მხოლოდ შემდეგს ვგულისხმობთ: მკითხველს სჯერა, რომ ეს ამბავი მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო და თუ მოხდებოდა, შეიძლებოდა მართლაც სწორედ ისეთი სახე მიეღო, როგორც მას მოთხრობაში აქვს. მაგრამ ის დამაჯერებლობა, რასაც ჩვენ მხატვრულ ნაწარმოებს ვთხოვთ ხოლმე, მაინც სხვა არის. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ფაქტის, მხოლოდ შესაძლო ინდივიდუალური ეპიზოდის დამაჯერებლობა. ეს უნდა იყოს ავტორის კოეფიციენტი, მისი მსოფლმხედველობის დამაჯერებლობა. ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ მართალია ანუ შესაძლებელია არა მარტო ფაქტი, რომელიც მოთხრობაშია აღწერილი, არამედ ავტორის პოზიცია, ავტორის მრწამსი, ადამიანის ბუნებისა და ცხოვრების ის ახალი მხარე, რომელიც მწერალმა ამ ნაწარმოებით აღმოაჩინა. „უშბას“ მხატვრული სიმართლე კი მხოლოდ ფაქტის სიმართლეა, უკეთ, ფაქტის ბუნე-

ბრიობა და შესაძლებლობა. ეს ბუნებრიობა იმდენად დიდია (თხრობა იმდენად კონკრეტულია), რომ მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მოთხრობაში აღწერილ ამბავს რაღაც ნამდვილი შემთხვევა უდევს საფუძველად. მაგრამ, რალა თქმა უნდა, ეს არ არის მხატვრული განზოგადების სიმართლე.

ამ თვალსაჩინო, დრამატული, რეალისტური ეპიზოდის ასე „დაკარგვა“ ნამდვილად დასანანია, განსაკუთრებით იმ მკითხველისთვის, რომელიც ლიტერატურაში არა მარტო გართობას, არამედ ცხოვრების ცოდნის გაღრმავებასა და შემეცნებითს სიამოვნებას ეძებს. ვკითხულობთ მოთხრობას და ინტერესით მოველით, როდის გამოჩნდება ფაქტებს უკან განზოგადება და მსოფლმხედველობრივი სიღრმე, რას გვეტყვის ავტორი ახალს ესოდენ საინტერესო სინამდვილეზე, ადამიანის ბუნებაზე, ადამიანთა გრძნობაზე და ურთიერთობაზე. იქნებ ავტორი აპირებს საქმის ცოდნით, გულწრფელად, ცხოვრების უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით მოგვითხროს, როგორ იშლება უნივერსიტეტის კედლებში გაზრდილი ადამიანის პირველი შეჯახება რეალურ ცხოვრებასთან, რამდენად უფრო მკაცრია ნამდვილი ცხოვრების კანონები, ვიდრე მას აქამდე ეგონა, რამდენად ძნელია პირისპირ წარდგომა ნამდვილ ცხოვრებასთან, ნამდვილ ადამიანებთან, რომლებიც თვითონ მკაცრ ბუნებას ებრძვიან და მათთან ახლად მოსულ კაცს მკაცრი, უშეღავათო მოთხოვნებით ეკიდებიან? ან იქნებ ავტორს სურს ნაწარმოების შემეცნებითს ინტერესს საფუძველად დაუდოს ორი განსხვავებული ხასიათის, განსხვავებული ბუნებისა და ტემპერამენტის ადამიანის შეჯახება ვიწრო გზაზე — ერთი და იმავე ქალისადმი სიყვარულის გზაზე? ან იქნებ ავტორს თვით სიყვარულის

ნოდარ ნათაძე  
 ეგზოტიკა და ჭეშმარიტება

გრძნობა აინტერესებს, მისი ცვალებადობა, მისი ბუნება და აპირებს მისთვის ცნობილი მკვეთრი ფაქტების საფუძველზე ამის შესახებ ჩვენთვის ჯერ უცნობი რამ გვითხრას? ავტორს რაიმე ასეთი ან ამის მსგავსი განზოგადება რომ ეცადა, მაშინ მის ნაწარმოებში ბუნებრივად აღწერილი ფაქტი მხატვრულად მართალ ფაქტად ანუ შემეცნებითი ღირებულების მქონე ფაქტად ე გადაიქცეოდა. მაგრამ ასეთი განზოგადება მოთხრობაში არ არის. განზოგადების ერთადერთი ცდა ამ მოთხრობაში სვანეთის სოციალურ „პრობლემას“ ეხება. ამ პრობლემის გადაჭრისას კი ავტორი, როგორც ვცდილობდით გვეჩვენებინა ზემოთ, ქვეშაირიტებას ლაღატობს.

თუ რითაა გამოწვეული მოთხრობის ეს ნაკლოვანება, რატომ წარმოადგინა ავტორმა არასწორი „კონცეფცია“, რომელიც ფაქტებიდან არ გამოძინარეობს, ვფიქრობთ, ნათელია. ავტორი იძულებულია ეს არასწორი კონცეფცია შეთხზას, რადგან მას აღწერილი ამბიდან გამოძინარე ნამდვილი კონცეფცია არ მოეპოვება, რადგან მისი ფაქტები არასაკმაოდ გააზრებული, ნედლი ფაქტებია. იმისთვის, რომ რაღაცნაირად გაეაზრებინა და ერთმანეთთან დაეკავშირებინა დანახული ამბები, რათა კერძო მოვლენებს უკან, რასაც მასზე შთაბეჭდილება მოუხდენია, რაღაც უფრო დიდი და უფრო ზოგადი დაენახა, ავტორმა უცხო, ლიტერატურული გზით მიღებულ ზოგად კონცეფციას მიმართა. ეს კონცეფცია — პატრიარქალური და თანამედროვე ცხოვრების ტრაგიკული დაპირისპირება — არ გამომდინარეობს ჩვენი მთის ღლივანდელი ცხოვრებიდან. ეს მისი ელმინდელი დღის კონცეფციაა. ლიტერატურის თუ ადამოციემების გავლენა რომ არა, კონცეფცია დღევანდელი თაობის კაცის ცნობიერებაში, ალბათ არც შემოაღწევდა.

უზუსტობა ცალკეულ მსჯელობაში და ამიტომ გამოძრავებული ცალკეული გრძნობების მოტივაციისას, რაც მოთხ-

რობაში აქა-იქ გვხვდება, ამ სურათო მცდარი კონცეფციიდან გამომდინარეობს. ასე, მაგალითად, ჩვენს წყვეტილებით ვგებულობთ, რომ სასწავლო ნაწილის გამგეს, თემარაზ ჯაქვიანიანს თურმე ძალიან ენანება, რომ თავის სოფელ ბენოში ცხოვრობს და მუშაობს. „—ნეტა მეც თქვენთან მოვლიოდე“, — ეუბნება იგი სვანეთიდან მიმავალ ლაღოსა და ქეთუს ისე გულწრფელად, რომ ლაღო საპასუხო სიტყვებს ვერ პოულობს. რატომ აქვს თემარაზ ასეთი ნატვრა? თუ მას ბენო მიაჩნია ბნელეთად, სადაც ცხოვრება არ ღირს, ეს, უბრალოდ, მართალი არაა (კვი მოთხრობაში ერთგან თავად ამბობს, რომ ეს „მოუგვარებელი“ კუთხე სხვა მოგვარებულს ურჩევნია). ხოლო თუ მას აქტიური მოღვაწეობა სწყურია, რათა მისი კუთხე იყოს ისეთი, როგორც მას უნდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არა აქვს, ეს მართლაც სოციალური პრობლემაა. უფრო ძეტიც — ეს მწვავე სოციალური პრობლემაა, ოღონდ ავტორმა მაშინ იმდენი გამბედაობა და ანალიზის უნარი უნდა გამოიჩინოს, რომ თავისი ყურადღება სწორედ ამ მიმართულებით წარმართოს.

სასურველი იყო, რაკილა ავტორმა თავის თემად სვანეთი აირჩია, სვანური სიტყვებისა და ფრაზების სწორად დაწერისთვის მეტი ყურადღება დაეთმო. ამ მხრივ მოთხრობა საკმაოდ ხშირად სცოდავს, მაგ. ხოჩა ლადელ უ უჯარ (უნდა: ლადელუ—ღემც. „უ“ აქ უმარცვლოა და წინა სიტყვასთან ერთად გამოითქმის). ზემი (უნდა: სემი—ვეძი). დღუშულ (უნდა: დომულო—მთარი), ჩინ მაჩინე (უნდა: ჩიდ მაჩენე ან ჩინ მაჩენე — ყველაზე უკეთესი) და სხვ.

განხილულ მოთხრობას ჩვენ თიდ მოთხვენებს ვუყენებთ, მაგრამ ამ მოთხვენებს ორი გარემოება ამაართობს. ერთი ისაა. რომ მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი უთუოდ არ იცნობს დოივანდილ სვანეთს და როცა ავტორი არწმუნებს, თითქოს დრომოქმული ზნე-ჩვეულებები დოივანდილ სვანეთში მართლაც ისე ძლიერია, რომ მათი და-

ძლევა ნამდვილად უპირველესი პრობლემაა, მკითხველს შეიძლება მცდარი შეხედულება შეექმნას. მეორეა მოთხრობის ლიტერატურული ღირსება, თხრობის მკაფიობა და თვალსაჩინოება. მკითხველის სინანულს იწვევს, რომ ავტორმა ვერ შესძლო მის ხელთ მყოფი საინტერესო ფაქტების უფრო სწორი და მკაფიო გააზრება, ვერ შესძლო აღწერილი მოვლენები მართლაც დიდი ადამიანური პრობლემების სინათლეში დაენახა. ავტორის თხრობა ნათელია. მოთხრობაში არის მკაფიოდ, ძუნწად, მაგრამ სრულად მოხაზული სახეები. მათ შორის ყველაზე უკეთესია თემრაზ ჯაჭვლიანი და ტერო, მისი მეუღლე, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი. ტერო ერთადერთი სახეა მოთხრობაში, რომელსაც შეიძლება ნამდვილად ხასიათი ეწოდოს. მაგრამ ტერო მხოლოდ მეორეხარისხოვანი პერსონაჟია. იმ როლს, რომელიც მას მოთხრობაში აქვს დაკისრებული — იყოს პატრიარქალური ადათ-წესების ცოცხალი განსახიერება მთაჯარ გმირთა სულისკვეთების საპირისპიროდ — იგი ვერ ასრულებს.

ავტორის ლიტერატურული სტილი, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მას მხოლოდ იშვიათად დაჰკრავს სტილის ერთგვარი ეკლექტიზმი: ერთი მხრივ, ავტორს რაიმე სერიოზული საჭიროების გარეშე გამოყენებული აქვს ხოლმე თხრობის შუაგულში დიალოგის პიესისებურად აგების წისი. მიორე მხრივ, ავტორი არ ერიდება თანამედროვე ლიტერატურისთვის უცხო ხერხს, როცა ავტორი ყოვლისმცოდნე ეპიკოსის პოზაში დგამს და თანაბრად გვამცნობს ყოველ ამირის შინაგან განცდებს იმის განუტყველად, თუ რომელი ამირის თვალით იყურება ამ შემთხვევაში. მაგრამ ეს ავტორს დიდ ცოდვად არ ჩაითვლება. მოქმედების განვითარება მაინც დინამიურია.

ეს ოირსობა, — კარგი თხრობა, „უშუას“ მთაჯარი და დიბითი მხარია. იმისათვის, რომ ამ ოირსობის გამოყენებით ნამდვილად მნიშვნელოვანი და ჩვენი

უპოქის მაღალ მოთხოვნილებათა შესაბამისი ნაწარმოები შექმნილიყო, ვადა ამისა, საჭირო იყო კიდევ ცხრილის ფაქტების საკუთარი, დამოუკიდებელი ანალიზი, საჭირო იყო დიდი გულწრფელობა მკითხველთან და თავის თავთან, რაც ავტორს მხოლოდ ჭეშმარიტად განცილდეს, მხოლოდ დიდი ფიქრის შედეგად მიღებულ თვალსაზრისს გამოატანინებდა მკითხველის სამსჯავროზე. თანამედროვე მკითხველი არ შეიწყნარებს ნაწარმოებს, თუ იგი მას ცხოვრების ცოდნას არ უმდიდრებს, ამ ცხოვრებაზე რაღაც ახალს ან ნაწილობრივ ახალს არ ეუბნება. ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ დამაჯერებელი ან თუნდაც ნამდვილი და საინტერესო ფაქტების თხრობა არ კმარა — ამისთვის მათი ღრმა გააზრებაცაა საჭირო. ამ გააზრებისას კი ჭეშმარიტება უმთავრესი საზომია.

ოტია იოსელიანის ახალი მოთხრობის — „ოქროსფერი და ჭორისფერი ქორას“ მოქმედება სვანეთში ხდება. სოფელ ბიჭს ყაისნს ჰყავს კვიცი, რომელსაც სასოებით ზრდის და გვიანამდე გასახიფტად ვერ იმეტებს. ოქროსფერი „ქორას“ ყვილა ცხენს სჯობია ახლომანლო, მას მხოლოდ მისი სიხინია — იმავე თემის სხვა მცხოვრების ცხენი თუ გაუწივს მიტოქობას. ყაისნის ქორას იტაცებენ და მღვივართა შორის მხოლოდ მეორე ქორასზე ამხიდრებული ათმურზა (ყაისნის მიტოქე) ახერხებს ყაისნის ცხენზე მუდარი ქურდის მიყოლას. მოთხრობა დრამატულად თავიობა: ათმურზა ეწევა ქურდს, იბრუნებს ყაისნის ქორას. მაგრამ დამარცხებული ცხენის პატრონს ამით კიდევ უფრო ძლიერ ტანჯავს აყინებს, ვიდრე ცხენის დაკარგვა მიაყინებდა. დიკალს, რომლითაც ეს დრამატული ეპიზოდი ბოლოვდება. ოთნავ მოლოთობამაჰოლი ხასიათი აქვს: ხიოზე წაფორხილებულ ოქროსფერ ქორას

ნოდარ ნათაძე

ვეზოტიკა და ჭეშმარიტება

ყაისნი ქურდისათვის გამზადებულ  
თოფს ესვრის და ენგურს გაატანს.

ნაწარმოებს „სევანური ნოველა“  
ჰქვია, რაც უთუოდ იმას ნიშნავს, რომ  
მოთხრობის სიუჟეტი ან განწყობილე-  
ბა რაღაც არსებითი მხარით არის  
სევანეთთან დაკავშირებული, რაღაც  
სევანეთისთვის სპეციფიკურ დეტალს  
შეიცავს. ვფიქრობთ, არ შეეცდებით  
თუ ვიტყვით, რომ ეს სპეციფიკური,  
მოთხრობის ჩანაფიქრის მიხედვით, უნ-  
და იყოს გმირის სულში დასაღვურე-  
ბული დიდი ვნება (ცხენოსნობისა),  
პრინციპის: „გამარჯვება ან სიკვდილის“  
მეტად თანმიმდევრული და უკომპრო-  
მისო გატარება, რაც ჩვენს ცნობიერე-  
ბაში მთის რაინდულ სულისკვეთებას  
უკავშირდება (უნდა ვიფიქროთ, რომ  
ამ დაკავშირებაში „მთის რომანტიკის“  
შორეული გამოძახილი იგძნობა). ცხე-  
ნის თემაც — ცხენისადმი „ჰიპერტრო-  
ფირებული“ სიყვარულიც, მოთხრობა-  
ში შეიძლება ნაწილობრივ მაინც „მთის  
რომანტიკის“ ანარეკლად მივიჩნიოთ.  
ცხენისა და ცხენოსნობის კულტი ზომ  
მთის ცხოვრებისა და მთიელთა ვაჟ-  
კაცობისადმი მიძღვნილი მწერლობის  
ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია.

რასაკვირველია, „მთის რომანტიკის“  
ერთგვარი ანარეკლი განსახილველ  
მოთხრობაში შიშვლად არაა მოცემუ-  
ლი. პირიქით, ეს „რომანტიკული“  
მოტივების შემცველი ეპიზოდი ჩვენი  
დღევანდლობის ცოცხლად დახატულ  
ფონზე იშლება. მაგალითად, მთავარ  
გმირს ყაისნს იმიტომ აძლევენ კვიცის  
გაზრდის ნებას, რომ ამის სამაგიეროდ  
მშობლებს კარგად სწავლას ჰპირდება.  
მოქმედების განვითარება და გმირთა  
ურთიერთობებიც, რამდენადაც შეიძ-  
ლება მათი მოხაზვა ამ პატარა მოთხ-  
რობაში, არავითარი „ანაქრონიზმის“  
ნიშნებს არ ამჟღავნებენ. პირიქით, ყვე-  
ლაფერი აქ ბუნებრივად ხდება, ყოველ  
დეტალში ჩვენს თანამედროვეებს და  
ჩვენს თანამედროვეობას ვცნობთ.

საბედნიეროდ, მოთხრობას აქვს ფსი-  
ქოლოგიური მოტივაცია, რაც ზემოთ  
ნახსენები რომანტიკული კილოს დახმა-

რებას არ საჭიროებს. ბიჭის — მთავარი  
გმირის განცდათა მთელი გამა-  
გაზრდიდან მოყოლებული სახალისო  
მარცხამდე, როცა მის ცხენს მისივე  
მეტოქე ცხენი მისდევს, ბუნებრივად,  
დინამიურად და საინტერესოდ არის  
მოთხრობაში გადმოცემული. სცენაში,  
სადაც გამარჯვებულ მეტოქეს მისი  
გადარჩენილი, მაგრამ შერცხვენილი  
ცხენი სოფელში მოჰყავს და ხალხიდან  
ვიღაც ბელტს ესვრის, მოთხრობა ჰემ-  
მარიტ დრამატიზმს აღწევს. მოთხრობის  
გმირისთვის ეს სცენა ნამდვილი ტრაგე-  
დიაა. ამ ტრაგედიამდე ავტორს იგი  
ბუნებრივად და ფსიქოლოგიური სი-  
მართლის სრული დაცვით მიჰყავს.

აქამდე მოთხრობის მოტივაცია მკა-  
ფიაა. ერთადერთი ორიენტირი, რომ-  
ლის მიხედვითაც ავტორი გზას იკვლევს,  
ფსიქოლოგიური სიმართლის გრძნობაა.  
მთის რომანტიკა — გაზვიადებული ვნე-  
ბები, ხასიათის თვითმიზნური „მთლიან-  
ობა“ თუ შეურთიგებლობის კულტი —  
ყველაფერი, რაც ჩვენს წარმოდგენაში  
მთის რომანტიკის ძველ ტრადიციას  
უკავშირდება, აქ არ მონაწილეობს.  
მოთხრობის ლოგიკური წერტილი სწო-  
რედ აქ არის და მისი ემოციური „კრემ-  
ჩენდოც“ სწორედ აქ მთავრდება. შემდ-  
გომ სცენას — ცხენის მოკვლას — ყო-  
ველივე აქამდე მონათხრობი რაღაც  
ექსტრავაგანტური ეფექტის დონემდე  
ჩამოჰყავს, განცდის შინაგან დრამა-  
ტიზმს იგი აფექტური მოქმედების  
შემთხვევითი და სიღრმეს მოკლებული  
დრამატიზმით ცვლის.

ეს უკანასკნელი ზერეულ ეფექტი მა-  
ნამდე გადმოცემული ამბის ემოციურ  
ზემოქმედებას არ აქარწყლებს, მაგრამ  
მოთხრობის ნაკლოვანებად მაინც უნდა  
ჩაითვალოს. ავტორი აქ ვნებათა „ტიტა-  
ნურობის“ მეტად საეჭვო სატყუარს  
გამოეკიდა, ფაქიზ ფსიქოლოგიზმს  
სწორხაზოვანი აფექტაცია არჩია. მთის  
თემაზე წერა თითქოს ავაღღებო-  
ლებს ავტორს ზედმეტად მძაფრი,  
ზედმეტად „ზეადამიანური“ გრძნობები  
ექებოს. ამ ნოველის თემაც რომ მის-  
თვის ჩვეულ ბუნებრივ გარემოში გაე-

შალა, შეიძლება ავტორი ამ ექსტრავაგანტურ ეფექტს აქაც არ მიეზიდა.

მოთხრობის ეს ნაკლოვანება მით უფრო აღსანიშნავია, რომ მის დასაძლევად ავტორს მიინცადამინც დიდი ნოვატორობაც არ მოეთხოვებოდა. არც ცხენისა და ცხენოსნობის ეპიზოდები საერთოდ, არც იგივე მოტივები მთისა და მთიელთა ცხოვრებასთან დაკავშირებით ჩვენი დღევანდელი ლიტერატურისათვის უცხო არ არის. იგივე მოტივები ფართოდ არის წარმოდგენილი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში, სადაც მათ მთის რომანტიკის არავითარი საექვო შარავანდი, ლიტერატურიდან მომდინარე გავლენის არავითარი კვალი არ ახლავს („თვირთილა“, „სალამურა“). „თვირთილაში“ ყურადღების ცენტრშია, პირველ ყოვლისა, შინაგანი განცდა, ხოლო უჩვეულო გარეგან ფაქტებს სრულებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ მთის თემაზე დაწერილი ნაწარმოების აგებისას მხოლოდ მოქმედების შინაგანი ფსიქოლოგიური მოტივაცია, მხოლოდ გმირის დაძაბული შინაგანი ცხოვრება შეიძლება იყოს მთავარი. „ეგზოტიკის“ მცირე მინარევი მავნებელი არ არის და ხშირად შეიძლება არც ზედმეტი იყოს, მაგრამ, როგორც ამას თ. იოსელიანის მოთხრობა მოწმობს, მისი იმედით ყოფნამ შეიძლება ავტორისა და მკითხველის ყურადღება მთავარს მოაცილოს, შეიძლება უფრო ძვირფასი და უფრო ღრმა ხაზი — შინაგანი დრამატიზმის ხაზი განზე დატოვოს.

მთის ეგზოტიკა ეგზოტიკის მხოლოდ ერთი კერძო სახეა, ხოლო მთის ეგზოტიკით ვატყობის ხიფათი — იაფი ეგზოტიკის აყოლის — ხიფათის კერძო სახე. ყველგან, სადაც ასახული ცხოვრების სფეროს სიახლე და სპეციფიურობა მოქმედების შინაგან კლოგიკას ჩრდილავს, სადაც ფსიქოლოგიური ნახაზის სიფაქიზე და სიზუსტე მკითხველის გაკვირვების სურვილს ეწირება — ჩვენ საქმე სწორედ ლიტერატურის ამ იაფ და სახიფათო სამკაულთან

გვაქვს. იმისათვის, რომ რაღაც დიდი ან მცირე ადამიანური ჭეშმარიტება ითქვას, ავტორს უნდა ჰქონდეს მკითხველზე უზაღება მკითხველის ინტელიციაზე უშუალო ზემოქმედებისა. გარემო, რომელშიაც მოქმედება მიმდინარეობს, მკითხველს არ უნდა აკვირებდეს, ავტორის მინიშნებებისა და ნახევარტონების გამოყენების საშუალება უნდა ჰქონდეს. ავტორი მკითხველს უნდა ემსახუროს „მეგზურად“ არა ამ უცნობ გარემოში, არამედ, პირველ ყოვლისა, ადამიანის ბუნების სიღრმეში. ამიტომაც ძალიან დაბალია იმ ავტორთა შემოქმედების იდეური „ჭერი“, რომელთა თხზულებები მხოლოდ უცხო ქვეყნის ან მკითხველისათვის უცნობი სოციალური ფენის ცხოვრებას ეხება. განწირულია იმ ავტორის შრომა, რომელსაც ცხოვრება კაბინეტში გაუტარებია და სოფელს აღწერს, მაგრამ არანაკლებ შეზღუდულია იმ ავტორის შესაძლებლობები, ვინც რაღაც სპეციფიურ გარემოს (ვთქვათ, მეშახტეების, ექიმების, მეზღვაურების ცხოვრებას) ხედავს მხოლოდ მათი პროფესიის მხრიდან, ვინც ჩვენზე, მკითხველზე, შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს მათი პროფესიის თავისებურებით (კმაყოფილება მისი სიძნელის ან ტექნიკური მხარეების აღწერით და ა. შ.) და არა მათი ადამიანური ბუნების გახსნით.

ბოლო წლების ჩვენს ლიტერატურაში ერთ-ერთ საპატიო და რთულ ამოცანად ახალი გამომხატველი საშუალებების ძიება, მხატვრული არსენალის დახვეწა, თხრობის სტილისა და მანერის გადახალისება იქცა. ზოგჯერ (რა თქმა უნდა, არა ყოველთვის) შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ამ მნიშვნელოვანმა ამოცანამ თვით ამბისა და მასალის, თვით ნაწარმოების საფუძვლად დადებული ფაქტის მნიშვნელობა დაჩრდილა, თითქოს ფორმალურმა სიახლეებმა „დიდი“ ფაქტებისადმი ინტერესი და ყურადღება შეა-

ნოდარ ნათაძე

ეგზოტიკა და ჭეშმარიტება

სუსტა. ა. გეწადის მოთხრობა „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“ ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, რომ ეს ტენდენცია საყოველთაო არ არის. ეს მოთხრობა ავგიწერს იმას, რაც ოდითგანვე მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი თემა ყოფილა და იქნება — განსაცდელს, ხიფათს, ადამიანის ბრძოლას სტიქიასთან. ეს ბრძოლა არ არის სპორტული ან თავმოყვარეობით ნაკარნახევი, ან სახალისო, — ესაა ნამდვილი, საარსებო ბრძოლა ბუნებასთან. კატასტროფულად მოდიდებულ რიონს დაბა-სოფლები წაუღია, დარბეულ ადამიანთა სიცოცხლე უმსხვერპლია, ნაწვავ-ნადავი დოვლათი გადაურეცხავს. დაბა-სოფლების მცხოვრებნი კი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით იჭერენ წყალწაღებულ ხე-ტყეს — შეშას, ფიცარს და მორს. ეს სტიქიური უბედურება მოთხრობაში ნათლად, დინამიურად, საქმის ცოდნით არის აღწერილი. მკითხველს სრული შთაბეჭდილება ექმნება, რომ ავტორი მისთვის კარგად ნაცნობ, საკუთარი თვალით ნახულ მოვლენაზე ესაუბრება. წყალდიდობა, მასთან ბრძოლა და ამ ბრძოლაში ჩაბმულ ადამიანთა ბედი მკითხველს იტაცებს. დეტალები, რომლითაც ეს სტიქიური უბედურება არის დახატული, ძალიან მკაფიო და თვალსაჩინოა. ეს დეტალები მკითხველს ნათელ, დინამიურ, პლასტიურ სურათს უხატავს.

მაგრამ კარგი ეფექტი, რასაც ეს აღწერა ახდენს, მხოლოდ ამ დეტალთა მკაფიოებითა და სიუხვით არ არის განპირობებული. გაღამწყვიტ როლს აქუთუოდ ის თამაშობს, რომ ეს დეტალები ავტორს თვითმიზნურად არ აქვს მოცემულიყო. მისი მთავარი ყურადღება მაინც ბრძოლაში მონაწილე ადამიანთა განცდების ხატვას ეთმობა. ავტორი არ ცდილობს გვიჩვენოს, როგორი ძლიერები და ბუნებასთან ბრძოლაში გამობრძმედილობი არიან ადამიანები, რომლითაც ამ სიტუაციაში მოქმედებენ (ამ ცოდნობას, უთუოდ, ბიკრი ავტორი აპყვიბოდა). მისი გმირები ასეთები მართლაც არიან, მაგრამ ავტორი ამაზე

ყურადღებას არ ამახვილებს. იგი ამით ჩვენს გაკვირვებას არ ცდილობს. ავტორისთვის მთავარია მათი უბედურების უფრო რთული და საინტერესო მხარეები, ხოლო ის, რომ ესენი ბუნებასთან ბრძოლაში გამოწაფული ადამიანები არიან, მხოლოდ ფონს ქმნის, რომელიც მთელ ამბავს რეალობას ანიჭებს.

ნაწარმოების კონფლიქტი, არსებითად, ეთიკური კონფლიქტია. მოთხრობის თემაა კაცის შინაგანი გარდასახვა, მისი ეთიკური ბუნების ცვალებადობა. მოთხრობის გმირს ჯიბოს ჯერ კიდევ ბავშვობაში დაუხვევია ერთხელ უკან სახიფათო სტიქიის წინაშე (უკან დაუხვევლობას რა მოჰყვებოდა — სხვისი გადაჩენა თუ ჯიბოს დაღუპვა, ეს მკითხველისთვის უცნობი რჩება) და ეს სამწუხარო ეპიზოდი დიდი უბედურებით დამთავრებულა. მეზობელთა ჭორმა პატარა ჯიბო გაამტყუნა. ბავშვობაში მიღებული ტრავმა ჯიბოს სამუდამოდ გამოჰყვა. ამ ტრავმამ და „ცოდვიანის“ სახელმა, რაც მას სოფელში შეერქვა, ადამიანთაგან მისი გარიყვა, ღრმა ეგოიზმი, ადამიანებისადმი ავი განწყობილება გამოიწვია. ქალის უარმა ჭაბუკობაში ეს ტრავმა კიდევ უფრო გაამწვა და ჯიბოს მისი ბედნიერი მეტოქისადმი ფარული, მაგრამ დაუძლევილი მტრობა გულში ჩაუნერგა. მოთხრობის კვანძი იხსნება ორივე მეტოქის — ჯიბოსა და სანდროს ერთად მოხვედრით სამკვდრო-საციცოცხლო განსაცდელში. ჯიბო სულმდაბლობას სულმდაბლობაზე იჩენს — შური, წვრილმანი ეგოიზმი და ამ ვიწრო ეგოიზმით გამოწვეული სილაჩრო მასა და მის ვაჟკაცსა და კეთილშობილ, ცხოვრებაში წარმატებულ მეტოქეს შორის ღრმა უფსკრულს აჩენს. მაგრამ ცხოვრებაში მიღებულ ყველა ტრავმას, პირადი ხელმოყოარვით გამოწვიულ შურსა და სიჯაბნეს მაინც ადამიანის ბუნებაში ღრმად ჩამარხული სიკეთე სძლევს — თითქმის განწირულ ჯიბოს უიკრათ დაიკვირი მხნიობა მოეძალებს, მამა-შვილის (მისი მეტოქე სანდ-

როს და მისი ვაჟის) ტრაგედიის ღანახ-  
ვაზე მასში ადამიანური გრძნობა წამო-  
ტივტივდება და სანდროს ვაჟის ბედი  
მას საკუთარ განსაცდელს ავიწყებს.  
ამთ ჯიბოს შინაგანი განახლება ხდე-  
ბა — ამ წუთმა დასძლია მისი ღრმა  
პიროვნული ტრავმები და გააქარწყლა  
ამ ტრავმებით შეპირობებული ეგოიზ-  
მი და სიავე.

ჯიბო — მოთხრობის მთავარი გმირი —  
მეტად მკაფიო სახეა. იგი ავი და წვრილ-  
მანი ადამიანია, მისი თავისებური შინა-  
განი სამყარო ხელშესახებად, დამაჯე-  
რებლად და შელამაზების გარეშეა  
მოხაზული ავტორის მიერ. ბოროტე-  
ბა აგროს ძალაჲ კარგად დაუნახავს,  
აღუწერია, მკითხველთან ახლოს მიუ-  
ტანია. კაცის ავი, წვრილმანი, უსინდი-  
სო, თავის ვიწრო ნაჭუჭში ჩაკტილი  
გრძნობების გამა ჩვენ წინ თანმიმდევ-  
რულად თა მკაცრი შინაგანი ლოგიკით  
ვითარდება.

ეს ბოროტება მხოლოდ ამ კაცის  
პირათი ბუნებიდან არ გამომდინა-  
რებო. მას სხვა ობიექტური საფუძვე-  
ლიც აქვს. როცა ბავშვობაში ის დიდი  
უბედურება დაატყდა, ჯიბო სწორედ  
ასეთი უკიდურესი სულმდაბლობის  
მოწმი გაჩა და სხვისი მხრიდან. მოთხრო-  
ბის დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება  
გვრჩება, თითქოს გმირის სულიერი  
სამყაროს ნაკლოვანება — მისი სიავე,  
შორი და ბოღმა სხვა ადამიანების  
მიმართ მისგან დამოუკიდებელი მიზე-  
ზებით — მისი უდანაშაულო პარიყვითა  
და ხიომორარკით არის გამოწვეული და  
თითქოს მისი ეგოიზმისა და წვრილმან-  
ობის ხატვა მხოლოდ ამ გარეგნული  
უსამართლობის წარმოჩინას იმსახურო-  
ბა. შიშოვკი (რიყიზე შიშის ჭირისას)  
ეს კაცი უიციოდ იცვლება ჩვენს თვალ-  
წინ. მისი ხასიათის ნაკლოვანებები  
უკიდ თანოაყოლილი. ბონიბრივი ბო-  
როტობის სახის იღებს. ამგვარად, გმი-  
რის შინაგანი სამყარო, გმირის ხასიათი  
კარგადაა დახაზული. მაგრამ იგი  
ვერაა ასევე კარგად დახატული, საკმაო  
სითაქიზითა და თსიქოლოგიურ გადას-  
ვლათა საკმაო სიზუსტით გაშლილი.

მკითხველს მაინც რჩება უსიამოვნო  
შთაბეჭდილება, რომ ხასიათის ~~ლოგი-~~  
კას აქ ავტორისეული იღის ~~ლოგიკის~~  
სძლევს.

მოთხრობის მეორე გმირის — სანდ-  
როს სახის მოხაზვას ნაკლები ყურად-  
ღება ეთმობა, თუმცა მოთხრობის ჩა-  
ნაფიქრით მას დიდი როლი ეკუთვნის.  
იგი ჯიბოს ანტიპოდი რაგორც ცხოვ-  
რების გარეგნული პირობებით (იგი თუ  
ბედისგან განუხივრებული არ არის,  
ყოველ შემთხვევაში, ყოველმხრივ წარ-  
მატებული მაინც არის თავისი უნარი-  
სა და გარჯის წყალობით), ისე შინა-  
განი სამყაროთი, საკუთრივ ხასიათით:  
იგი კეთილშობილია, მხნე, მამაცი, გამ-  
რჯე. დაპირისპირება ძალიან მკვეთრია,  
მაგრამ ამავე დროს გაზვიადების გარე-  
შე მოცემული. იგი თანდათანობით,  
მოქმედებაში ვლინდება და, ამდენად,  
ბუნებრივი და ძალდაუტანებელი ჩანს:  
სხვისი ნაოხარის — მორების, ფიცრე-  
ბის ქერით დაღლილ ჯიბოს იქვე რი-  
ყზე მყოფი თავისი მეტოქე აგონდება:

„ნეტავი ის რას შვრება, ჩემი მტერ-  
მოყვარე?“ „აჰა, გამოღვეია არაქათი,  
გასძრობია ქანცი. ჭოკი მიუგდია, ჩა-  
მომჯღარა და თავი ჩაუჭინდრავს...“

ჯიბო რიყეს თავქვე დაუყვია“.

„— სანდრო, რას დადგრემოხარ?  
ქვეყანა შენი სარჩენი და საპატრონო  
ხომ არ არის? გიჭირს რამე, ბიჭო?“

„— შე რა მიჭირს... ამ ცოდვიანს  
(რიონს) სულ დაუქცევია და გაუუბე-  
დურებია ზემოლური ხალხი. მაგის მო-  
ტანილი ოქროც არ მინდა“ (რიონმა  
კარილი აკანი გამოატარა). „როგახ  
სუოს მოვითქვამ და წავალ შინ. შენ არ  
წამოხვალ ჯერ?“

„ქუთით მატყუებხ ბიჭი. დაილაღა.  
მიკი აღარ შეუძლია... მამრიყებხ, მუ-  
შაობას შინა დაანებე თავიო“... — გაი-  
ფიქრა ჯიბომ.

ეს ეპიზოდი ორი სხვადასხვა ბუნე-  
ბის ადამიანის მკაფიო დაპირისპირებას  
გვიხატავს.

ნოდარ ნათაძე  
ეგზოტიკა და ტემპარიტიკა

შესაძლოა მკითხველს სანდროს სახე ოდნავ სქემატურად ეჩვენოს: ღირსებები, რომლებიც სანდროს მიეწერება, მეტისმეტად ყოველმხრივია. მკითხველს ეპვი აღედვრის, რომ მას იდეალურ, ე. ი. არაცხოვრებისეულ სახეს სთავაზობენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სახე მხოლოდ ავტორისეული ჩანაფიქრის სქემითაა ნაკარნახევი და არა თვით ხასიათის ლოგიკით. მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება სწორი არაა. საქმე ის არის, რომ ხასიათის ის თვისებები (საკუთარი ღირსების მახვილი გრძობა, მხნეობა, „ცოდვა-მადლის“ მყარი რწმენა, ჯანსაღი ჯიბრი და ა. შ.), ის მსჯელობა წუთისოფელსა და ადამიანზე, ის ეთიკური წარმოდგენები, რომელსაც სანდრო ავლენს, სინამდვილეში ჩვენში ფართოდ გავრცელებული და ღრმად ფესვადგმული რწმენა-წარმოდგენებია. მათ, თუ ვნებათ, ერთგვარი ეთნოგრაფიული ღირებულებაც კი აქვთ ჩვენი ქვეყნისთვის და ამას ქართველი მკითხველი კარგად გრძნობს. ეს რწმენა-შეხედულებები და „ცხოვრების სტილი“ გვირის ინდივიდუალური, გავრავლებული ნიშან-თვისება კი აღარ არის. არამედ ჩვენი სოფლის დამახასიათებელი „ხალხური“ სიბრძნეა, რომელიც შეიძლება არ იყოს განსახიერებული ყველა ინდივიდში, მაგრამ მაინც ხალხურ ტრადიციულ მსოფლმხედველობას გამოხატავს.

ავტორის წერის მანერა, ამ სიტყვის ვიწრო აზრით, განხილულ მოთხრობაში ჩამორჩება როგორც აღწერილი ამბის მასშტაბსა და მნიშვნელობას, ისე ავტორის მხატვრულ ხედვას ზოგადად. ავტორი საკმაოდ ხშირად მიმართავს თხრობის ისეთ პრიმიტიულ ხერხებს, რომელიც თანამედროვე პროზამ კარგა ხანია უარყო. მაგ. ავტორი არ ერიდება ისეთ აღწერას, როგორცაა: „რიონმა ქეიფის ეშხში შესული მთვრალი მაცარივით თანდათან ხმას აუწია, შხუილი დაიბოხა და გუგუნად აქცია, გუგუნის მალა წავიდა, ერთხანს შეჩერდა, მთების ვეება გალავანში დატრიალდა, შეგუბდა, შენივთდა და რაკი სხვა გზა

ველარსად იპოვა, მკერდახსნილ ცან შესკდა“, ან: „უანის ბოლოში, კბოღესთან, ორი უზარმაზარი კობიტი ედგა ერთს მეხი დაცემია, გაუხლეჩია და ტანგარუჯული ხე ახლა ცალბეჭამოჭრილ ვაუკაცსა ჰგავს. მეორე ამაყად დგას და მშვიდად გადაჰყურებს გავრავლებულ რიონს“ (განა ეს ტროპები ადექვატურია იმის გამოხატავად, თუ როგორ აისახება სტიქიის ბოშოქრობა თანამედროვე ადამიანის — თუნდ გვირის, თუნდ მკითხველის თვალში?). ავტორი არ ერიდება ისეთი „არათანამედროვე“ ხერხის გამოყენებასაც, როგორცაა, მაგალითად, გვირის შიგნით მომხდარი სულიერი ბრძოლის გამოხატავად ორი ჯიბოს დიალოგი: „არა ღირს ჩემი სიცოცხლე, არა“, — ფიქრობს ჯიბო.

მეორე ჯიბო ანუგეშებს: „კაი, ერთი, თუ ძმა ხარ, რა გვირის თავის მოსაკლავი...“

ავტორი არც იმას ცდილობს ყოველთვის, რომ თხრობას ნაირფერი, მოსათხრობის შესაფერი ელერა და რიტმი მისცეს. სიკვდილის მომლოდინე ჯიბო ფიქრობს: „ნამდვილად დავიხრჩობი, ნამდვილად! კუტი ფედოსია რომ გზაზე დაგვხვდება, ხეირი დაგეყრება კაცს? ნავსია ფედოსია კუტი, ნავსი! ის მაინც რა ჭირმა წამოიყვანა რიონზე! ჩაუცვამს გრძელი კაბა, ჯოხი მესამე ფეხივით დაუჭერია ხელში და ჰერი! მიფართხუნობს, თითქოს ქორწილშია დაპატიუებული“ (განა ესაა სიკვდილის პანიკური შიშით შეპყრობილი კაცის აზრის მდინარეების რიტმი, განა ესაა ის ასოციაციები, რომელიც მას ამ მომენტში აღედვრის?).

რასაკვირველია, კანონიერია ვიკითხოთ: რა უფლება გვაქვს, რომ ავტორს. აქო და იგი ღღეჯანდილი მწერალია. მაინცადამაინც სხვა კონკრეტულ თანამედროვე ავტორთა მიერ შემუშავებული წერის ტექნიკის ათვისებას ვთხოვთ, რომ მას ამ ავტორების მიერ უკუღმებული გამომხატველი საშუალებების გამოყენებას ვუსაყვედურობთ? ეს ხომ იმას ჰგავს, რომ რაღაც კარგი თუ ცუდი

ლიტერატურული მანერა - სავალდებულო ნორმის კვარცხლბეკზე ავიყვანოთ, რომ რაღაც ლიტერატურული სტილი, რომელიც უსათუოდ რაღაც ლიტერატურულ პირობითობას შეიცავს (რადგან პირობითობის გარეშე არც ერთი ლიტერატურული სტილი არ არსებობს), ყველა ავტორისთვის ოსტატობის საზომად ვაქციოთ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ პირობითობას, უფრო კონკრეტულად: ცოცხალი შინაარსისაგან დაცლილ, მკვდარ პირობითობას წერის ის განახლებული თანამედროვე ტექნიკა კი არ წარმოადგენს, რომელიც თხრობის ზოგ ცნობილ ხერხს უგულვებელყოფს (პერსონიფიკაციას, ორი ჯგბოს დიალოგის მსგავს დიალოგს და ა. შ.), არამედ სწორედ ეს ხერხები. რომ ამ ხერხების უგულვებელყოფა თუ უარყოფა სწორედ სათხრობ ფაქტებთან უფრო ახლოს მისვლის, მოვლენის

უფრო უშუალოდ დანახვისა და უფრო ზუსტად გადმოცემის აუცილებლობაა ნაკარნახევი.

ეს საკითხი ამდენად მკვეთრად არ აღიძვრის ყოველი მოთხრობის წაკითხვისას. იგი წამოიჭრება სწორედ მაშინ, როცა მოთხრობას მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი აქვს და, განსაკუთრებით, როცა ამასთან ერთად მასში მკვეთრი და მხვილი მხატვრული ხედვა მოჩანს (პერსონაჟთა ფსიქოლოგიის ანალიზის, მხატვრული დეტალების სახით). ასეთ შემთხვევაში სტილის (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) ჩამორჩენა მკითხველს გულნაკულუს ტოვებს. ამ შედარებით (მაგრამ მხოლოდ შედარებით) მცირე ნაკლის გამოსწორებისათვის არც ერთი ავტორის ძალ-ღონე დასაშური არ არის.

---

ნოდარ ნათაძე  
ვეზოტიკა და ჭეშმარიტება



## ილო მოსაშვილი

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ილო მოსაშვილის შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ყოველდღიურ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირითა და მკვეთრი პუბლიცისტური პათოსით. მისთვის უცხოა მოვლენათა და განცდათა განყენებულ ასპექტში წარმოსახვა, პოეტი ყოველთვის ახერხებს, თავისი სულის უკიდურესი ლირიკული თრთოლვაც კი ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გამოხატულებად წარმოგვიდგინოს. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა ილო მოსაშვილის ადგილი მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში: იგი ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მოწინავე მესიტყვედ დარჩა, ხოლო მისი შემოქმედება სოციალიზმის მშენებლობის მხატვრულ მატრიანეში ერთ საგულისხმოდ ფურცლად შევიდა.

ილო მოსაშვილი დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა სოფელ ჩარგალში. დედამისი ვაჟა-ფშაველას ახლო ნათესავი იყო და პატარა ილოს ხშირად უხდებოდა შეხვედრა გენიალურ პოეტთან. ამ შეხვედრათა შთაბეჭდილებებმა და არაგვის ხეობის რომანტიკულმა ბუნებამ უდიდესი კვალი დააჩნია ილო მოსაშვილის პოეტური ფანტაზიის ფორ-



მირებას, იგი განუყოფლად დააკავშირა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის (განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას) მოწინავე ტრადიციებთან. ფორმალისტურ-დეკადენტურ მიმდინარეობათა მომძღაერების პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოსული ჭაბუკი პოეტი რეალიზმის ერთგული დარჩა და ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

ილო მოსაშვილმა პირველი ლექსი „ობოლი“ 1911 წელს გაზეთ „სინათლეში“ გამოაქვეყნა. მაშინ იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. შემდეგ დაიბეჭდა სხვა ნაწარმოე-

ბებიც: „ზამთარს“, „გლეხის გოდება“, „ნუგეში“, „სამშობლო“ და სხვ. 15-16 წლის ჰაბუტის ეს ნაწარმოებები, მართალია, უფრო „ხმის მოსინჯვას“ ჰკავდა, მაგრამ მათში იგრძნობა მხატვრული ნიჭი, სამშობლოს ბედით ღრმად დაინტერესება, პატრიოტული სულისკვეთება. ახალგაზრდა პოეტი შემოქმედებით ასპარეზზე სწრაფად დაწინაურდა და მკითხველის ყურადღებაც მიიქცია. იგი წერს და აქვეყნებს ლექსებს: „ასული ვოლხეთისა“, „მგოსნის სიმღერა“, „მეგობარს“, „ელეგია“, „ჩემი სამშობლო“, „მიყვარს“ და სხვა, რომლებიც გამოხატავენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის მზრუნველი ადამიანის გრძნობებსა და განცდებს. პოეტისათვის სამშობლოში ყველაფერი ძვირფასია, შრავლისმთქმელია: მთები, ჭალები, მდინარეები, ცა, მიწა; ეტრფის მათ და მკითხველსაც ამცნობს:

მიყვარს ლამაზი სამშობლო მთები,  
მიყვარს გაშლილი ალაზნის ჭალა,  
აქ გომორის მთის მწვენი კალთები  
და მოკაშკაშე ზედ მზე ცხრათვალა.

„მიყვარს“

ამ სტრიქონებს წერდა სამშობლოს მშვენიერებით აღფრთოვანებული პოეტი, მაგრამ თანაც ცრემლს აფრქვევდა, რადგან ხედავდა. მშობელი ქვეყნის უნუგეშო მოგომარეობას. იგი სინანულით იხსენებდა გარდასული ეპოქების გმირულ დროებს, დასტიროდა აწმყოს და უკეთეს მომავალზე მხოლოდ ოცნებობდა.

ილო მოსაშვილის აღრინდელ ლექსებში გამოვლენილი მძაფრი სევდა თვითმიზნური ხასიათის მატარებელი როდი იყო, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დეკადენტ მწერლებს შემოქმედებაში. იგი მთლიანად გაპირობებული იყო სოციალური ფაქტორებით, მენშევიკური მთავრობის დროინდელი საქართველოს ცხოვრების უშუალო სინამდვილით. ცნობილია, ამ დროს ჩვენი ქვეყანა დაიცა პოლიტიკურად, განადგურდა ეკონომიურად და აშკარა კულტურული კატასტროფის წინაშე დადგა.

ასეთ ვითარებას გულისტკივილით განიცდიდნენ სამშობლოს მოწინავე შვილები და ილო მოსაშვილის სევდაც პირდაპირი გამოხატულებაა. დამახასიათებელია 1920 წელს დაწერილი ლექსი „ბარათი“. პოეტი დედასთან მიწერილ ბარათში წერს, რომ მისი გული მწუხარებით არის დასერილი. გაფრენილან ბავშვობის უზრუნველი დღეები და ცხოვრების პირისპირ მდგარ პოეტს ბოზოქარი ტალღები განადგურებით ემუქრება.

შენ კი ახლაც მთელი უზრუნველ ბალად  
და თურმე მირთავ ფარჩის ახალბოს,  
ნეტავ რად მინდა, ცხოვრების ტალღამ  
ვინ იცის, რომელ კლდეს შემახალოს!  
მტანჯავს დღე-მუდამ ფიქრ აოჯალი  
და მძიმე ჯვარი ზურგზე მკილი.  
ჩემი ნიშნობის ქამარ-ხანჯალი  
ცოლს მეპურისთვის მიუყილია,—

მიმართავს პოეტი დედას და ამ რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხით ჰქმნის დასრულებულ სურათს იმ საზოგადოებრივ-ეკონომიური ყოფისა, რომელიც თან მოჰყვა საქართველოში მენშევიკების ბატონობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილო მოსაშვილის სევდა არასოდეს უტიტურესობამდე არ მისულა და პესიმიზმში არ გადაზრდილა. იგი მომავალს ყოველთვის იმედით უყურებდა. უფრო გვიან დაწერილ ერთ ლექსში თვითონვე ამბობდა: „და იმ მწარე და ნაღვლიან ხმაში მაინც ვარჩევდი მომავლის იმედს.“ და მართლაც, მის ლექსებში აშკარად ჩანდა მომავალ გამარჯვებათა რწმენა.

ილო მოსაშვილის რევოლუციამდელი შემოქმედება მთლიანად დაკავშირებულია სოფელთან. მისი ლირიკული გმირიც იმდროინდელი სოფლის ელემლი შვილია, მხატვრული სახეებიც უპირატესად სოფლის იდილიური ყოფიდან არის აღებული. ძირითადად ამ ფონზე იშლებოდა ილო მოსაშვილის მაშინდელი პატრიოტიზმიც, სატრფიალო მოტი-

ანდრო მირიანაშვილი

ილო მოსაშვილი

ვიც და ბუნების ვაჟანებური განცდაც. ამიტომაც იყო ილო მოსაშვილი მიჩნეული სოფლის იდილიის პოეტად.

ძირითადად ასეთი შემოქმედებით გამოცდილებით შეხვდა ილო მოსაშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და ჩვენს დროშიც ერთ ხანს მორჩილებით მიჰყვებოდა ძველ ინერციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ილო მოსაშვილი თავისი პრაქტიკული საქმიანობით მთლიანად საბჭოთა ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული (ჯერ როგორც განათლების დარგის მუშაკი, შემდეგ მაზრის პროკურორი), მან ახალი სინამდვილე მთელის სისრულით მაინც ვერ გაიგო, ყოველ შემთხვევაში, თავისი შემოქმედებით ვერ გამოხატა. მისი ფანტაზია კვლავ სოფლის იდილიურ ყოფას დასტრიალებდა თავს და იგი უზრუნველი ბავშვობის შთაბეჭდილებათა გახსენებით ცხოვრობდა პოეზიაში.

ახალმა საზოგადოებრივმა ვითარებამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ფართო მასშტაბმა და ტემპმა თანდათანობით თავის ორბიტში მოიქცია ილო მოსაშვილის შემოქმედებაც. ეს შემობრუნება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იგრძნობა 1926 წლიდან. ამ პერიოდში დაწერილ ლექსებს პოეტი ერთ მთლიან ციკლად აკავშირებდა და საერთო სათაურს აძლევდა — „უღელტეხილზე“. მართლაც, 1926-28 წლები ილო მოსაშვილისათვის იყო ერთგვარი უღელტეხილი: მთავრდებოდა შემოქმედებითი ცხოვრების პირველი პერიოდი და იწყებოდა მეორე პერიოდი.

დამახასიათებელია, რომ ილო მოსაშვილის შემოქმედებითი გადახალისების პირველმა ნიშნებმა თავი იჩინეს მისთვის დამახასიათებელი თემების ასახვაში. მისი შთავგონება ახლა უკვე პატრიარქალური სოფლის იდილით კი არ საზრდოობს, არამედ ხედავს სოციალისტური სოფლის ყოველდღიურ წინსვლას და აღფრთოვანებას ვერ მალავს. ლექსებშიც ახალი სახეები ჩნდება: დასრულებული ქობის, ნაბინავარის, ჩალის,

ყავრის, ხბორებისა და სხვათა ადგილს იკავებს „ფოლადის ხარი“, რომელიც „შმობლიურ მიწას დღედაღამ აქვს მიწვეს, რომ ქვეყნის დოვლათს გაულოს კარი“. პოეტის ამ ახალი თვალთახედვის საუკეთესო ნიმუშია ლექსი „სოფელში“, რომელშიც დახატულია ახალი სოფლის კოლორიტული სურათი და იქვე აშკარად არის გამოვლენილი პოეტის დამოკიდებულება ამ ახალ სინამდვილესთან.

ქამმა წაიღო  
შენი ღრობა,  
შენი მკითხავი,  
მნათე,  
საყდარი...

ძველი მოწყენა  
და მყუდროება,  
ღელი,  
ამქვეყნად აღარსად არი.

ახლა  
გრიგალის გადაქროლა,  
ყველგან დოღია,  
ყველგან მარულა,  
ხედავ, სოფელშიც  
სულ სხვა ბრძოლა  
და ცეცხლი  
აქაც შემოპარულა.

და ვლოცავ მიწას,  
კაცის მარჯვენას, —  
ყამის რომ ავლენს  
ხნულის ყაითანს...  
ვიცი, ჩემს გზებზე  
ამ გზის არჩევას  
ღრთა გრიგალი  
ვერ გადაიტანს.

1927 წელს ილო მოსაშვილი წერს ლექსს „გამოთხოვება სოფელთან“, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა პოეტის შემოქმედებითი გზის სწორად გაგებისათვის. აქ უბრალო ფიზიკურ განშორებაზე როდია საუბარი (ილო მოსაშვილი იმხანად, მართლაც, სოფლიდან თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ და საცხოვრებლად). ამ ლექსში ილო მოსაშვილი საბოლოოდ თმობს ძველ სოფელს და მასთან დაკავშირებულ თავის ესთეტიკურ პოზიციას. ეს განშორება არ არის უმტიკინეულო და პოეტს ეძნელება ერთბაშად დათმოს ის, რაც წლების

მანძილზე კვებავდა მის შთაგონებას. მაგრამ მან იცის, რომ „მიდის ქვეყანა ურმის, კამჩის, ღირღიტა გუთნის, მეზრის ალოსი“ და ახალ გლეხს აღარ მოუხდება შუალამისას „ზვიენების გვერდით თვლენა კალოზე“. პოეტს სურს, ერთხელ კიდევ გონების თვალი გადაავლოს გარემოს, რომელიც ზოგჯერ მწუხარებას უქარწყლებდა სევდით მოცულ მგოსანს. ამჯერად მის ცნობიერებაში აღდგება გლეხის ჩალური ქოხი, სადაც განთიადს ოხვრით ხედებოდა საწყალი გლეხის შთამომავალი, მოემის ურმულის კენესა, რომელიც შერეული იყო ცხოვრების შხამი, ჩადვან „გულს საავდრო ღრუბელი ეწვა, ჩოგორც ალაზანს ჩამქრალი ღამე“. პოეტს თითქოს საგანგებოდ ამოუკრეფია დამახასიათებელი სახეები თავისი ძველი ნაწარმოებებიდან და ამ ლექსში შეუტანია, რათა მკითხველს თვალსაჩინოდ დაანახოს, თუ რას ეთხოვება იგი; ერთხელ კიდევ უთხრას მკითხველს, რომ მის ძველ ნაღვლიან ხმას სწორედ ძველი სოფლის ეს უდიდამო ცხოვრება იწვევდა. პოეტის მიერ თავის წარსულთან ანგარიშის გასწორება მძაფრ დრამატულ ფორმაშია გადმოცემული. პოეტი ახალი ცხოვრების ფართო გზაზე გამოსულა, მაგრამ სადაც გულის სიღრმეში მაინც რჩება სიჭაბუკის ოცნებათა ნაშუსრევი. სოფელსაც სახე უცვლია და აღარ შერჩენია ის ნივთიერი სახე, რომელსაც პოეტი ადრე სათუთად უვლიდა. დარჩენილია მხოლოდ ერთგული ძაღლი და ბოლოს, ნადველშერეული გულთბილი სტიქიონებიც მის გამოა ნათქვამი:

ვიცი, მიღარდებს ერთგული ძაღლი,  
ის ჩვენი სახლის ბებერი მნათე,  
თვალეზს, შარაზე ცქერაში დალილს.  
გადაფარებს დაქბენილ თათებს.

ილო მოსაშვილმა ახალი შემოქმედებითი ცხოვრების დაწყება და სოციალისტური რეალიზმის ჭეშმარიტ შემოქმედებით მეთოდთან ორგანული კავშირი ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატა ლექსში „ცხოვრების გზაზე“

(1927 წ.). აქ პოეტი უკვე გვევლინება თანამედროვეობის აღფრთოვანებულ მეხოტბედ და თავისი სიცოცხლის მართლებას მხოლოდ სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობაში ხედავს.

მაშინ ღღეები გაზაფხულს მიჰგავს,  
და გული ათას ლერწმის ღერებით  
ჩემი დროების ატეხილ გრიგალს  
ხვდება ძახილით და სიმღერებით.

და მივიმღერი, რალს მიქვიან  
შემოღამება, შიში, ეჭვები.  
ვნედავ, აბეანდებს გლეჯავს სტიქია  
და მეც მღელვარე ზღვაში ვეშვები.

თან მიმაქვს გული რკინანარევი  
და სიტყვა ცეცხლთან ნაალერსები,  
ღეე, გრიგალში ოქროს ზარივით  
რეკდენ, კიოდენ ჩემი ლექსები.

ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი ილო მოსაშვილის შემოქმედებამ სწორედ განახლების პერიოდში შეიძინა. შეიცვალა მისი ლექსის ინტონაცია. პოეტი თითქოს ხმას უწყობს ეპოქის მაჯისცემას და ხშირად მიმართავს მაქორულ ტონებს.

ლექსში „უღელტეხილზე“ ილო მოსაშვილმა ერთგვარად შეაჯამა თავისი განვლილი გზა და იქვე მომავლის დასრულებული პროგრამაც გადმოსცა. ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ილიას ცნობილი სიტყვები: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს...“ პოეტი იხსენებს თავის წარსულს და საქვეყნოდ აცხადებს, რომ „უიმედობის ჯვარზე გაკრული, გაუვალ გზებზე ბევრჯერ დაეცა“, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოვიდა ცხოვრების ფართო გზაზე. იგი სრული გულდაჯერებით გაჰყვა ახალი ცხოვრების მშენებელ გზებზე.

აღარც ბიჭები ფეხშიველები,  
აღარც ხბორები,  
აღარც თოლია.  
მოვიდა გმირი რკინის ხელებით  
და თავის გზაზე გამყოლია.

ანდრო მირიანაშვილი  
ილო მოსაშვილი

მას არ სურს დარჩეს ახალი ქვეყნის მშენებლობის პასიურ მკვრეტელად, იგი უერთდება მებრძოლთა რიგებს და სურს სამშობლოს განახლების დიდ საქმეს ემსახუროს.

მეც ვიყო  
შენი მებრძოლთაგანი,  
რაკი საომრად  
ბედმა ამშალა...  
გაფრენილ სიტყვას  
მოვდე ლაგამი  
და  
ლექსს — ავშარა.

„ფოთლების, გულისა და ლექსების  
შესახებ“

ამრიგად, ილო მოსაშვილი თანდათანობით და კანონზომიერად მივიდა ახალ ცხოვრებასთან და მისი აქტიური მშენებელი გახდა, სოციალისტური სამშობლოს სამსახურში ჩააყენა თავისი შემოქმედებაც, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ილო მოსაშვილი წერდა: „და ჩემი ქვეყნის მზე არ მბუგავდეს,—მე ისე მღერა არ შემძლიაო“. მართლაც, ილო მოსაშვილი თავისი ქვეყნის მზის სხივებიდან იღებდა მაცოცხლებელ ძალას, თავისი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა. ამიტომაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ცხოვრების პირობებმა დიდად შეუწყო ხელი ილო მოსაშვილის ნიჭის ყოველმხრივ გაშლა-გაფუჩქვანას. გაფართოვდა მისი შემოქმედების იდეურ-თემატური სფერო და მრავალმხრივი გახდა ჟანრული თვალსაზრისითაც. ლექსებთან ერთად იგი სისტემატურად წერს და აქვეყნებს: პოემებს, პიესებს („ჩაძირული ქვები“, „სადგურის მორიგე“, „მისი ვარსკვლავი“, „ბედი ქართლისა“), მხატვრულ ნარკვევებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს, კინოსცენარებს და სხვ. რომლებშიც ასახულია თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა დამახასიათებელი მხარე, ნაჩვენებია საბჭოთა ადამიანის მაღალი მოქალაქეობრივი სახე, მისი ყოველდღიური გამირული შრომა სამშობლოს სა-

კეთილდღეოდ. თვით პოეტიც ხომ მხოლოდ ამაში ხედავდა თავის დაქვემდებარებას, თავისი კაცობის ნიშანს.

ილო მოსაშვილის შემოქმედებით ინტერესის გარეშე არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. იგი ბევრს მოგზაურობდა მშობლიურ მხარეში (მომქმ რესპუბლიკებშიც) და საკუთარი თვლით ნახულსა და ნაგრძნობს დიდი პატრიოტული განცდით დაწერილი ლექსის სტრიქონებით ამცნობდა მკითხველს. უბის წიგნაკში ჩანაწერებს ხშირად რეპორტაჟის თუ მხატვრული ნარკვევის სახეს აძლევდა და ისე აქვეყნებდა პრესაში. ასე შეიქმნა მისი ათობით ნარკვევი, რომელთაც დღესაც დიდი ლიტერატურული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ერთი პირველი კერა იყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური. იგი თავიდანვე გახდა ქართული საბჭოთა მწერლობის შთაგონების წყარო და მსურვალე სიმღერათა თემა. შეიქმნა მრავალი ნაწარმოები, რომელთაც თავის დროს მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ხალხში ენთუზიაზმის გასაღვიძებლად, ამ დიდ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. ზოგი მათგანი დღესაც არ ჰკარგავს მკითხველზე შემეცნებითი და ესთეტიკური ზემოქმედების ძალას.

სამშობლოს აწმყოთი აღფრთოვანებული პოეტი დროდადრო თვალს გადაავლებს ხოლმე მამულის აგბედით წარსულს, როდესაც „ქოხებს კენესა ზარავდა, ხნულს ნაცარი ფარავდა, ოხვრა იყო „ლილეო“ და წკრიალა „ვარადა“ („სამშობლოს“) და თანამედროვეობით აღტაცებულს სურს სხვებსაც გაუხაწილოს თავისი სიხარული. მას სათქმელი ბევრი აქვს, ფიქრობს, რომ ყველაფრის თქმას ვერ მოასწრებს და ამიტომ შთამოშავლობს ანდერძად უტოვებს სამშობლოსადმი სამსახურს, მათ თავიანთი საქმით უნდა სთქვან მამულის შესაფერი ხობტა.

რაც ვითხარ ღღემდე, —  
გულმა დაწერა,  
თუ რამე დამჩნა — შეილებს ვასწავლი,  
მათ ვითხარან საქმით, ვითხარან კაცურად,  
რაც მე ჩემს გზაზე ვერ მოვასწარი!

**„სამშობლოვ ჩემო“**

საბჭოთა პატრიოტიზმი ილო მოსა-  
შვილის შემოქმედებაში კიდევ უფრო  
მეტის ძალით გამოვლინდა სამაშულო  
ომის დროს. მაშინ მთავარი იყო სამ-  
შობლოს დაცვა მომხდური მტრისგან და  
ილო მოსაშვილმაც ამ საქმის სამსა-  
ხურში ჩააყენა თავისი პოეზია. პოეტი  
მზად არის სამშობლოს თავისუფლები-  
სა და დამოუკიდებლობის დასაცავად  
არ დაიშუროს საკუთარი შვილის სი-  
ცოცხლეც კი და ომში მიმავალ პირ-  
მშოს კატეგორიულად მიმართავს:

წადი, ქვეყანა გეძახის  
და დედის გული გაცილებს.  
ასი რომ გქონდეს სიცოცხლე, —  
სამშობლოს გაუნაწილე!

**„შვილო, სამშობლო გეძახის“**

ამ უკანასკნელთა რიცხვშია ილო მო-  
საშვილის ლექსიც „ზაჰეს, შენ გიმდერ“,  
რადგან მასში სოციალიზმის მშენებ-  
ლობის ერთი კონკრეტული ფაქტიც  
განზოგადებულ მხატვრულ ფორმაშია  
გადმოცემული. ასევე ჰემარიტი პოე-  
ზიის სიმალღეზეა აყვანილი კოლხეთის  
ჭაობის ამოშრობის ფაქტი ლექსში  
„კოლხეთის დილა“. ილო მოსაშვილი  
ყველაზე უფრო დამახასიათებელ სახე-  
ებს ირჩევს და ამ გზით კოლხეთის  
აღორძინების დასრულებულ, დინამი-  
კურ სურათს ხატავს. გვიჩვენებს, ადრე  
უსარგებლო, ჭაობიანი კოლხეთის ველი  
როგორ მშვენიდება და იფარება ციტ-  
რუსებით, რომელსაც გლეხობისათვის  
ბედნიერი ცხოვრება მოაქვს.

და ხე, რომელიც ვერ ჰპოვა „არგომ“,  
ტკბილი ხილით და ოქროკიდულით,  
მეგრეულმა ბიჭმა ეზოში დარგო  
და ზედ დაჰკიდა მზე კოლხიდური.

მე ამ ხესთან ვარ, ამ მზეზე ვთბები,  
სავეს გიდღეთან მეძახის ბავშვი  
და მოშრილვ მედეას თმები  
შუქივით წვება თვითეულ ბაღში.

სოციალიზმის მშენებლობის კონკრე-  
ტული სურათებია მოცემული მეტყ-  
ველ მხატვრულ სახეებში. აგრეთვე,  
ლექსებში: „ლექსები ალაზანზე“, „სამ-  
გორის ქარო“ და სხვ.

ამრიგად, ი. მოსაშვილის პატრიო-  
ტიზმი ამიერიდან ორგანულად უკავ-  
შირდება ყოველდღიური ცხოვრების  
მოვლენებს და მათს უშუალო გამოხა-  
ტვაში ჰპოვებს თავის გამოვლინებას.

ილო მოსაშვილის ლექსებში გამოხა-  
ტული პატრიოტიზმი არის პატრიო-  
ტიზმის უმაღლესი ფორმა — სოცია-  
ლისტური პატრიოტიზმი და, ბუნებრი-  
ვია, იგი ორგანულად შეიცავს ხალხთა  
ძმობა-მეგობრობისა და საყოველთაო  
მშვიდობის იდეასაც. პოეტმა სხვადა-  
სხვა დროს დაწერა და შემდეგ ერთ  
მთლიან ციკლად გააერთიანა ლექსები,  
რომლებიც მიძღვნილია მოქმე სამშობლო  
ხალხების ცხოვრებისადმი („ძმადნაფი-  
ცები“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ  
ილო მოსაშვილი თავისი პრაქტიკული  
საქმიანობითაც აქტიურად იბრძოდა სა-  
ყოველთაო მშვიდობისათვის. იგი სიკვ-  
დილამდე (1954 წ.) იყო მშვიდობის  
დაცვის საქართველოს კომიტეტის თავ-  
მჯდომარე.

ილო მოსაშვილის შემოქმედებაში სა-  
პატიო ადგილს იკავებს და საკმაო ინ-  
ტერესის აღმძვრელია ის ლექსებიც,  
რომლებშიც პოეტს დახატული აქვს  
წინაპართა პორტრეტები, მშობლიური  
პეიზაჟის ქანრული ჩანახატები და სა-  
ტრფიალო განწყობილებები. აქაც ჩანს  
სიტყვის დიდი ოსტატი, ფაქიზი განც-  
დების პოეტი და მოქალაქე. მკითხ-  
ველში ბევრ ფიქრსა და გრძობას აღძ-  
რავენ ლექსები: „მოგონება“, „გაჟა  
მონადირე“, „ღამე ტყეში“, „ოცნება  
ტყეში“, „ღამე გომბორზე“, „სიყვა-  
რული უცებ“ და სხვ. ილო მოსაშვი-  
ლი ორგანულად განიცდის მშობელი  
ქვეყნის ბუნებას და მისი სტიქიონური  
ძალის მოზიარედ წარმოუდგენია საკუ-

ანდრო მირიანაშვილი

ილო მოსაშვილი

თარი თავი, მას სურს ეს ძალა ლექსის სტრიქონებში გადმოიტანოს.

მთიულეთიდან იხუვლებს ერთი, როგორც კლდეებში დაჭრილი არჩვი, მეორე — ქალის ტანივით თეთრი პირველს კვილით დახვედბა ბარში.

მე ვარ მესამე არაგვის ტოტი, შენ — გასისხლული კალმახი თითქოს, გულო, მოვარდნილ ტალღების შფოთით რომ ვხეთქები გაჭედულ სტრიქონს.

გულო, გაღესილ ლოდებს ედები, კიდევ გაგლიჯე ბადე ფაცერის, შეუძლარუნე რკინის ღვედები — ლექსებს უთქმელს და ლექსებს დაწერილს.

„არაგვს“

ქართული საბჭოთა პოეტური ებოსის განვითარებაშიც შეიტანა ილო მოსაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი. მისი ეპიკური ნაწარმოებებიდან „ბაზალეთი“ ერთ-ერთი საყურადღებო და საინტერესო პოემაა. იგი შექმნილია დღუშეთის ცნობილი აჯანყების თემაზე და შასში ნაჩვენებია მენშევიკების წინააღმდეგ ქართველი გლეხობის ბრძოლის საგულესხმო სურათები.

ილო მოსაშვილმა თვალსაჩინო დრამატურგიული ნაწარმოებებიც შექმნა. სიცოცხლის ბოლო ათეული წლები მან დრამატურგიაში მუშაობას მოანდომა და შექმნა ოთხი პიესა, რომელთაც მკითხველისა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს. პიესისათვის — „ჩაძირული ქვები“ ავტორის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, აგრეთვე, მოსაშვილის პიესის საფუძველზე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ შექმნილმა სპექტაკლმა „მისი ვარსკვლავი“.

ილო მოსაშვილს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

როცა ვმღეროდი,  
რაც უნდა მეთქვა,  
ჩემო სამშობლოც, შენვე ვმღეროდი!

მან სამშობლოს კეთილდღეობას შეაღწია თავისი ნიჭი და ენერგია. სამშობლოც პატივისცემით ინახავს მის ხსოვნას, ზოლო მადლიერი შთამომავლობა მომავალშიც დიდის ინტერესით წაიკითხავს მის ნაწარმოებებს.



## ია გამეჩვიდი

### თოჯინების თეატრი

თოჯინების წარმოდგენები ერთ-ერთი უსაყვარლესი და პოპულარული ხალხური სანახაობაა საქართველოში. თოჯინების წარმოდგენები შორეულ წარსულში წარმოიშვა.

ისტორიული ძეგლები მოწმობენ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში არსებობდა თოჯინების თეატრი.

თავდაპირველად თოჯინების წარმოდგენებს საეკლესიო-სარიტუალო ხასიათი ჰქონდა. დროის განმავლობაში თოჯინების წარმოდგენებმა საერო ხასიათი მიიღო და ხალხის ფართო მასების სურვილსა და მისწრაფებებს გამოსატყდა.

ამის კარგი მაგალითია ყურნალ „მწყემსი“ მოთხრობილი ამბავი, რომელიც დამახასიათებელია მე-19 საუკუნის ქართული თოჯინების თეატრისათვის:

„ხავანის უბანში (სურამის მახლობლად) ერთი ყოვლად შემადრწუნებელი და კაცის გულის შემაწუნებელი სურათი ვნახეთ. აქ ეკლესიის ახლოს ერთი კარავი იყო გამართული. ამ კარავში ათამაშებდნენ დედოფალებს. ხალხი კარავში ბლომად შედიოდა თავის ჯიბის და ზნეობის საზარალოდ. სხვათაშორის,

უსწავლელი ხალხი გახარებული იყო შემდეგი წარმოდგენით: ორ კაცს მოხდის ჩხუბი. ერთი მეორეს ჰკლავს, მიცვალებულის დასამარხავად მოუწოდებენ მღვდელს, რომელიც შედის შემოსილი. ხელში უჭირავს კურთხევანი და საცეცხლური. ეს მღვდელი თან აქნევს და თან კურთხევანს კითხულობს. ამ დროს მოდის მეორე შემოსილი მღვდელი. ეს პირველს ეწყინება, მოუვათ ორივე მღვდლებს ჩხუბი. ავინებენ და ცემენ ერთმანეთს. საქმე იქამდე მიდის, რომ ეს მღვდლები მიცვალებულს იღებენ კუბოდან, ერთი თავში სწევს და მეორე ფეხებში, თითქოს მისი გაგლეჯა უნდათო. სცენა მითი თავდება, რომ ერთი მღვდელი მეორეს მოჰკლავს.

ხალხი იცინის დამტკბარი ამ უზნეო სანახავითა. კარავიდან გამოსული კაცები დიდი ხმით გაიძახოდნენ: „რა სეირი ჰქონდათ იმ მღვდლებს, ბიჭო! ჩვენი მარკოვა მღვდელიც ხომ ეგეთია? — მა, კაცო, ჩვენი თადეოზ მღვდელიც მაგათ ჰგავს“, — მისძახოდა მეორე. ნუთუ სასულიერო წოდების ასეთ დამამცირებელ სურათებს უნდა ჰქონდეთ ადგილი საეკლესიო დღესასწაულებზე?!

ეს მასალა ცხადპყოფს, რომ XIX

საუკუნის საქართველოში თოჯინების თეატრი არა მარტო არსებობდა, არამედ საკუთარი „შენობებიც“ ჰქონდა. სანახაობის ყურება ფასიანი იყო. სამღვდელოება ილაშქრებდა ამ სანახაობის წინააღმდეგ.

ყოველივე ამის გამო არაა გასაკვირი, რომ მმართველი წრეები კრძალავდნენ თოჯინების წარმოდგენებს.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად განვითარდა და გაძლიერდა ქართული პროფესიული თოჯინების თეატრიც.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვდებით თოჯინებს, რომელთაც სხვადასხვა სახელები ჰქვიათ: კუკა, კუქანა, ჭუპრა, დედოფალა, ტიკინა, თოჯინა.

ამ წერლის მიზანია მოკლედ გაცნოს მკითხველს თოჯინებისა და ლანდების სახელმწიფო ქართული თეატრის ისტორია, თოჯინების თეატრის სპეციფიურობა და ტექნიკა და ბოლოს, ვიდრე თხრობას შევეუდგებოდეთ, გვსურს გავარკვიოთ ერთი ტერმინი — „ადამიანური“ თეატრი. ეს ტერმინი ვისესხეთ ს. ვ. ობრაზცოვისაგან იმისათვის, რომ თოჯინების თეატრი სხვა თეატრებისაგან განვასხვავოთ.

აი, რას წერს ამის შესახებ ს. ვ. ობრაზცოვი:

„Назвать все некукольные театры терминами „драматический“ нельзя, так как это жанровое, а не видовое определение, и кроме драматических театров существуют еще и оперные, и балетные, и эстрадные. Да к тому же ведь и в кукольном театре могут быть спектакли, которые мы обязаны будем называть драматическими, оперными, балетными или эстрадными.“

Вот и пришлось мне воспользоваться прилагательным „человеческий“.

ქართული პროფესიული თოჯინების თეატრის დაარსება, ჩამოყალიბება და განმტკიცება დაკავშირებულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიორგი ილიას ძე მიქელაძის სახელთან.

1922 წელს გიორგი მიქელაძის ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა თეატრალური სტუდია, რომელსაც ფალავა ხელმძღვანელობდა.

1928 წლიდან გ. მიქელაძე მუშაობს მოზარდ მაყურებელთა თეატრში სამხატვრო ნაწილის გამგის და თეატრის დირექტორის მოადგილედ. აქ მან რამდენიმე დადგმაც განახორციელა. 1929-30 წლების სეზონში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა „მარიონეტების“ თეატრი დემენის ხელმძღვანელობით. ნანახი წარმოდგენებით აღფრთოვანებული გ. მიქელაძე თოჯინების თეატრის შექმნის სურვილით აღინთო, რაც მან ცოტა მოგვიანებით წარმატებით განახორციელა.

გ. მიქელაძე კოტე მარჯანიშვილის სახალხო თეატრში ადმინისტრატორად მუშაობდა. ერთ დღეს თეატრში, კარადის დალაგების დროს შემთხვევით წააწყდა პიონერის, მღვდლის, დედაბრის და გლეხის თოჯინებს.

გ. მიქელაძემ მღვდლის თოჯინა ხელზე ჩამოიკცა და აათამაშა. ამის შემხედვარე თეატრის თანამშრომლები სიცილით იგუღებოდნენ. შემდგომ გამოირკვა, რომ ეს თოჯინები მ. სარაულს გამოეძერწა. ასე დაიბადა თოჯინების თეატრის შექმნის იდეა.

გ. მიქელაძესთან ერთად თოჯინების თეატრის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს მიხეილ სარაულს, რომელმაც ითავა თოჯინების ტარება და ძერწვა.

ახლად ჩამოყალიბებული თოჯინების თეატრის პირველი წარმოდგენისათვის თოჯინები თვითონ მ. სარაულმა გამოაქანდაკა. მათთან ერთად თეატრის დაარსებისათვის იბრძოდნენ სახალხო განათლების კომისარიატის მეთოდისტი ქ. ჯუღელი და საქართველოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის კოოპერაციის თავმჯდომარე ნ. მახარაძე.

გ. მიქელაძემ შესძლო შეეგრძობინა მცირერიცხოვანი, მაგრამ ერთუზიანებით აღსავსე კოლექტივი, რომელშიც თვით გ. მიქელაძის და მ. სარაულის

გარდა მონაწილეობდნენ მსახიობები: ე. სიბილა და გ. ლომია, ე. ბარბაქაძე და ვ. ნიკოლაიშვილი, პიანისტი ნ. აბულაძე, სცენის მემანქანე დ. დანელია და ადმინისტრატორი ე. ხერხეულიძე. შემდგომ წლებში მათ შეემატათ მსახიობების დიდი ჯგუფი: ა. ბენაშვილი, მ. გაგანიძე, ა. კირკიტაძე, ლ. მირიანაშვილი, ბ. ნარეკლიშვილი, ს. პაპიაშვილი, ვ. ჭიჭინაძე, ი. შახელი, თ. ანთაძე და სხვები.

თოჯინები მრავალი ტიპის, ანუ ნაირსახეობისაა. ჩვენს ქართულ თეატრში გამოყენება ჰპოვა რამდენიმე ტიპის თოჯინა.

პირველი — ხელზე წამოცმული თოჯინა „პეტრუშკა“ ან „ბიბაბო“. ასეთი ტიპის თოჯინას შიგნით აქვს სამი სათითო, რომელთა მეშვეობით მოძრაობაში მოჰყავთ თავი და ხელები. მსახიობი თოჯინას ამუშავებს სამი თითით (ცერი, საჩვენებელი, შუა თითი, ან ცერი, საჩვენებელი, ნეკი).

მეორე — ივანური ტიპის თოჯინა, ანუ „ტროსტიანი“ თოჯინა. ივანური მათ ეწოდათ თავისი წარმოშობის ადგილის გამო (კუნძული იავა). ისინი მზადდება ხარის ტყავისაგან და ნაირფერად შეღებილი სიბრტყეა. თოჯინას თავიდან დაწყებული მთელ კორპუსში მისდევს ღერძი-ვაპიტი, ხელები კი „ტროსტების“ საშუალებით მოძრაობენ. ამ „ტროსტებს“ ჩამპურიტები ეწოდება. ივანური თოჯინები პირველად საქართველოში 1940 წელს გამოიყენეს ვ. პოლიაკოვის „უცნაურ ქვეყნებში მოგზაურობის“ დადგმისას.

მესამე არის ლანდების ანუ ჩრდილების წარმოდგენები, მაგრამ ლანდების თეატრმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა.

თოჯინების თეატრს გადაწყვეტილი აქვს კვლავ დაუბრუნდეს ამ საინტერესო სანახაობას. დღეს-დღეობით კი ლანდების წარმოდგენებს რეგულარულად მართავს მხოლოდ მოსკოვის ფილარმონიასთან არსებული თეატრი.

მეოთხე განსაკუთრებული თოჯინები, ანუ თეჯირის ქვევიდან სამართავი

მარიონეტები. თვით სახელი განპირობებს მათ შინაარსსაც.

ჩვენი თეატრი ძირითადად ამ თოჯინებს იყენებს. რაც შეეხება სხვა სახის თოჯინებს, თუნდაც ევროპაში ძალზე პოპულარულ მარიონეტებს, ჩვენთან მათ, როგორც მოგახსენეთ, ოდნავ შეცვლილი სახე აქვთ (ჩვეულებრივ მარიონეტს მართავენ ზევიდან, წვრილი, უხილავი ძაფების — ლესკას საშუალებით).

თავისი პირველი წარმოდგენა ქართულმა თოჯინების თეატრმა გამართა 1934 წლის 26 მაისს კავშირგაბმულობის მუშაკთა საბავშვო ბაღში. ეს გახლდათ ს. ფედორჩენკოს პიესა „ჰუტრუტანაში“, რომელიც მ. ლორთქიფანიძემ გადმოაქართულა. პიესა მ. სარაულმა დადგა, მხატვრულად გააფორმა მ. გოცირიძემ, მუსიკა დაწერა ვ. შავერზაშვილმა. პიესის ქართულ ვარიანტში გმირი „პეტრუშკა“ შეცვალა „ხუმარამ“, მოქმედებამ კი საქართველოში გადმოინაცვლა.

შემდეგ დაიდგა გ. როსებას „ლორმუცელა-ჭამია“. დადგმა განახორციელა მ. სარაულმა. ეს პიესა ნაჩვენები იყო სურამში გ. დიმიტროვის სახ. საბავშვო კოლონიის საფუძვლის ჩაყრის დღეს. წარმოდგენას დაესწრო თვით აშხ. გ. დიმიტროვი. „ლორმუცელა-ჭამია“-ს მოჰყვა იმავე ავტორის პიესა „ცაცოს“ დადგმა. წარმოდგენა დადგა თეატრის ხელმძღვანელმა გ. მიქელაძემ. აი, რას წერდა ამ დადგმაზე გაზეთი „მუშა“:

„...თეატრმა შესძლო პიესის საუკეთესოდ დადგმის ჩვენება (დამდგმელი გ. მიქელაძე). ტიკინების მხრიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს „ბაბუა თედოს“ (მსახ. მ. სარაული), „გოგაის“ (ვ. ნიკოლაიშვილი) და „ცაცოს“ (ე. სიბილა) საუკეთესო თამაში, რომლებმაც ცოცხლად ჩაატარეს თავისი როლები“.

თეატრი თანდათან მტკიცდებოდა, ძლიერდებოდა. იხვეწებოდა მსახიობთა ტექნიკა.

ია გამრეკელი  
თოჯინების თეატრი

თეატრის ხელმძღვანელობის წინ იდგა ერთი ფრიადმნიშვნელოვანი ამოცანა — ეპოვათ თოჯინას ახალი სახე, ეროვნული და კოლორიტული. ეს გახლდათ „ხუმარას“ სახე. მას ბევრი საერთო ჰქონდა თავის აღმოსავლელ და დასავლეთელ მეგობრებთან: პეტრუშკასთან, ყარაგიზთან, პულჩინელასთან და სხვებთან. ამავე დროს „ხუმარას“ ახასიათებდა მკვეთრი ეროვნული კოლორიტი. გიზიდავდათ მისი გამბედაობა, გონებამახვილობა და მიჭეფარე სული. ეს იყო საოცრად მომხიბვლელი პიროვნება, რომელსაც ჰქონდა მსხვილი და მეტად გამომეტყველი სახის ნაკვეთები, დიდი, შავი თვალები. პატარა ნაბდის ქუდიდან კი უჩანდა მუქი წაბლისფერი თმა. ტანთ ეცვა წითელი ხალათი და ქართული ლურჯი შარვალი, ფეხზე პაკიჭები. „ხუმარამ“ ძალზე მალე მოიპოვა მაცურებლის სიყვარული.

1936 წელს ქართული თოჯინების თეატრი დაექვემდებარა საქართველოს განათლების კომისარიატს. მას შეუერთდა ქ. ჯუღელის ინიციატივითა და გ. კოსტავას ხელმძღვანელობით შექმნილი ლანდების თეატრი. თეატრს ეწოდა: „თოჯინებისა და ლანდების სახელმწიფო ქართული თეატრი“.

1934 წლიდან 1940 წლამდე თეატრმა დადგა 19 პიესა, მათ შორის განხლებურნის „ბარგი ჩინეთიდან“, ი. ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?“, ჩუკოვსკის „ექიმი აიბოლიტი“ და სხვ. 1937 წლის დეკემბერში მოსკოვში შედგა თოჯინების თეატრების დეკადა. ამ დეკადაზე ქართულმა თოჯინების თეატრმა მოსკოველ მაცურებელს უჩვენა ორი ნაწარმოები: ი. ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?“ და გ. როსებას „ცაცო“. სპეციალისტებმა კარგად შეაფასეს თეატრის რეჟისურა, მხატვრული და მუსიკალური გაფორმება. განსაკუთრებით კი აღინიშნა თოჯინების ტარების მაღალი ტექნიკა.

სეზონის დამთავრების შემდეგ თეა-

ტრის კოლექტივის შეემატა მსახიობების დიდი ჯგუფი: ლ. მირიანაშვილი, ვ. მახვილაძე, გ. გორაძე, ს. სულთანიანიშვილი, ს. ტერტერაშვილი, ი. თარალაშვილი და სხვები.

1940-41 წლებში თეატრმა მაცურებელს შვიდი პრემიერა უჩვენა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ს. პრეობრაჟენსკისა და ს. ობრაზცოვის „დიდი ივანე“, თარგმანი ა. ბელიაშვილისა.

სამამულო ომმა ახალი ამოცანები წამოჭრა თეატრის კოლექტივის წინაშე. თეატრი ამ პერიოდში თითქმის მთლიანად სამხედრო ნაწილებს ემსახურებოდა.

1942-44 წლებში თეატრმა მხოლოდ სამი პრემიერა უჩვენა მაცურებელს. ეს იყო ს. სერპინსკის „როგორ მიჰყიდა პიტლერმა ეშმაკ სული“, ქ. ჯუღელის მიერ გადმოქართულებული „ბებია დარეჯანის ზღაპრები“ (ს. პრეობრაჟენსკის „ბებია ტატიანას ზღაპრები“) და ვ. სუხოდოლსკის დრამატული ეტიუდი „ქაირშხალში“.

1944 წელს თოჯინების თეატრი გამოეყო მოზარდ მაცურებელთა თეატრს.

1944-45 წლის სეზონში თოჯინების თეატრმა მრავალი საინტერესო და საეტიკაო წარმოდგენა შექმნა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ნ. გერნეტის „ალადინის ჯადოსნურ ლამპარს“ (თარგ. ა. ბელიაშვილისა, დადგმა გ. მიქელაძისა).

„...ალადინის ლამპარის“ სახით სცენაზე განხორციელებულია „ათას ერთი ღამის“ ერთი ზღაპართაგანი, რაც მხატვრული სიტყვით გადმოუღია თეატრსა და ამიტომ სანახაობა ყველა ასაკისათვის საინტერესოა“... 1.

ომის განმავლობაში თეატრმა ჩაატარა 376 სამხედრო-სამეფო წარმოდგენა.

ამავე სეზონში დაიდგა აკ. ბელიაშვილის „სვანეთის მთებში“ და ქ. ჯუღელის მიერ გადმოქართულებული „ნანა ტყეში“ (ვ. შვამბერაძის „გოგონა და დათვი“).

1 გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1945 წელი, 22 მარტი.

ა. ბელიაშვილის „სვანეთის მთებში“ დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. მიქელაძემ. პიესა ეხებოდა კავკასიის დაცვის თემას. დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით იყო ნაჩვენები სვანების ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, თუ რა როლი ითამაშა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ა. ბელიაშვილმა თოჯინების თეატრის განვითარების საქმეში. თეატრის დაარსების პირველსავე წლებიდან ა. ბელიაშვილი გვერდში ამოუდგა თოჯინების თეატრს და ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მის კოლექტივს.

ა. ბელიაშვილმა თეატრისთვის შექმნა რამდენიმე ნაწარმოები: „თეთრი ფინია“ (ა. კუპრინის მიხედვით), გადმოაქართულა ა. ვანზელ-გერნის „ბარგი ჩინეთიდან“, დაწერა ფსიქოლოგიური პიესა „სვანეთის მთებში“, ამის გარდა თარგმნა კიდევ ორი პიესა.

როგორც ყოველ თეატრში, ისევე თოჯინებისა და ლანდების თეატრშიც, წარმოდგენის საფუძველს პიესა წარმოადგენს. იბადება კითხვა, ვარგა თუ არა ყოველი პიესა (მხიდელობაში გვაქვს ჩვეულებრივი „ადამიანური“ თეატრის პიესები) თოჯინების თეატრისთვის? რა თქმა უნდა, არა.

თოჯინების თეატრისთვის გაცილებით მომგებიანია ზღაპრული ფანტასტიკური პიესები. ფსიქოლოგიური პლანის პიესები ვერ ეგუებოდათ თოჯინების სპეციფიკრობას. პიესის შერჩევისას თოჯინების თეატრები კიდევ ერთ გარემოებას აქცევენ ყურადღებას: თვითეულ თოჯინას შიჟძლია განსაკუთრებული ფუნქციის შესრულება, ესე იგი, ერთ თოჯინას შეუძლია გააღოს პირი, ახამხამოს თვალბი, ამოქმედოს ხელები და ფეხები, მაგრამ იმავე თოჯინას არ შესწევს ძალა, მაგალითად, აიღოს ჭიქა ან ჯოხი, ან გაისროლოს მშვილდიდან ისარი. ყოველივე ეს იწვივს დუბლიორი თოჯინების შექმნას. ერთი მოქმედი პირისათვის პიესაში კეთდება რამდენიმე დუბლიორი.

შეუძლია თუ არა ყოველ რეჟისორს

დადგას წარმოდგენა თოჯინების თეატრში? რეჟისორი, რომელიც თოჯინების თეატრში მუშაობს, შესაძლებელია უნდა ფლობდეს თეჯირისა და თოჯინას ტექნიკას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, უნდა იყოს შეუზღუდავი ფანტაზიის მქონე კონსტრუქტორი. მოვიყვანოთ მაგალითს: ერთ-ერთ პიესაში მოქმედ პირს—„კურდღელს“ უნდა შეეძლოს კომბოსტო. რეჟისორის წინაშე დადგა ამოცანა—აიძულოს თოჯინა მოწყვიტოს პირით კომბოსტოს ფურცელი, დაღუქოს და გადაყლაპოს იგი. და ეს მაშინ, როდესაც თოჯინა ძლივს აღებდა პირს. გამოსავალი კი სულ იოლი აღმოჩნდა. თოჯინას ქვედა ყბაზე მიამაგრეს რგოლი, რომელზეც მოხმული იყო ძაფი (ძაფი თოჯინას მთელ კორპუსში გადიოდა), კომბოსტოს ფურცელზე კი დაამაგრეს პატარა კაუჭი. ახლა უკვე თოჯინა აღებდა პირს, გამოსდებდა რგოლს კაუჭს, მსახიობი გამოსწევდა ძაფს და ფოთოლი მიეჩანებოდა თოჯინას ხახაში. 1961 წელს დადგმულ ტ. ცქიტინვილისა და დ. ჯაფარიძის პიესაში მასობრივ სცენებში მონაწილეობდა 80 თოჯინა. ვარდა იმისა, რომ რეჟისორს ეს მასა თეჯირზე უნდა მოეთავსებინა, მასვე უნდა გამოეჩინა ამ ოთხმოცი თოჯინას ერთდროულად ამოძრავების საშუალება. სრულიად მარტივი მექანიზმების დახმარებით ოთხმოცი თოჯინას მხოლოდ ოთხი მსახიობი ამოქმედებდა. ასეთი საკითხების გადაჭრაში რეჟისორს წარმოდგენის გამფორმებელი მხატვარი ეხმარება. მხატვარი თოჯინების თეატრში წარმოდგენის თანადამდგმელია. მხატვრის მუშაობის სირთულე თუნდაც იმით არის გაპირობებული, რომ დეკორაციები იქმნება ერთგვარი „კუნძულების“ სახით და დამაგრებულია სპეციალურ სადგომებზე. ამ „კუნძულებს“ შორის მოძრაობენ მსახიობები და მათთან ერთად თოჯინები.

ქართულმა თოჯინების თეატრმა გარ-

ია გამრეკელი  
თოჯინების თეატრი

შემო შემოიკრიბა მეტად გამოცდილი მხატვრები: მ. აბუქანდაძე, მ. გოცირიძე, ნ. ყაზბეგი, ე. დალაევ — ედიბერიძე, ი. მდივანი, მ. მიქელაძე, ა. მოვშოვიჩი, თ. სიღავეი და ბევრი სხვა. ი. მდივანმა, რომელიც ამჟამად თეატრის მთავარი მხატვარია, თერამეტი წლის განმავლობაში გააფორმა 39 დაღვმა.

ზოგიერთი ცნობილი ხელოვნების მოღვაწე არ თვლის თოჯინების თეატრს სერიოზულ ხელოვნებად. მათ ავიწყდებათ, რომ თოჯინების თეატრი არა ასაკის, არამედ უნარის თეატრია.

პიესაზე მუშაობა ამ თეატრში ისევე იწყება, როგორც ჩვეულებრივ „ადამიანურ“ თეატრში. ჯერ მაგიდასთან მუშაობენ. შემდეგ მსახიობები მუშაობენ თეჯირში. აქ იწყება თოჯინების თეატრის მსახიობის რთული და სპეციფიური სამუშაო. საქმე ისაა, რომ თოჯინების თეატრის მსახიობი განიცდის და მოქმედებს ისევე, როგორც „ადამიანური“ თეატრის მსახიობი, მხოლოდ იგი არ ჩანს სცენაზე, თეჯირიდან მოჩანს მხოლოდ თოჯინა. თოჯინების თეატრის მსახიობი უნივერსალური ნიჭის პატრონი უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ იგი ვირტუოზულად უნდა ფლობდეს თოჯინას, მას უნდა შეეძლოს სიმღერა და ცეკვა, უნდა გააჩნდეს იმიტაციის, პაროდირების დიდი უნარი.

მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი წარმოდგენები, სადაც მსახიობი გამოდის თეჯირიდან და თამაშობს. ასრულებს როლს ისევე, როგორც „ადამიანური“ თეატრის მსახიობი, მხოლოდ მისი პარტნიორები თოჯინებია („დიდი ივანე“, „ქალპეკლა“). თოჯინების თეატრი სინთეტური თეატრია. თოჯინების თეატრის სინთეტურობის კარგ მაგალითს წარმოადგენს ს. ობრაზცოვისა და ს. პრეობრაჟენსკის პიესა „დიდი ივანე“. პიესისა და წარმოდგენის იდეა შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ — „სოციალურ უთანასწორობასთან ბრძოლა“. პიესის სახელწოდებაც და შინაარსიც მოითხოვს, რომ დიდი ივანის სახე თავისი ფორმით სხვა მოქმედ პირებზე გაცილებით უფრო

დიდი იყოს. ამის გამო, და კიდევ იმიტომ, რომ თოჯინით დადებითი გემოვნის სახის შესრულება ძალზე ძნელია, დიდი ივანეს როლს ასრულებს არა თოჯინა, არამედ მსახიობი (ა. ბენაშვილი).

ქართულმა თოჯინების თეატრმა და, კერძოდ, გ. მიქელაძემ თოჯინების დიდი რეკონსტრუქცია ჩაატარა.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ქართული თოჯინების თეატრის ნოვატორობაზე თოჯინების რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, ძალუწუნებურად ვაღიარებთ მას საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს თეატრს — მოსკოვის ცენტრალური თოჯინების თეატრს. ძნელია არ გამოთქვა აღფრთოვანება, როდესაც ხედავ, თუ რაოდენ საინტერესოდ მუშაობს ობრაზცოვის თეატრი. ობრაზცოვის თეატრში თოჯინების მასალად ხმარობენ პლასტმასას, პარელანს და სხვ. პარელანიდან დამზადებულ თოჯინას სიამოვნებით გამოიყენებს ყოველი მსახიობი — ის ძალზე მსუბუქია, პლასტიურობით სხვა მასალიდან დამზადებულ თოჯინას სჯობს და გაცილებით ადვილი დასამუშავებელია.

ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ ქართულ თოჯინების თეატრში სრულიად არ იყენებენ კინოს, ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ რადიოს, მაშინ როდესაც ამის საჭიროებაც არის და შესაძლებლობაც აქვთ. თუნდაც სულ ახალ წარმოდგენაში „ქალპეკლაში“ (სცენა, სადაც მეფე ჯადოსნურ სარკეში იყურება) არ აჯობებდა კინო-პროექციის საშუალებით აგვესახა საინტერესო და გაცილებით უფრო შთამბეჭდავი სურათები? (მით უმეტეს, რომ პიესის ავტორს ასე ჰქონდა ჩაფიქრებული და გააზრებული ეს სცენა).

ქართული თოჯინების თეატრი დიდი ხანია მომწიფდა საიმისოდ, რომ დადგას წარმოდგენები მოზრდილთათვის.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხია პედაგოგიური ნაწილის მუშაობა, რომელიც არა მარტო აღმზრდილობით სამუშაოს ატარებს, არამედ შემოქმედებით



### „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის

#### პ. ინგოროყვას თხზულებათა პირველ ტომთან დაკავშირებით

პ. ინგოროყვას თხზულებათა გამოცემის პირველი, გადახალისებული ტომი მრავალ საკითხს აყენებს, რომლებიც რუსთველის მთარგმნელს და მკვლევარს არ შეიძლება არ აინტერესებდეს. ამათგან მხოლოდ ზოგიერთზე მინდა ამ შემთხვევაში შევჩერდე. არ ვიცი, როგორ უყურებს საქმეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, რადგან მის მუშაობასთან უშუალო კავშირი არა მაქვს, მაგრამ ჩემის აზრით, რიგი საკითხი დასახელებული ტომიდან ტექსტის არა მარტო დადგენის, არამედ განლაგების საკითხთან უშუალო კავშირში უნდა იყოს. მე ტექსტოლოგი არ ვახლავართ იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ჩვეულებრივ ესმით, მაგრამ მხოლოდ ლინგვისტურ-ფილოლოგიური მიდგომა პოეტური ძეგლისადმი უადრესად ცალმხრივად და ამდენად სახიფათოდ მიმაჩნია. გრამატიკოსები და ლექსიკოლოგები ყოველთვის ვერ გამოდგებიან საკითხის მსაჯულად იქ, სადაც პოეტურ-მსოფლმხედველობრივი ასახვა საწვდომი.

პ. ინგოროყვას გამოკვლევა, შევსებული სახით შესული მის თხზულებათა პირველ ტომში, მრავალ რუსთველოლოგიურ საკითხს აყენებს. ყველა ამ საკითხს ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ყველა ისინი დიდის გონებაშეხილობით და ავტორისათვის ჩვეული ერთდროიანად შესრულებული ბევრი რამ სრულიად ახლებურადაა გაშუქებული, ნამდვილი მეცნიერული მეთოდით გაშლილი და უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ბრწყინვალედ ემსახურება ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეს. ამათ გარდა და ხანდისხან ამათ შორისაც, არის ისეთი რამეები, რისთვისაც უკეთესი იქნებოდა, რომ ავტორს მეტი ყურადღება მიეპყრა.

მე შევჩერდები ზოგიერთ ასეთ ადგილზე:

„ვეფხისტყაოსნის“ თარიღის განხილვის შემდეგ ავტორს განხილული აქვს „თვითონ ტექსტი პოემის პირველი პროლოგისა და პოემის ეპილოგისა“. აქ საერთოდ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ზო-

გი რამ ჩამაფიქრებელია. უდავო უნდა იყოს, და ეს აზრი გამოვთქვი ჩემს მონოგრაფიაში „რუსთველის შემოქმედება“, რომ პოემის პროლოგის წერისას რუსთველი ჩამოშორებულია თამარის სიახლოვეს. ეს არ უნდა ნიშნავდეს, რომ პოემა დაწერილია „დევნილობაში ყოფნის დროს“ (გვ. 64). რუსთველი საქვეყნოდ აცხადებს: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია“. მაგრამ ქებათა ამ ორ საფეხურს შორის აშკარადაა ნათქვამი ისიც, რომ მეორედ ის „შეფარვით“ ნათქვამ ქებაზე ლაპარაკობს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პირველი ქებანიც არ იყო „ავად გამორჩეული“, მაგრამ, ჩანს, არ ყოფილა დატული მიჯნურობის საიდუმლოების ეთიკეტი, რამაც სისხლის ცრემლები გამოიწვია. პროლოგის ერთი ნაწილი პოეტის მიერ ვერდაფარული სიყვარულის „შეუფარველად“ თქმის შეცოდების აღიარებაა, რასაც აზრი მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუ პოეტი სამშობლოში დარჩებოდა. მის სულს, ზორცის კმად დაწვის შემდეგ, ლხენა ეძლევა პოეტური ერთგვარი დევალების („მიბრძანეს მათდა საქებრად...“) ახლებურად შესრულებისათვის.

ნათელია, რომ პ. ინგოროყვას გაგება პროლოგის ზოგი ადგილებისა სავიკვოა. რითაა ეს გამოწვეული? იმით, რომ პროლოგის წაკითხვა უდავო არ უნდა იყოს.

მართალია ავტორი, რომ პროლოგის პირველ სტროფში ღმერთის (არათუ მისი იპოსტასების) არდასახელება მიღებულ წესს არ ემსახურებოდა და პოეტის თავისუფალი აზროვნების უქვეყელი გამოვლენა იყო, მაგრამ გაუგებარია, რატომ აუარა გვერდი ავტორმა პროლოგის მეორე სტროფს —

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ  
სახე ყოვლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც  
დათრგუნვად მე სატანისა,  
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილდე  
გასატანისა,  
ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა,  
წასატანისა...  
საგანგებოდ მოვიყვანე ეს სტროფი,

რადგან ის უდავოდ შოთასია, როგორც გაირკვევა, და ბევრის რამის ამხსნელია რა ვუყოთ, რომ აკადემიკოსი ნ. მარტოშვილი სტროფს უმართებულო ჩანართად და რუსთველის მსოფლგაგებასთან შეუფერებლად სთვლიდა. ნ. მარო დიდი მცოდნე იყო, მაგრამ მეცნიერების მდგომარეობა მისი დროისა, კერძოდ არეოპაგეტიკის საკითხი არ იყო გამოვლენილი, რამაც მას ხელი შეუშალა საკითხი ბოლომდე გაეთვალისწინებია. დიდი ინტუიციის პატრონმა ნ. მარმა შეამჩნია, რომ პროლოგის მეორე სტროფი თავის ადგილზე არაა, რადგან არსებითად არღვევს რუსთველის თავისუფალ სააზროვნო განწყობას და პოემის პირველ სტროფში შეგნებულად დაუსახელებელ ღმერთს — „რომელმან შექმნა სამყაროს“ მეორე სტროფში გაუმართლებლად აგრძელებს — „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ“-ო... და მიწიდან ზეცამდე ატყორცნილი პოემა „მართლმადიდებელ კატეხიზისს“ დაემსავსა.

მიუხედავად ამისა, ეს უაღრესად საინტერესო სტროფია და მისი გვერდის ავლა ყოვლად დაუშვებელია. რაშია მისი მნიშვნელობა? ამ სტროფის ოთხივე პუქარი ოთხ მნიშვნელოვან მომენტს შეიცავს:

**პირველში** მოყვანილია არეოპაგეტული მსოფლგაგების ერთი უმნიშვნელოვანესი მოძღვრება „სახის“ ცნების შესახებ;

**მეორეში**—სატანასთან ბრძოლის ამბავი, რაც პოემის ტექსტის ამ საფეხურზე შეუფერებელია;

**მესამეში** — ტექსტი დამახინჯებულია, რის გამო მართლაც გაუგებარია სარიტომო სიტყვის გრამატიკული ფორმა (გენეტივი „გასატანისა“);

**მეოთხეში** — ლაპარაკია „ცოდვათა შემსუბუქებაზე“, რაც ხსნის რუსთველის იმ გარემოში ცხოვრებას, რაც აღიბეჭდა მისი, ცოდვათა შემსუბუქებისათვის საეკლესიო მოღვაწეთა — მაქის-

---

შალვა ნუცუბიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის

მესა და იოანე დამასკელის წინაშე (მეორესთან უპირატესად) მლოცველის სახით დახატვაში.

ეს მონაცემები ნათელს ჰყოფენ, რომ ამდენ შესაძლებლობათა შემცველი სტროფი უნდა ახსნილი ყოფილიყო ბოლომდე და არ შეიძლებოდა მისი ამოკვეთასთან შერიგება, თუნდაც იგი ჩაედინა ისეთ დიდ კაცს, როგორც იყო, მისი ზოგი შეცდომების გარეშე, განსვენებული ნიკო მარი.

დასანანებელია, რომ ამდენი შესაძლებლობათა შემცველი სტროფი არ გახდა პ. ინგოროყვას კვლევის საგანი, რაც უდავოდ ნაყოფს მოიტანდა. ეს სტროფი იმის ღირსია, თვითეული მოყვანილი პუკარი საგანგებოდ გაირჩეს.

პირველ პუკარში ორი ამბავია საკითხავი: რას ნიშნავს — სიტყვა „შექმენ“, ღმერთისათვის მიწერილი. „შექმენ“ უპირისპირებს ერთიმეორეს ორ ცნებას: შემქმნელს და შექმნილს. რა თქმა უნდა, ისინი ერთი მეორესთან ერთგვარ კავშირშია წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი კავშირი ემყარება ღმერთისა და ქვეყნის ანუ „ყოველი ტანის“ გარემყარობას, ტრანსცენდენტურია და არა შინამყოფი, იმანენტური. ეს კი გამორიცხავს პანთეიზმის წანამძღვრებს — რომ ღმერთი და ბუნება „დეუს“ და „ნატურა“, როგორც იტყოდა მაგალითად სპინოზა, კლასიკური წარმომადგენელი პანთეიზმისა, ერთი და იგივეა.

პირველ სტროფშიცაა ნახმარი სიტყვა „შექმენ“, მაგრამ იგი მართებულადაა მიწერილი „რომლისთვის“, რაც თავისი ბუნებით ხსნის გარემდებარებობას შექმნილისა და შემქმნელისა. ღმერთი, როგორც უმაღლესი საფეხური, პირველი მიზეზთა სირაში ანუ წყობაში, შეუქმნელი, მაგრამ შემქმნელი თავისი თავისა — (იმავე სპინოზას „კაუზა სუი“ — თავისთვის მიზეზი — სპინოზას მიემართავ ვადმოცემის სიადვილისათვის). თავისი საკუთარი თავის შექმნის ღმერთი ქმნის — ამ აზრთა წყობას თუ მივყვებით — ყოველ ტანს, მთელ ქვეყანას,

რომელშიაც იგი დგას და რაც (ეს ყველაფერი) მასში დგას.

არეოპაგიტის ავტორის დო-დიონისეს (პეტრე იბერის) აზრით, ღმერთი სახიერია, ანუ „სახეთ მთავარი“ (ამაზე მრავალ ადგილას არის ნათქვამი პეტრე იბერის თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“). ამავე დროს ის „უსახო სახეა“ (მაგ. „სახე რა გითხრა, მის უსახოსა სახისა“), როგორც ყოველივე ტანის, ე. ი. ყოფიერის სახის განმასახიერებელი: ყოველივე არის „სახითა მის მიერთა“ („მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერთა“). ამდენად, იდეურად პირველსა და მეორე სტროფს როგორც პანთეისტური ყოფიერების განხორციელებას შორის (პანთეისტური მატერიალიზმი) განსხვავება არაა, გარდა განწყობისა ანუ გამოსახვის ფორმისა.

ამდენად, მეორე სტროფი ისევე ეკუთვნის რუსთველს, როგორც პირველი. რას ნიშნავს ეს? პასუხი: მეორე სტროფი, უდავოდ რუსთველური, თავის ადგილზე არაა. ნ. მარმა, სხვათა შორის, მიაქცია ამას ყურადღება, მაგრამ მისი ადგილის მონახვა ვერ მოახერხა (Вступительные и заключительные стр. 1910. СПб.).

სად უნდა ყოფილიყო პროლოგის მეორე სტროფი, ამას გვეტყვის მისი დანარჩენი სამი პუკარი.

სამივე ეს პუკარი მიუთითებს ერთსა და იმავეს, სახელდობრ, უფრო მოგვიანო ხანს, როდესაც მნიშვნელობა ეძლევა რუსთველისათვის სატანასთან ბრძოლას, რისთვისაც საჭირო შეიქნა არა მარტო ღმერთის მოხსენიება, არამედ მის წინაშე ვედრება — „შენ დამიფარე“ და სხვ...

მესამე პუკარი გადამწყვეტია. აქ უნდა გაზრებულ იქნას ის, რასაც ნ. მარმა მიაქცია ყურადღება, ლექსი კარგია, მაგრამ გენეტივი „გასატანისა“ უაზროაო. სულ უკანასკნელ დრომდე ვერ შევემჩინე, რომ აქ ტექსტი დაზიანებულია. რა აზრი უნდა ჰქონდეს „მიჯნურთა სურვილის“ გამოთხოვას ღმერთისა-

გან და ამის გარდა ეს აძნელებს სართ-  
მო სიტყვასთან „გასატანისა“ — დაკვე-  
შირებას. საქმე კი აქ სიტყვების გადას-  
მაშია, რასაც „სურვილის“ ადგილის აღ-  
დგენით ეშველება. რუსთველს „მიჯ-  
ნურთა სურვილი“ კი არ ესაჭიროება აქ  
და ისიც სიკვდილმდე, ე. ი. სიკვდილამდე  
„გასატანისა“, მას ესაჭიროებოდა აქაც,  
როგორც წინა პწკარში, ძალა მიჯნურ-  
თა, ე. ი. მისი პოემის გმირების სიკვდი-  
ლამდე გაყოლისა (ვატანება, ჩატანე-  
ბა — გაყოლებას, ჩაყოლებას ნიშნავს.  
გავიხსენოთ — „ჩავიტანე ხათუნები“  
და სხვ.).

მაშინდელ ძეგლებში გვხვდება „სურ-  
ვილის“, როგორც „ძალის“ გაგება. მა-  
გალითად, იოანე პეტრიწის „განმარტე-  
ბის“ 222-ე გვერდზე ვკითხულობთ:—  
„თვთ მათ ხედვათა ვფუტაც სურ-  
ვილსა, რომელი ენაამცა ენისადა  
ვანმეწყო და სხვ...“ ლაპარაკია ფილო-  
სოფიური წვდომის ძალაზე, რომლითაც  
იოანე პეტრიწი იმედოვნებდა არისტო-  
ტელეს ხედვათა სიმადლემდე ასვლას  
(იქვე).

ამის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა  
ნ. მარისა და სხვების შეცდომა და მივ-  
ხვდი, რომ ჩემი თარგმანი პროლოგის  
მეორე სტროფის — მესამე პწკარისა  
სრულიად შეუწყნარებელი იყო.

ქართული ტექსტი უნდა იკითხებო-  
დეს:

მომეც სურვილი მიჯნურთა  
სიკვდილმდე გასატანისა...

ამჟამად, რომ ამ პწკარის დაწერა შე-  
ეძლო რუსთველს მხოლოდ პოემის იმ  
სახით, როგორც ის დღეს ხელში გვაქვს,  
დამთავრების შემდეგ, როცა მისი გმი-  
რები უკვე აღწევნ თავისი „მიჯნურო-  
ბის“ ზეიმს და პოეტს ახლა დარჩენია  
მათი სიკვდილამდე ვატანება, თანხლება,  
გაყოლა. ამით ინგრევა ავტორის კონ-  
ცეფცია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ აწ და-  
საწერია და არა დამთავრებულია. ნუ  
შეგვაშფოთებთ, რომ საქმე გვაქვს  
პოემის პროლოგთან — პროლოგი გვგ-  
მა არაა და იგი უმეტესად დამთავრე-  
ბული თხზულების შემდეგ იწერება.

მეოთხე პწკარი ადასტურებს, რომ  
რუსთველს მიჯნურ-გმირების სიკვდი-  
ლამდე მიყოლასთან („ვატანებასთან“) —  
ერთად თავისი საკუთარი სიკვდილის  
ამბავი წარმოუდგება და სიცოცხლეში  
ჩადენილ ცოდვათა შემსუბუქებას ით-  
ხოვს ღმერთისაგან, ამიტომ ამბობს ის:  
(მომეც) „ცოდვათა შემსუბუქება მუნ  
თანა წასატანისა“. „მუნ“-მა ამ სტრო-  
ფისა ყველა შეგვიყვანა შეცდომაში; ეჭ-  
ვი არავის ებარებოდა, რომ აქ ეს სიტყვა  
ისევე იხმარებოდა, როგორც პოემის  
ზოგიერთ სხვა ადგილზე (სტროფებში:  
„აქა გაყრილი მიჯნურნი მუნ კვა-  
ლად შევიყარენით“, „მზე უშენოთ ვერ  
იქნების“... და სხვ.). სინამდვილეში აღ-  
მოჩნდა, რომ რუსთველი ხმარობს სი-  
ტყვა „მუნ“-ს, როგორც დროის, ისე სი-  
ვრცის მაჩვენებელ ტერმინად, რაც მისი  
დროისათვის პირდაპირ წარმოუდგენე-  
ლია. ამჟამად, რომ პროლოგის ჩანარ-  
თად მიჩნეულ მეორე სტროფის მეოთხე  
პწკარში ნახმარი „მუნ“ „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ავტორის ცხოვრების დასასრულს  
მიუთითებს, დროულადაც და ვრცელ-  
ადაც — ე. ი. „მაშინ“ და „იქ“-ს.

ყოველივე ეს ადასტურებს პროლო-  
გის მეორე სტროფის გვიანდლობას,  
როცა რუსთველი მეორეჯერაა გაძევე-  
ბული საქართველოდან. ჩანს, „შეფარ-  
ვით“ დაწერილმა პოემამ ვერ უშველა  
საქმეს. საქართველოში დაწერილი პოე-  
მა მას თან აქვს მეორედ საქართველო-  
დან გასულს იერუსალიმად და მიჯნურ-  
თა ამბავის გასაგრძელებლად ემზადება.  
ამდენად, ამ სტროფის ბუნებრივი ადგი-  
ლი ირკვევა — ღმერთისადმი მიმართვის  
ფორმა, არეოპაგიტკით მსუნთქავი  
(„სახე ყოვლისა ტანისა“) დასაწყისია  
პოემის გაგრძელებისა, რომლის პირველ  
სტროფს, დასახელებულ გარემოებათა  
გამო, ეს სტროფი უნდა წარმოადგენ-  
დეს. მე რუსთველის გენიალური ნაწარ-  
მოების პოეტური მკითხველი და მხო-  
ლოდ მთარგმნელი ვარ და ტექსტის სა-

### შალვა ნუცუბიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკი-  
თისათვის

კითხვებში ჩარევა არ უნდა მჭირდებოდეს.

თუ ეს სტროფი ყალბია და სხვისი ჩანართია, მაშინ ის არ უნდა იყოს აკადემიურ გამოცემაში და პ. ინგოროყვას გზა — ამ სტროფის უგულვებელყოფა — სწორი უნდა იყოს. მაგრამ საქმე ასე არაა — ე. წ. პროლოგის მეორე სტროფი ყველა მონაცემის მიხედვით — რუსთველისაა და თუ ეს ასეა, სრულიად სერიოზულად უნდა შევხედოთ ყველა აქედან გამომდინარე დასკვნებს — უპირველესად ყოვლისა კი იმას, რომ ეს სტროფი შესავალშია რუსთველის მიერ წამოწყებული „ვეფხისტყაოსნის“ მეორე წიგნისა.

პ. ინგოროყვაც ჩამოთვლის და ახარისხებს პროლოგებს და ეპილოგს, მაგრამ დანაწევრების პრინციპი მასთან სხვაა და ძირითად პრობლემას ამ შემთხვევაში არ ეხება. იმ გარემოებას, რომ პირველი პროლოგის ვითომცდა ჩანართი სტროფი, რომელიც უდავოდ რუსთველურია, თავის ადგილზეა, ამაგრებს ის გარემოება, რომ ჩვენს ხელში მყოფ „ვეფხისტყაოსანს“ როგორც ორი დასაწყისი სტროფი, ასევე ორი დასასრულის სტროფი აქვს — ესენია: პირველი, მე-2, 1664-ე და 1665-ე სტროფები.

1664-ე სტროფის ადგილი უდავოა მთელი მისი აგებულების მიხედვით, როგორც სასიცოცხლო გამარჯვებასა და მასთან დაკავშირებული ბედნიერების სურათისა. ამ გარემოებას ერთვის ელემენტი, რომელიც ხალხურად შეიძლება იწოდოს, თუმცა პ. ინგოროყვა ებრძვის ხალხური შემოქმედების ელემენტის „ვეფხისტყაოსანში“ მონაცემობის იდეას, მაგრამ ასეთ ამბებს ხელი არ შეუშლია მსოფლიო შემოქმედების დიდი ძეგლებისათვის, მაგ. დანტეს „დივინა კომედიასათვის“. ყოველ შემთხვევაში, 1664-ის მეოთხე პეჭარი: „შვიან მათა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“ ქართული ზღაპრების ჩვეულებრივ დასასრულს უნდა წარმოადგენდეს.

ამის შემდეგ 1665-ე სტროფი სრულიად უადგილო ადგილზეა, პირველი პოემის დამამთავრებელ (1664) სტრო-

ფის გვერდით. პ. ინგოროყვას კრიტიკული შენიშვნები ამ სტროფის შესახებ საერთოდ სწორი ჩანს, მაგრამ ანგარიშს გასაწევია ორი მთავარი მომენტი: ა) „ვინმე მესხის“ შესახებ და ბ) ნამდვილად რუსთველური, ე. წ. პროლოგის მეორე სტროფის ნ. მარის მიერ დაუსაბუთებლად ამოღება.

თუ დასახელებული სტროფი რუსთველისაა, და ეს, როგორც გაირკვა, ასევე ყველა საბუთის მიხედვით, მაშინ ცოტა მეტი ყურადღება გვევალება.

როგორც გაირკვა, 1665-ე სტროფი აშკარას ჰყოფს, რომ მისი დაწერისას „ვეფხისტყაოსანი“ უკვე დაწერილია. ეს გარემოება სულ სხვანაირად აყენებს საკითხს იმ, როგორც პ. ინგოროყვა და სხვებიც ამბობენ, „ლირიკული სტროფებისა“, რომლებიც, როგორც ცნობილია, შინაარსთან თითქოს არ არის დაკავშირებული. თუ ასეა, საქმე ის ხომ არაა, რომ ეს „ლირიკული ლექსები“ „ვეფხისტყაოსნის“ უკვე დაწერილ ტექსტში შეერია შეტანილი. მათი სუბიექტივისტური განწყობა სწორად აქვს პ. ინგოროყვას შემჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ავტორისეული ჩანამატი პოემის გარკვეული ადგილებით არის გამოწვეული.

1665-ე სტროფი უდავოა კავშირშია პროლოგის მეორე სტროფთან — რადგან იგი „მიჯნურთა სიკვდილდე გასატანს“ წარმოადგენს, რაზეც ოცნებობდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმის გარკვევას — არის თუ არა ეს წინასწარი კავშირი მე-2 და 1665-ე სტროფებს შუა გამაგრებული ამ უკანასკნელი სტროფის კომპოზიციით და ფაქტურით. ცხადია, რომ აქ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს „ვინმე მესხის“ პრობლემა.

პ. ინგოროყვას „ვინმე მესხის“-ს ამბავი ნამდვილად მიაჩნია (გვ. 38) და ამით თითქოს შეუძლო ხდება მე-2 და 1665-ე სტროფებს შორის კავშირი და ორივეს რუსთველისებურობის დადგენა. მდგომარეობა საქმაოდ რთულია. სტროფი მეორე რუსთველისაა, რისი დარღვევაც

დაუშვებელია, თუ, სხვა ყველაფერი რომ განზე იქნას დატოვებული, დაშვებულია „ვეფხისტყაოსნის“ არეობავი-ტული საფუძვლები, რასაც პ. ინგოროყვა სავესებით სამართლიანად უტყერს მხარს, აქედან გამომდინარე პანთეიზმის აღიარებით. ეს გარემოება დიდი სიფრთხილისაქენ მოუწოდებს მკვლევარს, რადგან სტროფი 1665-ე შესრულებაა იმისი, რასაც უდავოდ რუსთველური მე-2 სტროფი ითხოვდა.

რა თქმა უნდა, პროლოგის ე. წ. მე-2 სტროფსა, რომელიც უნდა მოდიოდეს ჩვენი „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს (1664-ე სტროფის) შემდეგ და მიჯნურთა ამბავის „გასრულების“ შემდეგ სტროფს (1665-ს) შორის საკმაოდ მრავალი მასალაა მოწოდებული და რუსთველოლოგიურ კვლევის გადაუდებელი ამბავი უნდა ყოფილიყო ამ მასალაში რუსთველური მარგალიტების ამოკრეფვა.

რა თქმა უნდა, მეორე სტროფი შეიძლებადა ყოფილიყო (და არის კიდევ) წმინდა რუსთველური. ისიც შესაძლებელი იყო, რომ „ვატანება“ გმირთა ამბავის გასრულებისა სხვას დაეწერა, მაგრამ ეს ყველაფერი ჰკიდა „ვინმე მესხის“ ამბავზე.

პ. ინგოროყვა, იღებს რა „ვინმე მესხის“ ამბავს, იძულებული ხდება მიიჩნიოს ამ სტროფის უკანასკნელი პუკარის მართებულობა, თითქოს ამ „ვინმე მესხს“ ეს დასკვნითი, ეპილოგური სტროფი დაუწერია „რუსთველის დამატებად“ (38).

ჩემს მონოგრაფიაში — „რუსთველის შემოქმედება“— ვერცხად შევეხე ამ საკითხს. საქმე ისაა, რომ უარყოფა მე-2 სტროფისა იწვევს 1665-ე სტროფის უარყოფასაც, რაც მათ შორის შინაგანი კავშირის საბუთია. მაგრამ არ არის საჭირო ძნელსაწვდომ ნეგატურ დასაბუთებას გამოვუდგეთ. რუსთველის ფორმალური პოეტიკა, რომელიც მათემატიკურად ზუსტია, ორჯერ იქნება დარღვეული, თუ სადავო პუკარს ისე წავიკითხავთ, როგორც აქამდე კითხულობდნენ. სადავო პუკარში, რომელიც „მე“-ს

ალიტერირებას წარმოადგენს, დარღვეულია ძირითადი წესი, რადგან „ვინმე“ სიტყვაში „მე“ არ შეიძლება იყოს სიტყვაში, როდესაც სხვა ორ საალიტერაციო სიტყვაში— „მესხი“, „მელექსე“— იგი პირველ ადგილზეა. ჩანს, გადამწერებს, რომელთაც ალიტერირების სალექსო წესი არ ესმოდათ, ნაცვლად „ვინ მე“-სი „ვინმე“ შეერთებულად და უწერიათ.

„მე“-ს გამოთავისუფლება კრძალავს ცეზურის შემდეგ, ე. ი. პუკარის მეორე ნახევარში „მე“-ს გამეორებას, როგორც ეს დაშვებულია პოემის დღევანდელ ტექსტში, სადაც მას ამოუგდია შემაერთებელი „და“.

მამასადამე, პუკარი პირვანდელ ტექსტში იქნებოდა ასეთი: „ვეწერ ვინ მე—მესხი მელექსე, რუსთველი და სად ამისა?“ ასეთი კითხვითი კონსტრუქციის ფორმა რუსთველურია. ასეთივე ფორმა, მაგალითად, მოცემულია 694-ე სტროფში: „მე ვინ ვაქებ, ათენს ბრძენთა ხამს აქებდეს ენა ბევრი“. ალიტერირებისა და დაბალი შაირის აღნაგობითაა გამოწვეული „მე ვინ“-ის ნაცვლად „ვინ მე“, სხვა მხრივ აქ რუსთველურ წყობასთან გვაქვს საქმე.

მამასადამე, „ვინმე მესხი“ უბრალო დაუდევრობის ამბავია და, სამწუხაროდ, აქამდე მასზე აგებულია პოემის ერთი ძირეული საკითხის გადაჭრა.

ტექსტი, როგორც ჩანს, დიდ შესწორებას არ საჭიროებს: „ვინ მე“-ს ნაცვლად „ვინმეს“ დაწერა მარტივი შეცდომაა, რის სწორად გადაწერის შემდეგ ცეზურის „მე“-ს განმეორება უკანონოა და სხვ. „ვინმეს“ ამბავმა დიდი არეულარევა გამოიწვია პოემის ქართულ ტექსტში, რასაც ადასტურებს პ. ინგოროყვას წვდმიწვევითი კვლევა (გვ. 38 — 41), და დიდ სიძნელედ აღიშნა მთარგმნელების წინაშე.

ამრიგად, „ვინმე მესხი“ დაწერის უბრალო შეცდომაა და ამის გამოყენება არ

---

შალვა ნუცუბიძე  
„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის

შეიძლება რუსთველის პოემის თითქოს მისგან შევსების დასამტკიცებლად. 1665-ე სტროფი ისევე რუსთველურია, როგორც პროლოგის მე-2 სტროფი. თუ იქ „სახის“ პრობლემა ამტკიცებდა არეოპაგიტულ მსოფლგაგების სახელდახელობას, აქაც იგივე ამბავია. „სიმუხთლე ქამისა“ ბოროტება და ყოველი ბოროტება უხანოა, „არის ერთისა წამისა“, რაც არეოპაგიტის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ეს ორი გარემოება ამტკიცებს, რომ „მიჯნურთა სიკვდიმდე გასატანის“ ამბავი ნამდვილად რუსთველურია. რა თქმა უნდა, მართალია პ. ინგოროყვა და და სხვები, რომ არსებობდნენ შოთა რუსთველის გამგრძელებლები (იქვე), მაგრამ მას შემდეგ, რაც ღვინდება „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ავტორისეული წიგნის არსებობა, რომლის პირველი (შესავალი) და უკანასკნელი სტროფი ხელთა გვაქვს, რუსთველოლოგიის ვალია, გაცხრილოს დარჩენილი მასალა და აღადგინოს სრულიად რუსთველის ნამდვილი მემკვიდრეობა.

პ. ინგოროყვა გადაჭრით იღებს არეოპაგიტულ თვალსაზრისს, როგორც რუსთველის პოემის იდეურ დასაყრდენს და, ამიტომაც მას შეუძლია ეს გამოიყენოს რუსთველის მემკვიდრეობის სრულად დასადგენად. განსვენებული აკადემიკოსი ნ. მარი „ვეფხისტყაოსანში“ ერთ-ორ ადგილს სთვლიდა ნეოპლატონიკურად, მაგრამ მის დროს პეტრე იბერის (ფსევდო-ლიონისეს) ამბავი არ იცოდა მეცნიერებამ. საბჭოთა მეცნიერებამ გაარკვია ეს საკითხი და ამით ბევრი რამ უფრო ადვილი გასარკვევია რუსთველის მემკვიდრეობაშიც.

დანტემაც უხმო ფსევდო-ლიონისეს თავის „დივინა კომედიაში“, მაგრამ ის თომა აქვინელის ამაღაში გაურია, თუმცა მისი „იერარქიათა“ შემე თხზულებებთან დაკავშირებით დასავე ერთის ეკლესიის ყველა მოაზროვნეთა მალა დააყენა („დივინა კომედია“, X, 30). ფაქტურად კი იგი გამოიყენა, როცა ღმერთის ხილვისათვის შარავანდედისაგან უნათლო თვალებს მიმართა უკეთესად

და „ახლად ჩენისათვის“ („დივინა კომედია“, „პარადიზეს“ დასასრულს). რუსთველის პოემა თავიდან დასრულდა და აგებულია არეოპაგიტის, ე. ი. პეტრე იბერის მემკვიდრეობაზე. რუსთველმა იგი მოსწყვიტა საეკლესიო ღმერთსაც და ფილოსოფოსებსაც, მიწიერი სიყვარულის დაბადებულ გამოაცხადა, რადგან „თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა“ („ვეფხისტყაოსანი“, 10).

პ. ინგოროყვას მოჰყავს ზემოთ აღნიშნული ეს სტროფი, (გვ. 63), მაგრამ მის დიდ მნიშვნელობაზე არ ჩერდება. ეს მით უფრო საინტერესო იყო, რომ სიყვარულის დაბადების ეს მომენტი პირდაპირ ემყარება ადგილს პეტრე იბერის თხზულებიდან — „საღმრთოთა სახელთათვის“. აი ეს ადგილი:

„—რა ქამს სული ღმერთის მხილველ იქმნეს, უცნაურითა შეერთებითა მოუხვდების მიუწვდომელისა ნათლისა შარავანდედთა მიხედვითა უთვალთათა“ („საღმრთოთა სახელთათვის“, თავი, დ. 11, პეტრე იბერი, თხზულებანი თბ. 1961, სამ. ენუქაშვილის გამოცემა). თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, ხელთა გვაქვს სამიველი სასინჯო, თუმცა თავისთავად ამასაც არ შეუძლია დაიცვას კვლევა-ძიება უმართებულო გადაწყვეტისაგან.

პ. ინგოროყვა მართებულად მიიჩნევს იმ ლირიკულ შესავლებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა, რომლებსაც სილოკურტიური კავშირი ტექსტთან არა აქვთ. მათი რიცხვი არც ისე დიდია. მაგრამ მათ მართლაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. ცხადია ისიც, რომ მათი ელემენტური ტონი უჩვენებს, რომ იანი სამშობლოს გარეთ არიან დაწერილი. თუ სწორია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პირველშია დაწერილი, როგორც პროლოგის მე-2 სტროფმა დადასტურა, მაშინ ლირიკულ-ელემენტური შისავალი სტროფები უნდა იყოს პეტრე იბერ ჩანამატები სტროფები ჩანს. გაძეგბულ პოეტს ხელთ ჰქონებია უკვე

დაწერილი პოემა და გზაში მისი გადა-  
კითხვისას ასოციაციურად ავონდებო-  
და თავისი ბედი.

3. ინგოროყვა განსაკუთრებით ჩერ-  
ლიბა მხოლოდ ორ ასეთ სტროფზე —  
177-ზე და 951-ზე. პირველი მართლაც  
ენება სამშობლოდან გასვლას ავთანდი-  
ლისა, რაც, მართალია, განდევნა არ იყო,  
მაგრამ გაძევებული პოეტის განწყობი-  
სათვის ელემენტური, განცდების საბაზად  
გამოდგებოდა.

177-ე სტროფი დამახასიათებელია იმ  
მხრივ, რომ რუსთველს იგი და სხვა  
მისგვარი ჩანამატი სტროფები დაუწყე-  
რია პოემის უკვე დამთავრებული ტექს-  
ტის ნიადაგზე თანაგვარ სიტუაციურ  
განწყობის შედეგად. სამშობლოდან გან-  
დევნილ პოეტს ავთანდილის სამშობ-  
ლოდან გასვლის ამბავის გადაკითხვი-  
სას გაახსენდ. პოეტის—ეზრას ლექსთა  
კრებული („დივანი“), რომელიც სამ-  
შობლოდან გასვლას და უცხო ქვეყანა-  
ში ხეტიალს აღმოსცემდა. თვითონ ეს  
ფაქტი აქ სადავო არაა. სწორია ისიც,  
რომ ამ სტროფში ორი ადამიანის სიტყ-  
ვა — დიონოსი და ეზროსი — ადამიანთა  
სახელები არაა, წინააღმდეგ შემთხვევა-  
ში საძებარი იქნებოდა, ვის უნდა  
ეკუთვნოდეს სიტყვა „ბრძენი“ (გვიხ-  
სენოთ: „დიონოსი ბრძენი ეზროს“).  
ამიტომაც უკვე პირველსავე გამოცემა-  
ში ეს ადგილი რუსულად ვთარგმნე ასე:

177. Мудрый Эврос диносом  
сам свидетельствует мне...

აქ, როგორც იქვე აღვნიშნე, „იო“—სა  
და „ივ“—ის შესაძლო შენაცვლება წარ-  
მოდგენილი (მაგ. „იორი“ — „ივრის“).  
პ. ინგოროყვას აქ პირდაპირ ჩაუსვამს  
„დივანი“, რისთვისაც საჭირო გამადარა  
„მე“-ს გამოვრება: „ამ საქმესა მე მოწყ-  
მების მე დივანი ბრძენი ეზროს“. ფაქ-  
ტიურად, ცხადია, მართალია ასეთი გას-  
წორება, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“  
ქართულ დედანში ასეთი გასწორება  
ზედმეტია. რაც შეეხება თარგმანს, ეს  
დასაშვებია, რადგან რუსთველის  
სტილს არ ეხება. როგორც აღინიშ-  
ნა, რუსულ თარგმანში ასე გავაკეთე.

ასევე მოვიქციე გერმანულისა და ფრან-  
გული თარგმანის შესრულებისასაც:  
ფრანგულად (რომელიც ასევე  
გამავიდა), სწერია: Me scis tencin en  
cette affaire le poème du sage Ezrc...  
გერმანულად Mir bezugt der Weise  
Lichter Ezra selber in divan...

რაც შეეხება ავტორისეული ჩანამა-  
ტის მეორე მაგალითს, 951-ე სტროფში  
არ უნდა იყოს საჭირო „გვაბრუნებ“-ის  
მრავლობითის ფორმაში გადაყვანა.  
რადგან პირველი პირით პოეტის ჩვენ-  
თან საუბარი საკმაოდაა მოცემული მე-  
ორე სტროფში:

ვაჰ, სოფელო, რაშივან ხარ,  
რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა,  
ყოვლიმც შენი მონდობილია  
ნიდავგმა ჩემებრ სტირსა,

რომელიც მოითხოვს პირველ აქტში  
მრავლობითის ფორმას („ყოვლიმც  
შენი მონდობილი“). სხვანაირად რომ  
ითქვას, ამ ორ პუქარში ავტორის გო-  
დებია, რომ სოფელი მასაც ისე ეპყრო-  
ბა, როგორც მრავალ სხვას, რასაც  
კანონის სახე აქვს.

უნდა ითქვას, რომ ტექსტის ასეთი  
თავისუფალი გადაკეთება დაუშვებელია,  
თუ საამისოდ რაიმე განსაკუთრებული  
საბაბი ან აოსებობს, რააც ამ შემთხ-  
ვევაში ადგილი არა აქვს.

ასეთივეა სხვა რუსთველის ჩანართი  
სტროფები, რომელიც უცხო დაწერი-  
ლია დევნილობაში წასვლისას. პოეტს  
„ვეფხისტყაოსანი“ თან ჰქონდა, ამა თუ  
იმ გულის შემზე ადგილების გადაკითხვა  
პოეტის მისი იმეორისათვის რაც  
სათანადო სტროფებში გამოიხატა. თუ  
სადმე ეს წიგნი გადარჩენილა, ეს იქნე-  
ბა პოეტის საფლაფში, თუ როდისმე  
იქამდე მივადღეოთ.

დაეგრეო რიორღე საკითხი: ა) პოეტის  
მსოფლმხედველობისა და ბ) იერუსა-  
ლიმის მისი ცოფენის კვალის შესახებ.

რუსთველის მსოფლმხედველობაზე პ.  
ინგოროყვა საკმაოდ ვრცლო ჩირღება-

შალგა ნუცუზიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკი-  
თხისათვის

რთულია ეს საკითხი და უკანასკნელ დრომდე არაა საბოლოოდ გარკვეული. შუა საუკუნეების იმ საფეხურზე, როცა „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა, რელიგია და ფილოსოფია იმ მიმართებაში არიან, რომ ტონს უკანასკნელი აძლევს. იყო დრო, როცა რელიგია იყო მსახური თეოლოგიისა — ნეოპლატონიკოსები და მათი მახლობელი დრო. VIII საუკუნიდან გაძლიერდა იონანე დამასკელის თეზა — ფილოსოფია არის მსახური თეოლოგიისა. მესამე საფეხურზე არეოპაგიტის კვლავ განსაზღვრა ფილოსოფია IX საუკუნიდან მოყოლებული რენესანსამდე.

ამიტომ ბუნებრივია, რომ პ. ინგოროყვა ც რუსთველის მსოფლმხედველობის გარკვევისას ყველაზე დამახასიათებელ 1492-ე სტროფით იწყებს. რა თქმა უნდა, კეთილისა და ბოროტის მიმართება მანამდეც არაერთხელ იყო რუსთველის პოეტური ჩვენების საგანი (გავიხსენოთ „ბოროტიცა ვით შეექმნა კეთილისა შემომქმედსა“ და სხვ.), მაგრამ სტროფი 1492-ე უმნიშვნელოვანესია. ერთ სტროფში აქ შემდეგნაირადაა გადმოცემული არეოპაგიტის ძირითადი ვითარება:

ამ საქმესა დაფარულსა  
 ბრძენი დივნოს გააცხადებს,  
 ღმერთი კარგსა მოავლინებს  
 და ბოროტსა არ დაბადებს,  
 ავსა წაშერთ შეამოკლებს,  
 კარგსა ხანგრძლივ გააკვლადებს,  
 თავსა მისსა უკეთესსა უზადო ჰყოფს,  
 არ აზადებს.

პირველ სტროფში პირდაპირ დასახელებულია დიონოსი (დივნოსი — გავიხსენოთ „იო“—„ივ“), რომლის ქვეშ იმალებოდა ისტორიაში სხვა პირი — პეტრე იბერი (V ს. იხ. საბჭოთა ენციკლოპედია). დანტეც ასახელებს დიონისე არეოპაგელს, მაგრამ უფრო ვიწროდ, როგორც იერარქიული წყობის მასწავლებელს.

ალსანიშნავია მხოლოდ, რომ პ. ინგოროყვა გამოთქმაში „დაფარულსა გააცხადებს“, ისევე როგორც პოემის ტექსტის სხვა შემთხვევებში, არ მიუ-

თითებს, რომ ეს ანტიკურ ფილოსოფიაში მიღებულს კეშმარტების თეორიას ნიშნავს, რაც რუსთველის პოეტური ფილოსოფიის კარგ ცოდნას ამჟღავნებს. ეს ბერძნული სიტყვის „ალეთეია“ს პირდაპირ გაქართულებას ნიშნავს. „ლეთეია“ იონიური ძირია ბერძნული ზმნის „ლან-თანა“ — ვფარავ. აქედან „ლეთეია“ უდრის დაფარულს, მხოლოდ უარყოფის, ხოლო ბერძნულ უარყოფელ „ა“-ს დართვით მიიღება „დაუფარავი“ ანუ „გაცხადებული დაფარული“. ასეთი ადიექტივის ქართულ მეტყველებაში და ისიც პოეტურ ქსოვილში შეტანა ცხადყოფს რაოდენ დიდი იყო ანტიკური აზროვნების ცოდნა რუსთველის მიერ.

ამავე სტროფის მეორე პეწარში ღმერთის მოქმედება არც კარგისა და არც ბოროტის მიერ შექმნის გამოხატველი ზმნით არაა გადმოცემული („მოავლინებს“, „არ დაბადებს“) — გავიხსენოთ სტროფი 792-ე:

„იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“. რუსულ თარგმანში ზმნის „გახდის“ გამოსახატავად შექმნის — „творение“-ს იქით გზა არ იყო, მაგრამ პრეფიქსი „пре“ დავურთე და „претворяет“-ის მიღებით „творение“-მ აზრი დაკარგა და მივიღეთ:

Кто пределом беспредельным  
 обесмертил божество,  
 Тот мгновенно претворяет сто в одно,  
 одно-же в сто.

პ. ინგოროყვა სამართლიანად აღნიშნავს, რომ „დივნოს ბრძენი... არის საფუძველი შოთას ფილოსოფიური კონცეფციისა“ (გვ. 156). ეს ავალბდა ავტორს ამავე სტროფის მეორე პეწარზე შეჩერებულობა, სადაც უფრო ძირეული ამბავი აქვს პოეტს წათქვამი, სახელდობრ —

თავსა მისსა უკეთესსა უზადო ჰყოფს,  
 არ აზადებს.

ცხადია, აქ ღმერთზეა ლაპარაკი, მაგრამ რატომ არ არის აქ ახსნილი ავტორის მიერ — რას ნიშნავს ღმერთის

„უკეთესი თავი“. თუ ჩვენ ისე უხვი ვართ ქართველი მკითხველის მიმართ, რომ მას ვუხსნით — „გააცხადა — ცხა-დი გახადა“ —, რაოდენ მეტად საჭირო იყო „უკეთესი თავის“ ახსნა.

აქ ცოტა რთული ამბავია, მაგრამ მი-სი გვერდის ავლა მაინც არ შეიძლება, რადგან ლაპარაკია უმაღლეს ანუ ზეშთა-მიზეზზე. ეს არეოპაგიტის ავტორს გა-კეთებული აქვს ორჯერ: ერთხელ „მი-ზეზთა წიგნი“, რაც იყო „თეოლოგიის შესავალი“ (ბერძნულად „ჰიპოტიპო-ზის თეოლოგიკაჲ“) და მეორეჯერ, ამის ნიადაგზე, წიგნი „საღმრთოთა სა-ხელთათვის“. პირველი პირდაპირ იწყე-ბა იმის დადგენით, რომ „პირველი მი-ზეზის მოქმედება სხვა მიზეზთა მიმართ ყველაზე მაღალი და უზადოა“ (მიზეზთა წიგნი, § 1). წიგნი „საღმრთოთა სახელ-თათვის“ აგრეთვე იწყება ავტორის — პეტრე იბერის მიმართებით ტიმოთესად-მი: „ხოლო აწ შემდგომად ღმრთის — მეტყულებითთა სახის შემოღებათა, საღმრთოთა სახელთა თარგმანებისა მო-უჯდე. ეს „ჰიპოტიპოზის თეოლოგი-კაჲ“-ს — „თეოლოგიის შესავალის“ — ქართული თარგმანებაა, რომელშიც ლა-პარაკია — პროკლეს „კავშირნიდან“ გა-დამუშავებულ ადგილებზე. სხვათაშო-რის, ნათქვამია — „ყოველთა მიზეზი და აღმავსებელი... ღმერთებდა... ვითარცა ზეშთა სრული და წინადვე პირველთა-გან სრული“... „უსახო სახეთა შორის, ვითარცა ზეშთა სახეთაჲ“ (პეტრე იბე-რი, საღმრთოთა სახელთათვის, ბ, 10).

„როგორც პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისემ) გადაამუშავა, თანახმად პეტ-რიწის მოწმობისა (იხ. „განმარტება“, ნაწ. III, გვ. 219), პროკლეს სწავლა მიზეზის შესახებ, ისე რუსთველმა ისარგებლა პეტრეს ცნებით „უკეთესი-სა“ ღმერთის, როგორც „თავის“ (ე. ი. სათავის, მიზეზის) გამოსახატავად. არ უნდა ვიფიქროთ, თუ გარჩეულ სტროფში „კარგზე“, „უკეთესზე“ ლაპარაკი, მასასადამე, შოთა დებუ-ლობს ქრისტიანობას, როგორც მაღალ-ეთიკურ მოძღვრებას“ (გვ. 157). „კარ-გი“ ანუ „სიკეთე“ პეტრე იბერისათ-

ვის უპირველესად თეორიულ-ფილო-სოფიური ცნებებია („საღმრთოთა სა-ხელთათვის“, იქვე) და აქ ეთიკის სფეროში წინააღმდეგო არაფერია, მაგრამ „ეთი-კური მოძღვრება“ არ არის.

პ. ინგოროყვას უდაგილოდ არც ერთი ტექსტუალური საბუთი არ მოჰყავს რუსთველის მსოფლმხედველობის გა-სარკვევად, მაგრამ ბოლომდე არ მიდის მათი ვარკვევისას, ხოლო ტექსტის მოულოდნელი შესწორებების გამო ბნელდება მოყვანილი ადგილის ნამ-დვილი აზრი. მაგალითად, ავტორის მი-ერ მოყვანილ სტროფში (1599):

ყველაჲა ღმერთსა ჰმადლობს,  
გამაღლებს მათნი ხმანი.  
თქვეს „ბოროტსა უმყოფოთ,  
კეთილნია შენთვის მხანი“, —

ის აზრი უნდა იყოს, რომ ღმერთა არ ურევია ბოროტში, მაგრამ ეს არ გა-მოხატავს არეოპაგიტულ თეზას — რომ თვით ბოროტია უმყოფო, რადგან უმი-ზეზოა. მაგრამ არეოპაგიტულად არც ღმერთსა აქვს მიზეზი, ის თავისი თავის მიზეზი თვითონ არის და ამდენად მი-ზეზთ მთავარიცაა და ყოფიერებისაც. აქ პანთეისტური თეზა გამოვლენილი: ღმერთი დგას ყველაფერში და ყველა-ფერი ღმერთში — მამასადამე, თუ ღმერთი ბოროტში არ არის, ეს უქანას-კნელი უმიზეზოა და უარსო.

ეს არეოპაგიტული დებულება გა-საგებია, მაგრამ რას მივიღებთ, თუ ვიტ-ყვით, „თქვეს ბოროტის უმყოფოთ“ და სხვ... გამოდის, რომ ღმერთში არ არის ბოროტი, ამიტომაც ის „ბოროტის უმ-ყოფო“, მაგრამ არის ეს ორი გამოთქმა სწორდირებული? მგონი, არა, რადგან თუ ღმერთი „ბოროტსა“ (ისე როგორც ქალაქსა და სხვ. სა-ში ბოლოსართს) არ მყოფობს, მაშინ ბოროტი უმყოფოა, არ-არსებულისა, არ აქვს მიზეზი, ხოლო თუ ბოროტი არ არის, არ მყოფობს ღმერთში, ამით გამორიცხული არაა,

შალვა ნუცუბიძე  
„გეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკი-თისისათვის

რომ იგი მყოფობდეს სხვაგან და სხვა-  
ნაირად.

აქ უადგილოა ამაზე მსჯელობის გა-  
გრძელება. მე არ განვიხილავ იმას, რამ-  
დენად დოკუმენტირებულია „ბოროტ-  
სა“-ს ნაცვლად „ბოროტის“ წაკითხვა.

მინდა შეეჩერდე მხოლოდ ერთს,  
მსოფლმხედველობრივი მომენტის შემ-  
ცველ 792-ე სტროფზე, რომელიც  
აგრეთვე ძნელი საკვლევეია, მაგრამ იმ-  
დენად მნიშვნელოვანია, რომ მისთვის  
გვერდის ავლა გაუმართლებელი იქნე-  
ბოდა. ეს სტროფი ასეთია:

ვინ დამბადა, შეძლებაცა  
მანვე მომცა ძლევად მტერთად,  
ვინ არს ძალი უხილავი, შემწვე  
ყოფლთა მიწიერთად,  
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრავს,  
ვის უკვდავი ღმერთი ღმერთად,  
იგი ვახდის წამის-ყოფით  
ერთსა ასად, ასსა ერთად.

აქაც, ისე როგორც ზოგ სხვა შემ-  
თხვევაშიაც, ჩემთვის ნათელი არის,  
რას ემყარება ამა თუ იმ ადგილის შეც-  
ვლა ტექსტში. მართალია, აკადემიური  
ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“ ჯერაც არ  
მოგვეპოვება, და ვინ უწყის, როდის  
გვექნება, მაგრამ აქამდე არსებული, სა-  
კმაოდ ავტორიტეტული კომისიის მიერ  
დადგენილი ტექსტის შეცვლა დასაშვებ-  
ია (ჩვენ დოკუმენტის ხალხი არა ვართ)  
მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საამი-  
სო საბუთი არსებობს. ცხადია, ეს პირ-  
დაპირ არ ეხება თარგმნის საკითხს,  
რადგან აქაც, მართალია, ორიგინალის  
ტექსტი მბრძანებლობს, მაგრამ პოე-  
ტური გარდასახვის მრავალსახოვანების  
გამო ესა თუ ის ფორმა დასაშვებია.  
ასე მაგალითად, მე არ ვიცი, რა საბუთს  
ემყარება 792-ე სტროფის მეორე პწკარ-  
ის შესწორება—„ვინ არს ძალთა მეცნი-  
ერი“ ნაცვლად „ვინ არს ძალი უხილავ-  
ი“-სა. უნდა ვალიარო, რომ პ. ინგო-  
როყვას შესწორება აზრობრივად მისა-  
ღებია. რადგან „ძალთა მეცნიერი“ ახ-  
ლო უდგება „მიზეზთა ფილოსოფიას“  
(გამოთქმა ფილოსოფოს ბონავენტურა-  
სია), რომელიც წამყვანია არეოპაგიტ-

კაში, და მამასადამე, რუსთველისათვის  
უცხო არ იქნებოდა, მაშინ როდესაც  
„ძალი უხილავი“ არაფრის მეტყველი სა-  
ეკლესიო ატრიბუტია.

მთავარი მნიშვნელობა 792-ე სტრო-  
ფისა მის მესამე და მეოთხე პწკარშია.  
პ. ინგოროყვას, რა თქმა უნდა, ეს არ  
გამოუპარებოდა, მაგრამ ამ შემთხვევა-  
შიაც ეს ადგილები არ არის ბოლომდე  
გამოყენებული. „რუსთველის წარმოდ-  
გენით,—წერს პ. ინგოროყვა,—ღვთაება  
არის „ძალთა მეცნიერი“, „საზღვართა  
განმსაზღვრელი“, მიზეზთა მიზეზი (გვ.  
157). პირველი გამოთქმა ავტორს  
ბრჭყალებში აქვს მოცემული, ხოლო  
მიზეზთა მიზეზი — უბრჭყალებოდ. არ  
ვიცი, აქვს პ. ინგოროყვას ამ შემთხვე-  
ვაში გათვალისწინებული თუ არა, რომ  
არეოპაგელისათვის მიზეზთა მი-  
ზეზი არაა ღვთაების გამოხატულება,  
არამედ „ზეშთამიზეზი“.

რაც შეეხება „ძალთა მეცნიერს“, ამა-  
ზედ უკვე იყო ლაპარაკი და თუ ამის  
გამამართლებელი მონაცემი მართლა  
არსებობს, რაც ჩემთვის უცნობია, ამას,  
როგორც ითქვა, მნიშვნელობა აქვს,  
რომ „მიზეზთა წიგნი“ (ანუ „ღმრთის  
მეტყველების შესავალის“) გაკლენა  
იგრძნობა „ვეფხისტყაოსანში“ და ამას  
მსოფლიო მეცნიერებისათვის უდიდესი  
მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ  
ჩვენს დროში დგას მეცნიერებაში სა-  
კითხი, რომ „მიზეზთა წიგნი“ არეოპა-  
გიტულ კორპუსს ეკუთვნის.

ამის შესახებ სიტყვას ნუ გავაგრ-  
ძელებთ.

ყურადღებას იპყრობს გამოთქმა  
„საზღვართა განმსაზღვრელი“. გაუგე-  
ბარია, რატომ ორი პწკარის მანძილზე  
ჩვენი ავტორი ამ გამოთქმასაც ხმარობს  
და მეორესაც „ვინ საზღვარსა დაუსა-  
ზღვრებს“ (იმვე 792-ე სტროფიდან).  
ავტორის ტექსტის მიხედვით ეს არ შე-  
იძლება სხვა რამეს გამოხატავდეს, თუ  
არა აზრს, რომ ეს ორი გამოთქმა ერთი  
და იგივეა, რაც ასე არაა. ავიღოთ  
აზრის მთელი კომპლექსი, რომელიც

ნათლადაა მოცემული ამ სტროფის მეორე ნახევარში:

ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს,  
ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,  
იგი გახდის წამის-ყოფით  
ერთსა ასად, ასსა ერთად.

ეს ადგილი არის რუსთველის გენიალობის უმაღლესი გამოხატულება, სადაც კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში დიალექტიკის დაბადების უდიდესი ფაქტი მხატვრულადაა ასახული. ანტიკური აზროვნება მივიდა პლატონ-არისტოტელეს საფეხურზე ჩვეულებრივი, ფორმალური ლოგიკის საზღვარამდე და ისტორიაში დაისვა საკითხი ამ საზღვრის „გაგლეჯის“ შესახებ, როგორც ფრიდრიხ ენგელსი მიუთითებს, რათა მიღწეული ყოფილიყო დიალექტიკური აზროვნება, როგორც განუსაზღვრელი პერსპექტივა. რა თქმა უნდა, საზღვრის ასეთ გაგლეჯას საზღვარი უკვე შეგნებული, ე. ი. „განსაზღვრულ“ უნდა ჰქონებოდა. ამიტომ საზღვრის განსაზღვრას, რაც ჯერ კიდევ ფორმალური, ე. ი. განსაზღვრული ლოგიკის ფარგლებშია, უნდა მოჰყვეს მისი „დაუსაზღვრება“ ანუ უსაზღვრულოდ გახდომა. მამასადამე, საზღვრის განსაზღვრულობაში (ანუ „განსაზღვრაში“) კი არ „ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“, არამედ უსაზღვრულში, რომელიც საზღვრის დაუსაზღვრებლობაა მიღწეული (ცხადია, ზედროულად).

იმის თვალნათლივ საჩვენებლად, როგორ გამოიყურება დიალექტიკა, რომელიც ადამიანის აზროვნების ისტორიის გარკვეულ ეტაპზე იქნა მიღწეული, თვითონ კი ზედროული იყო, რუსთველი მიუთითებს პეტრიწის მიერ აღორძინებულ პროკლეს აზრებს, რომელიც ის არეოპაგიტულად კითხულობს (იხ. ი. პეტრიწი, განმარტება, § 1.2 — თეზისები, შეად. ჩემი მონოგრაფია — „პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა“, თბ. 1963 წ. თავი IX, 436—453).

რუსთველმა იცის, რომ საქმე საზღვრის განსაზღვრაში კი არ არის, არამედ განსაზღვრულის დაუსაზღვრელობაში, რის მეოხებით ერთი ეზიარება ასს, რომელიც აქ სიმრავლეს ნიშნავს და „ყოველი მზიარებელი ერთისა, ერთიცა არს და არა ერთიცა“.

ქართულმა აზროვნებამ დაძლია პეტრე იბერის სახით ყოვლობისა და კერძოთა დიალექტიკა, რომელიც „კერძოთა ყოვლობისა თანაერთობით მაცხოვრებელ არს და არც კერძო არს, არც ყოვლობა; და ყოველ არს და კერძო“ (პეტრე იბერი, „საღმრთოთა სახელთათვის“, გ. III, 10). არისტოტელე მიხვდა, რომ კერძოს (ერთის) და ყოვლობის (სიმრავლის) საკითხი ძველი პარამნიდელური პრობლემაა, მაგრამ მის გადაწყვეტას ვერ მიაგნა. მოვიდა რუსთველი და პეტრიწის მიერ აღორძინებული არეოპაგიტის ნიადაგზე საუკუნეებს გადასძახა:

ვინ საზღვარსა დაუსაზღვრავს,  
ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,  
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა  
ასად, ასსა ერთად.

ამის მთქმელი, ცხადია, პროკლესა და პეტრიწის „ახლო იდგა“, როგორც პ. ინგოროყვა ამბობს, მაგრამ მეტი არა (იხ. გვ. 158).

რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ადგილი ადვილი მისაწვდომი არ არის, მაგრამ „საზღვრის განმსაზღვრელი“ და „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“ ერთი და იგივე რომ არაა, ეს თუ არ ვიცით, მთელი დიდება მსოფლიო მწიფელობის მქონე ქართული აზროვნებისა პეტრე იბერის სახით და ქართული პოეზიისა — რუსთველის სახით, უპატრონოდაა მიტოვებული.

რუსთველის მთარგმნელებს უჭირთ ამ სიღრმის წვდომა. მეც მეშვებოდა აქ ზოგი რამ. სანიშნოდ რომ ვნახოთ ამ ადგილის მაგალითად ნ. ზაბოლოცკის

შალვა ნუცუბიძე  
„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის

თარგმანი, დიდ გაუგებრობას წავაწყდებით. შედარების გასაადვილებლად დაწეროთ ქართული და რუსული ტექსტი პარალელურად:

- 1) ვინ დამბადა, შეძლება  
მანვე მომა ძლივად მტერთად;  
Тот, кто дал мне крепость тела,  
и открыл мои зеницы,
- 2) ვინ არს ძალი უხილავი,  
შემეწე ყოვლთა მიწიერთად  
Чьим могуществом незримым звери  
созданы и птицы,
- 3) ვინ საზღვარსა დაუსაზღვრავს,  
ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,  
Кто конечному созданию начертал его  
границы,
- 4) იგი ვაჰხდის წამის-ყოფით  
ერთსა ასად, ასსა ერთად.  
Сто низводит к единице, сто творит  
из единицы.

კომენტარი ზედმეტია.

ამ საკითხს პატარა შენიშვნით ვამთავრებ. იმ აზრთა წყობაში, რომელიც არეოპაგეტიკაშია და რაზეც რუსთველმა ააგო თავისი უგენიალურესი წვდომა საკითხისა, არ არსებობს ტერმინთა პარალელები—განსაზღვრული—განუსაზღვრელი. ბერძნული ფილოსოფია აქ ხმარობდა — „პერას“ — „აპეიროს“. ჰეგელს დაუსაზღვრებისათვის გამოყენებული აქვს გერმანული „ფერუნენდლიხენ“ და სხვ.

აშკარაა, რომ „საზღვართა განსაზღვრელობა“ არსად არ არის ნახმარი, არ არის იგი, როგორც ვნახეთ, რუსთველთანაც.

ორიოდე სიტყვა რუსთველის კვალზე იერუსალიმის ქართულ ტაძარში. საკითხი ამ შემთხვევაში ეხება რუსთველის ფრესკას. ამ საკითხზე მე ვწერდი 1957 წელს და ამოვდიოდი იმავე მეროე სტროფიდან, რომლის რუსთველურობაში ეკვის შეტანა ყოველად დაუშვებელი აღმოჩნდა და სადაც სამი პწკარი შეიცავს ვედრებას, დახმარებისათვის სატანასთან ბრძოლაში, გმირთა — მიჯნურთა სიკვდილამდე მიყოლებაში და ცოდვების შემსუბუქებისათვის. რუსთველის ამ ვედრების ამბავის მცოდნეებმა, ცხადია, იცოდნენ

მისი შინაარსი, რომ იგი საეკლესიო დოგმატიკის სფეროს მიეკუთვნებოდა და ეკლესიასთან შესარიგებლად რედ ქრისტიანული დოგმების მესაიდუმლენი შეურჩია. ესეხი იყვნენ — საეკლესიო დოგმატიკის მეთაური მაშინდელ მსოფლიოში იოანე დამასკელი, საქართველოშიც უადრესად პატივდებული, არაერთხელ თარგმნილი და კომენტირებული, შუა საუკუნეების საქრისტიანო აზროვნების ალამდარი, და მაქსიმე აღმსარებელი — არეოპაგეტიკის მესაიდუმლე.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია მაქსიმეს არჩევა მფარველად რუსთველისა, რომლის პოემა არეოპაგეტიკის დასაყრდენზე იყო აგებული, მაგრამ „შემსუბუქება“-ს მისგან ვერ გამოითხოვდა, რადგან იგი, როგორც წამებით მოკლული ეკლესიის მიერ, თვითონ საჭიროებდა შემსუბუქებას. მაქსიმე აღმსარებელი, ასე ვთქვათ, მოწოდებულია იდეურ დადასტურებისათვის რომ პეტრე იბერის (ფსევდო-არეოპაგელის) შეხედულებათა მიღება რუსთველის მიერ არ ყოფილა „ცოდვა“, თუმცა პეტრეც ჯერ მიღებული და კვლავ წარკვეთილი იქმნა ეკლესიისაგან.

ამ იდეური ვითარებით უკავშირდებოდა მაქსიმე აღმსარებელი იოანე დამასკელს. ისეთი მკვლევარი „დოგმების ისტორიისა“, როგორც იყო ჰარნაკი, წერდა — „მაქსიმე აღმსარებელმა მოამზადა ნიადაგი, რომელზეც იოანე დამასკელმა მოიმაკათ“. ეს ორი საეკლესიო მოაზროვნე მჭიდროდ იყო ურთიერთთან დაკავშირებული, მაგრამ გადამწყვეტი ავტორიტეტი ქმნიდა იოანეს, რომელმაც თავისი დებულებით ფილოსოფიაზე, როგორც „თეოლოგიის მსახურზე“, დიდი ხნით ტონი მისცა საეკლესიო აზროვნებას. იოანეს თვალსაზრისით, თვითონ მაქსიმე გამართლებული იყო, თუ არეოპაგეტიკის „იერარქიული ფილოსოფოსი“ წმიდად, ე. ი. უცოდველად ემსახურებოდა ეკლესიას (მაგალითად, თუ იერარქიაზე განლაგებულ ანგელოსებს არ მიეწერებოდათ



„შექმნის“ უნარი, რის წინააღმდეგ დამასკელს „ანათემა“ ჰქონდა გამზადებული).

რუსთველის „ცოდვა“ საერო, ე. ი. „ცოდვის“ პოეზია იყო და აქ მაქსიმე შემარიგებელი ხიდი იყო იოანე სკოტ ერითუენასაკენ მიმავალი (IX ს.).

პ. ინგოროყვა მართებულად აღნიშნავს, რომ „დიონისეს მაგიერ აქ წარმოდგენილია ერთგვარად მისი „მეორე მე“ — მაქსიმე აღმსარებელი“-ო. (გვ. 830). მაგრამ ასეთი განცხადების გვერდით მეორეს მხრივ ნათქვამია: „იოანე დამასკელს და მაქსიმე აღმსარებელს... არ აერთებს არც დრო, არც სამოღვაწეო ასპარეზი, არც სხვა რამ. ისინი გაერთიანებული არიან საგანგებოდ შოთა რუსთველის ფრესკაზე“ (გვ. 825). ეს უკანასკნელი, ცნობილია, ასე არ იყო.


რუსთველს „ცოდვათა შემსუბუქებაში“ დამასკელის სასულიერო პოეზია

ვერაფერს უშველიდა, ხოლო თუ ნამდვილ პოეზიაზე მიდგებოდა საქმე, რუსთველს დამასკელის წინ დასაჩოქებელი არაფერი ჰქონდა.

ვედრების შემცველი რუსთველის ფრესკა იერუსალიმში გამოსახულება უნდა იყოს მეორე სტროფში მოცემულ პოეტის ვედრებისა, ხოლო მის კონკრეტულ შინაარსს ქმნის აზროვნებისა და შემოქმედების სიტუაციები. ამ სიტუაციების გარკვევისას პ. ინგოროყვას დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ მათ გვერდით მნიშვნელოვანი ნაკლიც, მაგრამ მათი დახასიათების დროს მე ვერ ვიხმარ სიტყვებს — „ილუზორული“ ან „ლეგენდარული“, როგორც ის იქცევა, გვარის დაუსახელებლად, ჩემს მიმართ, როდესაც რუსთველის საფლავის საკითხს ეხება (გვ. 854, 6).

---

შალვა ნუცუბიძე  
„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის



## ქვემო-ჰეკეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ისტორიული გეოგრაფია ზოგადი ისტორიის ერთ-ერთი დამოუკიდებელი და ფრიად მნიშვნელოვანი დარგია. მისი კვლევის ძირითადი საგანია ტერიტორია, როგორც ცოცხალი ისტორიული ორგანიზმი.

ადამიანის საზოგადოების წარმოქმნასთან ერთად წარმოიქმნა ტერიტორიაც, როგორც ატრიბუტი ამ საზოგადოებისა და ამ უკანასკნელის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა ის ტერიტორიაც, რომელზედაც ეს საზოგადოება იყო დასახლებული. იცვლებოდა მისი საზღვრები, იცვლებოდა მისი ეკონომიკა და სხვა. ხშირად ერთი და იგივე ტერიტორია საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა შინაარსს იძენდა, რა თქმა უნდა, იმავე საზოგადოების წარმოების წესისა და საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამისად.

ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის იმისა, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდა, შესაძლებელია მონათესავე, შესაძლებელია ეთნიკურად

სრულიად სხვადასხვა წარმოშობისა. უკანასკნელ შემთხვევაში ზოგჯერ კულტურაც სრულიად სხვაგვარია, თუმცა ცნობილია არცთუ ისე მცირე შემთხვევები იმისა, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხები იცვლებიან დროთა ვითარებაში, ხოლო კულტურა ძირითადად იგივე, ძველი რჩება...

ყველა დიდი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ახლაც და განსაკუთრებით კი წარსულში შედგებოდა მცირე ტერიტორიული ერთეულებისაგან, რომლებიც მეტნაკლებად დამოუკიდებელნი იყვნენ ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც, კულტურულადაც და ხშირად განსხვავებულნი ეთნიკურადაც...

ყოველი დიდი და მცირე სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, წარმოიქმნა ამგვარი მცირე ერთეულების, მცირე „ქვეყნების“ ურთიერთშერწყმის საფუძველზე, რაც გაპირობებული იყო საერთო ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ინტერესებით.

ისტორიული გეოგრაფიის მიზანია თვალნათლივ წარმოაჩინოს ეს რთული პროცესი.

ისტორიული გეოგრაფიის მიზანია დადგინოს ცალკეული ასეთი მცირე „ქვეყნების“ კონკრეტული არსებობა ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, დაადგინოს მათი ნიშნები (საზღვრები, ეკონომიური ცენტრი, პოლიტიკური ცენტრი...) და, რაც მთავარია, გამოიკვლიოს ის მიზეზები, რამაც განაპირობა ამა თუ იმ კონკრეტული „ქვეყნის“, როგორც ასეთის, წარმოქმნა და შემდგომი ცვლილებები.

ამგვარად, პოლიტიკური გეოგრაფია (ამა თუ იმ მცირე „ქვეყნის“ საზღვრების დადგენა, ამა თუ იმ პუნქტის განსაზღვრა და სხვ.) ისტორიული გეოგრაფიის მხოლოდ ერთ ასპექტს წარმოადგენს. ისტორიული გეოგრაფიის სხვა ასპექტებია: ეკონომიური გეოგრაფია, სოციალური გეოგრაფია, ეთნიკური გეოგრაფია. საზოგადოების განვითარების პროცესში სხვადასხვა დროს თითოეულ ამ ასპექტთან სხვადასხვა ხვედრითი წონა აქვს, რამდენადაც ხშირად ერთი გაპირობებულია მეორის მიერ, მაგრამ კვლევის დროს თითოეულ მათგანს თანაბარი მნიშვნელობა უნდა ეძლეოდეს.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა იმ თვალსაზრისით, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად ახალი საქმეა.

შედარებით უკეთ არის შესწავლილი პოლიტიკური გეოგრაფია და უდიდესი დამსახურება აქაც, ისევე როგორც საქართველოს ისტორიის მთელი რიგი სხვა დარგების კვლევაში, აკად. ივ. ჯავახიშვილს მიუძღვის.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, ერთ-ერთ მிகაღდ საინტერესო უბანს წარმოადგენს კახეთის ტერიტორია. დღევანდელი კახეთის, ისტორიული კახეთის, კუხეთის და ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ივერიის, ანუ ქართული წყაროების ქართლის სამეფოს ისტორიული განვითარების მთელი რიგი საკითხებისათვის. კერძოდ, ივერიისა და მისი აღმოსავლეთის მეზობლის, ალვანეთის (დაახლ.

დღევანდელი აზერბაიჯანის სსრ ტერიტორია) პოლიტიკური ურთიერთობის გარკვევისათვის, ივერიის ეკონომიური განვითარების რიგი საკითხების გაშუქებისათვის, კავკასიის მოთისა და ბარის ურთიერთობის გააზრებისათვის, ბოლოს, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემების გადაწყვეტისათვის. ცხადია, ამიტომ ამ მხარის პოლიტიკური გეოგრაფიის სწორად წარმოდგენა ისტორიულ ხანაში, კერძოდ კი, ფეოდალურ ხანაში, მეცნიერი-ისტორიკოსების ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა.

1926 წელს გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“, რომელშიც საკმაოდ ორიგინალურად იყო დასმული და გადაჭრილი მთელი რიგი საკითხებისა კახეთის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც აგებულია ავტორის კონცეფცია შოთა რუსთაველის წარმოშობის, ვინაობისა და მისი ბიოგრაფიის შესახებ.

იმავე ავტორის ახლახან (1963 წ.) გამოქვეყნებულ „თხზულებათა კრებულის“ პირველ ტომში, სხვათა შორის, დაიბეჭდა იგივე „რუსთველიანა“ მცირეოდენი ცვლილებებით და აგრეთვე „რუსთველიანას ეპილოგი“. ორივე ზემოხსენებულ ნაშრომში წარმოდგენილი კონცეფცია კახეთისა და ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის (პოლიტიკური გეოგრაფიის) შესახებ XII-XIII სს-ში, ილუსტრირებული იმავე ტომის ბოლოში თანდართულ რუკაზე („ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული სამთავრო 1192 წლიდან 1250 წლამდე“) არსებითად იჭივება, რაც ჩვენ „რუსთველიანას“ პირველი გამოცემიდან ვიცოდით. შეცვლილია ცალკეული საკითხების არაღუმენტაცია, ახლებურადაა წარმოდგენილი ზოგიერთი კერძო საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ პ. ინგოროყვას მიერ პოსტულირებული დებულებათ

დავით მუსხელიშვილი

კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ბები კატეგორიული ხასიათისაა და საკითხთა საბოლოოდ გადაწყვეტის პრეტენზია აქვთ.

ჩვენი წერილის მიზანია გავარკვიოთ, თუ რამდენად სამართლიანია ავტორის ეს პრეტენზია და რამდენად ფასეულია მისი არგუმენტაცია, რომელიც მას ნებას აძლევს საბოლოოდ გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი.

ადგილის უქონლობის გამო და თვით ამ ჟურნალის ხასიათის გამოც ჩვენ აქ არ შევეხებით პ. ინგოროყვას ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეფციის ყოველ დეტალს. ჩვენ განვიხილავთ სამ ძირითად საკითხს:

1. რუსთავის ლოკალიზაცია.
2. არიშის იდენტიფიკაცია.
3. ჰერეთის საერისთაოს ლოკალიზაცია.

1. „რუსთველიანაში“ პირდაპირაა გაცხადებული, რომ ქალაქი რუსთავი ჰერეთში მდებარეობდა: „რუსთავი ჰერეთისა, როგორც ცნობილია, მდებარეობდა თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ძველი ქართული პროვინციების ჰერეთისა და კახეთის სანაპიროზე... ეს რუსთავი ითვლებოდა ჰერეთისა და კახეთის პროვინციების საზღვრად“... (1,86). მეორეჯერ იქვე პ. ინგოროყვა წერს: „ისტორიკოსის (ყამთააღმწერლის, დ. მ.) ცნობით ჰერეთ-კახეთის დროშას (სამხედრო ოლქს, დ. მ.) ეკუთვნოდა ტერიტორია „ტფილისითგან აღმართ ვიდრე მთამდე შამახისისა“. მაშასადამე, რუსთავის საპატრონო (რუსთავის სამფლობელო ტერიტორია, დ. მ.) შედიოდა ჰერეთის ტერიტორიაში“ (1, 104).

ეს არის და ეს. არავითარ სხვა არგუმენტაციას საამისოდ პ. ინგოროყვა აქ არ იძლევა და, როგორც ჩანს, არ იძლევა იმიტომ, რომ ისედაც „ცნობილი“ ყოფილა „ჰერეთის რუსთავის“ არსებობა.

როგორია საქმის ვითარება სინამდვილეში?

მიუხედავად პირველწყაროებს. სათანადო ცნობა სულ რამოდენიმეა.

ა) ქართლოსის მეუღლე ურიგებს მემკვიდრეობას (ქვეყნებს) თავის ვაჟ-შვილებს, რომელთაგან ერთ-ერთს, ხოსი (კუხეთის ეპონიმი): „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი“ (2, 9).

ბ) ბაქარ მეფემ (IV ს.) „მოიყვანა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად“ (2, 131).

გ) „ხოლო მირიან და გრიგოლ (V ს. დ. მ.) იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისავე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა“ (2, 159).

როგორც ვხედავთ, ჩვენ გვაქვს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის სრულიად გარკვეული ჩვენებანი, რომელთა მიხედვით რუსთავის ციხე-ქალაქი კუხეთში მდებარეობს და წარმოადგენს ცენტრს ამ ქვეყნისას. კუხეთი კი, როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს ერთ-ერთ „ქვეყანას“ ანუ „ქვეს“ წარმოადგენდა, მაინცაღმამინც ჰერეთს არ ნიშნავდა და ამ უკანასკნელისაგან აშკარად გამიჯნული იყო (2, 5 და 9).

ამგვარად, პირველწყაროთა ჩვენებით, რუსთავი არ მდებარეობდა ჰერეთში. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცის პ. ინგოროყვამაც, თუმცა „რუსთველიანაში“ ამის შესახებ არაფერს ამბობს. მაგრამ აი რას წერს იგი: „ეს რუსთავი ითვლებოდა ჰერეთის და კახეთის პროვინციების საზღვრად; ჩრდილოეთიდან მისგან იწყებოდა კახეთის პროვინცია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა ჰერეთი. ამიტომ პოლიტიკურად რუსთავი და მისი რაიონი ხან ჰერეთის საზღვრებში იყო მოქცეული, ხან კი კახეთის საზღვრებში შედიოდა“ (1,86). ჯერ ერთი, პ. ინგოროყვა არ არის სწორი, როდესაც კახეთზე ლაპარაკობს და არა კუხეთზე (რუსთავი, როგორც ვიცით, სწორედ კუხეთის ცენტრი იყო), მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ არც ერთ წყაროში არ დასტურდება, თითქოს „რუსთავი და მისი რაიონი ხან ჰერეთის საზღვრებში იყო მოქცეული, ხან კი კახეთის საზღვრებში შედიოდა“.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

ეს ლიტონი განცხადება, რომელსაც, ცხადია, არავითარი დასაბუთება არ გააჩნია, წარმოდგენს ერთ-ერთ ძირითად საყრდენს, რომელზედაც აგებულია პ. ინგოროყვას შემდგომი მსჯელობა.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, თუ რას ემყარება ეს უქანასკნელი. ახლა კი მივუბრუნდეთ „ქართლის ცხოვრების“ (ყამთაღმწერლის) შემომოთითებულ ცნობას, საიდანაც თითქოს ჩანს, რომ „რუსთავის საპატრონო შედიოდა ჰერეთის ტერიტორიაში“.

1240 წლის ახლო მონღოლებმა საქართველო „ღუმენებად“ ანუ სამხედრო ოლქებად დაჰყვეს. პირველი ღუმენის მთავრად განაწესეს „ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებული საცმართა და მას ქელთ უღვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახისა“ (3,207—208). ადვილი დასაინახია, რომ არავითარი მსგავსი დასკვნის გამოტანა აქედან არ შეიძლება: „ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახისა“. ასეთივე წარმატებით მოწმობს რუსთავის კახეთისადმი კუთვნილებას (რადგან გარკვეულ დროს „კახეთის“ ცნებამ დაჰვარა „კუხეთი“, რომელიც, როგორც პოლიტიკური ერთეული, შუაფეოდალურ ხანაში აღარ მოიხსენიება) და, პირუტყუ, სრულიად გამორიცხავს მის ჰერეთისადმი კუთვნილებას, რადგანაც აქ კამბეჩიანი ცალკეა გამოყოფილი და სწორედ ეს უქანასკნელი ემიჯნება რუსთავს (4, 5). ხოლო კამბეჩიანი და ჰერეთი ამ დროს (XIII ს.) შეიძლება თუ არა ერთმანეთს ფარავდეს, ამას ქვემოთ დავინახავთ. ამგვარად, წინააღმდეგ პ. ინგოროყვას მტკიცებისა, ეს ცნობა სწორედ იმას მოწმობს, რომ რუსთავი და მისი საპატრონო ჰერეთის ტერიტორიას არ ეკუთვნის.

ერთადერთი „საბუთი“, საიდანაც პ. ინგოროყვას ამოუკითხავს „ჰერეთის რუსთავის“ შესახებ, ეს არის XIX ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწის, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა, რომლის მიხედვით „რუსთავი ძველად სამთავრო

ქალაქი იყო და საზამთრო სადგური მეფეთა... ესე ქალაქი არს ჰერეთისა...“ (1, 95).

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობის ეს ამონაწერი ჩვენ მოვიტანეთ პ. ინგოროყვას შრომიდან, სადაც ცნობა ფრაგმენტულადაა ამოწერილი. აი რას წერს სრულად თეიმურაზ ბაგრატიონი: „რუსთავი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა; ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ზოსტან-ქალაქი. ესე ქალაქი არს ჰერეთისა, ესე იგი გარე-კახეთისა მამული“... (16,586). უქანასკნელი გლოსა პ. ინგოროყვას გამოტოვებული აქვს და გამოტოვებული აქვს განგებ, რადგან იგი ააშკარავებს თეიმურაზ ბაგრატიონის შეცდომას. საქმე ისაა, რომ, როგორც აქედან ირკვევა, ეს უქანასკნელი შეცდომით მთელ გარეკახეთს ძველ ჰერეთად თვლიდა. ნამდვილად კი რუსთავს ზეითი და უჯარმას ზეითი ტერიტორია გვიანდელი გარეკახეთისა ძველდევკახეთში (და კუხეთში) შედიოდა (17, 51 და 86). ცხადია, ასეთი ისტორიულ-გეოგრაფიული წარმოდგენის გამო თეიმურაზ ბაგრატიონისათვის რუსთავი უშეძველად ჰერეთში უნდა ყოფილიყო და არა სხვა რომელიმე ქვეყანაში. ამდენადვე პ. ინგოროყვას საბუთად ეს ვერ გამოადგება.

ესეც არ იყოს, რა თქმა უნდა, თეიმურაზ ბაგრატიონის ამ ცნობაზე დაყრდნობა, სხვა საამისო მონაცემების გარეშე, ყოველად შეუძლებელია, რადგან ეს არ არის ავთენტიკური წყარო (და საერთოდ წყარო) და არც ის ვიცით, თუ რას ემყარება იგი. პირველწყაროები კი, როგორც დავრწმუნდით, სწორედ საწინააღმდეგოს მოწმობენ.

„რუსთველიანას ეპილოგში“ პ. ინგოროყვა უფრო ფრთხილად ეცილება ამ საკითხს და თუმცა აქაც თავიდანვე, სათანადო მეოთხე თავის პირველი პარაგრაფის სათაურიდანვე უნდა ვირწ-

დავით მუსხელიშვილი  
კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

მუნოთ რომ ქალაქი რუსთავი არის „რუსთავი ჰერეთისა“ (1, 635), მაინც ამ ქალაქის იატორია სხვაგვარადაა წარმოდგენილი.

IV—VIII სს-ში რუსთავი კუხეთის ერთ-ერთი ცენტრი ყოფილა. VIII სს-ის მეორე ნახევარში, როდესაც სხვა ადრეფეოდალურ ერთეულებთან ერთად ჩამოყალიბდა ჰერეთის სამეფოც, რუსთავის საერისთაო, მისი ძირითადი ტერიტორია, შევიდა ჰერეთის სამეფოში. სახელდობრ, ძველი რუსთავის საერისთაოს შემდეგი ნაწილები:

1. საკუთრივ რუსთავის თემი მთლიანად (გარეჯის მონასტერთა ტერიტორიებით).

2. კანტონი გავაზნი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ რუსთავის ჩრდილოეთით და მოიცავდა ლოწ-ობანის (ლოჭინის უბნის) ზონას თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით (მდინარე ლოჭინის ხიობის სექტორი)“ (1, 636—640).

აქ მკითხველს უნდა განვუმარტოთ, რომ „გავაზის“ (გავაზნი) აქ მოცემული ლოკალიზაცია სრულიად თეორიული ხასიათისაა, რადგან ასეთი ტოპონიმი ამ რაიონში არ არსებობს. სწორედ ამის გამო, რა თქმა უნდა, აქაც პ. ინგოროყვა არავითარ წყაროს საამისოდ არ უთითებს (რისთვის სჭირდება გავაზის ასეთი ლოკალიზაცია ავტორს, ქვემოთ აღვინახავთ). რაც შეიძლება „ლოჭინის უბნის“ ანუ ლოწ-ობანის იდენტიფიკაციას, ესეც ფაქტიაა, რადგან, ჯერ ერთი, ასეთი ისტორიულ-გიოგრაფიული ცნება—„ლოჭინის უბანი“ არც ერთმა ისტორიულმა წყარომ არ იცის (იგი პ. ინგოროყვას მიერაა შეთხზული. არსებობს „ლოჭინის ხევი“) და შემდეგ, რომც არსებულყო ამგვარი „ლოჭინის უბანი“, აქედან ლოწ-ობანს, რა თქმა უნდა, ვარ მივივობდით, რადგან ძველმა ქართულმა სიტყვა-წარმოებამ ასე უნდა უწოდებდეს ამ ადგილს (შდ. ვარდისუბანი, არდასუბანი, ქო-

ტისუბანი, კახისუბანი და სხვა. ყველაგან პირველი კომპონენტი ნათესაობითშია). ამას გარდა „ლოჭინის ხევი“ ანუ „ციხე ლოწობანთა“ ძველი ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ქსნის ხეობაში მდებარეობდა (5, 69) და არა ლოჭინის ხევიში.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ეს არ არის მთავარი. ჩვენ რუსთავის ბედი გვაინტერესებს. მაშასადამე, თუკი „რუსთველიანაში“ რუსთავი იმთავითვე ჰერეთის ქალაქად იყო გამოცხადებული, აქ, „რუსთველიანას ეპილოგში“, სადაც ამგვარსავე განცხადებას, რომელმაც, როგორც ჩანს, მკითხველი ფსიქოლოგიურად უნდა მოამზადოს, სათანადო თავის დასათაურებაშივე ვხვდავთ, მაინც გავიგეთ, რომ „თბილისის რუსთავი“ (რუსთავი ჰერეთისა) თავდაპირველად კუხეთის ცენტრი იყო და მხოლოდ შემდეგ, VIII ს-ში შესულა ჰერეთის ფარგლებში.

ამ დებულებას პ. ინგოროყვას კონცეფციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. რის საფუძველზე აცხადებს ამას პ. ინგოროყვა? ეს გაურკვეველი რჩება, რადგან ავტორი კვლავ არც ერთ წყაროს არ მიუთითებს. ამის გამო, ცხადია, ეს დებულება „შეუვალია“ კრიტიკისაგან, მაგრამ ამდენადვე იგი სრულიად მოკლებულია რაიმე მეცნიერულ დირებულებას.

ზემოთქმულის შემდეგ მკითხველი უხდა დარწმუნებულიყო, რომ პ. ინგოროყვას კატეგორიული დებულება ქალაქ რუსთავის ჰერეთში მდებარეობის შესახებ მცდარია. ქალაქი რუსთავი მდებარეობდა კუხეთში და წარმოადგენდა მის ცენტრს (შდ. 6, 20).

2. როგორია რუსთავის შემდგომი ისტორია პ. ინგოროყვას მიხედვით?

იგი წერს: „რუსთავის საერისთაო ზემოთ აღნიშნულ საზღვრებში (ე. ი. საკუთრივ რუსთავის თემი და კანტონი გავაზნი) რჩება ჰერეთის სამეფოს ტერიტორიის ფარგლებში მე-8 საუკუნის დასასრულიდან ვიდრე მე-10 საუკუნის

1. რუსთავის გავაზის კომპონენტები შექმნილი ორი არსებითი სახელისაგან, რომელთაგან მეორე წარმოადგენს „უბანს“.

პირველ მეოთხედამდე (920 წლამდე)“ (1, 640).

ამ განცხადებასაც პ. ინგოროყვა დასაბუთების გარეშე გვაწვდის.

გავერკვიოთ საქმის ვითარებაში.

„მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ X ს-ის დასაწყისში კახეთის მთავრად იყო კვირიკე, ხოლო აფხაზეთში მეფობდა კოსტანტი, რომელიც ფლობდა შიდა ქართლსაც. „უკმო კვირიკე ქორებისკობსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა; ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათკერძო, და კვირიკე ქუეშოთ. და ვითარ მისწორეს წაღებად, მამინ ადარანსე პატრიკი მოვიდა, პარასკევინ ჯურსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კვირიკეს ორჭობი. ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს“ (2, 264).

ამგვარად, ჰერეთის მმართველს, ადარანსე პატრიკს კოსტანტი აფხაზთა მეფისათვის გადაუცია არიში და გავაზნი, ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტები და ამით ომი შეუწყვეტია. პ. ინგოროყვას აზრით ეს მოხდა 920 წელს.

რა კავშირი აქვს ამ ცნობას რუსთავის ისტორიასთან?

საქმე ისაა, რომ პ. ინგოროყვას მიხედვით არიში არის იგივე რუსთავი.

„რუსთველიანაში“ ვკითხულობთ: „ეს პუნქტი „არიში“ მოხსენებულია ძველ ქართულ საისტორიო ძეგლში, „მატიანე ქართლისაჲ“-ში.

ამ მატიანეში მოთხრობილია, რომ მეათე საუკუნის დასაწყისში არიშის ტერიტორია (არიში და გავაზნი ანუ გავაზნი) დაიპყრო ჰერეთიდან ქართლის მფლობელმა მეფე კონსტანტინემ, და შეუერთა იგი ქართლს. ამის მიხედვით ნიშანდობლივ ირკვევა, რომ არიში მდებარეობდა სწორედ იმ ადგილას. სადაც ხედებოდა ერთი-მეორეს მე-10 საუკუნეში ქართლისა და ჰერეთის საზღვრები, ე. ი. ყარაიის ველზე (1, 102. ხაზგაშეკვეთილი).

თუ რატომ ირკვევა ნიშანდობლივ არიშის მოიბარეობა ამ ცნობიდან, ამას აქვე ვეგებთ: თურმე „მკითხველს, რო-

მელიც გაცნობილია საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას, რასაკვირველია კარგად მოეხსენება, რომ მე-10 საუკუნეში კუნის დასაწყისში ერთადერთი კუთხე, სადაც ეკვროდა ერთი-მეორეს ქართლისა და ჰერეთის სამეფოების ტერიტორიები, ეს იყო მხოლოდ ყარაიის ველი. მხოლოდ ამ ტერიტორიის შემოერთება შეეძლო მეფე კონსტანტინეს“ (1, 102, შენ. 2).

თავის დროზე, კერძოდ „რუსთველიანას“ პირველ გამოცემაში, თავისი ამ დაუსაბუთებელი თეზის დასაბუთებლად პ. ინგოროყვა „სქოლიო 22“-ს გვპირდებოდა (7, 175, შენ. 1). ე. ი. 1926 წელს თვით ავტორი გრძნობდა, რომ ეს დებულება არც მაინცადამაინც ადვილდასაჯერებელი ყოფილა „მკითხველისათვის, რომელიც გაცნობილია საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას“. ახლა, „რუსთველიანას“ მეორე გამოცემაში (1963 წ.), სადაც სიტყვა-სიტყვითაა განმეორებული იგივე, „სქოლიო 22“-ის, ან საერთოდ ამ საკითხზე რაიმე განმარტების ხსენებაც აღარ არის და მკითხველს დარჩენია ბრმად ირწმუნოს პ. ინგოროყვას კიდევ ერთი ლიტონი განცხადება. ნამდვილად კი ჩვენ გვაქვს საფუძველი, ეჭვის თვალით შევხედოთ ამ დებულებას და არ დაეუჯეროთ პ. ინგოროყვას. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ახლა გავყვეთ ავტორის მსჯელობას.

იგი წერს: „რაკი ჩვენ გვაქვს ასეთი გარკვეული ცნობა „არიშის“ ციხის მდებარეობის შესახებ ყარაიის ველზე, რუსთავის საპატრონოში, ამის შემდეგ შეგვიძლია ნიშანდობლივ ავხსნათ, თუ რომელი პუნქტი იგულისხმება აქ. ცხადია, „არიში“ არის თვითონ რუსთავის მეორე სახელწოდება. რუსთავი ეწოდება ქალაქს, ხოლო თვით რუსთავის ციხეს ერქვა — არიში... ეს სახელი აქამდის შენახულა. რუსთავის ციხის ნანგრევებს ადგილობრივი მკვიდრნი დღე-

დავით მუსხელიშვილი  
კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

მდის ეძახიან: „რიშა-კალა“, ანუ „არიშა-კალა“, ე. ი. „არიშა-ციხე“ (1, 102).

ამის დასაბუთებას პ. ინგოროყვა ხედავს აგრეთვე იმ ფაქტში, რომ ეს სახელწოდება რუსთავისა — რიშა — დამოწმებულია „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში, რომელიც XII ს-ში იქნა შესრულებული (1, 640).

მართლაც, ამ წყაროს გამომცემელი პროფ. ილ. აბულაძე შესავალში აღნიშნავს: „საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აქ ის გარემოება, რომ რუსთავი ყველგან სომხურში „რიშა“-დ არის წარმოდგენილი... „რიშა“, როგორც ირკვევა, რუსთავის ძველი სახელწოდებაა (← არიშა) და არა მარტოდენ „რუსთავის ციხისა“, როგორც ეს პ. ინგოროყვას ჰგონია“ (8, 021).

ამგვარად, მოკლედ რომ ვთქვათ, პ. ინგოროყვას საბუთიანობა ამჯერად ასეთია: „მატიანე ქართლისაჲ“ იცნობს „არიშს“, რომელიც ჰერეთშია, მაგრამ, რომელიც ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით უეჭველად ყარაიის ველზე ანუ რუსთავის საპატრიონოში უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, რუსთავის (მისი ციხის) მეორე სახელწოდებაა „რიშა“ — „არიშა“ — „არიში“. ე. ი. სრულიად ცხადია, რომ რუსთავი იგივე არიშა და ე. ი. რუსთავი X ს-ის დასაწყისამდე ჰერეთს ჰქუთვნებია.

განვიხილოთ ეს საკითხი.

1. ციხე რუსთავი — არიში.

ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოხსენებულია სწორედ „არიში“ (ვარ. Mm: არიშუ; C: არიბ ← არიშ), ხოლო რუსთავს და რუსთავის ციხეს კი ეწოდება „რიშა“ ან „რიშა-კალა“. ასე რომ, არიში-არიშუს ციხეტურობა რიშასთან არცთუ ისე ცხადია და ახსნა სჭირდება იმას, თუ რატომ გადაიქცა არიში-არიშუ „რიშა“-დ!

შემდეგ, „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოხსენებული არიში-არიშუ პ. ინგოროყვას მიხედვით არის არა ქალაქ რუსთავის, არამედ „თვით რუსთავის ციხის“ სახელწოდება (ეს, როგორც

ვიციოთ, თავისთავად არ არის სწორად რადგან რიშა, როგორც ირკვევა „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანში და, „რუსთავის ძველი სახელწოდებაა და არა მარტოდენ რუსთავის ციხისა“. იხ. ზემოთ). რისთვის დასჭირდა პ. ინგოროყვას ასეთი შენიშვნის გაკეთება? რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ გაეზიარებინა თავისი თეზის საწინააღმდეგო ერთი საეჭვო გარემოება.

მართლაც, „ქართლის ცხოვრებაში“ თავიდან ბოლომდე (ლეონტი მროველთან, ჯუანშერთან, „მატიანე ქართლისაჲ“-ში, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან, თამარ მეფის ანონიმურ ისტორიკოსთან, ჟამთააღმწერელთან) და სხვაგანაც (მაგ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, დავით გარეჯელის ცხოვრებაში), გვიანდელ წყაროებსა და საბუთებს რომ თავი დავანებოთ, ყველგან ქალაქ რუსთავზეა საუბარი, ხოლო ლეონტი მროველი ორგან კიდევაც განმარტავს: „ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი“ (2, 8-9). ე. ი. რუსთავის ძველი სახელწოდება ბოსტან-ქალაქი ყოფილა, გვეუბნება XI ს-ის ისტორიკოსი. ხოლო პ. ინგოროყვა კი თავის მხრივ გვარწმუნებს, რომ „ქალაქი რუსთავი მე-8-12 საუკუნეებში ცნობილი იყო ორმაგი სახელწოდებით: რუსთავი და არიში“ (1, 640). ბუნებრივია, რომ მიუკერძოებელ მკითხველს ეჭვი დაეზადებოდა, თუ ეს ასეა, რატომ არ იციან ეს ძველმა (სწორედ ამ VIII-XII სს-ის) ქართულმა წყაროებმა, განსაკუთრებით ლეონტი მროველმა, რომელიც სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას ამ ქალაქის ძველ სახელწოდებაზე და აღნიშნავს, რომ მის დროს („აწ“) მას რუსთავს უწოდებენ და არა არიშს.

ცხადია, ზემოთქმული ეჭვებიდან დაზღვევის მიზნით და თავისი ძირითადი თეზის დასაბუთებლად პ. ინგოროყვა აცხადებს, რომ „რიშა“ — „არიში“ ეწოდებოდა ციხეს, ხოლო რუსთავი — ქალაქს.

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ერთი ქართული წყარო ეწინააღმდეგე-

ბა და აბათილებს ამ თეორიულ კონსტრუქციას. ეს ქართული წყაროა იგივე „მატიანე ქართლისაჲ“, რომელიც იხსენიებს არიშს.

1069 წ. განძის ამირა ალ-ფატლი, ქართული წყაროს ფადლონი, რომლისთვისაც წინა წელს ალფ-არსლანს ტფილისი და რუსთავი გადაუცია, ხელში ჩაუვარდა ბაგრატ IV-ს „და (ამ უკანასკნელმა) წამოიყვანა ფადლონი. გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა; და აიღეს ჰირვეულად ტფილისი, რამეთუ მუნ შინა მდგომი კაცი თვთ გაამირებასა ლამოდა და არა დაიჭირა ბაგრატ თავისად ტფილისი, არამედ დმანისს დატევებული სითლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი. ხოლო თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლწმიდანი, ქავაზინი“... (2,312). აქედან სრულებით ცხადია, რომ რუსთავი ეწოდებოდა ციხესაც, რადგან აქ რუსთავის ციხე კი არ მოიხსენიება, არამედ სწორედ „ციხე რუსთავი“.<sup>1</sup>

როგორღა შეიძლება დავუშვათ, რომ ერთსა და იმავე ავტორს, „მატიანე ქართლისაჲ“-ს დამწერ ისტორიკოსს, ერთი და იგივე ციხე ორი სხვადასხვა სახელით ჰქონდეს მოხსენებული, ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

ამგვარად, უკვე ამის გამო არიშისა და რუსთავის იდენტიფიკაცია არ უნდა იყოს სწორი.

2. არიშის მდებარეობა ყარაიის ველზე.

მეორე საბუთი პ. ინგორ იყვას თეზისა არის არიშის ლოკალიზაცია ყარაიის ველზე ანუ რუსთავის საპატრონოში.

<sup>1</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ქართული წყაროები არ იცნობენ რუსთავის ისეთ სახელწოდებას, როგორცაა „რიშა“, მაგრამ ეს სახელწოდება თავისთავად ძველია, დამოწმებული XII ს-ის მეორე ნახევარში მიიწვ, როდესაც შესრულებულა „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი. რატომ არ ჩანს ეს სახელწოდება ქართულ წყაროებში? ცხადია იმიტომ, რომ ამ სახელწოდებით რუსთავს იცნობდა არა-ქართული მოსახლეობა, კერძოდ, შესაძლებელია თურქულ-ენოვანი მოსახლეობა, რომელიც დღესაც ასე უწოდებს რუსთავს.

თვით ასეთი ლოკალიზაციის საფუძველად პ. ინგორ იყვა მიიჩნევს ისტორიულ-გეოგრაფიულ ფაქტორს: კონსტანტინე აფხაზთა მეფეს, რომელსაც შიდა ქართლიც ეპყრა, ადარნასე პატრიკმა მისცა არიში. ე. ი. ეს პუნქტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო კონსტანტის სამფლობელოს საზღვართან. ხოლო სად ხვდებოდა უმეშვეოდ ერთმანეთს აფხაზთა მეფის სამფლობელოსა და ჰერეთის ტერიტორიები? მხოლოდ ყარაიის ველზე. ამიტომ არიში შესაძლებელია მხოლოდ აქ მდებარეობდეს.

თუ ეს წინამძღვრები სწორია, მაშინ, რა თქმა უნდა, დასკვნაც სწორი იქნება. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ა) ქართლისა და ჰერეთის საზღვრები.

პ. ინგორ იყვა საცხებით მართალია, როდესაც წერს, რომ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას გაცნობილი მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, სად ემიჯნებოდა ერთმანეთს ქართლისა (ქვემო ქართლისა) და ჰერეთის ქვეყნები: საზღვარი გადიოდა მტკვარზე ყარაიის ველიდან ხუნანამდე. აქ პ. ინგორ იყვა მართალია თეორიული ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, მაგრამ საკითხავია: იყო თუ არა ყარაიის ველი სასაზღვრო ზონა X ს-ის დასაწყისში? ეს კი არც ისე ცხადია და პ. ინგორ იყვას უნდა ეზრუნა იმაზე, რომ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას გაცნობილი მკითხველისათვისაც განემარტა ეს დებულება.

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ არამც თუ X ს-ის დასაწყისში, არამედ მთელი VIII—XI სს-ის განმავლობაში რუსთავ-ყარაიის ზონა არ წარმოადგენდა სასაზღვრო ზონას ქართლსა და ჰერეთს შორის. კიდევ მეტი: ეს ორი ქვეყანა ამ დროს საერთოდ არსად არ ემიჯნებოდა ერთმანეთს.

საქმე ის არის, რომ ქვემო ქართლის სწორედ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც პ. ინგორ იყვა ქართლ-ჰერეთის

დავით მუსხელიშვილი

კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

სასაზღვრო ზონად თვლის, არსებობდა ამ დროს კიდევ ერთი ფეოდალური (დამოუკიდებელი ქართლ-ჰერეთისაგან) ერთეული, კიდევ ერთი „ქვეყანა“. ეს იყო „ტფილისის საამირო“. კერძოდ კი, სწორედ X ს-ის დასაწყისში „ტფილისს... მას ესმის ამირა იყო ჯაფარ, ძე ალისი“ (2, 263).

ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „არ უნდა გვევიწყებოდეს, რომ ტფილისის ამირას სამფლობელო მაშინაც (იგულისხმება IX ს-ის შუა წლები, დ. მ.) მარტო ქ. ტფილისით არ განისაზღვრებოდა. მართალია, აქაც უნდა გვახსოვდეს, რომ მუდმივი ბრძოლის გამო საამიროს საზღვრები ყოველთვის ერთი და იგივე არა ყოფილა და ჯერ საქმათ ცნობები არ მოგვეპოვება, რომ ამ საზღვრების თვითეული ცვლილება აღვნიშნოთ, მაგრამ ბაგრატ IV დროსაც კი (XI ს. დ. მ.) ტფილისის ამირას ჰკუთვნებია ტფილისის სამხრეთით მდებარე ციხეები ბირთვისი, ორბეთი და ფარცხისი (სამივე ალგეთის ხეობაში. დ. მ.). რასაკვირველია, გაცილებით უფრო მეტი ეჭირებოდა მას წინაი, იმ ხანში, რომელსაც ჩვენ ეხლა ვეხებით“ (9, 113. ხაზგასმა ჩვენია. დ. მ.).

ამჟამად ჩვენ უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ „ტფილისის საამიროს“ საზღვრების შესახებ.

მას შემდეგ, რაც გამოცემულ იქნა მაჩხანის (დიღმის ხეობაში) ეკლესიის წარწერა (10, 442-445), ცხადი შეიქნა, რომ არა მხოლოდ XI ს-ში (2, 299), არამედ IX ს-ის შუა ხანებშიც დიღმის ხეობა „ტფილისის საამიროს“ ფარგლებში შემოდიოდა. ე. ი. ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაყოფებით დიღმის ხეობიდან ვიდრე ალგეთის ხეობაში „ტფილისის საამირო“ ყოფილა, რომელსაც ფლობდნენ „ტფილელი ამირები“ და არა აფხაზთა მეფეები.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ავჭალა და ლოჭინის ხევი აგრეთვე ქალაქის საგამგეოში შემოდიოდა (2, 349). კიდევ მეტი: „მატიანე ქართლისაჲ“-ს ერთი ცნობის მიხედვით აშკარა ხდება, რომ

თვით ქალაქი რუსთავი მისი საგამგეოთურთ (ე. ი. ყარაიის ველიანად) მამიროს ფარგლებში ითვლებოდა (2, 312), რასაც ამოწმებს აგრეთვე ის, რომ XI ს-ში ცნობილია „რუსთავის ამირა“ (2, 310).

ამის შემდეგ ვფიქრობთ, ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ „რუსთავ-ყარაია“ იყო სასაზღვრო ზონა ქართლსა და ჰერეთს შორის და რომ რუსთავი იგივე არიშია, რომელიც ჰერეთში მდებარეობდა და კოსტანტი აფხაზთა მეფემ ჰერეთისგან შეიერთა.

ბ) ტერიტორიული მეზობლობის საკითხი.

3. ინგოროყვას მიხედვით ფეოდალურ ხანაში ერთი ქვეყნის მიერ მეორისგან ანექსირებული ქვეყანა უუქველად პირველის მომიჯნავე უნდა ყოფილიყო.

ეს დებულებაც მცდარია.

მიუხედავად იმისა, რომ ვყარობს: „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ ბაგრატ III-მ გაილაშქრა კახეთის წინააღმდეგ „და მას ესმის აღილო ქუეყანა ჰერეთისა, და განაჩინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა“ (2, 279). ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ კახეთზე თავისი პირველი ლაშქრობისას, „მას ესმის“ ბაგრატს აუღია მხოლოდ ჰერეთის ქუეყანა და იგი უშუალოდ შემოუერთებია თავისი სამეფოსათვის. როგორც ვიცით, აფხაზთა სამეფო და ჰერეთი ერთმანეთს არსად არ ემიჯნებოდა, მათ შორის მდებარეობდა კახეთის სამთავრო. ამან არ შეუშალა ხელი ბაგრატს, რომ ჰერეთი თავისთვის მიეთვალია. ეს უნდა მომხდარიყო 1008 წ. ბაგრატის მამის, გურგენის სიკვდილის უმაღლეს (2, 278—279). რომ წყაროს ცნობა სწორია, ამას მოწმობს ნიკორწმიდის ტაძრის წარწერა, საცა მოიხსენიება „ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“ (11, 102—103; 12, 195). ტიტული „რანთა მეფე“ მხოლოდ ჰერეთის შემოერთების შემდეგ შეიძლება მიეღო ბაგრატს. თავისთავად ეს მოწმობს, რომ ნიკორწმიდის წარწერა იმავე 1008 წელს ეკუთვნის.

იგივე „მატიანე ქართლისაჲ“ მოწმობს: „სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიასა შინა... სახელით დემეტრე... და ვერცალა გამოინდევს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან... და ვერღარა დაიდგნა და წარვიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია. და მიერთივან წარუტდა ანაკოფია. აფხაზთა მეფესა მოაქჳამამდე“ (2, 295). ე. ი. XI ს-ში ანაკოფია, ცხადია, თავისი საატრონო ქვეყნით ბერძნებს ეკუთვნოდა, მაშინ, როდესაც მთელი დანარჩენი აფხაზეთი ჯიქეთამდე აფხაზთა მეფისა იყო.

ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ფეოდალურ ხანაში რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის ანექსიისთვის აუცილებელი არ არის უმეშვეო ტერიტორიული მეზობლობა.

საკითხის ნათელსაყოფად ჩვენ დავუმატებთ, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ს „არიში და გავაზნი“, რომელიც კოსტანტი აფხაზთა მეფემ ჰერეთისგან მიითვისა, არის დღესაც არსებული სოფლები კახეთისა (გაღმამხრისა, ძველი ჰერეთისა): არიში (დღ. მთისძირი) და გავაზი (დღ. ახალსოფელი), რომლებიც ისტორიულად მართლაც ჰერეთში მდებარეობდნენ და რომელთა არსებობასაც ჩვენ ვადასტურებთ ადრეფეოდალური ხანიდან მაინც (VI საუკუნის ცნობილი ძველი გავაზის ტეტრაკონქი; არაბული მონეტების განძი არიშიდან).

ჩვენთვის ახლა ნათელია, თუ რად დასჭირდა პ. ინგოროყვას არარსებული პუნქტის გავაზის „აღმოჩენა“ ლოკინის ხეობაში: ამით უფრო სარწმუნო უნდა გამხდარიყო მკითხველისათვის არიშისა და რუსთავის იდენტურობა. მისი მთელი ზემოხსენებული მსჯელობა, წინააღმდეგ მისივე ნათქვამისა, გამიზნულია, როგორც ჩანს, იმ მკითხველისათვის, რომელიც არ არის გაცნობილი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას და ამიტომ იძულებულია ირწმუნოს ავტორის განცხადებები.

როგორც ვხედავთ, ეს საკითხი შედარებით მარტივად იხსნება და სრულად

ლიად არ საჭიროებს თეორიულ კონსტრუქციებს და დაუსაბუთებელ თეზებს...

ჩვენ ახლა უნდა განვიხილოთ „არიშისანი“ და „არიშისანის ადგილის“ საკითხი, რომელსაც პ. ინგოროყვა უდიდეს მნიშვნელობას აძლევს თავისი მთავარი თეზის დასამტკიცებლად.

„ქართლის ცხოვრებაში“ არიშისანი სულ ორჯერაა მოხსენიებული. პირველად XII ს-ის დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით, როდესაც 1104—1105 წწ-ში „აღსართან, კახთა მეფედ ქსენე-ბული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა არიშისანს და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ჭავთარ ბარამის ძემან, და მოსცეს მეფესა, და აღიხუნა მეფემან (ე. ი. დავით აღმაშენებელმა. დ. მ.) ჰერეთი და კახეთი“ (2, 328).

მეორე ცნობა თამარ მეფის ხანას განეკუთვნება. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი აღნიშნავს, რომ თამარის მეფობის დასაწყისში იყო „ჰერეთის ერისთავად — გრიგოლის ძე ასათ... და მცირედ-ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშისანის ადგილსა დაჯდომა სასთაულობთა“ (3, 34).

პ. ინგოროყვა წერს: „ძველქართვე დიდებულთა გვარეულობა არიშისანი (იგივე არიშისძენი)... ეკუთვნოდნენ ჰერეთის დიდებულთა გვარების რიცხვს“ (1, 101). აქ ავტორი, რა თქმა უნდა, სწორია და არიშისანი რომ ჰერეთის დიდებულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობიდან სრულიად აშკარაა. მაგრამ ამას გარდა პ. ინგოროყვა გადმოგვცემს თავის რამოდენიმე მოსაზრებას „არიშისანთა“ შესახებ, რომლებსაც ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება მისი თეზის შემდგომი განვითარებისათვის.

კერძოდ, პ. ინგოროყვა არკვევს, „თუ რა სამფლობელოა ეს „არიშისანისა ადგილი“. მთელი რიგი ფაქტებისა ჩვენ

დავით მუსხელიშვილი  
კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

გვიჩვენებს, რომ „არიშინისა ადგილი“ ეს არის სწორედ რუსთავის სამფლობელო (რუსთავ-ჟინვანის თემი)“.

„ძველ-ქართული საისტორიო ძეგლის „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობებიდან ირკვევა,—წერს პ. ინგოროყვა,—რომ არიშინი, იგივე არიშისძენი, ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში მკვიდრობდნენ რუსთავის მხარეში. ასე, არიშინთა (|| არიშისძეთა) სამფლობელოში დასახლებულია ლოწობანი, რომელიც რუსთავის მეზობლად მდებარეობდა.

მე-12 საუკუნის შუა წლების ერთი დოკუმენტი (ათონის მონასტრის სულთა მატთანე) ადასტურებს, რომ გარესჯა არიშინთა სამფლობელოს ზონაში შედიოდა. ამრიგად, აქაც გვაქვს ჩვენება იმის შესახებ, რომ „არიშინთა ადგილი“ — ეს იყო რუსთავის სამფლობელო.

რომ „არიშინთა ადგილი“ აღნიშნავს რუსთავის სამფლობელოს, ამის პირდაპირ საბუთს იძლევა აგრეთვე შემდეგი: საგვარეულო სახელწოდება „არიშინი“, ცხადია, წარმოდგება საპატრონო ციხისაგან „არიში“, როგორც ეს ნაწარმოებია სხვა ძველი დიდი გვარეულობის სახელები (ორბელიანი — ორბეთის ციხიდან, დადიანი — დადის ციხიდან და სხვ.)“ (1, 100 — 2).

განვიხილოთ თვითული ეს დებულება ცალ-ცალკე:

1. არიშინისა და არიშისძეთა იდენტურობა საეჭვოა უკვე იმიტომ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში არის ძე (T), არის ძე (AC) და არის ძე (cet) მოხსენიებული და არა „არიშის ძე“. შემდეგ, ივანე არშის ძე ლოწობანთა პატრონია, ხოლო ეს ციხესიმაგრე არაფრით არ არის დაკავშირებული „რუსთავის საპატრონოსთან“ (იხ. ზემოთ).

2. მოვიტანთ ათონის მონასტრის სულთა მატთანის სათანადო ადგილებს:

აღაბი № 54: „მეორესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა პანაშვიდი არიშინისა. პანაშვიდი დაიბარეს და მოგუცეს ეკლესიისა საბურავად დრაპკანი: რაჲ“ (13, 229).

აღაბი № 143: „თუესა დეკნებრსა: კვ. კრებაჲ ყდ წმიდისა ლუთის მშობლისა: განუწესეთ აღაბი იოანეს კოჯიხის ძესა აღესრულებოდის წესი ლოცვისაჲ და ძმათა ნუგეშინისცემისაჲ, ვითარცა მაშენებულთაჲ სწერია: მოსცა ეკლესიასა ევლოგიათ ჳელითა დიდისა ბერისა და მოძღუარისა ონოფრი გარეშჯელი-სათა: დრაპკანი ასოცი და ჯორი ერთი... მე მამასა ვასილის და ყოველთა ძმათა დაგწესია: ეკლესიასა შინა არიშინისა ძმაჲ და თჳსი იყო; აწ ვინცა არიშინისა თანა ჳსენებაჲ ივანე კოჯიხის ძისა დააკლოს, იგიმცა დააკლდების“... (13, 253-4).

გვაქვს თუ არა საფუძველი ამ აღაბთა შინაარსის მიხედვით დავადასტუროთ, რომ „გარესჯა არიშინთა სამფლობელოს ზონაში შედიოდა“? ცხადია, — არავითარი!

პირველი აღაბი საამისოდ საერთოდ არავითარ ჩვენებას არ შეიცავს, მეორეში კი აღნიშნულია, რომ განუწესებიათ აღაბი იოანე კოჯიხის ძისათვის, რომელიც იყო „ძმაჲ და თჳსი“ არიშინისა და რომელმაც (ე. ი. იოანე კოჯიხის ძემ) ონოფრი გარესჯელის მეშვეობით ეკლესიას შესაწირავი მისცა. ეს არის და ეს! და აქედან, რა თქმა უნდა, არიშინის მფლობელობის შესახებ რაიმე დასკვნის გაკეთება საფუძველსაა მოკლებული.

3. საგვარეულო სახელწოდება „არიშინი“ პ. ინგოროყვას მიხედვით, წარმოსდგება ციხის, კერძოდ, საპატრონო ციხის სახელწოდებისაგან „არიში“. ეს არის პ. ინგოროყვას ძირითადი საბუთი. სინამდვილეში ეს არგუმენტიც გაუგებრობაზეა დამყარებული.

საქმე ის არის, რომ ქართულმა ენამ არ იცის გეოგრაფიულ სახელთაგან გვარისსახელის ამგვარი წარმოება.

პ. ინგოროყვას აზრით „არიშინი“ ნიშნავს „არიშის“ მფლობელს, ისევე როგორც „დადიანი“ — „დადის“ მფლობელს. განა ცხადი არ არის, რომ ქართულისათვის ამგვარი წარმოება მიუღებელია? (14, 343). განა გვხვდება ჩვენს წყაროებში ან ცოცხალ მეტყვე-

ლებაში ისეთი გვარისსახელები, როგორცაა „ტფილისიანი“, „უჯარმიანი“, „გაგიანი“, „ჯაყიანი“, „ციხისჯვრიანი“ და სხვა მისთ. ხომ ცხადია, რომ გეოგრაფიული სახელიდან ნაწარმოები გვარისსახელი ან წოდება ყოველთვის წარმომავლობის მაჩვენებელი სუფიქსითაა წარმოდგენილი: „ტფილელი“, „უჯარმელი“, „გაგელი“, „ციხისჯვარელი“, „ოზიზარი“, „სლესარი“ და სხვა. „იანი“-ზე დაბოლოებული გვარისსახელი გულისხმობს წევრს იმ კოლექტივისას, რომელიც (ეს კოლექტივი) ერთი გარკვეული წინაპრის (ფაქტიურის ან ფიქტიურის) ჩამომავლობად ითვლება. ასე მაგალითად, ასათიანი (გვარისსახელი) ნიშნავს „ასათისაგან ჩამომავალს“, „ასათის კუთვნილს“; „ადარნასიანი“ — ადარნასეს ჩამომავალს; „გოდერძიანი“ — გოდერძის ჩამომავალს და სხვ.

რომ ეს ასეა, ამას თვით პ. ინგოროყვას მიერ მოტანილი მაგალითები ცხადყოფენ. „დადიანს“ და „ბედიანს“ რომ თავი დავანებოთ, რადგან მათი პ. ინგოროყვასეული ეტიმოლოგია ისევე საუკუთა, როგორც „არიშიანისა“, მას საილუსტრაციოდ კიდევ ერთი მაგალითი მოაქვს: „სახელწოდება საშუალო საუკუნეთა ცნობილი ქართული ფეოდალური გვარეულობისა, სამხრეთ ქართლის მხარეთა ერისთავებისა — „ორბელიანი“, დაკავშირებულია სახელწოდებასთან „ორბეთი“ resp. „ორბის ციხე“ (1,641). ხომ ცხადია, რომ პ. ინგოროყვას თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ, ჩვენ „ორბეთი“-დან უნდა მიგვედო გვარი „ორბეთიანი“, ხოლო „ორბის ციხიდან“ — „ორბიანი“ და არა ორბელიანი. ნამდვილად კი ორბელთა თუ ორბელიანთა გვარის წარმომავლობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ორბეთი (გეოგრ. პუნქტი) — ორბელი — (პირის ან გვარისსახელი) — ორბელიანი (გვარისსახელი).

შემდეგ, სწორია, რომ „არიშიანის“

პარალელური ფორმაა „არიშისძე“, მაგრამ განა აქ არიში შეიძლება გეოგრაფიულ პუნქტად ჩავთვალოთ? გვერდის საძიებელია ისეთი ქართული გვარების წარმოდგენა, როგორც „ტფილისისძე“, „ჯაყისძე“, „ცხუმისძე“ და სხვა?

ამგვარად, ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ უნდა დავრწმუნებულოყავით, რომ არამცთუ „მთელი რიგი ფაქტებისა“, არამედ არც ერთი ფაქტიური მონაცემი არ მოწმობს იმას, რომ „არიშიანის აღგვილი“ ეს არის რუსთავის სამფლობელო. პირუტყუ, „მთელი რიგი ფაქტებისა“ სწორედ იმას მოწმობს, რომ არიში არ არის რუსთავი, რომ არიში არ მდებარეობდა „რუსთავის საპატრონოში“, რომ „არიშიანი, იგივე არიშისძენი“ არ არიან რუსთავის მფლობელები (იხ. ზემოთ).

კიდევ მეტი. პ. ინგოროყვა ყველგან ლაპარაკობს არიშიანთა გვარზე, არიშიანებზე. ნამდვილად კი გვარისსახელი იყო არიშიანი? ჩვენ გვგონია, რომ — არა.

ჯერ ერთი, ამას პირდაპირ მოწმობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობა, საიდანაც ცხადი ხდება, რომ არიშიანი სახელია ისევე, როგორც ბარამ, რომელიც არიშიანის ძმაა. რომ ეს ასეა, ჩანს ათონის მონასტრის აღაპიდანაც, საცა მოხსენებულია „არიშიანის ძმა და თჳსი“ იოანე კოჯიხის ძე. ცხადია, ეს იოანე არიშიანის მეორე ძმაა და თვით არიშიანიც კოჯიხის ძე ყოფილა. ახლა, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ არიშიანი სახელია<sup>1</sup> და არა გვარისსახელი, სრულიად ეცლება საფუძველი პ. ინგოროყვას მოსაზრებას, ვითომც „არიშიანი“ ნიშნავდეს არიშის მფლობელს: ამა თუ იმ მხარის თუ ციხის მფლობელობა, როგორც წესი, გვარისსახელში გამოიხატებოდა და არა სახელში.

შემდეგ, ჩვენ ვიცით, რომ არიშიანი ჰერი დიდებულია. თუ ეს ასეა, ხომ

<sup>1</sup> შდ. „აღაპი სუანთ ერისთვისა ვარდანიძისა მსახურთუხუცესისა არიშიანისა“. აქაც „არიშიანი“, ცხადია, სახელია (15, 37).

დავით მუსხელიშვილი  
კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ცხადია, რომ მისი მკვიდრი მამული, „არიშიანის ადგილი“ ჰერეთში უნდა ყოფილიყო. თუ „არიშიანის ადგილი“ რუსთავის სამფლობელოა ანუ „რუსთავ-ყინვანის თემები“, მაშასადამე, თავისთავად იგულისხმება, რომ „რუსთავ-ყინვანის თემები“ ჰერეთშია. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ რუსთავის ჰერეთისადმი მიკუთვნებას არც ერთი წყარო არ ადასტურებს, ხოლო ყინვანის ჰერეთში მოთავსება — ეს უკვე სრულიად ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული აღმოჩენა იქნებოდა! ე. ი. ჩვენ უნდა მიგველო, რომ მთელი კუხეთი ჰერეთი ყოფილა, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია. ეს ვარემოება გამორიცხავს იმას, რომ „არიშიანის ადგილი“ რუსთავის სამფლობელოა.

უკანასკნელად ჩვენ მოვიტანთ კიდევ ერთ ფაქტს ამის დასამტკიცებლად: „აღსართან, კახთა მეფედ ქაენებული, შვიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიან-მან და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან და მოსცეს მეფესა და აღიხუნა ჰერეთი და კახეთი“ (2, 328) დავით აღმაშენებელმა. ისტორიკოსის ამ ცნობიდან აშკარაა, რომ არიშიანი არის ინიციატორი კახეთ-ჰერეთის შეერთებისა სრულიად საქართველოს სამეფოსთან და თავისთავად ცხადია, დავით აღმაშენებელმა რომ „აღიხუნა ჰერეთი“ (და კახეთი) იქ არიშიანის მკვიდრი მამულიც, ე. ი. „არიშიანის ადგილიც“ უნდა ივარაუდებოდეს. სხვაგვარად საქმის წარმოდგენა შეუძლებელია. თუ „არიშიანის ადგილი“ რუსთავის სამფლობელოა ანუ რუსთავ-ყინვანის თემი, მაშასადამე, ეს მხარეც შეუერთებია დავითს. კახეთ-ჰერეთის შემოერთება, როგორც ცნობილია, 1104—1105 წლებში მოხდა (9, 196). მოკლედ რომ ვთქვათ, დავით აღმაშენებელს რუსთავი 1104—1105 წლებში შემოუერთებია.

მაგრამ ისტორიკოსი ზემომოყვანილი ამბის გადმოცემის შემდეგ აღნიშნავს: „ხოლო ვიდრე ამა ეამამდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და

ყოველი სამშულდე და აგარანი თუქთა ჰქონდეს... და (დავითის დიდებულებმა — დ. მ.) სიმარჯვით სამშულდე... ოდეს სამშულდე... აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი“, ე. ი. 1110 წ. (2, 331—332).

კიდევ უფრო ქვემოთ იგივე ისტორიკოსი წერს: „და წარილო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარის ყოფასა. ქრონიკონი იყო სამას ოცდათხუთმეტი“ (2, 333), ე. ი. 1115 წ.

როგორც შევთანხმით დავით აღმაშენებლის თანამედროვე ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთავი მხოლოდ 1115 წელს იქნა აღებული პ. ინგოროყვას დებულებას იმის შესახებ, რომ „არიშიანის ადგილი“ რუსთავის სამფლობელოა და ამდენად იგი 1104—1105 წლებში უნდა შეეერთებინა დავითს. ჯერ ვიკითხოთ, როგორ ხსნის ამას თვით პ. ინგოროყვა? უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ამ საკითხს საკმაოდ ორიგინალურად და მარტივად სწყვეტს. კერძოდ, სრულიად უგულებელყოფს თანამედროვე ისტორიკოსის მხოლოაზროვან ჩივილებს და ერთი სიტყვითაც არ ახსენებს მას...

ცხადია, ასე ბევრი რამის „დამტკიცება“ იქნება შესაძლებელი...

3. უკანასკნელად უნდა შევეხოთ ჰერეთის საერისთაოს ლოკალიზაციის საკითხს.

3. ინგოროყვას მიხედვით ჰერეთი ორ ნაწილად განიყოფებოდა. ერთს იგა უწოდებს „აღმოსავლეთ ჰერეთს“ (ალაზნის იმიერი აღმოსავლეთი კახეთი, საინგილო. ლავოდების და გიშის სექტორები, შაქი); მეორეს — „შიდა ანუ დასავლეთ ჰერეთს“ (კამბეჩან-ქიზიყი მიმდგომი თემებით) (1, 166).

შიდა ანუ დასავლეთი ჰერეთი დავით აღმაშენებელს 1103 წ. შეუერთებია, ხოლო აღმოსავლეთი ჰერეთი — 1117 წ. (1, 113, 165—166).

დავით აღმაშენებლის დროს (ე. ი. 1117—1125 წლებში) ის ორი ჰერეთი ცალ-ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა, ხოლო „დავით აღმაშენებლის შემდეგ, მე-12 საუკუნის

ნახევარში (დიმიტრი I-ის, ან გიორგი მესამის მეფობაში) ჰერეთის ორივე ნაწილი, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი, გაუერთიანებიათ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად ჰერეთის საერისთაოს სახით“ (1, 167. ხაზგასმა ავტორისა).

სრულიად ჰერეთის ერისთავის ხელისუფლებას ამიერიდან ორი გვარი ეცილება: კოლონკელისძენი (დასავლეთ-ჰერეთის მფლობელები) და გრიგოლისძენი (აღმოსავლეთ ჰერეთის მფლობელები) (1, 168—172);

მას შემდეგ, რაც ჰერეთის ერისთავმა ასათ გრიგოლის ძემ „იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა“ (პ. ინგოროყვას მიხედვით 1192 — 1193 წლებში), სრულიად ჰერეთის საერისთაოს რუსთავეის საპატრონოც შეერთებია და ამიერიდან მთელი XII—XIII სს-ის განმავლობაში ეს ერთეული ასეთი მოცულობისა ყოფილა (მე-19 საუკუნის ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით): „ნაწილი ტფილისის მაზრისა (რუსთავეის ნაქალაქევის ზონა), ნაწილი დუშეთის მაზრისა, სიღნაღის მაზრა მთლად, ზაქათალას ოლქი (საინგილო) მთლად, გიშის სექტორი, ნუხის მაზრა. უმაღლესი გამგებლობა ამ ტერიტორიისა ეპყრა ერთ პირს, ჰერეთის ერისთავს“ (1, 110).

როგორც ვხედავთ, სურათი საკმაოდ მწყობრი და ნათელია, მაგრამ არგუმენტაცია აქაც არ არის.

როგორია საქმის ნამდვილი ვითარება?

ჯერ ერთი, ჩვენ უკვე ვიცით, რომ „არიშიანის ადგილი“ არ არის რუსთავე-ყინვანის თემი და ამიტომ ეს ტერიტორია ჰერეთის საერისთაოში არ შედიოდა.

შემდეგ, უნდა აღვნიშნოთ კოლონკელისძეთა შესახებ. მართლაც, შიდა ჰერეთის (კამბეჩანის ანუ ხორნაბუჯის თემის) მფლობელები არიან თუ არა?

პ. ინგოროყვას საბუთიანობა ასეთია: 1180-იან წლებში იხსენიება ჰერეთის ერისთავი საღირ კოლონკელის ძე, რომლისთვისაც ეს თანამდებობა „მძლავ-

რობით და მორევნით“ მიუტაცია ასათ გრიგოლის ძეს, რომელიც 1184—1185 წლებში უკვე ჰერეთის ერისთავი უწოდებოდა. უწლისთვის „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია ვინმე „ხორნაბუჯისა პატრონი საღირ მახატლის ძე“ (3, 61), რომელიც პ. ინგოროყვას აზრით იგივე საღირ კოლონკელის ძეა: კოლონკელისძე გვარია, ხოლო მახატელი — მამის სახელი. საბუთი? სახელი — საღირ (1, 168, 603).

რა თქმა უნდა, ეს საკმარისი მეცნიერული საბუთი არ არის კოლონკელის ძეთა ხორნაბუჯელობის დასამტკიცებლად!

მართალია, ფეოდალურ საქართველოში მიღებული იყო დიდებულთა გვარებში ე. წ. საგვარეულო სახელების ტარება, რომლებიც მაინცადამაინც ამ ფეოდალური გვარისთვის იყო დამახასიათებელი (1, 116, 607—608), მაგრამ ეს წყობა ზოგადად და მხოლოდ ამაზე დაყრდნობით (და ისიც ერთი შემთხვევის მიხედვით) რაიმე ვარაუქვეტა შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ არც ისე იშვიათია საერთო სახელები სხვადასხვა ფეოდალურ გვარში (ივანე-ორბელთა, მხარგრძელთა, თორელთა, ციხის ჯვარელთა და ვარდანისძეთა გვარებში; სარგისი — მხარგრძელთა და ჯაყელთა გვარებში; ზაქარია — მხარგრძელთა და ასპანის-ძე — ფანასკერტელთა გვარებში და სხვ.). მეორე მხრივ, ჩვენ იმავე დროს და იმავე წყაროებში გვხვდება ანტონი საღირის ძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი და საერთოდ საღირის ძეთა წარჩინებული გვარი (1, 645—648), რომელთა კოლონკელისძეობას პ. ინგოროყვაც ვერ დაამტკიცებს.

ასე რომ, ავტორის ეს საბუთი არ არის მეცნიერული არგუმენტი.

ჩვენ კი გვაქვს საწინააღმდეგო ხასიათის მონაცემები. კერძოდ, სრულიად აშკარაა, რომ „მახატლისძე“ იმ დროს

დავით მუსხელიშვილი

კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ისეთივე გვარისსახელია, როგორც „გრიგოლისძე“ ან „ვარდანისძე“ და სხვ.

მახატლისძენი, ვარდა ზემოხსენებული საღირ მახატლის ძისა, კიდევ ორჯერ მოიხსენიებიან.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი გადმოგვცემს, რომ 1191 წელს სხვა დიდებულთა შორის აგრეთვე „წირქულელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიბურის ძენი და მახატლის ძენი და თავნი კახეთისანი თორღას ძენი, — შეიწყალნეს თვითიულნი თვისთა წესითა“ (3, 55).

ბასილი ეზოსმოდვარიც თავის ცნობაში საქართველოს სანაპირო საერისთაოთა შესახებ აღნიშნავს, რომ „ქუე-მოთ ნაპირის კერძ გრიგოლისძენი და უფროს-და ტბელი, და მაკატლის-ძენი მონაპირობდეს“ (3, 130).

აქ ყველგან დიდებულნი გვარისსახელებით არიან ჩამოთვლილნი და არა მამის სახელებით. ეს კარგად ჩანს ბასილის ცნობიდან, სადაც მანამდე დასახელებულნი არიან: ზაქარია მკარგრძელი, ზაქარია და ივანე მკარგრძელებივე, სარგის მკარგრძელი-თმოგველი, შალვა თორელი, ყუარყუარა ჯაყელი, „ვინმე კაცი ასპანის-ძე, გუარითა არა უაზნო... ამას ზაქარია ერქუა სახელი“, შემდეგ გრიგოლისძენი და მახატლისძენი (3, 129—130).

როგორც ვხედავთ, აქ მონაპირე ერისთავები დასახელებულნი არიან ზედწოდებით ან გვარით. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს ზაქარია ასპანისძის მაგალითზე. გრიგოლისძეთა მიხედვითაც ეს უეჭველია. „გრიგოლისძენი“ ზემოხსენებული ორი შემთხვევის გარდა კიდევ ერთხელ გვხვდებიან, როდესაც დავით აღმაშენებელმა 1117 წელს „დაიპყრნა გრიგოლის ძენი ასამ (C: ასათ) და შოთა“ (2, 334).

გრიგოლისძეთა გენეალოგიური ხის აღდგენა მეტ-ნაკლები სისრულით შესაძლებელია და ეს გაკეთებული აქვს კიდევაც პ. ინგოროყვას (1, 115—116). ამ გვარის ზემოხსენებულ წევრთა გარდა, ჩვენ ვიცნობთ ასათ გრიგოლის ძეს.

რომელმაც „იჯა არიშიანის აღდგენა/ დაჯდომა“, მის შვილს გრიგოლს, მძევალთის ერისთავს (3, 34, 67) და მასთან გრიგოლ ასათის ძეს (3, 19), რომლებიც უფროსი შტოს წარმომადგენლები არიან. ამგვარად, სულ ცოტა ორი ასათი მაინცაა ცნობილი, მაგრამ „ასათის ძეებს“ წყაროებში ჩვენ არსად ვხვდებით და ეს იმიტომ, რომ „გრიგოლის ძე ასათ“ შესაძლებელია წყაროში ამ შემთხვევაში მამის სახელებით იხსენიებოდეს, ისევე როგორც მამამისი „გრიგოლ ასათის ძე“, მაგრამ „გრიგოლისძე“, „გრიგოლისძენი“ par excellence მათი გვარისსახელი იყო.

ასეთივე ვითარებაა „მახატლისძეთა“ მიმართ. იმიტომ „მახატლისძეთა“ გაიგვება „კოლონკელისძეთან“ მოკლებულია საფუძველს და ამდენადვე კოლონკელისძეების წარმოდგენა „ხორნაბუჯელებად“ არსებული წყაროების მიხედვით შეუძლებელია.

უკვე ზემოხსენებულის გამო საეჭვო ხდება პ. ინგოროყვას თეორია „სრულიად ჰერეთის საერისთავთ-ერისთავთა არსებობის შესახებ, რომელიც მოიცავდა კამბეჩანსაც („ხორნაბუჯელების სამფლობელო“) და მით უმეტეს, „რუსთავ-ეჩენანის თემსაც“.

საკითხი, ვითომც XII ს-ში კამბეჩანი შედიოდა „სრულიად ჰერეთის საერისთავოში“, კიდევ ერთ ფაქტს უნდა ემყარებოდეს.

„რუსთველიანას ებილოგის“ პირველი ნაწილის პირველ და მეორე თავებში მოტანილია სია 20 „მთავარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულებისა“, რომელთაგან ვითომდა შედგებოდა საკუთრივ საქართველოს სახელმწიფო და რომელთა სათავეებშიაც იღვნენ „ერისთავთ-ერისთავები“ (1, 551—560). საბუთები, ჩვეულებისამებრ, არც აქ არის მითითებული, მაგრამ ცხადია, რომ საკუთარი წინასწარ აღებული თვალსაზრისის გარდა, ერთადერთი საბუთი საამისოდ არის თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა, რომელიც ეხება კარის მოხელეთა და „საქვეყნოდ გამრიგე“ ერისთავთა განწესე-

ბას (3, 32 — 34). ერისთავთაგან მოხელეთა ამ ნუსხაში დასახელებულნი არიან: სვანეთისა — ბარამ ვარდანისძე; რაჭა-თავერისა — კახაბერ კახაბერისძე; ცხუმისა — თათლო შარვაშისძე; არგვეთისა — ამანელისძე; ოდიშისა — ბედიანი; ქართლისა — რატი სურამელი; კახეთისა — ბაკურ-ყმა ძაგანისძე; ჰერეთისა — გრიგოლისძე ასათ, „რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორევით საღირს კოლონკელისძესა (ჰერეთის ერისთავა. დ. მ.) და მცირედ-ყმა ქონებასა შინა იაჯა არიშაინის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა, და ქელთ-უდვა შვილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთავა“; სამცხისა — ბოცო ჯაყელი.

პ. ინგოროყვასეულ საერისთავთა სიას აქ აკლია: გურია, თმოგვის სანაპირო საერისთავო, რომელიც ვითომც მხოლოდ 1191 წელს ჩამოყალიბდა, გაგის სანაპირო საერისთავო და ტაოს სანაპირო საერისთავო.

თუ როგორ ხსნის პ. ინგოროყვასის ამ ნაკულუევანებას, საამისო კარგილუსტრაციას იძლევა ტაოს მაგალითი: ამ სანაპირო-საერისთავოს მაშინდელი გამგებელი „გუზანი ქვეყნის უდიდეს ლაღატში გაერია. იგი შეეცადა გადაეცა თურქებისათვის ტაოს უმნიშვნელოვანესი ციხეები... ბუნებრივია ამის შემდეგ, რომ გუზანის სახელი ამოუღიათ საქართველოს ხელისუფალთა ამ საპატიო სიიდან“ (1, 567—568).

ეს საბუთი, რაღა თქმა უნდა, საბუთი არ არის!

ფეოდალური ეპოქის ისტორიკოსისათვის გუზან ტაოსკარელის ღალატი, ცხადია, არაფერს ისეთს გაუგონარს არ წარმოადგენდა, რომ ამისათვის მისი სახსენებელი მოესპო. პირუკუ, ციხეების „გატანა“ ფეოდალური სამყაროსათვის ჩვეულებრივი ამბავია და ამისი არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება. მაგრამ ამასაც რომ დავანებოთ თავი, თუკი ღალატის გამო გუზანი ისტორიკოსს დიდმოხელეთა სიაში არ შეუტანია, განა მოსალოდნელია, რომ

იგივე ისტორიკოსი იმავე გუზანს ახსენებდეს, როგორც სამშობლოს დამცველს თურქთა შემოსევისაგან? მართალია ისტორიაში კი ვკითხულობთ, რომ 1186—1187 წლებში „მასვე ყამსა მოვიდეს კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისანი, ცხენოსანნი და ქუეითნი, და აიესო შავშეთისა და კლარჯეთის ქუეყანა. აქათ შეიყარნეს გუზან აბულსანის ძე ტაოელი და მის ქუეყანის ლაშქარნი, და ბოცო და ვინცაღა იახლა, მიესწრნეს მესხნი და მარბიელგაშვებულთა შეებნეს მუნვე. ბედმან და სუემან თამარისმან სძლია, გააქციენეს მუნცა და დაკოცნეს“ (3, 38). ამგვარად, იმის შემდეგ, რაც ისტორიკოსმა სავანეგებოდ გამოსტოვა მოღალატე გუზანი დიდმოხელეთა სიაში, ეს უკანასკნელი იხსენიება, როგორც სამშობლოს დამცველი! ცხადია, რომ ეს უაზრობაა და ამდენადვე ცხადია: პ. ინგოროყვას „საბუთი“ საბუთი არ არის.

რისთვის სჭირდება პ. ინგოროყვას ისტორიკოსის ცნობების ასეთი თავისებური ინტერპრეტაცია? იმისათვის, რომ გაამართლოს საკუთარი თვალსაზრისი საქართველოს სახელმწიფოს 20 მთავარ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფისა, თითქოს მისი ეს თვალსაზრისი სწორედ იგივე წყაროს არ ეყრდნობოდეს და თითქოს ეს წყარო მას მხოლოდ შესამოწმებლად სჭირდებოდეს?! ხოლო რა საჭიროა ეს? საქმე ისაა, რომ ამ სიის თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, აქ ხომ მოიხსენება „ჰერეთის საერისთავო“ და არ მოიხსენება „ხორნაბუჯის საერისთავო“. ეს კი მოწმობაა, რომ ამ დროს „ხორნაბუჯის საერისთავო“ (ყამბეჩანი) შედის „ჰერეთის საერისთავოში“, როგორც ცალკეული თემი.

ეს, მართლაც, სერიოზული არგუმენტი იქნებოდა, ჩვენ რომ გარკვეული ეჭვი არ გვქონდეს ამ ნუსხის მიმართ.

**დავით მუსხელიშვილი**

**კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები**

თავისთავად ის აზრი, რომ აქ ჩამოთვლილია დიდი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები ანუ ე. წ. „საეროსთავთ-ერისთაობები“ თუ „სამთავროები“, სწორი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, სია მინც ნაკლულია (გაგი, ტაო-კლარჯეთი) და შესაძლებელია, ხორნაბუჯის საპატრონოს (კამბეჩანის) არხსენებაც ასეთივე მიზეზით აიხსნებოდეს. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ამ „სამთავროთა“ გვერდით არსებობდნენ უფრო მცირე ერთეულები, „საეროსთაობები“, რომლებიც არ არის აუცილებელი რომელიმე ზემოხსენებულ სამთავროს ფარგლებში შესულიყვნენ და ე. ი. ვასალურ ურთიერთობაში ყოფილიყვნენ მასთან. ასეთი „საეროსთაობები“, ცხადა, ვაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ზემოხსენებული სამთავროები და ისტორიკოსს მათი ჩამოთვლის განზრახვა, ალბათ, არც ჰქონია.

ასეა თუ ისე, მაინცადამაინც, „ხორნაბუჯის საპატრონო“ რომ დამოუკიდებელი ერთეული უნდა ყოფილიყო, ამას კამბეჩანის ისტორიის გარდა აღრეფეოდალური ხანიდან მოწმობს ჩვენთვის საინტერესო ხანის თანამედროვე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი.

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვიტანთ მის შესანიშნავ ცნობას საქართველოს სანაპიროთა შესახებ. იგი წერს:

„რამეთუ პირველ ქუემოთი სანაპიროი გაგი იყო, რომელი ჰქონდა ზაქარიას მკარგრძელსავე; ვარამის მამასა, და ესენი მუნ მონაპირობდეს...

ამოღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ ზაქარია და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა...

და ზემოთ ჯავახეთი, სადა სარგის მკარგრძელივე-თმოგუელი და შალვა თორელი მონაპირობდეს.

ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი...

შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო. ამის შავშეთისა ღადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპანის ძე, გუარითა არა უახუნო...

ქუემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის ძენი, და უფროსდა ტბელი, და მკვეტლის ძენი მონაპირობდეს“ (3, 129-130).

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოსახლებულია დიდებულ აზნაურთა, ცალკეულ ერისთავთა გვარები: გაგელები, მკარგრძელები, თმოგველი, თორელი, ჯაყელი, ასპანისძე (ფანასკერტელი), გრიგოლისძენი. რაღა თქმა უნდა, ამიტომ მახატლისძეებიც მათ ტოლფას გვარად უნდა გვესმოდეს და არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ისინი გრიგოლისძეთა ვასალებად წარმოვიდგინოთ. ამდენადვე, „ხორნაბუჯის საპატრონო“ (კამბეჩანი), რომელიც, როგორც ვიცით, მახატლისძეებს ეკუთვნის, ჰერეთის საერისთავოსაგან სრულიად დამოუკიდებელი ცალკე „ქვეყანაა“ — საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი სანაპირო საერისთავო.

ამგვარად, პ. ინგოროყვას აზრი, რომ „ჰერეთის საერისთავო“ XII—XIII სს-ში მოიცავდა კამბეჩანსაც, მოკლებულია საფუძველს.

ამით ჩვენ ვამთავრებთ ამ წერილში დასმულ საკითხთა შესახებ მსჯელობას.

ჩვენი დასკვნები ასეთია:

1. რუსთავი არასოდეს არ კუთვნებია ჰერეთს. იგი კუხეთში მდებარეობდა და მისი ცენტრი იყო.

2. არიში არ არის რუსთავის მეორე სახელწოდება.

3. არიშიანი არ ნიშნავს არიშის მფლობელს.

4. „არიშიანის ადგილი“ არ არის იგივე „რუსთავის საპატრონო“.

5. ჰერეთის საერისთავო არ მოიცავს არც „ხორნაბუჯის საპატრონოს“ და მით უმეტეს — არც „რუსთავის საპატრონოს“.

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ პ. ინგოროყვას ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ კონცეფციასზე დამყარებული თეორია გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის წარმოშობისა, ვინაობისა და საერთოდ ბიოგრაფიის შესახებ. მართლაც, მთავარი ღერძი ამისათვის არის შემდეგი



ლოგიკური კონსტრუქცია: რუსთავი ჰერეთშია — რუსთავი იგივე არიშია — არიშიანი არიშის მფლობელია, ე. ი. იგივე რუსთველია; „არიშიანის ადგილს“, ე. ი. რუსთავს, ხელში იგდებს ჰერეთის ერისთავი გრიგოლისძე ასათ; ამიერიდან ასათ გრიგოლისძე (XII ს-ის ბოლო) რუსთველია; მისი მემკვიდრე ამ თანამდებობაზე არის ვინმე შოთა; ეს არის იგივე ჰერეთის ერისთავი შოთა, ე. ი. ეს უკანასკნელი ყოფილა იგივე შოთა რუსთველი.

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავრწმუნდით,

რომ რუსთავი არ არის ჰერეთში, რუსთავი არ არის იგივე არიში, რომ არიშიანი არ ნიშნავს არიშის მფლობელს და მით უმეტეს, არ ნიშნავს რუსთველს, რომ „არიშიანის ადგილი“ არ არის რუსთავი და ე. ი. ჰერეთის ერისთავები რუსთავს არ დაუფლებიან — ამის შემდეგ არავითარი ობიექტური საფუძველი შოთა ჰერეთის ერისთავის გაიგივებისა შოთა რუსთაველთან არ არსებობს და ე. ი. პ. ინგოროყვას მთელი ეს მტკიცება არ არის დამაჯერებელი.

**გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია:**

1. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი I, თბილისი, 1963.
2. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955.
3. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბილისი, 1959.
4. Д. Мухелишвили, город Уджарма, историко-археологическое исследование. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси, 1956 г.
5. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955.
6. ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბილისი, 1958.
7. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თბილისი, 1926.
8. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1953.
9. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი II, თბილისი, 1948.
10. გ. ჩუბინაშვილი, VIII—IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, VIII, № 7, 1952.
11. ს. კაკაბაძე, წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთ ეპიგრაფიკული მასალის შესახებ. საისტორიო კრებული, IV, 1929.
12. გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, V, 1930.
13. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901.
14. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1964.
15. ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, ნ. მარის გამოცემა, ს.-პეტერბურგი, 1914.
16. Е. Такайшвили, Описание рукописей, т. II, Тифлис, 1906 — 1912.
17. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.



გეორგი კაკუხაძე

## სამშობლოს ერთგული შვილი

დიდ სამამულო ომში ბევრმა ქართველმა რაინდმა ისახელა თავი. ისინი მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს წარმომადგენლების მხარდამხარ იბრძოდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის გადარჩენად.

ბევრი მათგანი შეეწირა სამშობლოს თავისუფლებას. მათ სახელებს სათუთად ინახავს მადლიერი საბჭოთა ხალხი. ბევრმა კი ივემა გამარჯვების სიხარული და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა.

ამ წერილში მოგიხსნებოდა ერთ-ერთ შესანიშნავ ქართველ ოფიცერზე, რომელიც ჩვენს ძლევამოსილ არმიას თავდადებით ემსახურებოდა თითქმის დღიდან მისი დაარსებისა.

ნიკო კილაძე უბრალო გლეხკაცი იყო. მას ხუთი შვილი ჰყავდა. ვარლამის გარდა ყველა შვილი მამის კვალს გაჰყვა. ვარლამმა კი მეტბოლის გზა აირჩია. ცხრამეტი წლის ჭაბუკი თბილისში ჩამოვიდა. გულისჯიბეში ლანჩხუთის რაიკომის მიმართვა ედო წითელი არმიის შტაბის სახელზე. რევკომი ვარლამ კილაძეს რეკომენდაციას უწევდა წითელი არმიის რიგებში შესასვლელად.

ვარლამი წითელი არმიის რიგებში მიიღეს. იგი ჯერ კიდეც საცესებით ახალგაზრდი. გავიდა დიდი ცხოვრების გზაზე.

წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოში დიდი როლი ითამაშეს კონტრევოლუციური ძალების განადგურებაში. მეფის არმიის ყოფილი ოფიცრის ჩოლოყაშვილის ბანდის წინააღმდეგ ვარლამ კილაძე თავისი რაზმით გაგზავნეს. ახალგაზრდა ჭაბუკმა ბრწყინვალედ შეასრულა სარდლობის დავალება. 1922 წელს დუშეთის მაზრაში ყაჩაღთა ბანდასთან ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის ვარლამი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. შემდეგ ბრძოლებში მონაწილეობისათვის კი დაჯილდოებულ იქნა ოქროს ხმლით, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს— „საქართველოს წითელ მხედარს“.

1922-31 წლებში ვარლამ კილაძე წითელი არმიის პირველი ქართული მსროლელი ლეგიონის ათასეულის მეთაური იყო. მან თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა, მომზადებულმა და გამჭრიახმა ოფიცერმა.

დიდი სამამულო ომის წლებში ვარ-



ლამ კილაძე ჯავშნოსანი შენაერთით მტრის ურდოებს ანადგურებდა ბელგოროდთან, ხარკოვთან, კრასნოდართან, მდინარე დნეპრზე და პერვომოსკთან. მისი მებრძოლები პირველნი შეიჭრნენ რუმინეთის ქალაქ იასში, ბრძოლით დაიკავეს რაომან-ბეკაუ და თავგანწირულნი იბრძოდნენ უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის გასანთავისუფლებლად. ვარლამ კილაძის შენაერთმა ბრძოლით განვლო დიდი გზა — ვოლგის ნაპირებიდან ბერლინამდე. იგი ყოველთვის იყო სამშობლოს ერთგული გუშაგი, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი. ვარლამ კილაძის საბრძოლო ოპერაციებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა იასის მისადგომებთან ბრძოლა, სადაც მან გამოამჟღავნა შენაინიშნავი სამხედრო მომზადება.

ვარლამ კილაძის სამხედრო დამსახურება სარდლობამ ცხრაჯერ აღნიშნა თავის ბრძანებებში.

გვარდიის პოლკოვნიკის ვარლამ კილაძის მკერდს ამშვენებს ლენინის, სამი წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სუვოროვის II ხარისხის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენები და მედლები.

სახელმოხვეჭილი ოფიცერი ვარლამ კილაძე ამჟამად პენსიონერია. ღვაწლმოსილი მეომარი ხშირად ზეგდება ახალგაზრდებს, ესაუბრება მათ საბჭოთა არმიის დიდ წარსულზე, გმირული დღეების დაუფიქვარ ეპიზოდებზე.

ახალგაზრდები ხარბად ისმენენ ძველი მებრძოლის ყოველ საუბარს, რადგან იციან, რომ ვარლამ კილაძე არის ნამდვილი საბჭოთა ოფიცერი, რომელმაც სამშობლოს წინაშე ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი.

---

გურამ კაკუშაძე  
სამშობლოს ერთგული შვილი



### არაბთა გაერთიანებუ- ლი რესპუბლიკა

#### „რომ არვის შიოდეს“

ასეთია ტაუფიკ ალ-ხაიმიის ახალი პიესის სათაური. უფრო ნალ „აღჯალიდის“ კორესპონდენტის აზრით ეს არის რეალისტური და ამასთან ერთად, ფილოსოფიური პიესა. მთავარი გმირი ახალგაზრდა გამოგონებულია. იგი მუშაობს საოცარი მანქანის შესაქმნელად. ამ მანქანამ უნდა გადაწყვიტოს კაცობრიობის უდიდესი პრობლემა — უნდა აღკვეთოს შიმშილი დედამიწაზე. „ატომის გამოგონებას არ ექნებოდა არავითარი აზრი, თუ მისი დახმარებით აღამიანები ვერ გაიმარჯვებდნენ შიმშილზე.“ პიესა — „რომ არვის შიოდეს“ მრავალპლანოვანია. მოქმედება მიმდინარეობს ხან ჩვეულებრივ ოთახში, ხან თითქოს ეკრანაო, კედელზე, რომელზედაც წედა სართულიდან წყალი იღვრება. ოჯახი, რომელიც ამ ოთახში ცხოვრობს, ხედავს მეორე ოჯახის ცხოვრებას. ამ ხერხით აერთიანებს ავტორი სხვადასხვა სიუჟეტურ ხაზს.

კრიტიკა მიესალმება ცნობილი ეგვიპტელი დრამატურგის ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებს.

#### ფილმი ასუანზე

როგორც პრესა იუწყება, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის გადაღება ასუანის კაშხალის მშენებლობაზე. ფილმის რეჟისორმა სა-

ლახ ადინ აბუ-სეიფმა განაცხადა, რომ ახალი ფილმის გმირები იქნებიან „უბრალო აღამიანები, არაბები და რუსები, რომლებიც ერთად აგებენ კაშხალს და ამასთან ერთად არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ახალ ცხოვრებას. ფილმის სახელწოდება იქნება „ხალხების თანაარსებობა“.

#### ზანგებულის კომედიის კრებული

ამერიკელი ზანგების პოეზიას საფუძველი ჩაუყარა ლორენს დანბარას პოემამ „მუხადა სურო“, რომელიც 1898 წელს გამოქვეყნდა. წერს „ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუს“ რეცენზენტი. ეს პოემა ხსნის ამას წინათ ნიუ-იორკში გამოცემული ზანგი პოეტების ნაწარმოებთა კრებულს, რომელიც გამოქვეყნდა თანამედროვეებისა და დანბარას მიმდევართა ნაწარმოებები: ჯეიმს უელდონ ჯონსონის, უილიამ სტენლი ბრეტუიტის და სხვების. თანამედროვე ამერიკელ ზანგ პოეტთაგან რეცენზენტი გამოჰყოფს ლერიო ჯონსონის და გვენდოლინ ბრუკსის ლექსებს (1950 წელს ამ უკანასკნელს მიენიჭა პულიტცერის პრემია). კრებულში შესულია რიჩარდ რაიტის და ლენგსტონ ხიუზის ლექსები.

#### ესპანეთი

##### მამხილებელი რომანი

ესპანელი მწერლის ალფონსო გროსოს ექვსი წიგნიდან ოთხი აკრძალა ფრანკოს ხელისუფლებამ. ასეთივე ბედი

ენია მწერლის უკანასკნელ რომანსაც — „პროცესია“. იგი ახლახან გამოცა ფრანგულმა გამომცემლობამ „სიოიში“.

ეს არის მოთხრობა უმიწაწული ესპანელ ღარიბ ხუან როდრიგესის ბედზე. ხუანი უაღბო ცილისწამების გამო დააპატიმრეს. ციხიდან ხუანი ავადმყოფი და ყოველგვარი საარსებო სახსრების გარეშე გამოვიდა. რომ როგორმე თავი გამოეყვება, როდრიგესი დათანხმდა, მონაწილეობა მიეღო რელიგიურ პროცესიაში და უბრალო გასამრჯელოს ფასად დაეტარებინა ქალაქის ქუჩებში ქრისტეს ქანდაკება. მაგრამ ტვირთი მის ძალ-ღონეს აღემატებოდა და ხუანი მოკვდა.

„ხუან როდრიგესი დღევანდელი დღის ესპანელის ზოგადი სახეა, — განაცხადა ინტერვიუში ყოველკორიერი „ლეტრ ფრანსეზის“ კორესპონდენტმა. — „პროცესიაში“ მხილებულია თანამედროვე ესპანეთის ფეოდალური წეს-წყობილება. ქანდაკება, რომლის სიმძიმეც იმსხვერპლა ხუანი, თანამედროვე ესპანეთში აღამიანური მეობის დაცემის სიმბოლური სახეა“, — ხაზგასმით აღნიშნავს გროსო. კორესპონდენტს მიაჩნია, რომ ავტორი „პროცესიაში“ ცდილობდა მოეცა ჩვენი დროის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ღრმა ანალიზი.

ინტერვიუში აღნიშნული იყო, რომ გროსო იყო ესპანეთის იმ კულტურის მოღვაწეთა რიცხვში, რომლებმაც ხელი მოაწერეს მთავრობის საპრო-

ტესტო წერილს ასტურიის მთიელების დასაცავად.

### ორბების ტილოების გამოყენება

რომის სამხატვრო გალერეაში „ნიოვა პეჯა“ გაიხსნა ესპანელი რეალისტი მხატვრის ხოსე ორტეგას ნამუშევრების გამოფენა. ხოსე ორტეგა აქტიურად იბრძოდა ფრანკოს წინააღმდეგ და ემიგრაციაში იმყოფება საფრანგეთში. გამოყენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა იტალიის დედაქალაქის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებაში. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის მიერ 1962-63 წლებში შექმნილი 50 ნახატი, რომლებიც ასახავენ ესპანელი მშრომელების ცხოვრებასა და ბრძოლას. იტალიელ ხელოვნებათმცოდნის დარო მიკაჯის აზრით მხატვრის ეს ნამუშევრები არის პროტესტი ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ.

„ჩემი ხელოვნება იდეურად პროლეტარიატის ავანგარდთან არის დაკავშირებული, — განაცხადა ორტეგამ, — მისი მიზანია დაეხმაროს ესპანელ ხალხს მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

### მულახდელი აღიარება

„აღმოსავლეთ ევროპის ფილმების დონე უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების“, — წერდა ამასწინათ ბონის გაზეთი „რუნდშაუ“ მიმოხილვაში, რომელიც მიემდვნა ობერზაუზენში მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალს. — უნდა აღინიშნოს, რომ ფესტივალზე საუკეთესო ფილმები უჩვენეს პოლონეთმა, იუგოსლავიამ და ჩეხოსლოვაკიამ.“

გდრ-ის ფილმები და ნაწილობრივ „1968 წ. იანვარი“ — ფილმი, რომელიც მოგვითხრობს სარკინიგზო გზებზე მომუშავე ბრიგადის თავგანწირულ მუშაობაზე, ტექნიკურად შესრულებულია უნაკლოდ, —

წერს კორესპონდენტი. გფრ-ის კინომუშაეებს არ შეუძლიათ ამით დაიკვირონ.

„დასავლეთგერმანული სინამდვილე? — განაგრძობს კორესპონდენტი, — მის შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ჩვენი ფილმები რიცხობრივად მეტი იყო, მაგრამ გფრ-ის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ჩვენი არაფერი იყო ნათქვამი. მათი ფილმები არ იძლევიან წარმოდგენას დასავლეთ გერმანიის ადამიანების ცხოვრებაზე“.

### ინფორმაცია

#### ბაბასის მოთხრობების კრებული

ბომბების გამოცემლობა „ჯაიუო ბუკმა“ გამოსცა ახმად ბაბასის წიგნი „შვიი მზე“ და სხვა მოთხრობები.

„ბაბასის მოთხრობებში ისმის დღევანდელი ინდოეთის ცხოვრების მაჯისცემა, — წერს ყოველკვირეული „ბჰარატ ჯოტის“ რეცენზენტი. — მიმდინარე მოვლენები ამ მხატვრის შემოქმედებაზე უფრო მეტ გავლენას ახდენენ, ვიდრე სხვარამ“. საუკეთესოთა რიცხვში რეცენზენტი ასახელებს ისეთ მოთხრობებს თანამედროვეობაზე, როგორც არის „ახალი ტაძრები“, „ბიჭი, მთა რომ დასძარა“, „საღამო ლუნაუში“. მოთხრობაში „მწვანე ავტომობილი“ ავტორმა აჩვენა, როგორი გაღატაკილება მოახდინა ადამიანთა აზროვნებაში კოსმოსში დედამწიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გავრცელება.

„კრებული ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ბაბასი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია პაკარა მოთხრობების თანამედროვე ოსტატთა შორის“, — შენიშნავს რეცენზენტი.

### იტალია

„პარს უპან“

ჯორჯი ბახანის სახელს საბჭოთა მასურებლები იცნობენ ფილმიდან „1943 წლის გრძელი დამე“, რომლის სცენარ-

საც საფუძვლად დაედო მწერლის ამავე სახელწოდების რომანი. ამ რამდენიმე თვის წინ ავტორმა გამოსცა რომანი „კარს უკან“. ამ რომანში მწერალი ისევ უბრუნდება თავისი ახალგაზრდობის წლებს, რომლებიც მან მშობლიურ ქალაქ ფერარში გადატარა. რომანის მოქმედება ხდება 1920—1930 წლებში. მისი თქვსმეტი წლის გვირგვინის მოსწავლეა.

ყოველკვირეულის „ვეი ნუოვის“ რეცენზენტის სიტყვებით ავტორმა შექმნა მოზარდი ყმაწვილის ფაქიზი ფსიქოლოგიური პორტრეტი. მდიდარი ოჯახიდან გამოსული ეს გულუბრყვილო და ძალზე მგრძობიარე ყმაწვილი პირისპირ შეეჯახა ბურჟუაზიული საზოგადოების სისასტიკეს, სიყალბესა და ორპიტობას, რასაც ბევრი დაუტოვებია ცხოვრების „კარს უკან“. „უპირისპირებს რა ერთმანეთს დადებით და უარყოფით გემორებს, რომლებიც ხედვებია ერთმანეთს ცხოვრების გზაჯვარედინზე, ბასანი აჩვენებს სიმკაცრისა და კეთილშობილების, ფაშინზინა და ანტიფაშინზინა შეჯახებას“, — ნათქვამია რეცენზიაში.

### „იტალიაში ძნელი იყო მკითხველი“

უკანასკნელ ხანებში იტალიური პრესის ფურცლებზე უფრო და უფრო ხშირად იწერება „ბიბლიოთეკის კრიზისზე“. მკითხველების თხოვნით გაზეთ „უნიტასა“ და „პავეე სერას“ კორესპონდენტებმა შეამოწმეს რამდენიმე დიდი ბიბლიოთეკა იტალიაში. შემოწმების შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა იმათთვისაც კი, ვინც იცოდა, რომ ამ სფეროში მდგომარეობა ძალზე არასახარბიელო იყო. აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკების ფართობი ძალზე მცირეა, ამიტომ შიგ არ უშვებენ საშუალო სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს და მოქალაქეებს, რომ

მელთაც არა აქვთ უმაღლესი განათლება.

მთელს იტალიაში, სადაც 50 მილიონი მოსახლეობაა, მხოლოდ 35 სახელმწიფო ბიბლიოთეკაა — თანამშრომლები ღებულობენ ძალზე მცირე გასამრჯელოს. ხელისუფლება კი არავითარ წომეებს არ მიმართავს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იტალიაში წიგნების შექმნა არც ისე იოლია (წიგნები იბეჭდება მცირე ტირაჟით და ძალზე ძვირად ფასობს), გასაგები გახდება, თუ რა სიძნელეებს განიცდის მილიონობით იტალიელი მკითხველი.

„დიან, იტალიაში ძნელია იყო მკითხველი“ — წერს ამასთან დეკავშირებით გაზეთ „უნიტას“ კორესპონდენტი.

### პოლონეთი

#### პარიკატურის საპრეტაშორისო გამოფენა

„ეს იყო დიდი იმპროვიზაცია“, — წერს გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს“ მიმოხილველი ევა გაუტტიკაია კარიკატურის ხაერთაშორისო გამოფენის შეხახებ, რომელიც ამასწინათ

მოაწყო ვარშავის სატირულმა შურნალმა „შპილიკი“. ასეთი გამოფენის იდეა შურნალის თანამშრომლებს დაებადათ.

მსოფლიოს ცნობილ კარიკატურისტებს, საზღვარგარეთული სატირული შურნალენის რედაქციებს გაეგზავნათ ათასობით წერილი, თითქმის ერთი და იგივე შინაარსისა: „შპილიკი“ გთხოვთ გამოგზავნოთ ერთი ნახატი საზღვარგარეთული კარიკატურის გამოფენაზე „მსოფლიო იცინის“.

პოლონური შურნალის მოწოდებაზე გამოხმაურებულთა რაოდენობამ უოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მიღებული იყო 150 მხატვრის ნახატები 21 ქვეყნიდან 31 პოლონელი გრაფიკოსის ნამუშევრის ჩათვლილად. მაგალითად, იაპონიაში გაგზავნილ მხოლოდ ერთ წერილს გამოცხმაურა 16 იაპონელი გრაფიკოსი, რომლებმაც 80-ზე მეტი ნახატი გამოგზავნეს.

საგანგებოდ აშენებულ სალონში ძლივს მოათავსეს ყველა გამოგზავნილი სურათი. გამოფენის ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილება „მსოფლიო იცინის“ წარმოადგენდა მებრძოლ პოლიტიკურ სატირას,

რომელიც ამხელდა ამერიკულ ნეოკოლონიალიზმს, საფრანგეთის მმართველი წარმომადგენლებს, დასავლეთ გერმანიაში ფაშიზმის ალორძინებას. გამოფენაში მონაწილეობდნენ კარიკატურისტები: კუკრინიკსები (სსრკ), ეფელი (საფრანგეთი), ვიცი და ლენგერენი (პოლონეთი) და მრავალი სხვა.


### ციელონი

#### მარნაუბა ცეილონის ცნომრება

თანამედროვეობა უფრო და უფრო იზიდავს ცეილონის კინოს შემოქმედებით მუშაეებს. დღევანდელი ცეილონის ცხოვრება იხილა მამუურებელმა ლესტერ ჯეიმს პერისის ფილმში „სოფელი თავის სახეს იცვლის“, რომელმაც კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ამასწინათ ეკრანზე გამოვიდა ახალი ფილმი თანამედროვეობაზე — „ახალგაზრდობა“.

წამყვან როლს ფილმში „ახალგაზრდობა“ ასრულებენ მსახიობები: გამინი ფონსეკა და საბხანი ამარასინგბე.



მხატვრული რედაქტორი ტიტე შექილაძე ტექნიკური რედაქტორი მედეა შონია

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, კ/გ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: კრიტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-08-85, კოაქიზისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/1-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შვეკ. 4 უე 02841. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 10 500.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ბაბანოვი

მოქანდაკე იოსებ ქლიავა




უბილიტო ბოლშევიკთაგანები —  
ფორტოვლი ვალკო გენერალსა



საქართველო  
ბიზნისი

ქოლშოვანი ბივი — შატვაი ვაჭანგ კოქაშვილი



ბილიმბოვლები — შატვაი რეზო კეჭეჭიძე

ՅՆՆ 60 ՅՅՅ.

ՀԱՅԿԱՅԻՆ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ՇԻՏԿԱՐԻ“

ИЗДАТЕЛЬСТВО  
„ЛИТЕРАТУРА ДЯ ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 78236